

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის  
ინსტიტუტი

**როლანდ თოფჩიშვილი**  
**Roland Topchishvili**

# **სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი**

**გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევი**

**Svaneti and Its Inhabitants**  
**(Family Names and Ethno-historical Studies)**



გამომცემი ობა`ნივერსალი-  
თბილისი 2015

UDC(უაკ)39(=353.2)

თ-778

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მხარემ – სვანეთმა მეცნიერთა ყურადღება ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მიიქცია. ამიტომაცაა, რომ მის შესახებ საკმაო რაოდენობის სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. სვანეთის შესახებ სამეცნიერო შეხედულებანი და თეორიები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიუღებელი და ბევრი დოგმატური შეხედულების ჩამოყალიბებაში ლომის წილი მიუძღვის საბჭოთა მეცნიერებას, რომელიც კულტურული და სოციალური ხასიათის ბევრ მოვლენას სქემებში აქცევდა. წიგნი „სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი“ 2003 წელს დაიწერა. ის განკუთვნილია არა მხოლოდ მეცნიერი ეთნოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისთვისაც.

Svaneti, a historical-ethnographic part of Georgia, has been drawing scientific attention since XIX century. There is a number of scientific literature about Svaneti. Existing scientific opinions and theories about Svaneti are controversial. Soviet science, that limited many cultural and social facts and events within a frame, is a great contributor to establish many unacceptable and dogmatic theories. "Svaneti and Its Inhabitants" was written in 2003. This ethnohistorical studies is aimed at ethnologists and historians as well as a general public.

სამეცნიერო რედაქტორი

**როზეტა გუჯეჯიანი**

© რ. თოფჩიშვილი, 2015

gamomceml oba`universal i-, 2015

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, fl : 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-610-6

## რედაქტორისაგან

წინამდებარე მონოგრაფია – „**სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი: გვარები და ეთნოისტორიული ნარკვევი**“ – მნიშვნელოვანი შენაძენია. ცხადია, ნებისმიერი ფუნდამენტური სამეცნიერო გამოკვლევა, აქტუალურია, მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა სვანეთის შესახებ შექმნილი სამეცნიერო კვლევები, რადგან საქართველოს მთიანეთის ისტორიისა და ტრადიციული ყოფის არაერთი ელემენტი მოითხოვს ახლებურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას. როლანდ თოფჩიშვილის საბჭოური სამეცნიერო კლიშეებისაგან თავისუფალი ნაშრომი ახლებური ხედვითა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის მრავალმხრივი ანალიზითაა საყურადღებო. მეცნიერის თანამედროვე ხედვები და მიდგომები ავლენს სვანეთის ყოფის ობიექტურ სურათს, წარმოაჩენს ქართველ მთიელთა (სვანთა) კულტურულ-სამეურნეო, სულიერი ცხოვრების განუყოფლობას ერთიანი ქართული კულტურისაგან ისტორიული განვითარების დინამიკაში, გამოკვეთს სვანეთის მოსახლეობის ჩართულობას ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

წიგნი დაწერილია ისტორიული ეთნოლოგიის საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით. ავტორი კვლევის დროს ეყრდნობა არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საისტორიო წყაროებს: სტატისტიკურ მასალას, საარქივო მონაცემებს, სხვადასხვა ისტორიულ ნარატივსა და ეთნოგრაფიულ ცნობას. რ. თოფჩიშვილი ფლობს ამომწურავ სამეცნიერო ინფორმაციას. გარდა ამისა, მონოგრაფიის უდიდესი ნაწილი ეთმობა ავტორის მიერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალას. მას მრავალი ექპედიციის ფარგლებში დეტალურად აქვს შესწავლილი სვანეთის მოსახლეობის ყოფა, საგვარეულო გადმოცემები, გაანალიზებული აქვს ამა თუ იმ საგვარეულოს განსახლების არეალი, საგვარეულო ლეგენდა, გამოკვეთილი აქვს გვარის დანაყოფები, ყურადღება გამახვილებული აქვს გვარის ფუძისა თუ სუფიქსების ანალიზზე და ა. შ.

ნაშრომის თავისებურება კვლევის მასშტაბურობაშიც მდგომარეობს, რაც მოჩანს ნაშრომის სტრუქტურასა და არქიტექტონიკაშიც. მონოგრაფია იწყება სვანეთის ისტორიული და გეოგრაფიული მიმოხილვით, ინფორმაცია დაჯგუფებულია და მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელია. განხილულია არა მხოლოდ თანამედროვე მესტიისა და ლენტეხის რაიონები, არამედ სვანეთი წარმოჩენილია მის ისტორიულ საზღვრებში: გამოვლენილია „დალის სვანეთის“ (ადმინისტრაცი-

ციულად ის აფხაზეთს გულრიფშის რაიონს ეკუთვნის) როლი ქართულ ყოფაში და იქ განსახლებულ საგვარეულოთა ისტორიები; ყურადღება გამახვილებულია სვანთა განსახლების ისტორიულ არეალზე ლეჩხუმში, მთის რაჭასა და მთიან სამეგრელოში. ავტორი იკვლევს სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლების ისტორიასაც და სამეცნიერო ბრუნვაში შემოაქვს კავკასიონის ქედს გადაღმა მცხოვრებ ქართულ საგვარეულოთა ისტორიები. ცნობილია, დღევანდელ ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში არაერთი ქართული (სვანური) საგვარეულო სახლობდა, რომელთა ერთ ნაწილს დღემდე ახსოვს წინაპრების ქართული წარმომავლობა. ავტორი წარმოგვიდგენს ყარაჩაიდან და ბალყარეთიდან სვანეთში საცხოვრებლად დაბრუნებულ ქართულ საგვარეულოთა ისტორიებსაც. მონოგრაფიაში გაანალიზებულია სვანეთის ტრადიციული ყოფის გამაპირობებელი ისტორიულ-კულტურული ფაქტორები. შესწავლილია სვანეთის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები საქართველოს სხვა მხარეებთან. გამოთქმულია ფრიად საყურადღებო ეთნოლინგვისტური დაკვირვებები სვანური მეტყველების თაობაზე. წარმონიღია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარე მიგრაციული პროცესები, როდესაც სვანეთის ნამატი მოსახლეობა სახლდებოდა საქართველოს სხვა მხარეებში. წარმოდგენილია სვანეთის საგვარეულოთა შესახებ არსებული ვრცელი ეთნოგრაფიული მასალა და მისი ანალიზი: ინფორმაცია მოწოდებულია თითოეული თემის და ამ თემში მცხოვრები საგვარეულოების მიხედვით. ცნობილია, გვარსახელი ეროვნული კულტურის ნაწილია, საგვარეულო ლეგენდა-გადმოცემები ისტორიული მახსოვრობისა და ისტორიის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა და, ვფიქრობ, ეს მომენტიც ფრიად პოპულარულს გახდის წიგნს.

საქართველოს ყოფითა და კულტურით დაინტერესებული მკვლევარისათვის წინამდებარე წიგნი ძვირფასი შენაძენია. მონოგრაფია, ფაქტობრივად, ყოვლისმომცველია – ზოგადად სვანეთის ტრადიციული კულტურის დეტალურად წარმომჩენია. ვფიქრობ, ნაშრომი პოპულარული გახდება ფართო საზოგადოებაშიც. განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ წიგნი ორენოვანია და ქართულთან ერთად, ინგლისურენოვან მკითხველსაც ეძლევა საშუალება სვანეთის შესახებ ობიექტური ეთნოლოგიური ნაშრომის გაცნობისა.

**როზეტა გუჯეჯიანი,**  
ეთნოლოგი, ისტორიის დოქტორი.

## წინასიტყვაობა

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, მისი ძირითადი და ორგანული ნაწილია, რომელსაც მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებდა. სვანებმა ქართული ეთნოსის ჩამოყალიბებაში და განვითარებაში არსებითი როლი შეასრულეს. ამავე დროს საქართველოს ამ მთიანი რეგიონის მკვიდრებმა შემოინახეს საერთოქართული კულტურის უძველესი ნიშნები და შექმნეს ამ კულტურის არანაკლებ მნიშვნელოვანი ლოკალური ვარიანტები.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. ეს ლიტერატურა XIX საუკუნეში და XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში ძირითადად რუსულ ენაზე იქმნებოდა. ბევრი დაიწერა XX საუკუნეშიც. ჰუმანიტარულ მეცნიერებიდან განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, ეთნოლოგები... საბჭოთა პერიოდში ეთნოლოგების აქტიურობა ძირითადად მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისაკენ იყო მიმართული. ბუნებრივია, სვანეთი პირველ რიგში იქცევდა მათ ყურადღებას. როგორც ჰუმანიტარებს ახასიათებთ, სვანეთის შესახებ სამეცნიერო შეხედულებანი და თეორიები ურთიერთსაწინააღმდეგოა. მიუღებელი და ბევრი დოგმატური ხასიათის შეხედულების ჩამოყალიბებაში ლომის წილი მიუძღვის საბჭოთა მეცნიერებს, რომელიც კულტურული და სოციალური ხასიათის ბევრ მოვლენას სქემებში აქცევდა. აქედან გამომდინარე მთელი რიგი პრობლემები ხელახლდა გასააზრებელი. ეთნოლოგისათვის სამკალი კვლავ ბევრია – ამ მხარის მკვიდრებმა ბევრი ყოფითი რეალია დღემდე შემოინახეს. ასე რომ, ძველი და ახალი მონაცემების ურთიერთშედარება სიმართლესთან მდგომი ახალი შეხედულებების ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა.

წინამდებარე წიგნის ავტორი სვანეთის ეთნოლოგიის ზოგიერთი საკითხის კვლევით თხუთმეტიოდე წლის წინ დაინტერესდა. ეს ინტერესი კი უფრო ადრე მას ასპირანტურაში სწავ-

ლის პერიოდში მასწავლებელმა ცნობილმა ქართველმა ეთნოლოგმა მიხეილ გეგეშიძემ გაუჩინა, რომელიც განსაკუთრებით ილაშქრებდა იმ მკვლევართა წინააღმდეგ, ვინც სვანთა პირველყოფილობის, ჩამორჩენილობის შესახებ საუბრობდა. საეტაპო იყო მისი ნაშრომი სვანური კოშკების მანამდე უცნობი ფუნქციის შესახებაც, რომ კოშკებს სვანები აგებდნენ არა მხოლოდ თავდაცვის მიზნით, არამედ იმ მიზნითაც, რომ თავი დაეცვათ ზგავებისაგან. ეს კიდევ ერთი დიდი არგუმენტი იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრებ ქართველთა ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის მაღალი კულტუროსნობისა.

წიგნი „სვანეთი და სვანეთის მკვიდრნი“ 2003 წელს დაიწერა. 2003 წელს დაწერილი ტექსტის ანალოგიურია ინგლისური ტექსტი. დაბეჭვდის წინ ქართული ტექსტი გადაამუშავდა, გათვალისწინებული იქნა ახალი სამეცნიერო ლიტერატურა და ის ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც შემდეგ შეიკრიბა. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სვანური ტერიტორიული თემებისა და აქ არსებული გვარების შესახებ. მოკლედ საუბარია ეთნოლოგიის სხვა პრობლემების შესახებაც. ძირითადი მიზანი იყო მკითხველისათვის გარკვეული წარმოდგენის შექმნა სვანეთის შესახებ. ამიტომაც ის განკუთვნილია არა მხოლოდ მეცნიერი ეთნოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვისაც. ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი „მოგზაურობა“ სვანეთში ცხენისწყლის ხეობიდან დაიწყო, რომლის სათავიდანაც ენგურის ხეობის სათავეში გადავიდა და ქვემოთ დაუყვა ამ ხეობას. ჩვენი „მოგზაურობაც“ ამ მარშრუტს დავამთხვეით. ამით გვინდოდა ერთგვარი პატივისცემა და მოწიწება გამოგვეხატა დიდი ქართველისადმი.

სვანეთის ეთნოლოგიური კვლევა კვლავაც აქტუალური უნდა იყოს, სამეცნიერო მიმოქცევაშია შემოსატანია დღესაც ხელუხლებელი ეთნოგრაფიული მასალები. იმედია, წინამდებარე წიგნი გარკვეული წინაპირობა გახდება მომავალში საქართველოს ამ შესანიშნავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის კვლევის გააქტიურებისა.

## ზოგადად სვანეთისა და სვანების შესახებ

ქართველი ხალხი ერთ-ერთი იმათგანია, რომელმაც ძველ ერთაგან თავისთავადობა დღემდე შეინარჩუნა. ქართულ სახელმწიფოში, რომელიც ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა, გარდა ქართულენოვანი მოსახლეობისა, მეგრულად და სვანურად მეტყველი მოსახლეობაც ცხოვრობდა. ქართული საისტორიო წყაროებით ისინიც ქართველი ერის შემადგენელ ნაწილად მიიჩნეოდა. ქართველურენოვანი მეგრელები, სვანები ქართველებად მიიჩნეოდნენ. მეგრელები და სვანები დღესაც ქართველებად მიიჩნევენ თავს და მათი რწმენით სწორედ ისინი ლაპარაკობენ ძველ ქართულ ენაზე. საკუთარი სალაპარაკო ენა (ბაცბური) აქვთ წოვა-თუშებს, რომლებიც ასევე ქართველებად გაიაზრებენ თავს. ზანური/მეგრული და სვანური საუკუნეთა განმავლობაში მხოლოდ საოჯახო სალაპარაკო მეტყველებებს წარმოადგენს და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ისინი ქართული ენის დიალექტებს უთანაბრდებიან. როგორც სვანეთში, ისე სამეგრელოში მცხოვრებთა სახელმწიფო, ოფიციალური, საღვთისმეტყველო და სალიტერატურო ენა მხოლოდ ქართული იყო. ასე რომ, ქართველი ერი არა მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ერთობლიობას წარმოადგენდა და წარმოადგენს. ენა რომ არაა ეთნოსის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი, ამის დამადასტურებელი არაერთი ანალოგია შეიძლება მოვიყვანოთ მსოფლიოს ხალხთა ეთნიკური ისტორიიდან. მაგალითად, სალიტერატურო გერმანული ენისაგან განსხვავდება ქვემოგერმანელთა მეტყველება — „პლატ-დოიჩე“. მორღველები ორ ენაზე (ერზია და მოკმა) მეტყველებენ. ცნობილი ფაქტია: როდესაც *მაო ძე დუნი* მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა, და მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, ბევრი ჩინელი სტუდენტი მისი გამოსვლის ტექსტს თარჯიმნის მეშვეობით ისმენდა.

საქართველოს მთელი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სვანეთი მის ისტორიულ-გეოგრაფიულ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს წარმოადგენს. ის ხშირად სხვადასხვა სტატუსით

შედიოდა როგორც ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს, ისე დასავლეთ საქართველოს (ჯერ ეგრისის ანუ კოლხეთის, შემდეგ კი აფხაზეთის) შემადგენლობაში. სვანეთი საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან შედარებით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმათაც იყო და არის გამოჩენილი, რომ სვანებს ჰქონდათ საკუთარი საოჯახო მეტყველება (როგორც ლინგვისტები მიუთითებენ, – ერთ-ერთი ქართველური ენა). ამავე დროს სვანეთის მკვიდრნი თავს ყოველთვის ქართული ეთნოსის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ქართულისაგან დაშორებული მეტყველება მათთვის არ ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ თავი სხვა ეთნოსად წარმოედგინათ. სვანებს დღესაც მიაჩნიათ, რომ ძველი ქართული ლექსიკური ერთეულები სვანურმა მეტყველებამ შემოინახა. ამ თვალსაზრისით ფრიად ნიშანდობლივია ექვსი წლის გოგონას მიერ დასმული შეკითხვა: „სვანურად წყალი როგორ არის?“ პასუხიც თვითონვე მოაყოლა: „ლიც“. აი, ქართულში რომაა ლიცლიცი (წყლით გავსებულ ჭიქაზე იტყვიან), ეს იგივე სვანური ანუ ძველი ქართული სიტყვაა „ლიც“.

თუ რატომ გაიცნობიერებდნენ/მიიჩნევდნენ სვანეთის მკვიდრნი თავს ქართული ეთნოსის განუყოფელ ნაწილად, ეს მთელი რიგი მიზეზებითაა განპირობებული, რაც, ალბათ, ნაშრომის ბოლოს უფრო კარგად გამოჩნდება. აქ კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ისტორიული პირობები, რითაც სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მცხოვრებნი თავს ქართველებად გაიცნობიერებდნენ. 1. როგორც საისტორიო ტრადიციით, ისე გადმოცემებით როგორც სვანები, ისე მეგრელები, ერთი ხალხის (ტომის) განაყოფები არიან; 2. ერთ-ერთი გადამწყვეტი და არსებითი ფაქტორი ერთ სახელმწიფოში (ქართულ სახელმწიფოში) თანაცხოვრებაა. ეს კი ქმნიდა იმის პირობას, რომ სვანებს ისეთივე მონაწილეობა მიეღოთ ერთიანი ქართული კულტურის შექმნაში, როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლებს; 3. არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთო აღმსარებლობა – ქრისტიანობის მა-



რთლმადიდებელი მიმდინარეობა. სვანები ყოველთვის საქართველოს ეკლესიაზე იყვნენ დამოკიდებულნი (IX საუკუნიდან მაინც) და მათთვის ღვთისმსახურების ენა მხოლოდ ქართული იყო. წარმოუდგენელიც კი იყო ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში, ლოკალურ ჯგუფს, რომელთა რეოდენობა 25-30 ათასის ფარგლებში მერყეობდა, საკუთარი დამწერლობა შეექმნა.

სვანეთი ერთგვარად თავისებური რეგიონი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისაგან განსხვავებით, აქ ფეოდალური ურთიერთობანი (ქართული ფეოდალური სისტემა) შედარებით ღრმად შეიჭრა, თუმცა გვიან შუა საუკუნეებში ზოგან მან თავისი პოზიციები საკმაოდ დათმო. გასათვალისწინებელია სვანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები. ის დამოუკიდებლად ვერასდროს ვერ იარსებებდა, თუ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სისტემაში არ იქნებოდა ჩართული. ადგილზე მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები სვანებს არადროს ჰყოფნიდათ (არა მარტო სვანებს, არამედ საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების მკვიდრთაც) და მხარე საქართველოს დანარჩენ კუთხეებთან ყოველთვის იყო დაკავშირებული სამეურნეო-კულტურული კავშირებით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გარესამუშაოზე სიარულის დასახელებაც იკმარებს. ეს ფაქტი ქართულ საისტორიო საბუთებში ჯერ კიდევ XV საუკუნეშია აღნიშნული. საბუთიდან კარგად ჩანს, რომ ბარში სამუშაოდ წასულ სვანებს ბარიდან არაერთი დასახელების საქონელი თუ პროდუქტი მოჰქონდათ, განსაკუთრებით კი მარილი და ყველა ქრისტიანისთვის აუცილებელი საზიარებელი ღვინო. დოკუმენტიდან აშკარად ჩანს, რომ სვანთა საქართველოს ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში სეზონური სამუშაოს საძებრად სიარული ტრადიცია იყო<sup>1</sup>. ამასთანავე ეს მოვლენა (გარესამუშაოზე სიარული) ხელს უწყობდა

---

<sup>1</sup>სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ვ. სილაგავას გამოცემა, თბ., 1986, გვ. 112-116 (შემდეგ: სწმ...)

სვანეთის მოსახლეობას, რომ შედარებით ადვილად გადასახლებულიყვნენ საქართველოს სხვა მხარეებში (უპირატესად დასავლეთ საქართველოში). სვანთა სეზონურ სამუშაოზე ხანგრძლივად სიარული განაპირობებდა აგრეთვე თავისებურ ენობრივ ვითარებას. ისტორიულად ყველა სვანმა სვანურ მეტყველებასან ერთად ქართული ენაც იცოდა. ამას მათ ქრისტიანული სარწმუნოებაც ავალდებულებდა, რადგან ის წიგნიერი რელიგიაა და საღვთისმეტყველო წიგნების გამოყენება მხოლოდ ქართულ ენაზე შეეძლოთ. ამდენად, სვანეთი, როგორც მთიანი რეგიონი, რომელსაც მხოლოდ მოსახლეობის განსაზღვრული, გარკვეული რაოდენობა შეიძლება დაეჭია, მულმივად ამარაგებდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს თავისი ნამატი მოსახლეობით, მითუმეტეს, როდესაც დემოგრაფიული თვალსაზრისით ბარი ისტორიულად ამის საშუალებას ხშირად იძლეოდა, რადგან მტრის ხშირი თავდასხმების გამო, ის მოსახლეობისაგან ხშირად მენხერდებოდა ხოლმე. დასავლეთ საქართველოში (იმერეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში) არაერთი გვარი მკვიდრობს, რომლებიც თავიანთ ძირძველ საცხოვრისად სვანეთს მიიჩნევენ<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის მკვიდრნი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთო ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ სისტემაში, მათ მაინც შემოინახეს მეტყველება, ორიგინალური ეთნოგრაფიული ყოფა, წეს-ჩვეულებები, რაც საერთო ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მათ დღემდე შემოინახეს ბევრი ეთნოგრაფიული რეალია (ისე როგორც საქართველოს სხვა მთიელებმა), რომლებიც ბარმა საუკუნეების წინ დაკარგა. ამასთანავე ემეზობლებოდნენ რა ჩრდილოეთკავკასიელ მთიელებს (XIII საუკუნიდან თურქულენოვან ბალყარელებსა და ყარაჩაელებს), სვანებს მკვიდრო კავშირები მათთანაც ჰქონდათ

---

<sup>2</sup> დ. შავიანიძე. ოკრიბული გვარსახელები, 2002.

და ამ კავშირებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სვანების საშუალებით ახორციელებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთის კუთხეები ერთიან ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ სისტემაში ავტონომიურად ფუნქციონირებდნენ. გიორგი მელიქიშვილის ეს შეხედულება, რომელიც მკვლევართა უმეტესობის მიერ გაზიარებულია, თავისთავად ცხადია, სვანეთსაც ეხება. ეს მოსაზრება არ ვრცელდება ცხენისწყლის ხეობის (ანუ ქვემო) სვანეთზე (ადმინისტრაციული ლენტეხის რაიონი) და ენგურის ხეობის (ანუ ზემო) სვანეთის ნახევარზე (ე.წ. ბალსქვემო სვანეთზე), სადაც ფეოდალური ურთიერთობები ბოლო პერიოდამდე იყო შემორჩენილი. ენგურის ხეობის სვანეთის ზემო მონაკვეთში (ე.წ. ბალსზემო სვანეთი) კი ავტონომიური ფუნქციონირება გვიან შუა საუკუნეებიდანაა ნაგულისხმევი, რადგან ამ დროიდან – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფოს დაშლის პერიოდიდან აქ თავისუფალი სათემო ურთიერთობები გამოცოცხლდა და ზედაფენის წარმომადგენელი რამდენიმე აზნაურული გვარი („ვარგი“) მხოლოდ ფორმალურად ატარებდა ამ ტიტულს.

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის, მისი ისტორიისა და ეთნოგრაფიული ყოფის, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შესახებ XIX-XX საუკუნეებში არაერთი ნაშრომი დაიწერა, კომპლექსურად, სრულყოფილად საქართველოს ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მაინც არაა შესწავლილი. XIX საუკუნეში არაქართველ ავტორთა მიერ დაწერილი ნაშრომები ზერელობით, ხშირად კი არაობიექტურობითა და ტენდენციურობით ხასიათდება. რაც შეეხება XX საუკუნის 20-იანი წლებიდან შესრულებულ ნაშრომებს, უმეტესი მათგანი გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული და მარქსისტულ-ლენინური დოგმების გავლენითაა დაწერილი. მაგალითად, ეთნოლოგები იყვნენ რა გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული, სვანური ეთნოგრაფიული მასალით აუცილებლად უნდა დაედასტურებინათ აქ კლასობრობამდელი საზოგადოების სოციალური მოვლენები და დაენა-

ხათ პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების გადმონაშთები. სხვები სვანეთში ადრეკლასობრივ საზოგადოებას ხედავდნენ და მას ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეგიონების – ფშავის და ხევსურეთის – გვერდით აყენებდნენ. ეს დასკვნა კი მიღებული იყო მთის მოსახლეობის უძველესი რელიგიური რწმენისა და რიტუალების ანალიზის შედეგად.<sup>3</sup> აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ რელიგიური თვალსაზრისით ძალიან დიდი განსხვავება იყო ფშავ-ხევსურეთსა და სვანეთს შორის. ისტორიულად სვანეთში ქრისტიანობა ღრმად იყო შესული, რასაც აქ არსებული უამრავი ეკლესიაც ადასტურებს. ამდენად, ამ შეხედულების მიმართ ჩვენ ნეგატიური დამოკიდებულება გაგვაჩნია. მთური საზოგადოებების ამ თვალსაზრისით შესწავლის შესახებ ეთნოლოგი მ. გეგეშიძე აღნიშნავდა: „სამწუხაროდ, ჩვენს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მთური ცხოვრების ეთნო-ისტორიული და სოციალურ-კულტურული საკითხების კვლევა მხოლოდ პირველყოფილობის, ან მისი ძლიერი გადმონაშთების, საერთოდ გვაროვნული წყობილების ძიების სურვილებით იფარგლება, სადაც, როგორც წესი, წინასწარ მომარჯვებული ზოგად სოციოლოგიური სქემები და თეორიები დომინანტობს.“<sup>4</sup> თუმცა აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ნაშრომებში ჭეშმარიტი მეცნიერული გამოკვლევები არ ურევია.

სვანეთს, როგორც საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთ განსაკუთრებულ მხარეს, ამ თვალსაზრისით ყურადღება ჯერ კიდევ ადრე აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია. ის წერდა: „*დღეს საჭიროა მეთოდოლოგიურად სწორი დიდი კრიტიკული მუშაობის შესრულება: „პირველწყაროთა, ძველის თუ ნაგვიანების, მონაცემებისა და მეცნიერთა მონაპოვრების ყოველმხრივი*

<sup>3</sup>В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, С. 11-15.

<sup>4</sup>მ. გეგეშიძე. მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული დაგეგმვის მეთოდის საკითხები (სვანეთის მაგალითზე) – სვანეთი, II (კომპლექსური შესწავლის მასალები), თბ., 1979, გვ. 55.

კრიტიკის ცეცხლში გატარება და აგრეთვე გამობრძმედილი მასალის ურთიერთისადმი შეწყობა-შეთანხმება.

თუ ეს არაა, მეტისმეტად დიდია და თვალსაჩინო ის შეუთანხმებლობა, რომელიც საფუძვლიანი ეკვლის ქვეშ აყენებს ჩვენი ცოდნის სისწორეს სვანეთის ცხოვრების რივი არსებითი მხარის შესახებ.

ერთის მხრივ, სვანეთის სამეურნეო და სულიერი კულტურის ნაშთები, როგორცაა მსოფლიოში ხმაგანთქმული „მითი“ სვანეთის („კოლხეთის“) სიმდიდრის შესახებ, მისი სამეურნეო-მეტალურგიულ მიღწევათა შესახებ და ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაპოვრები, მაღალი ხელოვნებით შესრულებული. სასოფლო-სამეურნეო წესები (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა), ხით-ხურობის განსაკვიფრებელი ნიმუშები, ქვით ხურობის საერო და საკულტო ნაგობობათა მაღალგანვითარებულობა, სამეურნეო და საომარი იარაღის მჭედლობა და სამკაულთა ოქრომჭედლობა. უაღრესად განვითარებული ფერწერა, ხოლო მეორეს მხრივ, ჩვენი ვითომცდა ცნობა-ცოდნანი სვანთა სამეურნეო კარჩაკეტილობისა და კულტურული ჩამორჩენილობის შესახებ, სვანეთის „პირველყოფილობის“ შესახებ. დამეთანხმებით, საკითხის აგრე დატოვება საბჭოური ისტორიული მეცნიერებისათვის შეუწყნარებელია და მისი შესაფერისი გამართვა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ღირსების საქმეა<sup>5</sup>. ამასთანავე მეცნიერი იმაზედაც მიუთითებდა, რომ სვანეთის მეცნიერული შესწავლა არა იზოლირებულად, არამედ მეზობელ კუთხეებთან (რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, აფხაზეთი) მჭიდრო კავშირში უნდა მომხდარიყო<sup>6</sup>. მეცნიერი საქართველოს აღნიშნულ მხარეებს, როგორც ჩანს, პირველ რიგში იმიტომ კი არ ასახელებდა, რომ ისინი სვანეთს

---

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 67 (შემდეგ: ნ. ბერძენიშვილი. სის...)

<sup>6</sup> ნ. ბერძენიშვილი. სის, V, თბ., 1971, გვ. 70.

ესაზღვრებიან, არამედ იმიტომ, რომ სვანები ისტორიულად იქაც იყვნენ განსახლებულნი. ამასთანავე, საქართველოს ისტორია, მისი ეთნოგრაფიული ყოფა – ესაა მთისა და ბარის მჭიდრო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ურთიერთობა და სვანეთიც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ ჭრილშია დასახნაზი და შესასწავლი.

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალმთიანი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულია. იგი დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. **ისტორიულ-გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სვანეთი ორ ნაწილად იყოფა: ცხენისწყლის ხეობის სვანეთად და ენგურის ხეობის სვანეთად.** სხვანაირად პირველს **ქვემო სვანეთს** უწოდებენ და ადმინისტრაციულად ლენტეხის რაიონს მოიცავს, მეორეს – **ზემო სვანეთს** და ადმინისტრაციულად მესტიის რაიონში შედის. საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) სვანეთი ერთი ადმინისტრაციული ერთეული აღარ ყოფილა. ორივე ხეობაში სხვადასხვა გვარის ფეოდალები იყვნენ გაბატონებულები. ენგურის ხეობასა და ცხენისწყლის ხეობას ორ ნაწილად სვანეთის ქედი ჰყოფს, რომლის სიგრძე 80 კილომეტრია და ის ზღვის დონიდან 3.000-3.500 მეტრის სიმაღლეზეა. ეს ქედი სვანეთის ორ ხეობას შორის კონტაქტებსა და მიმოსვლას აძნელებდა. დღევანდელი სვანეთის საერთო ფართობი 4.841 ათასი კვ. კმ.-ია, რაც საქართველოს ფართობის 6,9%-ს შეადგენს. ზემო სვანეთის მდინარე ენგური შხარის მყინვარიდან იღებს სათავეს (ზღვის დონიდან 2.800 მ.). სოფელი უშგული, რომელიც ენგურის ხეობის სათავეშია, ზღვის დონიდან 2.000 მეტრზე მდებარეობს. ზღვის დონიდან ყველაზე დაბლაა ენგურის ხეობისავე სოფელი ხაიში (550 მ.). ის, ლახაძულასთან ერთად, შედარებით ახალი დასახლებაა. რაც შეეხება ცხენისწყლის ხეობას (ქვემო სვანეთი), ის დინებას რამდენიმე მყინვარიდან იღებს (ზღვის დონიდან 2.707 მ.). ცხენისწყლის ხეობის სათავეს, ფაქტობრივად, რამდენიმე მდინარე შე-

ადგენს, რომელთაგანც მთავარია *ლაფური*, აგრეთვე: *ცხენისწყალი*, *ჭოროხი* და სხვ. დღეს ზემო სვანები ბარში რომ ჩამოვიდნენ, საავტომობილო გზას უნდა გამოყვნენ და სამეგრელოში ჩამოვლენ. ეს გზა XX საუკუნეში გაკეთდა. უწინ ისინი საქართველოს სხვადასხვა მხარეებში (იმერეთი, ქართლი) რომ მოხვედრილიყვნენ სხვა, მოკლე გზით სარგებლობდნენ. ენგურის ხეობის სათავიდან (უშგულიდან) გადადიოდნენ ცხენისწყლის ხეობის სათავეში, სადაც დღეს ორი საფელი (ცანა და ზესხოა) და მრავალი ნასოფლარი. აქედან მოკლე გადასასვლელი იყო რიონის ხეობაში ანუ რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში (მთის რაჭაში, რომელიც გვიან შუა საუკუნეებამდე აგრეთვე სვანეთის განუყოფელი ნაწილი იყო); რაჭიდან კი პირდაპირ ქართლში ლიახვის ხეობით ჩადიოდნენ.

ცხენისწყლის ხეობაში ეთნოგრაფიული სვანეთის საზღვარი მურის კლდესთან მთავრდება, იქ, სადაც ლეჩხუმის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი – ცაგერი მდებარეობს. თითქოს გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დასახლებები ერთმანეთისაგან ორიოდ კოლომეტრშია და საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთთან დაახლოებული სოფლების მოსახლეობა ორ სხვადასხვა მეტყველებაზე – ქართულის ლეჩხუმურ დიალექტზე და სვანურზე – საუბრობდნენ.

ცალკე გამოიყოფა კოდორის ხეობის სვანეთი, ანუ როგორც სვანები უწოდებენ, „**დალის სვანეთი**“. ადმინისტრაციულად ის აფხაზეთს, გულრიფშის რაიონს ეკუთვნის. ეთნოგრაფიული მონაცემებით კოდორის (დალის) ხეობაში სვანები XIX საუკუნეში არიან დასახლებულნი. სვანთა კოდორის ხეობაში გადასახლება ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი მიგრაცია XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა. ერთ-ერთი მთხრობელის (გულბათ მერლანის) თქმით, „ჩვენი გვარის ხალხი დალის სვანეთშიც ცხოვრობს. სამი ოჯახია აქედან წასული. გვიან, 70-80 წლის წასულებია არიან“. დალის ხეობის სვანეთში გულედანებიც (ენგურის ხეობა, ლენჯერის თემი) მოსახლეობენ. მთხრობელის სიტყვით, „მამისა და ბიძის ოჯახი გაყრილები

არ ვიყავით, სამი წელი ერთი ძმა იყო დალის ხეობაში და სამი წელი – მეორე. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ასე იმიტომ ვცხოვრობდით, რომ იქ უკეთესი პირობები იყო“. დალის (კოდორის) ხეობის სვანეთში ენგურის ხეობის თითქმის ყველა გვარის წარმომადგენლები არიან დასახლებულნი. მაგრამ როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, უფრო ადრე კოდორის ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორიები სვანებით ყოფილა დასახლებული. როგორც ჩანს, ისინი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილშიც იყვნენ განსახლებულნი, რასაც ტოპონიმების ანალიზი ადასტურებს; რომ აღარაფერი ვთქვათ დღევანდელი აფხაზეთის დედაქალაქის სოხუმის ძველქართულ სახელმწოდებაზე („ცხუმი“), რაც სვანური მეტყველებით იხსნება და „რცხილას“ ნიშნავს. ენათმეცნიერები ბევრ სხვა ისეთ ტოპონიმსაც ასახელებენ, რომლებიც სვანურით იხსნება (მაგალითად, გაგრა→გაკრა, რაც სვანურად კაკალს აღნიშნავს.<sup>7</sup>

კოდორის ხეობა სვანთა საცხოვრისი უფრო ადრეც რომ იყო, ეს სხვა წყაროების საშუალებით ჩანს. ანტიკური ავტორები აქ მოიხსენებენ ხალხს, რომლებსაც „მისიმიანებს“ უწოდებენ. როგორც აკადემიკოსებმა ს. ყაუხჩიშვილმა და გ. მელიქიშვილმა დაადგინეს<sup>8</sup>, სვანების თვითსახელწოდება „მუ-შუან“ ბერძნულ ენაზე „მისიმიანად“ გარდაიქმნა. უფრო მეტიც, XIX საუკუნეში ბესარიონ ნიჟარაძეს საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალები, გადმოცემები დაუფიქსირებია, რომლის მიხედვითაც აქ აფხაზებსა და სვანებს შორის საზღვარი მდ. ნენკრაზე არსებული ხიდი ყოფილა: „არა ერთხელ დაღვრილა ამ ადგილას სვან-აფხაზთა სისხლი. როდესაც სვანები აფხაზებს ჯო-

---

<sup>7</sup> თ. გვანცელაძე. აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები. – ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან: აფხაზეთი (უძველესი დროიდან დღემდე). თბ., გვ. 15.

<sup>8</sup> ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანელების ტომი – თსუ შრომები, I, თბ., 1936; გ. მელიქიშვილი. საქართველოს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965



გებს წაართმევდნენ, უკანასკნელები მდევრად გამოეკიდებოდნენ. თუ ამ ხიდზე გაუსწრებდნენ სვანები, მაშინ აფხაზები უკან ბრუნდებოდნენ, და თუ მიუსწრებდნენ, მაშინ კი გაიმართებოდა სასტიკი ბრძოლა“<sup>9</sup>. ეს მთები სვანეთის თავადებს დადემქელიანებს ეკუთვნოდათ და სვანები ამის გამო აფხაზებს საბალახოს ართმევდნენ. საბალახოს არ გადახდის შემთხვევაში სტაცებდნენ ხოლმე სვანები აფხაზებს ჯოგებს. 1863-1864 წლებში, როდესაც სვანეთის ბოქულად მამაცაშვილი ყოფილა, „მურზაყანის მთები მაშინ ამ ბოქაულის ხელში ყოფილა. მასვე მიუცია ნება ჯოგის წართმევისა უკეთუ აფხაზები დადებულ საბალახოს არ გადაიხდიდნენ“<sup>10</sup>. ბ. ნიჟარაძე იმასაც წერდა, რომ „ეს ჭუბერი ქვედა მიმდინარეობაა მდ. ნენკრისა. აქ ძველად ხალხს უცხოვრია. აქ ვნახე კოშკი და დანგრეული სახლები. ვიჩის (ბ. ნ-ის გამყოლი) სიჭყვით, აქ სადღაც მიმალულად საყდარი არის გამოტენილი სიმდიდრით, მაგრამ მას ცოლვიანი ვერ მიაგნებს, რადგან ასეა ღვთის ნებაო. ჩემს კითხვაზე სად წავიდა აქაური მცხოვრები და რად მიატოვა ეს მდიდარი ხეობაო, ვიჩიმ გრძლად მითხრა მიზეზი და მოკლედ მოვიყვან. აქაურნი მცხოვრებნი წარმოსულან ზემო სვანეთში“<sup>11</sup>. ბ. ნიჟარაძე წერს: „ჩუბახევის საზოგადოებაში სოფ. ცალერს არის ერთი გვარეულობა – გვარმიანები. გვარმიანები დღესაც დარწმუნებით ამბობენ, რომ ჩვენი წინაპრები დალის ხეობიდან ყოფილან გადმოსახლებულნი“<sup>12</sup>. როდის უნდა გადასახლებულიყვნენ კოდორის (დალის) ხეობის სვანები ენგურის ხეობის სვანეთში და კონკრეტულად რომელ სოფლებში უნდა დასახლებულიყვნენ? არაერთი გვარი, გადმოცემით, ენგურის ხეობის ბალზემო სვანეთში ქვემოდან მოსულად მიიჩნევა თავს. ეს მიგრაცია ძირითადად XV-XVI საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, მას შემდეგ, რაც

---

<sup>9</sup> ბ. ნიჟარაძე. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 159 (შემდეგ: ბ. ნიჟარაძე. წერილები...)

<sup>10</sup> ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 160.

<sup>11</sup> ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 160

<sup>12</sup> ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 51

ცენტრალიზებული ერთიანი ქართული სახელმწიფო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაიშალა და ცენტრის კონტროლის დასუსტებამ ბალსზემო სვანეთში (ანუ ენგურის ხეობის ზემო მონაკვეთში) ფეოდალური ურთიერთობები მინიმუმამდე დაიყვანა, რამაც, თავის მხრივ, სოციალურ ურთიერთობებში თემური ტერიტორიული ურთიერთობების აღორძინება გამოიწვია.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კოდორის ხეობის სვანეთში ნასახლარებს შორის XIX საუკუნის ავტორი კომპეხსაც აფიქსირებს, რაც, უდავოდ მიუთითებს, სხვა გარემოებებთან ერთად, აქ სვანთა ოდესღაც მკვიდრობაზე. ცნობილია, რომ აფხაზებმა (და, საერთოდ, აფხაზურ-ადილეურმა ტომებმა) კომპური კულტურა არ იცოდნენ (ის მათთვის, საერთოდ, უცნობი იყო). რაც ყველაზე მთავარია, სვანები აფხაზი მეჯოგეებისაგან დალის ხეობაში საბალახეს იღებდნენ, რაც პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დალის ხეობა (საერთოდ, კოდორის ხეობა), რომლის მცხოვრებთ ანტიკური ავტორები მისიმიანელებს უწოდებდნენ, სვანებით იყო ოდესღაც დასახლებული.

სვანთა განსახლება ისტორიულად რომ უფრო ვრცელი იყო, ეს აშკარად ჩანს სამეგრელოს ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლვრე, ლეჩხუმისა და, ნაწილობრივ, რაჭის ტოპონიმებით (ალარას ვამბობთ აფხაზეთში არსებულ ტოპონიმებზე, რომლის ორი მაგალითი – „ცხუმი“ და „გაგრა>გაკრა“ ზემოთაც მოვიყვანეთ). როდის მოხდა სამეგრელოს ჩრდილოეთ ნაწილში (მაგალითად, დღევანდელი წალენჯიხის რაიონში) სვანური მოსახლეობის მეგრული მოსახლეობით შეცვლა, ამის გარკვევა ერთობ ძნელია. როგორც ჩანს, ძალიან ადრე. ასევე ადრე უნდა მომხდარიყო სვანურად მეტყველი მოსახლეობის ქართულით შეცვლა ლეჩხუმშიც. მართალია, ლეჩხუმური გვარების თითქმის ნახევარი სვანური წარმოშობისაა, მაგრამ უმეტესი მათგანი სვანეთიდან ლეჩხუმში მოსახლეობის მიგრაციასთან არის დაკავშირებული, რაც შედარებით გვიან, XIII-XVII საუკუნეებში მოხდა. ლეჩხუმური ტოპონიმები, რომლებიც სვანური მეტყველებით იხსნება საკმაოდ ძირძველია. ამასთანავე რაჭისა და

ლენხუმის ძველი სახელწოდება „თაკვერი“ იყო. ადრე შუა საუკუნეებისათვის თუ ლენხუმში სვანურად მეტყველი მოსახლეობა იყო, ალბათ, მისი „თაკვერად“ სახელდება აღარ მოხდებოდა და ისიც, ჩვეულებრივ, სვანეთის საერთო სახელწოდებით იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, სვანური მეტყველების თაკვერში (შემდეგდროინდელი ლენხუმში) ქართულით ჩანაცვლება VI-VII საუკუნეებში უკვე მომხდარი ფაქტია. რაც შეეხება სვანეთის კიდევ ერთ, სხვა ნაწილს, რომელიც გვიან რაჭის ტერიტორიად იქცა და „მთის რაჭად“ იწოდა (სოფლები: ლები, გლოლა, ჭიორა) XV საუკუნემდე სვანეთის საკუთრება ყოფილა. ვახუშტი ბაგრატიონი მთის რაჭის აღნიშნულ სოფლებს მოიხსენიებს როგორც „კომკოვან-გოლდოვან-ზღუდიან“ დასახლებულ პუნქტებს. „მთის რაჭა“ უშუალოდ ესაზღვრება ცხენისწყლის ხეობის სვანეთს. ამ ხეობის სათავედან „მთის რაჭაში“ ანუ რიონის ხეობის სათავეშია გადასასვლელი. თავის მხრივ, „მთის რაჭა“ აღმოსავლეთით საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეს, დვალეთს, ესაზღვრება (აღმოსავლეთით). 1503 წლის საბუთით დღევანდელი „მთის რაჭა“ ანუ რიონის ხეობის სათავე ნაწილი, „სვანეთის მთიულეთად“ იწოდებოდა<sup>13</sup>. ამ დროს სვანეთმა ეს ნაწილი თავისი ტერიტორიისა დაკარგა. იგი რაჭის თავადებს, ჯაფარიძეებს, გადაეცა. „სვანეთის მთიულეთში“ XVI საუკუნის დასაწყისში 10 სოფელი ყოფილა, რომელთაგანაც XVIII-XIX საუკუნეებში მხოლოდ სამი (ლები, გლოლა, ჭიორა) შემორჩა. სვანეთის ამ ნაწილში 1503 წლისათვის 400 კომლს უცხოვრია, რაც სავარაუდოდ 2800-3000 სულს უნდა უდრიდეს. XVI საუკუნეშივე უნდა მომხდარიყო „სვანეთის მთიულეთში“ (რიონის ხეობის სათავეში) სვანური მეტყველების ქართულით შეცვლა, რაც, როგორც ჩანს, იმან გამოიწვია, რომ ჯაფარიძეებმა თავიანთი ყმები (სვანები) რიონის ხეობის უფრო ქვემო ნაწილში გადასახლეს, იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის

---

<sup>13</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 112-116

უკეთესი ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო იყო. თუმცა, გამორიცხული არაა „სვანეთის მთიულეთის“ მოსახლეობის ქართულ ენაზე გადასვლის პროცესი უფრო ადრეც დაწყებულიყო. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ აქ დასახლებულ აზნაურთა გვარები ძირითადად -ძე და -შვილი სუფიქსებით ბოლოვდებოდა (სოსა-გიძე, არიშიძე, გიგაშვილი). ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ ზემოხსენებულ 1503 წლის დოკუმენტში მოხსენიებულ სოფელ ცანას (რომელიც ცხენისწყლის ხეობის სათავეშია და საიდანაც გადასასვლელია ენგურის ხეობის სათავეს სოფელ უშგულსა და რიონის ხეობის სათავეში ანუ „სვანეთის მთიულეთში“) მცხოვრებთ გადმოცემით ქართულად ულაპარაკიათ. ბესარიონ ნიჟარაძე 1886 წელს წერდა: „ლეგენდის მიხედვით, ცენასაც და ზესხვასაც სვანებს უცხოვრიათ, რომელნიც ცენას ქართულად ლაპარაკობდნენო და ზესხვას სვანურად.“ ზესხოდან ყოფილან გადასახლებული ცხენის წყლის ხეობის სვანეთის ლაშხეთის თემში მცხოვრები **დოღვანები** და *ჯანხოთელები* („ახლანდელი ჯანხოთელი მაშინ ჩიხლაძე ყოფილა გვარად“)<sup>14</sup>. ზესხოა და ცანას სიახლოვეს სოფელ ლაფურში ოდესღაც **გოგრიჭიანები** ცხოვრობდნენ. ეს გვარი დღეს მთის რაჭის სოფელ ღებში ცხოვრობს. აქედანვე წარმომავლობენ რაჭველი ხიდურელები, რომლებმაც ეს გვარი ცხენისწყლის ხეობის სათავეს სოფელ ხიდურადან გადასახლების შემდეგ მიიღეს.

რიონის ხეობის სათავეში ოდესღაც სვანურდ მეტყველი მოსახლეობა რომ იყო, ამაზე ბ. ნიჟარაძეც წერდა: „სოფ. ღებში 154 მეკომური ცხოვრობს. შორიდამაც და შიგნითაც ღები პირველს შეხედვაზევე სვანურს სოფელს მოგვაგონებთ; იგივე ორ და აქა-იქ სამსართულიანი ქვის სახლები, ერთი მეორეზე დაახლოებული, რამდენიმე კოშკი, როგორც საზოგადოდ მთელს სვანეთშია. ასე რომ, ყველა ეს და სხვაც მრავალი, ვიმეორებ – ღებს სვანური სოფლის ფერსა სდებს“<sup>15</sup>. იგივე ავტორი

<sup>14</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 30.

<sup>15</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 25-50

წერს, რომ „ახლანდელი ღებელების წინაპრები სვანები ყოფილან და სვანური ენა ჰქონიათ სალაპარაკო ენად. ღები ერთადერთი მაგალითი როდია სოფელთა სვანურად სახელწოდებისა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში“<sup>16</sup>. ტოპონიმ „ღების“ გარდა, სვანურ ტოპონიმებად მიაჩნია ბ. ნიჟარაძეს აგრეთვე „ჭიორა“ და „გლოლა.“

როგორც ვხედავთ, ისტორიულად სვანები უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულები. შემდეგ მათი განსახლების არეალი თანდათან შემცირებულა სხვა ქართველურად მეტყველ ჯგუფებთან შერევის შედეგად (ქართველებთან, მეგრელებთან). თანამედროვე სვანეთის საზღვრები ადრე შუა საუკუნეებში, ფაქტობრივად, უკვე ჩამოყალიბებული იყო.

სამეგრელოსთან საზღვარი ენგურის ხეობაში, როგორც ჩანს, XIX საუკუნემდე სოფელ ჯვართან გადიოდა. იგი უშუალოდ „ცხვიმზაგარს“, საარქივო წყაროს ენით კი „ცხვიმზაგელას“ ქედს მიუყვებოდა. ამის შესახებ გადმოცემები დაცული აქვთ დაბა ჯვარის მცხოვრებთ. ამასთანავე ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ: „სამეგრელოს მხრიდან ოდეს გამოვლენ აქაური მცხოვრებნი მთასა ცხვირმაზაგალსა, მაშინ იმათ ვართმევთ პირუტყვსა თავის საბალახოსა და სხვა რაც სამსახურსა. ამა საზღვრებს იქით მღებარეობს სოფელი ჯვარი, რომელიც არის და ეკუთვნის თავად დადიანს კაციასა და ვამეყს და ნიკოს და ნათესავთა მათთა“<sup>17</sup>. ბესარიონ ნიჟარაძე სვანეთისა და სამეგრელოს საზღვრის შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: „აქ საჭიროდ მიმაჩნია მოვიყვანო სია იმ ადგილებისა, სადაც ძველად სვანებს უცხოვრიათ ენგურის ხეობაში სვანეთსა და სამეგრელოს შუა. აი ეს ადგილები: 1) ხუბერი; 2) იღლიანი; 3) ნაქოლვარ-ხაიშლი; 4) ვედი; 5) იფარი; 6) კაცლედი; 7) ჭუბერთან-მაშრიჭალა; 8) დუსი; 9) ხიდარი და 10) ჭაბანი. ამ ჩამოთვლილ ადგილებში არის ოთხი დანგრეული ეკლესია, ორი

<sup>16</sup> ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 50.

<sup>17</sup> სცსსა, ფ. 2, ან 1, სქ. № 44, 65, გვ. 246.

წმინდა გიორგის სახელზე, ერთი მთავარანგელოზის და ერთი ცაცხორისა. დღეს, ე.ი. 1878 წელს ამ ადგილებში ცხოვრობს ექვსი მოსახლე სვანი. ყველა ადგილებში ბევრი სახლის ნანგრევებია, იფარში კი ამას გარდა აღმოჩნდა წყლის გასაყვანის აგურის მილები”<sup>18</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, სვანეთი ძირითადად ორ ნაწილად იყოფა, როგორც გეოგრაფიული, ისე ეთნოგრაფიული თვალსაზრისით: ქვემო სვანეთი ანუ ცხენისწყლის ხეობის სვანეთი და ზემო სვანეთი ანუ ენგურის ხეობის სვანეთი. საისტორიო საბუთებით ირკვევა, რომ შუა საუკუნეებში ზემო სვანეთის ბალსხემო ნაწილს შეესატყვისებოდა „ზემო ჭვეი“ და ბალსქვემო ნაწილს – „ქუემო ჭვეი“. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტი XIII-XIV საუკუნეების მიჯნით თარიღდება: „და მერე შევიყარენით ჭვეი ჭეობით და გაგაჩინეთ ეკულესიასა საქმე ასრე: უშქულს და ლარველს შუა მყოფმან, ვინც ეკულესია გატეხოს, რომელისაც ქუეყნისა იყოს, იმ ქუეყანასა რა ეკლესიისა ჰმართებდეს, აგრე არ გაიულონ, იგი ქუეყანა სეტისა მთავარმოწამისაგან და მისისა შესაულისაგან გამოსრულ იყოს, და საუკუნოს ღმრთისაგან გამოსრულ იყოს სამუნაოდ, რჯულისგან და ყოველთა ებისკობოსთაგან გამოსრული იყოს. თუ ქუემო ჭეუს გამოჩნდეს – ცაიშელმან დაიჭიროს რჯული, ზემომან ცაგერელმან – ზემოთ დაიჭიროს.“<sup>19</sup> სხვათა შორის, ნ. დუბროვინიც აღნიშნავდა, რომ სვანები ზემო სვანეთს ორ ნაწილად ყოფენო და სათავადო სვანეთს „ჩუბე-ხევს“ და თავისუფალ სვანეთს „ჟაბე-ხევს“, ე. ი. ზემო და ქვემო ხევს უწოდებენო.<sup>20</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ბალსქვემო სვანეთი საბატონო ანუ სადადეშქელიანო სვანეთის სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო ბალსხემო სვანეთი – თავისუფალ, უბატონო სვანეთად. ქვემო

<sup>18</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 168.

<sup>19</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 111.

<sup>20</sup>Н. Ф. Дубровин. Кавказ и народы, его населяющие. Книга II, Закавказье, М., 2015, С. 94.

სვანეთი გვიან შუა საუკუნეებში, ლეჩხუმთან ერთად, სამეგრელოს მთავრების – დადიანების მფლობელობაში იყო.

რამდენი კაცი ცხოვრობდა შუა საუკუნეების სვანეთში, ამის შესახებ არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ გავაჩნია. სხვადასხვა ავტორები XIX საუკუნის სვანური ოჯახის სულთა რაოდენობას სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ – ხუთი სულიდან 12-15 სულამდე. ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია ა. გელოვანის ვარაუდი, რომ სვანური ოჯახი საშუალოდ დაახლოებით ცხრა სულისგან შედგებოდა, იმის გათვალისწინებითაც, რომ ამ პერიოდში სვანეთში ჯერ კიდევ ბევრი იყო ე.წ. დიდი ოჯახი. XIX საუკუნის სვანეთის დემოგრაფიულ ვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა აგრეთვე ზმირი ეპიდემიები, მოსახლეობის ბარში მიგრაცია. სვანეთი გადამეტსახლებას იმ თვალსაზრისითაც იტანდა, რომ სვანებისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი იყო გარე სამუშაოზე სიარული. XVIII საუკუნის 70-იან წლებში გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტედტი სვანეთის მოსახლეობის რაოდენობას 5 ათასი კომლით განსაზღვრავდა. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ სვანური ოჯახი საგარაუდოდ ცხრა სულისგან შედგებოდა. ამ მონაცემთა ურთიერთგამრავლების შედეგად გამოდის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სვანეთში 45 ათასი კაცი მკვიდრობდა. 1820-1823 წლებში ს. ბრონევსკი სხვადასხვა მონაცემების მიხედვით, სვანეთის მოსახლეობას სამი ათასი ოჯახით განსაზღვრავდა. თუ კომლში სულთა რაოდენობას კვლავ ცხრა სულს ვიანგარიშებთ, გამოდის რომ აღნიშნული დროისათვის სვანეთის მოსახლეობა 27 ათასი სულისგან შედგებოდა. მოსახლეობის ასეთ შემცირებას ა. გელოვანი სამართლიანად ხსნის 1811-1812 წლებში არსებული მძვინვარე ეპიდემიით. ამ დროს შავმა ჭირმა თითქმის გაწყვიტა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ა. გელოვანს 1832 წლის სარქივო მონაცემებით დაანგარიშებული აქვს, რომ ამ დროს სვანეთში 25 ათას სულზე მეტი მკვიდრობდა. 1834 წელს შტაბსკაპიტანი შახოვსკი სვანეთის მოსახლეობას 29.000 სუ-

ლით განსაზღვრავდა. ო. ევეცკის მონაცემებით 1835 წ. სვანეთში 30 ათასი კაცი ცხოვრობდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში სვანეთის მოსახლეობა კვლავ შემცირდა, რაც ისევ და ისევ ეპიდემიის (ქოლერის) შედეგი იყო. XIX საუკუნის 60-იან წლებში სვანეთის მოსახლეობა მთლიანად 15.676 სულისაგან შედგებოდა. ამ პერიოდში, XIX საუკუნის შუა ხანებიდან, დაიწყო სვანების ხელახალი ჩასახლება დალის (კოდორის ხეობის) სვანეთში. გ. გასვიანის მითითებით, „XIX ს.-ის შუა ხანებში აფხაზეთის სვანეთში ასამდე კომლი გადასახლდა“<sup>21</sup>. სხვა მონაცემებით, ჩუბეხევიდან დალში 184 კომლი გადასახლებულა<sup>22</sup>. ა. გელოვანის დაანგარიშებით, დალის ხეობაში გადასახლებულ სვანთა რაოდენობა 200-250 ოჯახი იყო<sup>23</sup>. დადემქელიანებისაგან შევიწროვებულ მოსახლეობა ჩუბეხევის ცალკეული სოფლებიდან, განსაკუთრებით კი ლახამულადან, XIX საუკუნის შუა ხანებში ხუდონლახამულას მონაკვეთზე – მდ. ენგურის გაღმა-გამოღმა სახლდებოდა. ამ ტერიტორიის ათვისება ლახამულას მოსახლეობამ XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო, მაგრამ მიგრაციის პროცესი ინტენსიური XIX საუკუნეში გახდა. ასე გაჩნდა სოფლები: *იფარი, დიზი, ჯორკვალი, ჭეხი, ლავანი, ტობარი, ლუხვი, გაღმა ხაიში, გამოღმა ხაიში, ვედი, სკორმეთი, ნაკი, ციცხვარი, იდლიანი, შვედი, ნალქოლვარი, თოთანი, ბარჯაში, ხუდონი.*

1886 წლის საოჯახო სიებით ზემო სვანეთის (ენგურის ხეობის) 91 სოფელში 1175 ოჯახი და 9527 სული ცხოვრობდა, ქვემო სვანეთში (ცხენისწყლის ხეობაში) კი – 2048 სული. ამ პერიოდში სვანეთში მთლიანად 11.570 სულს უცხოვრობდა.

---

<sup>21</sup>გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 19.

<sup>22</sup>Э. Кальвейт. Очерки сельского хозяйства Верхней Сванети. - ЗОИРГО, кн. XXVI вып. 9, Тиф., 1911, с. 63-64.

<sup>23</sup>ა. გელოვანი. *სვანეთი XIX ს-ში, დისერტაცია*, 2002, გვ. 41.



## სვანთა განსახლება ჩრდილოეთ კავკასიაში და ქართულ-ბალყარული და ყარაჩაული ურთიერთობები

დღევანდელ სვანეთს ჩრდილოეთიდან კავკასიის მთავარი ქედი აკრავს. ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა მეზობელი/მოსახლვრეები ყარაჩაელები და ბალყარელები არიან, რომლებსაც სვანები ეთნონიმით – „სავიარები“ მოიხსენიებენ. ქართულ და უცხოენოვან საისტორიო და ეთნოლოგიურ ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაშიც იყვნენ განსახლებულნი, კერძოდ, მდინარეების – თერგისა და ყუბანის – სათავეებში, სადაც ასევე დასტურდება სვანური ტოპონიმები<sup>24</sup>. ზემოხსენებული XIX საუკუნის ავტორი ბ. ნიჟარაძე წერდა: „ჩვენ ვიცით, რომ ამ ქედის ჩრდილოეთის კალთები, რომლის ახლო ადგილები დღეს ჩეგემის, ბახსანის (ურუსბიევის) და ყარაჩის საზოგადოებათ უჭირავთ, ჩვენს დრომდე სვანეთის კუთვნილებას შეადგენდა და დაბევრილი იყო სვანების მიერ. მაგალითად, ჩეგემის საზოგადოება ყოველწლივ იხდიდა 12 ვერძს მულახის საზოგადოების სასარგებლოდ, ბახსანი და ყარაჩა აძლევდა ბევარას, ან საბალახოს საბატონო სვანებს, ან მათ ბატონებს. ქრისტიანობის ნაშთნი, რომელსაც დღეს მოგზაური პოულობენ ჩეგემის, ბახსანის და ყარაჩის არე-მარეში, ამტკიცებენ, რომ აწინდელ მკვიდრთა წინედ აქ უცხოვრია ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელ ხალხს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი სვანები უნდა ყოფილიყვნენ, რომელნიც გადასახლებულან სვანეთში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ისლამის აღმსარებლებმა ახლანდელ მცხოვრებლების წინაპართა ძალა დაატანეს და ან თავის ნებით გამოექცნენ თვით ისლამის აღსარებას“<sup>25</sup>.

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონიც აღნიშნავდა სვანთა განსახლებას კავკასიონის მწვერვალებზე, დიოსკურიის (დღევანდელი აფხაზეთის

<sup>24</sup> Л. Лавров. Расселение сванов на Северном Кавказе до XX в. // Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, გვ. 78, 89.

<sup>25</sup> ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 51-52.

მთავარი ქალაქის სოხუმის) ზემოთ. VI საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ისტორიკოსი მემანდრეც აღნიშნავდა, რომ „სვანები ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს“; „ისინი (სვანები – რ.თ.) კავკასიის მწვერვალებზე ცხოვრობენ“<sup>26</sup>. ამ ცნობით აშკარაა, რომ სვანები VI საუკუნისათვის ჩრდილოეთ კავკასიაშიც მკვიდრობდნენ. სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს ისტორიკოსის სიტყვები თუ არა მათ კავკასიის გარშემო განსახლებას. თუ როდის დასახლდნენ სვანთა წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიაში, ეს ერთობ ძნელი გასარკვევია. რუსული წყაროების ცნობით, „1562 წელს ყაბარდოს მფლობელმა თემურ-ყვამ („ტემრიუკ“) დაიპყრო «Кабакон Мшанских и Сонских сто шестьдесят четыре»<sup>27</sup>. უეჭველია, რუსულ ცნობაში მშანებისა და სონების ქვეშ უდავოდ სვანები იგულისხმებიან. მშანებში ხომ სვანთა თვითსახელწოდება „მუშან“ იკითხება. „სონეს“ კი ყაბარდოელები სვანებს უწოდებენ. ამასთანავე სვანეთის ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე ქვეყნებში, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, დღემდეა მოღწეული ტოპონიმები, რომლებიც სვანური მეტყველების საშუალებით იხსნება; აგრეთვე, სვანური კოშკები, სვანური ძირის გვარები, ქრისტიანული ეკლესიის ნაშთები და სხვ. ზემოხსენებული რუსი ეთნოგრაფი ლ. ლავროვი სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობას (მდინარეების ყუბანისა და ბაქსინის სათავეებში) XIV საუკუნიდან ვარაუდობდა. ის წერდა, რომ „სვანთა საცხოვრისებმა მდინარეების ყუბანისა და ბახსანის სათავეებთან თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიაში“ და ჩამოგივითვლის ე.წ. სენხია ტოპონიმებს: „უჩკულანი“ და „უმგული“, „სუმარი“ (სხუმარი) და „ცხუმარი“, „ლაშკუტა“ და „ლაშხეთი“. მასვე სოფელ ხუმარასთან ახლოს დაუდასტურებია შუა საუკუნეების ციხის ნანგრევები, რომელსაც „მოანა“, „შუანა“, „მონას“ უწოდებენ. ლ. ლავროვის დასკვნა ასეთია: «Приведенные данные позволяют

<sup>26</sup> გეორგიკა, III, თბ., 1936, გვ. 221.

<sup>27</sup> ПСБЛ, т. XIII, вторая половина, СПб, 1909, с. 371.

предполагать, что в некую историческую эпоху часть Северного Кавказа, в первую очередь верховья р. Кубани и р. Баксана были населены сванами». სხვაგან ის წერს, რომ «Сваны овладели Баксанским ущельем... между 1640 г. и 1743 г. а оставили его (видимо под давлением Кабарды) в период между 1743 г. 1773 г. Господство сванов в верховьях Кубани должно быть отнесено к более раннему времени, именно до переселения сюда тюрок с баксана, т.е. грубо говоря, до рубежа XVII-XVIII вв.»<sup>28</sup> (с. 344). რუსი მეცნიერი ბოლოს ასკვნის, რომ «Расселение сванов на Северном Кавказе до XIX в. не может подлежать сомнению»<sup>29</sup>.

სხვადასხვა წყაროებსა და დოკუმენტებში სვანთა ჩრდილოეთ კავკასიის მთებში (ბალყარეთსა და ყარაჩაიში) მკვიდრობის არაერთი ფაქტი აქვს მოძიებული ნ. ვოლკოვას. მაგალითად, კლაპროტი აღნიშნავდა, რომ სოფელი ხულამი დასახლებულია სვანური გვარებით (suanischen familien), რომლებიც საკუთარ თავს სვანებს უწოდებენ და იმერულად იცვამენ. მისივე ინფორმაციით სვანური გვარები არა მხოლოდ აქ ცხოვრობენ, არამედ გაფანტული არიან სხვაგანაც, მაგალითად, მეზობელ კაშტაკაუში. დროთა განმავლობაში სვანების ნაწილი სვანეთში გადმოვიდა, იქ დარჩენილები კი ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ.<sup>30</sup> იგივე ავტორი ასევე მიუთითებს სვანებისა და ყარაჩაელ-ბალყარელების მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე (მაგალითად, გუსტავ რადეს ცნობით, ბალყარელი თათრები შემოდგომით გადმობარგდებოდნენ მულახისა და მუჟალის საზოგადოებებში<sup>31</sup>), შერეულ ქორწინებებზე და მათთან დაკავში-

---

<sup>28</sup> *Л. Лавров*. Расселение сванов на Северном Кавказе до XX в. // Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952, გვ. 344. (შემდეგ: *Л. Лавров*. Расселение сванов...)

<sup>29</sup> *Л. Лавров*. Расселение сванов... Тб., 1952, გვ. 344.

<sup>30</sup> *Н. Г. Волкова*. Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, С. 91.

<sup>31</sup> *Г. Радде*. Путешествие в Мингрельских альпах и в трех их верхних продольных долинах. – ЗКОРГО, 1866, кн. VII, вып. 2.

რებულ სხვა მომენტებზე. უფრო მეტიც 1743 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად XVIII საუკუნის შუა ხანებში ბალყარული საზოგადოებები ორენოვნევიანი იყო.<sup>32</sup> ეს მეორე „ენა“ კი სვანური გახლდათ. სვანეთში „სავიარული“ წარმომავლობის გვარებს ბალყარელები *მალყარ-ებზეს* (ბალყარულ სვანებს უწოდებდნენ). ნ. ვოლკოვა მიუთითებს 1743 წლის რუსულ დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც ბაქსანი *სონეს* ხალხს ჰქონდა დაკავებული. შემდეგ აქ მაცხოვრებელი ბალყარულ-ირუსბიელები იმ დროს სულ სხვაგან – ხუსირში – ცხოვრობდნენ. დოკუმენტში იმაზედაც არის საუბარი, რომ სონები ქრისტიანები იყვნენ და გრძელ თმებს ატარებდნენ. საყურადღებოა ის ინფორმაცია, რომ ყაბარდოელები *სონეს* არა მხოლოდ სვანებს, არამედ კავკასიის ქედის სამხრეთით მცხოვრებ სხვა ქართველურ მოსახლეობასაც (მაგალითად, მეგრელებს, და სერთოდ ქართველებს) უწოდებდნენ.<sup>33</sup> სვანური მოსახლეობა ბალყარეთში ახალი დასახლებული არ ყოფილა. ისინი ბალყარეთისა და ყარაჩაის მოსაზღვრე ტერიტორიებზე თურქულენოვანი ყიფჩალების მიგრაციამდე ცხოვრობენ.

რუსეთის გენშტაბის მოხელე ი. ფ. ფლარამბერგი, რომელიც XIX საუკუნის 30-იან წლებში იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, წერდა, რომ სოფელი ხულამი არის ჩერეხ-სახთას დასავლეთ ნაპირზე, სადაც ცხოვრობენ სვანური ოჯახები, რომლებიც დღემდე იცვამენ იმერულად და უწოდებენ „სონებს“<sup>34</sup>.

1835 წელს დიგორხან გარდაფხაძე-დადეშკელიანის მიერ კავკასიის მთავარმართებელ როზენისადმი მიწერილ საჩივარში ვკითხულობთ: „რომელიც სვანეთისა მამული დღემდის ყოფილა ძველობელობისა ქვეშე ჩვენსა და არისცა, მათ მამული საზღვრავს ჩერქეზების მხრიდან სოფელი თეგენი და ყარაჩაელების

<sup>32</sup>Н. Г. Волкова. Этнонимы и племенные названия... М., 1973, С. 92.

<sup>33</sup>Н. Г. Волкова. Этнонимы и племенные названия... М., 1973, С. 93.

<sup>34</sup>Адыгы, Балкарцы и Карачаевцы в известиях авторов XIII-XIX вв., Нальчик, 1974, с. 256-257

მხრით არის სამზღვარი, სადაც დასრულებდა ვაკე კლავი, რომელსაც ეწოდების ლაბგვიარი და ესე ლაბგვიარი არის ჩვენი და იმის იქით ყარაჩაელთა“<sup>35</sup>. წერილში დასახელებული „თეგენი“ დღევანდელი ყაბარდოს სოფელი თეგენკია, ხოლო „ლაბგვიარი“ (სვანური ტოპონიმი) ახლანდელი ულუ-კამის ხეობაა. იმის გამო, რომელ იქ მცხოვრებელნი, რომელიც დღესა სცხოვრობენ, ადრე სახლებულან ჩერქეზეთს სოფ. გინგისს და იქიდან გადმოსახლებულან იმ სოფლის ნახევარი ხალხნი თავიანთ მამულს სოფელ ნაქშუკსა და ნაქშუკიდან არ არის დიდ ხანი რომელ თათარხანის მამას ციოყს გადმოუსახლებია ჩვენს საკუთარ სოფელს ბახსანსა, თხოვნითა მათის მეუფროსის ისმაილ ვირისპილოვისათა, რომელსაც შვილი მირზაყულა დღეს არის ცოცხალი და სცხოვრობს მას ჩვენს სოფელს ბახსანსა და რომელნიც ჩვენნი გლეხნი სახლებულან მას გასხანში. ისინი ამოუწყვეტია ჭირსა და დანარჩომანი გადმოუსახლებია ციოყს (ციოყს) სოფელსა ლემტერსა (ფარის საზოგადოების სოფელი ლემდერი) და ლაშხარსა (ფარის საზოგადოების სოფელი ლაშხარი), რომელნიც გვმსახურობენ ჩვენ ბატონყმურის წესითა.“ იმავე წერილიდან ირკვევა, რომ „ყარაჩაელნი როდესაც მოიხმარებდნენ მამულსა ჩვენსა ლაბგვიარად წოდებულსა ანუ სხვაგვარად პირუტყვის საძოვნელადა, გვაძლევდნენ თვითნიერ ყოვლისა ვარყოფისა შესახვედრსა საბალახოსა, როცა შეხვედბოდათ ჩვეულებისამებრ.“

ეთნოგრაფიული მასალებით, სვანეთში მცხოვრები ზოგიერთი გვარი ჩრდილოეთ კავკასიიდანაა გადმოსახლებული. მაგალითად, ბეჩოში მცხოვრები **ვეზდენები** ბალყარეთიდან დაბრუნებულებად მიიჩნევენ თავს. მათი განაყრები იქ ვეზდენოვების გვარს ატარებენ; ისინი ერთმანეთს ენათესავენ. სვანებს ბალყარეთთან ბოლო დრომდე არ ჰქონდათ გაწყვეტილი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები.

---

<sup>35</sup>საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 2, ანაწერი 1, საქმე №4465, გვ. 245.

ისინი ბალყარეთში (ბალყარელებს სვანები „სავიარს“ უწოდებენ) სათიბად დადიან, რაშიც სანაცვლოდ საქონელს, ცხენებს, უნაგირებს... აძლევენ. სვანი მთხრობელის თქმით, ვინც ხშირად დადიოდა, იმათი ენა იცოდა. ჩვენი მიჯნები ვიცი და დამარხულია საზღვარზე ნახშირი. ნახშირი მიწაში „საუკუნეებს სძლებს.“ ეთნოგრაფიული მონაცემებით, სავაირთა ქვეყნიდან ყოფილან მოსულნი **გომთელიანები**. ყაბარლოში მკვიდრობს **შახმურზაეების** გვარი, რომლებიც ძირად გუჯუჯიანები არიან. გადმოცემით ყაბარლოში ისინი ორი-სამი საუკუნის წინ სვანეთიდან გადასახლებულან. ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე **ქურდანოვები** ზემო სვანეთის მულახის თემიდან გადასახლებულ ქურდიანთა შთამომავლები არიან. სვანეთიდან წასული გოჩა ჯაფარიძის შთამომავლები არიან ბალყარელი **გოჩიაეები**. ყარაჩაიში მკვიდრობენ **ეზზიაეები**, რაც პირდაპირ მათ სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს, რადგან ყარაჩაელები და ბალყარელები სვანებს „ეზზე“-ს უწოდებენ.<sup>36</sup> ბალყარეთში არის გვარი **შვანლარი**, რაც ასევე მათ სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს (სვანები თავიანთ „შვან“-ს უწოდებენ). ბალყარეთშივე უახოს თემში მკვიდრობენ **ოთალრალეები**, რომლებიც დადემქელიანების შთამომავალნი არიან.

როგორც ირკვევა, ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან გადმოსახლებულნი **ცინდელიანები**, რომლებიც ბევარას იღებენ სოფელ ხურძულში მოსახლე ყარაჩაელებისაგან. საზღვრის დასადგენად ჩასულ კომისიას ერთმა ხურძუკელმა განუცხადა, რომ ჩვენი და სვანეთის საზღვარი კავკასიონის დიდი ქედია. ჩვენს მახსოვრობაში ეს არის და ოდესღაც რა იყო, ალახმა იცისო. ამ სიტყვაზე გამოხტა სვანების მხრით მოხუცი **ვიჩი ცინდელიანი** და აღელვებულის ხმით მიმართა ყრილობას: „ჩვენს და თქვენს შუა საზღვარი დიდი ქედი კი არ არის, ქვის ხიდი (ეს ხიდი სოფელთან იყო) (ბაჩა ბოვ). ჩემს სიცოცხლეში სამჯერ ამიღია თქვენგან ბევარი — საბალახე იმ ადგილებიდან, რომელ-

<sup>36</sup> *Н. Г. Волкова. Этнонимы и племенные названия... М., 1973, С. 180.*

საც ღღეს თქვენ დაეპატრონეთ. ორჯელაც ჯოჯი წავართვით, როდესაც საბლახოს გადახდაზე ურჩობა გაგვიწიეთ. ეს იყო მურზაყანის მამის თ. ციოყის დროს. „ამჟი ლი! ამჟი ლი! (ასეა! ასეა!) მოისმა სვანების ერთიანი ყიჟინა“<sup>37</sup>.

სხვათა შორის, ჩრდილოეთ კავკასიაში ოდესღაც სვანთა განსახლების ადგილი ტოპონიმი „ბახსნი“ სვანური ენის საშუალებით იხსნება, რაც, როგორც აღნიშნავენ, „გაყოფილ, გაპო-ბილ ადგილს“ ნიშნავს (მსგავსი ტოპონიმი, სოფლის სახელი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – გუდამაყარშიცაა: „ბახანი“). სვანური ტოპონიმია „ლაბგვიარიც“, რაც ისეთ ადგილს აღნიშნავს, სადაც ხიდის გადება შეიძლება. სვანეთის მოსახლერე ჩრდილოეთ კავკასიაში სვანური ტოპონიმები (ოიკონიმები) სხვაც არაერთია. ასეთ ტოპონიმებს შორის ასახელებენ: „ურქულან“-ს, „კოჯურდი“-ს, „ჯავლი“-ს. „უმგულ“ უკუღმართ ადგილს ნიშნავს. „კოჯურდი“-ში კი გამოიყოფა სვანური სიტყვა „კოჯ“ (კლდე). სხვათა შორის, ასევე სვანური მეტყველებით ხსნიდა ტოპონიმს „კოჯორი“ (თბილისის მახლობლად) ეთნოლოგი მ. გეგეშიძე.

\*\*\*

მოკლედ შევეხთ სვანეთის თემების საკითხს. როგორც ენგურის, ისე ცხენისწყლის ხეობის სოფლები ტერიტორიულ თემებში იყო გაერთიანებული. სვანეთის აღნიშნულ ხეობებს ერთმანეთთან **ლატფარის ზეკარი (უღელტეხილი)** აკავშირებდა. ცხენისწყლის ხეობის სათავეში მდებარე სოფელ ცანადან ენგურის ხეობის სათავეს სოფელ უშეკულში გადასასვლელ უღელტეხილს კი **ზაგარო** ეწოდება. აღმოსავლეთ საქართველოში გარე სამუშაოზე მიმავალი სვანები ძირითადად ამ უღელტეხილით სარგებლობდნენ. ცხენისწყლის ხეობის სვანეთი სულ სამ თემს მოიცავდა: **ლენტეხის თემი, ჩოლურის თემი და ლაშხეთის თემი.**

---

<sup>37</sup> ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 152.

## ლენტეხის თემი

ლენტეხის თემში შედიოდა თვით ლენტეხი, სოფელი ფაყი და სოფელი ლექსურა. ლენტეხი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც მდ. ზვედურა და მდ. ლასკადურა მდ. ცხენისწყალს ერთვის. აქ ციხე *ლარაში* მთის ცხვირზე იყო აშენებული ზვედურასა და ლასკადურას შუა.

სოფელ ფაყში ქვით ნაგები სამი ეკლესია იყო, რომელიც ღვთისმშობლის სახელს ატარებდა<sup>38</sup>. XX საუკუნის დასაწყისში სოფელ ფაყში 22 კომლი მკვიდრობდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ფაყის სალოცავი ცხენისწყლის ხეობის სვანეთის უდიდესი და ძლიერი სალოცავი იყო. ის მლოცველებს არამართო ქვემო სვანეთიდან, არამედ სხვა მეზობელი კუთხეებიდანაც (მაგალითად, ლეჩხუმიდან) იკრებდა. ლეჩხუმელი *სალინაძეების* (რომლებიც წამროშობით ზემო სვანეთიდან არიან, ძირად საღლიანები) სალოცავი „შტურო მთავარანგელოზი“ და „ფაყის ღვთისმშობელი“ („ფაყის ორკარიანი“) ერთნაირი ძალისაა. ეთნოგრაფიული მასალა: „ანგელოზები სამი ძმანი ყოფილან. აფრენილან. ერთი ფაყში დამჯდარა, მეორე – შტუროზე და მესამე – ჩქუმში (ლეჩხუმი) და დაარსდა სალოცავები.“

ლენტეხის თემის სოფელ ლექსურაში *ე. თაყაიშვილს* „ღვთისმშობლის“ ხის ეკლესია დაუფიქსირებია, პატარა სოფელ გულიდში კი – მაცხოვრის ეკლესია.

1886 წლის საოჯახო სიებით, ლენტეხის ტერიტორიულ თემში სულ 12 სოფელი შედიოდა. ზემოხსენებული *ლენტეხის, ფაყის, ლექსურისა და გულიდის* გარდა შეიძლება დავასახელოთ: *კახურა, ყვედრეში, მელურა, რცხმელური, ხაპური, ხელედა, ცანაში, წიპლაკაკი, ჩალური*. თემში სულ 232 კომლი მკვიდრობდა 2.043 სულით (მამრობითი სქესის – 1.058 სული, მდედრობითი – 985). საშუალოდ ოჯახში 8,8 სული იყო. ყვე-

---

<sup>38</sup>*ე. თაყაიშვილი*. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-ხვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ. გვ. 86 (შემდეგ: *ე. თაყაიშვილი*. არქეოლოგიური...)



ლაზე დიდი სოფელი იყო ფაყი (42 კომლი, 391 სული). კომლთა რაოდენობით შემდეგ მოდის: ლექსურა (39 კომლი, 316 სული), გულიდა (30 კომლი, 240 სული), მელურა (26 კომლი, 241 სული), რცხმელური (19 კომლი, 154 სული), ხელედა (17 კომლი, 130 სული), კახურა (13 კომლი, 97 სული), ცანაში (12 კომლი, 127 სული), ყვედრეში (12 კომლი, 141 სული), წიფლაკეკი (10 კომლი, 101 სული), ხაფური (8 კომლი, 71 სული), ჩალური (4 კომლი, 33 სული).

1873 წლის საარქივო მონაცემებით<sup>39</sup>, ლენტეხის საზოგადოებაში ყველაზე დიდი გვარი იყო **ლიპარტელიანი**. აქ ამ გვარის 81 ოჯახი ცხოვრობდა. რაც შეეხება სხვა გვარებს, ისინი შემდეგი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი: **ჩაქსელიანები (ჩარქსელიანები)** – 17 კომლი, **ტვილდიანები** – 24 ოჯახი, **ქურასპედიანები** – 29 კომლი, **ბენდელიანები** – 7 კომლი (ბენდელიანები დიდი რაოდენობით იყვნენ მიგრირებული ლეჩხუმში (სოფლები: ჩქუმი, ლაცორია და ქულბაქი); **ქარდავა** – 7 ოჯახი, **გაზდელიანები** – 9 ოჯახი, **გვიჩიანები** – 7 ოჯახი, **მუსელიანები** – 6 ოჯახი, **გუგაგები** – 6 ოჯახი. ცხენისწყლის ხეობის სვანეთიდან გადასახლებული გუგაგები ლეჩხუმის სოფლებში ჩხუტელსა და უსახელოშიც ცხოვრობდნენ. ლეჩხუმში გუგაგები ქვემო სვანეთის ლენტეხის თემის სოფელ ლასკადურადან ყოფილან გადმოსახლებულნი. ქვემო სვანეთში ისინი სოფელ გვიმრალშიც ცხოვრობდნენ. საყურადღებოა, რომ ხალხურ მეტყველებაში სოფელ უსახელოში ეს გვარი რამდენჯერმე მოიხსენიეს „გუგავანი“-ს ფორმით. გუგაგები სვანეთიდან ლეჩხუმში საკმაოდ დიდი ხნის წინ გადმოსახლებულან. XVI საუკუნის საბუთში „ცაგერის საყდრის გამოსავლის დაგთარი“ ლეჩხუმში გუგაგების ორი ოჯახია მოხსენიებული, ოღონდ „გუგუვას“ ფორმით: „მართებს გუგუვას სუსულასა...“, „მართებს გუგუვას ოქროპირსა...“ მთხრობელის – ა. ჭ. გუგავას სიტყვით, „ჩვენა ვართ წარმოშობით ზემო სვანეთიდან. ყოფილან იქინე სამი ძმა-

<sup>39</sup> ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 8, ანაწერი 1, საქმე №819.

ნი მერე ამ სამ ძმას ფიცი გაუტეხიათ და დაუწყიათ ღევნა. გა-  
მოქცეულან. სისხლის აღების შეეშინდათ. ერთი ძმა დარჩენილა  
ქვემო სვანეთში, მეორე ძმა დარჩენილა აქანე, ლეჩხუმში. ზემო  
სვანეთიდან გუგავას გვართ წამოვიდნენ.“ XIII საუკუნის მეო-  
რე ნახევრის ძეგლში „მატიანე სვანეთის კრებისაი“ გვხვდება  
გვარსახელი „გოგანი“<sup>40</sup>. შესაძლოა, გუგავები ამ გოგანების  
შთამომავალნი იყვნენ.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ ბენდელიანებს, ისინიც დიდი  
რაოდენობით არიან მოგრილებულნი ლეჩხუმის სოფელ ქულბაქ-  
ში (ჯონოულის ხეობა). მთხრობელთა გადმოცემით, ქულბაქში  
მოსახლე გვარებიდან ყველაზე უწინ ბენდელიანები დასახლებუ-  
ლან. მათი წინაპრები ცხენისწყლის ხეობის სვანეთის სოფელ  
ხელედიდან გადმოსახლებულან. 1873 წლის აღწერით ლეჩხუ-  
მში 50 კომლზე მეტი ბენდელიანი მკვიდრობდა. „ბენდელიანე-  
ბის ძველებს რაღაც დაუშავებიათ და გადმოსახლებულან.“  
ამავე სოფელში სვანეთიდან მოსულან გასვიანები და ლიპარტე-  
ლიანები. გასვიანთა ნაწილი ლეჩხუმში სოციალურადაც დაწი-  
ნაურებულა. ისინი აზნაურები იყვნენ. რაც შეეხება ლიპარტე-  
ლიანებს, ისინი ბოლო დრომდე ჩოლურის თემში დადიოდნენ  
სალოცავად.

ტვილდიანები ძირითადად ლენტეხის თემში სოფელ კახუ-  
რსა და რცხმელურში მკვიდრობენ. გადმოცემით ტვილდიანები  
ზემო სვანეთიდან გადმოსახლებულან და მათი ადრინდელი გვა-  
რი მილდიანი ყოფილა.

1873 წლის მონაცემებით, ლენტეხის ტერიტორიული თე-  
მის გვართა შორის შეიძლება კიდევ დავასახელოთ: **მეშველი-**  
**ანები** (9 კომლი), **ფულარიანები** (2 კომლი), **აფაქიძეები** (2  
კომლი), **გვიდიანები** (1 კომლი), **ასროსიანები** (1 კომლი) და  
**დადუანები** (1 კომლი).

დასახლებული 1873 წლის აღწერის მონაცემებით, ლენ-

---

<sup>40</sup>პ. ინგოროყვა. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები,  
თბ., გვ. 137, 153.

ტეხის საზოგადოებაში არაერთი დიდი ოჯახი გვხვდებოდა, რომლებშიც ხშირად 18, 22, 23, 24, 26, 32, 33 სული ცხოვრობდა ერთად. ისევე როგორც მთელ თემში, ყველა დიდ ოჯახში მამაკაცების რაოდენობა ქალთა რაოდენობას აჭარბებდა.

ეთნოგრაფიული და ლინგვისტური თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყო 1904 წელს ლენტეხის თემში გავრცელებული მამაკაცთა სახელები: *აბრამ, ბიეტო, ბეკო, ბესი, ბაშულა, ბოტა, ბაშო, ბეჟო, გეგი, ვიორგი, ვაბო, ვიო, ვოგინულა, გევო, გოგი, კვაცი, კვატი, მოხილა, მიკე, მოგე, სოსი, ტასილა, ჩიტო, ჩიჩოლა, ჩიტა, ჩიჩო, ხორა, ხვანი, ხახუ, ხასი, ჯახი, ჯატი, ჯაკვა...*

### *ჩოლურის თემი*

ქვემო სვანეთის **ჩოლურის ტერიტორიულ თემში**, 1873 წლის აღწერით, შედიოდა შემდეგი სოფლები: **ბულეში** (9 ოჯახი, 69 სული), – ეს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დასახელებული „შულეში“ უნდა იყოს; **ბუციდი (ბუცთი)** – 26 კომლი, 183 სული; **საყდარი** (13 კომლი, 90 სული); **ტვიბი** (18 კომლი, 142 სული), **თეკალ-ლეუშერი** (11 კომლი, 53 სული). *თეკალსა* და *ლეუშერს* ე. თაყაიშვილი ცალ-ცალკე სოფლებად ასახელებს; **ჭველიერი** (37 კომლი, 257 სული) (ე. თაყაიშვილის მიხედვით, ორი ჭველური – ქვემო ჭველური და ზემო ჭველური არსებობდა); **ზედა ჩოული** (35 კომლი, 280 სული); **შტვილი** (11 კომლი, 79 სული). 1873 წლისათვის მთლიანად ჩოლურის თემში 161 კომლი მკვიდრობდა, რომლებშიც 1.153 სული ცხოვრობდა (კომლში სასუალოდ 7,16 სული). დასახელებულ სოფლებს გარდა, ე. თაყაიშვილი ჩოლურის თემში ჩამოთვლის შემდეგ სოფლებსაც: ქვემო ჩოლური, ზემო ჩოლური, მამი, უკულეში, ზაგოლოტი. მისი მონაცემებით, კომლთა რაოდენობა 185-ია.

1873 წლის აღწერით ჩოლურის თემი თავად **გარდაფხაძეებს** ეკუთვნოდათ, რომელთა რაოდენობა რვა კომლით განისაზღვრებოდა. ბესარიონ ნიჟარაძე გარდაფხაძეების შესახებ შემ-

დეგს წერს: „თავადი გარდაფხაძეები სახლობენ სადადიანო სვანეთს, ჩოლურის საზოგადოებაში, იგი თავის თავს ოსეთიდან მოსულებად სთვლიან. თ. გარდაფხაძეებს თავიდანვე ჩაუვლიათ ხელში ჩოლურის საზოგადოება, რომელიც მესაზღვრეა სამხრეთით თავისუფალი სვანეთისა“<sup>41</sup>. ჩოლურის ტერიტორიულ თემში (საზოგადოებაში) რამდენიმე დიდი გვარი მკვიდრობდა, მაგალითად შეიძლება **ჯამბურიძეები** (17 ოჯახი) დავასახელოთ. აქედან გადასახლებული ჯამბურიძეები ლეჩხუმის სოფელ ლასურიაში და მახაშიშიც მკვიდრობენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ისინი ლეჩხუმში XIX საუკუნის II ნახევარში ქვემო სვანეთის სოფელ მამიდან არიან გადმოსახლებულნი. საერთოდ, ჯამბურიძეების წინაპრები ქვემო ანუ სადადიანო სვანეთში სამეგრელოდან მიგრირებულან. მათ აღრინდელი გვარია ჯამბურია. სვანეთში მოსულ ჯამბურიას გვარის ფორმანტი -ია -ძე-თი შეუცვლია. საერთოდ კი ჯამბურიების გვარი სამეგრელოში ზემო სვანეთიდან გადმოსახლებულა, რომელთა თავდაპირველი გვარსახელიც **ჯამბურიანი** ყოფილა. ეს გვარი მართლაც არაერთსეულ გვხვდება ენგურის ხეობის სვანეთის XIII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთში.<sup>42</sup>

ქვემო სვანეთის ჩუღურის ტერიტორიული თემის მკვიდრნი იყვნენ **ზურაბიანები**. 1873 წლის საარქივო მონაცემებით, აქ 25 ოჯახი ზურაბიანი მკვიდრობდა. ამავე პერიოდში ჩუღურის თემში **ლიპარტელიანების** 10 ოჯახი და **მუკბანიანების** 35 კომლი ცხოვრობდა. მუკბანიანები ლეჩხუმში, სოფელ ორბელშიც, მკვიდრობენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით აქ ისინი სადადიანო სვანეთის სოფელ ჭველიერიდან არიან მიგრირებულნი. მთხრობელის სიტყვით, „ბაბუებსაც არ ახსოვთ მაგით ჩამოსვლა.“ ჩოლურის თემში 1873 წელს **ბენდელიანების** 12 ოჯახი იყო განსახლებული. ამავე რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი **ხა-**

<sup>41</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 89.

<sup>42</sup>პ. ინგოროყვა. სსმ, გვ. 142-144.

**ბულიანები.** აქ მკვიდრობდნენ აგრეთვე **ბაბლუანები** (8 ოჯახი) და **კვასტიანები** (10 ოჯახი). ერთი ოჯახი **ბაბლუას** გვართ იყო ჩაწერილი. ბაბლუანები ჰემეკელსა და იელში ცხოვრობენ. შთამომავალნი არიან ხუთი ძმის (თემრაზი, თაბუ, ჩაგა, ბიტი, მონი). ამიტომ ისინი ხუთ შტოდ (ლამხუბად) იყოფიან; ესენია: *ჩაგაშა, მონიშა, ბიტიშა, თაბუშა, ანაშრელები* (იგივე *თემრაშ-ლები*). ბაბლუანები ზემო სვანეთის ლენჯერის თემიდან წარმომავლობენ. დღესაც სალოცავად დაიარებიან აქ ჰემეკელის ეკლესიაში. ლენჯერში ბაბლუანებს ორ სოფელში – ზემო და ქვემო ჰემეკელში უცხოვრიათ. გაურკვეველი მიზეზების გამო, ორივე სოფელში მოსახლე ბაბლუანები გაწყვეტილან. გადარჩენილი ფეხშიძე ქალი კი ქვემო სვანეთში წასულა, რომლის შთამომავალნიც არიან ბაბლუანები. ეთნოგრაფიული მონაცემებით, კვასტიანების წინაპარი ენგურის ხეობის ბენოს თემიდან გადმოსახლებულა, რომელთა ადრინდელი გვარია კვიციანი. ბაბლუანების სოფელში **ბარლუანებსაც** უცხოვრიათ. ამ გვარისანი სვანეთში აღარ არიან.

ე. თაყაიშვილიმა XX საუკუნის დასაწყისში დაწვრილებით აღწერა ჩოლურის თემის თითოეული სოფლის ეკლესიები და მათში დაცული ნივთები. საყურადღებოა რომ ყველა ეკლესია თუ სამლოცველო ქრისტიან წმინდანთა სახელს ატარებდა. მაგალითად, ჩოლურის თემის ერთ-ერთი სოფლის – საყდრისის ეკლესია წმინდა გიორგის სახელს ატარებს. იგი საკმაოდ მოზრდილი, ქვის, მაღალი ოთხკუთხედი, ერთნავიანი ეკლესიაა. ვფიქრობთ, რომ სოფლის სახელი „საყდარი“ სწორედ ამ ეკლესიით (საყდარი) უნდა იყოს განპირობებული. ამ ეკლესიის ერთ-ერთი ჯვრის წარწერაში ე. თაყაიშვილს ამოუკითხავს: „კვივის აზნაურნი“, აგრეთვე: „წმინდაო გიორგი ლეჩისაო, აღაშენე მაშენებელი შენი **კვევი ჩოლურისა** და ყოველნი მადიდებელნი შენნი.“ ხომ არ იყო სოფელ საყდრის თავდაპირველი სახელწოდება „ლეჩი“? აღნიშნული წარწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ძველად საქართველოში ტერიტორიული თემის აღმნიშვნელი ქართული ტერმინი იყო „კვევი“, რაც არაერთგვარ

არის დადასტურებული ისტორიკოსთა მიერ სხვა წყაროებით. სოფელ ზემო ჭველიერის ეკლესია მთავარანგელოზის სახელობისა იყო, სოფელ მამისა – წმინდა გიორგის, სოფელ თეკალისა – მაცხოვრის. ე. თაყაიშვილს ამ სოფლის მაცხოვრის ხატის (ვერცხლისაა) წარწერა ასე გაუშიფრავს: „მაცხოვარო ლაშარისაო (წერია: „ლაშრსო“), ააშენე მაშენებელი შენი ესე, რომელმან მოჭედა წმინდაი ესე ხატი მამასახლისობისა გელაღსა დეკანოზისა.“ „ქ. მაცხოვარო ლაშარისაო (წერია: ლ~შ-რსა), შეიწყალე იოანე დეკანოზი.“ ე. თაყაიშვილი ამ წარწერას შემდეგ კომენტარს უკეთებს: „ჩვენ არ ვიცით დანამდვილებით, როგორ წავიკითხოთ ჯგუფი „ლაშრსა“, ლაშერისა თუ ლაშარისა. ლაშერი ჩვენ არ ვიცით, ლაშარი (ლაშარის ჯვარი) ხევსურეთშია (ე. თაყაიშვილი ცდება. „ლაშარის ჯვარი“ ხევსურეთში არაა. ის ფშაველთა საერთო სალოცავია – რ.თ.). შეიძლება აქედან იყო მოტანილი ეს ხატი<sup>43</sup>. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ეს უაღრესად საყურადღებო წარწერაა. პირველ რიგში, გასარკვევია, „ლაშერი“ (ანდა მსგავსი ტოპონიმი) სვანეთში სხვაგანაც ხომ არ არსებობდა. იქნებ სწორი იყოს ვარაუდი, რომ მაცხოვრის ხატი ქვემო სვანეთში ფშავიდან მოტანილია, რაც ჩვენ მაინც ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაშარის ჯვარი (ხატი, სალოცავი) სვანეთში დამოუკიდებლად გაჩნდა, რაც შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საშუალებაც მოგვცეს. წარწერიდან ირკვევა, რომ ერთ პიროვნებას ერთდროულად საერო და სასულიერო თანამდებობები ეკავა (მამასახლისი და დეკანოზი,) რაც იშვიათი შემთხვევა არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთიანეთში.

### ლაშხეთის თემი

მესამე და ყველაზე დიდი თემი სადადიანო ანუ ცხენისწყლის ხეობის სვანეთისა ლაშხეთის თემი იყო: „ლაშხეთი“, როგორც ტოპონიმი, გეოგრაფიული ერთეული პირველად 1503

<sup>43</sup> პ. ინვოროცვა. სსმ, თბ., გვ. 104.

წლის დოკუმენტშია დასახელებული. 1873 წლის აღწერით, ლაშხეთის ტერიტორიული თემში 13 სოფელი შედიოდა, რომლებშიც 346 კომლი და 2.465 სული მკვიდრობდა (საშუალოდ კომლში 7,12 სული). სადადიანო სვანეთის სამივე თემის დემოგრაფიულ-სტატისტიკურ მონაცემებს თუ შევაჯამებთ, მივიღებთ, რომ ცხენისწყლის ხეობის სვანეთში აღნიშნული დროისათვის 739 კომლი და 5.561 სული ცხოვრობდა. ლაშხეთის თემის სოფლებიდან შეიძლება დავასახელოთ: **ღობი** (1886 წელს ცხოვრობდა 8 კომლი, 59 სული), **ჯახუნდერი** (47 კომლი, 316 სული), **ლეკოსანდი** (16 კომლი, 123 სული), **ლემზაგორი – ხერია** (23 ოჯახი, 145 სული) (ე. თაყაიშვილი ამ სოფლებს ცალ-ცალკე ასახელებს); **მარგვიში** (5 კომლი, 22 სული), **მახაში** (15 კომლი, 154 სული), **მებეცი** (20 კომლი, 123 სული), **მელე** (16 კომლი, 133 სული), **ნაცული** (14 კომლი, 144 სული), **სასაში-ლუჯი** (53 კომლი, 355 სული), **ჩიხარეში** (54 კომლი, 341 სული), **ჩუკული** (41 კომლი, 303 სული), **შგელი** (შკელი) (34 კომლი, 277 სული). ე. თაყაიშვილი დამატებით ასახელებს **ცანას (ანუ ცენას)** და იქვე უღელტეხილზე (ზეკარზე) ორ ნასოფლარს: **ზესხვას** და **ლაფურს**. XX საუკუნეში ცანა და ზესხო ცხენისწყლის ხეობის სათავეში ენგურის ხეობიდან გადმოსახლებული სვანებით იყო დასახლებული. ლაშხეთის თემის სოფელი საშუალოდ 26,4 კომლიანი იყო, ხოლო თითოეულ სოფელში საშუალოდ 189 სული ცხოვრობდა. მთელ ქვემო სვანეთში (სადადიანო სვანეთში) კომლში საშუალოდ 7,5 სული ცხოვრობდა. სოფლის კომლთა საშუალო რაოდენობა 25,9-ით განისაზღვრებოდა. ქვემო სვანეთის ერთ სოფელში საშუალოდ 174 სული აღირიცხებოდა. საერთოდ, მთლიანად ქვემო სვანეთში 1886 წლისათვის 32 სოფელი იყო.

1873 წლის საარქივო მონაცემებით ლაშხეთში ცხოვრობდნენ და ყმა-გლეხები ჰყავდათ თავად **გელოვანებს** (22 ოჯახი), თავად **გარდაფხაძეებს** (4 ოჯახი) და აზნაურ **დევდარიანებს** (5 ოჯახი). ყველაზე დიდი გვარი იყო **ონიანების** გვარი (119 კომლი), დანარჩენი გვარები: **ჯანხოთელები** (26 კომლი. ჯანხოთე-

ლები ლეჩხუმის სოფლებშიც – გაგულეჩში, ლაილაშში – იყვნენ განსახლებულნი), **ჭელიძეები** (16 კომლი), **ფერცულიანები** (4 კომლი. სოფლები მახაში და ლეუშერი), **ლობჯანიძეები** (16 კომლი. საერთოდ, ლობჯანიძეები მთის რაჭის ანუ ისტორიული სვანეთის „მთიულეთის“ მკვიდრნი არიან. როგორც ჩანს, ისინი ქვემო სვანეთში აქედან არიან გადმოსახლებულნი), **ბაკურაძეები** (10 კომლი. ბაკურაძეები ლეჩხუმშიც მოსახლეობენ), **თელორაძეები** (5 კომლი), **კოჭბიანები** (3 კომლი), **გაბიანები** (9 კომლი), **ჯინჭარაძეები** (8 კომლი), **ავალიანები** (7 კომლი. ავალიანები ძირითადად ზემო სვანეთის მკვიდრები არიან, ცხოვრობენ რაჭაშიც), **გველებიანები** (4 კომლი), **ფოჩიანები** (1873 წლის აღწერაში ფოჩიანს მიწერილი აქვს მეორე გვარიც – ონიანი. ფოჩიანები ამავე დროს ლეჩხუმის სოფელ ხოჯშიც (4 კომლი) ცხოვრობდნენ. ეს გვარი ლეჩხუმში 1643-1661 წლების „ცაგერის საყდრის მოალაქე გლეხების ბეგარის დავთარში“ არის აღნუსხული), **გულბიანი** (2 კომლი), **ზურაბიანი** (8 კომლი. უფრო მეტი ზურაბიანი ჩოლურის თემში ცხოვრობდა), **ჯამბურძიძე** (3 კომლი. დიდი რაოდენობით მოსახლეობდნენ ჩოლურის თემში), **გაგნიძეები** (6 ოჯახი), **ყიფიანი** (2 კომლი). ამ გვარისანი ზემო სვანეთსა და რაჭაშიც იყვნენ განსახლებულნი. აქ ისინი აზნაურთა სოციალურ ფენას ეკუთვნოდნენ. ყიფიანები შიდა ქართლსა და სამცხეშიც კი მკვიდრობდნენ. სამცხეში ყიფიანთა ერთი სოფელი გამაჰმადიანებული იყო. ლაშხეთში მოსახლე ერთ ოჯახს ყიფიანს მიწერილი აქვს მეორე გვარი – **ერკანიძე**, **ბუჭუსანი** (4 კომლი), **ტატაისანი** ანუ **თათაისანი** (2 კომლი). ერთ ოჯახს მიწერილი აქვს მეორე გვარი – ჭელიძე, მეორეს – ჯანხოთელი. ხომ არ უნდა იყოს ეს იგივე **თუთუსანი**, რომელთა წარმომადგენლები ლეჩხუმის სოფელ წიფერჩშიც ცხოვრობენ? (1873 წლის აღწერით, 26 კომლი). დღეს ქვემო სვანეთში ეს გვარი აღარაა), **ნემსაძე** (7 კომლი).

ნემსაძეები, რომლებიც სოფელ ჩიხარეშში მკვიდრობენ, სვანეთში მოსული არიან. გადმოცემით მათი წინაპარი აჭარიდან გადმოსახლებულა. მიგრაციის მიზეზი ბატონის მოკვლა ყოფი-



ლა. ერთი ძმა ქუთაისში დასახლებულა, მეორე – ლეჩხუმის სოფელ მექვენაში და მესამე – ქვემო სვანეთში, სოფელ ჩიხარეში. ნემსაძეების სვანეთში დასახლება, როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ მოხდა. ამის დამადასტურებელი ის ფაქტიცაა, რომ ისინი სამ ლამხუბად იყოფიან: „ბექჩროშერალ“, „ზურაბშერალ“, „ძალშერალ“.

ლაშხეთის საზოგადოებაში 1873 წლის მონაცემებით მკვიდრობდნენ აგრეთვე: **ჯანელიძეები, დოღვანები** (ახლა **დორღვანები**). ნ. ნიჟარაძის მიხედვით, „ზესხვიდამ გადმოსახლებულან სთვლიან თავიანთ თავს დღეს სადადიანო სვანეთის ლაშხეთის საზოგადოებაში სოფ. ლაშხრაშს და ჩიხარეშს მცხოვრებნი ერთი მოსახლე „დოღვანი“ და რამდენიმე მოსახლე **კაცთასნები (ჯანხოთელი)**. დოღვანი და ჯანხოთელი შეჰხვეწიან მაშინდელს ლაშხეთის მახშის ყანსავ ყიფიანს, რომ სამოსახლო ადგილი სადმე მიეცა“), **ნაკისანები** (ნაკანები?), **ჭაბუკიანები, დაშნიანები** (დაშნიანთა ერთი აზნაურული კომლი, 1873 წლის მონაცემებით, ლეჩხუმის სოფელ ჩხუტელშიც მკვიდრობდა), **კოჭბიანები, პირველიძეები** (ახლა პირველები), **არჩიანები**...

ეთნოგრაფიული მონაცემებით **ონიანები** ზემო სვანეთიდან გადმოსახლებული **არღვლიანების შთამომავლები არიან**. ენგურის ხეობიდან სამი ძმა არღვლიანი მიგრირებულია. გვარსახელს საფუძვლად უდევს მამაკაცის საკუთარი სახელი „ონი“. ონი პირველად მოსულის შვილი ყოფილა. ონიანის გვარს შეყრილებიც მიუღიათ. ონის ცხრა ვაჟი ჰყოლია: *ეზიაი, ჯაბა, გოგი, თაისაუ, გოჩა*... ეზიას შთამომავლენს „ეზიკელას ეუბნებოდნენ“. მისი მემკვიდრეები მელესა და ჟახუნდერში ცხოვრობენ. ონის მონაგარი შკედში დამკვიდრდა – მათ „ონიაშერებს“ უწოდებენ. რაც შეეხება „ჯაბაშერას“ ლამხუბს, ისინი სასაშში არიან განსახლებული. „გოგიშერალები“ სასასში და ჟახუნდერში მკვიდრობენ. სასაშსა და სოფელ ლამხალაში „თაისავშერები“ არიან. „ვიშჩერალებიც“ სასასში ცხოვრობენ. ონიანის გვარი („ონიანი შოლუა“) XIV-XV საუკუნეების მიჯნის დაწერილშია

მოსხენიებული.<sup>44</sup> ზემო სვანეთიდან ყოფილან გადმოსახლებული **ჩეგანები** (სოფელი მახაში), **ფერცულიანები** (კალადან). ფერცულიანებს რაჭული წარმოშობა აქვთ. მათი აღრინდელი გვარი მაისურაძე ყოფილა. ზემო სვანეთიდან წარმომავლობენ **გველებიანები**, რომელთა აღრინდელი გვარი **გულბანი** ყოფილა. თავდაპირველად ისინი მოსახლეობდნენ ცხენისწყლის ხეობის სათავეში, სოფელ ზესხოში და შემდეგ ლაშხეთის თემის სოფელ იწაში გადმოუნაცვლით. ხსოვნას იმ გულბან-გველებიანის სახელიც შემოუნახავს, ვისაც ზემო სვანეთში ცხოვრებისათვის თავი აურიდებია. მას *ბრიგონი* რქმევია. იწადან გველებიანები მელეში გადმოსახლებულან. ცხენისწყლის ხეობის სათავეში – ლაფურში უცხოვრიათ **ლოღანებს**.

**ჯანხოთელებს** თავდაპირველად ცხენისწყლის ხეობის სათავეში ლაფურში, ადგილ ჩირხელში უცხოვრიათ, საიდანაც ბოლოს სოფელ ჩინარეში გადმოსულან. ეთნოგრაფიული მასალით, ჯანხოთელების წინაპრებს ყაბარლოში უცხოვრიათ. ძირად ჯანხოთელები ყოფილან მთის რაჭაში მცხოვრები დათოსანები. ლაშხეთში რაჭიდან, სოფელ ზნაკვადან მოსულებად მიიჩნევიან **ბაკურაძეები**. „იქ ბატონი შემოკვდომიათ. სამი ძმა გამოქცეულა. მათი შთამომავალნი ვართ.“ შკედის მკვიდრნი იყვნენ და არიან **გაბიანები**. გაბიანების განაყოფები არიან რაჭაში მოსახლე **გაბისიანები** და ზემო სვანეთში მცხოვრები **გაბლიანები**. ისინი ცხენისწყლის ხეობიდან წასულან. გაბიანები სამ ლაშხებად იყოფიან: „მიქელმა“, „ბაპმა“, და „ქვიჩმა“. სოფელ შკედში **ცხომარიებიც** ცხოვრობენ. მათი წინაპარი აქ ხობიდან მოსულა.

ლაშხეთის ტერიტორიულ თემში არაერთი ქრისტიანული ძეგლი იყო. იყო როგორც ქვისაგან ნაგები, ისე ხის ეკლესიები. მაგალითად, სოფელ სასაშში ხის ეკლესიის არსებობაზე მითითებს ე. თაყაიშვილი, რომელიც ღვთისმშობლის სახელობის ყოფილა. სოფელ ჯახუნდერის წმინდა გიორგის ეკლესიის შე-

---

<sup>44</sup>სწმ, I, გვ. 221.

სახებ კი წერდა, რომ იგი „ერთ საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს ქვემო სვანეთში.“ „წარწერის მიხედვით სოფლის სახელი „ჯანხუნდელი“ ყოფილა.“ აქვე XV საუკუნის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში მეცნიერს ამოუკითხავს: „წმ. ღვთისმშობელო, ად~ ე აზნაურნი, შ~ ე ს~ ფლი.“ ეს წარწერა მხარის სოციალური მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი წყაროა.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ქვემო სვანეთში **ჯანხურიძეების** გვარი ცხოვრობს. სოფელ ჩუკულის ეკლესიის კვარცხლებეკზე შემდეგი წარწერა ყოფილა: "წ~ ო გ~ ქლ ადიდე **ჯანხურ** და სოფელი ესე და გ~ ი.“ ამ წარწერაში არა ვინმე ჯანხურის ვედრებას უნდა **ჰქონდეს** ადგილი, არამედ ჯანხურიძეების გვარისას. XVI-XVII საუკუნეების ღვთისმშობლის ხატის წარწერაში კი ვკითხულობთ: წმ. ღმრთისმშობელო, შეიწყალე ესე სოფელი, აზნაურნი დიდ და მცირე.“

XIV საუკუნის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის წარწერით ირკვევა, რომ ცხენისწყლის ხეობის სვანეთში **ლორიანების** გვარსაც უცხოვრია: „წმ. მიქაელ მთავარანგელოზო, შეიწყალე ივანე ლორიანი. წმინდაო მთავარანგელოზო, მწე და მფარველ ექმენ ივანეს ლორიანს და ივანეს დოღვანსა.“

ქვემო სვანეთში ღვთისმშობლის სახელზე აგებული რამდენიმე ეკლესია იყო. მაგალითად, სოფ. ჩიხარუმის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, რომელიც შედარებით ახალი აგებული ყოფილა, დაცულ ძველ ხატზე ასეთი წარწერაა: „წ~ ო ღ~ თიმშობელო შე~ ე ესე ჰვეაი და ჰვესა აზნაურნი“<sup>45</sup>. სვანური ეკლესიების წარწერებიდან აშკარად ირკვევა, რომ რომელიმე სოციალურად დაწინაურებულ პიროვნებასთან (აზნაურთან) ერთად სოფლისა და ხევის (ტერიტორიული თემის) შეწყალებასა და კეთილდღეობას ვევედრებიან. ეს მთისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი მოვლენაა. აშკარაა, რომ მთის ფეოდალურ ურთიერთობებში თემურ ტერიტორიულ ურთიერთობებს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი ეჭირა.

<sup>45</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 121.

ქვემო სვანეთის სოფელ დაბიშის პატარა ეკლესიის კედელზე გამოხატული ყოფილან „კველ ჯაბილიანი“ და მისი ცოლი „ლაშხიშვილის ქალის თეთრუა ეკლესიის კედელზე გამოხატული „ჯაბილიანი“, „ლაღლიბიანი“, „ლიბიანი“, ეჭვგარეშეა, შემდეგ დროინდელი აზნაური ყოფიანები არიან. ჩანს, ყიფიანის გვარი ფონეტიკურად სახემეცვლილი ფორმით – „ლიბიანი“ გადმოიცემოდა. მოგვიანო პერიოდის, XVII-XVIII საუკუნეების მაცხოვრის ხატის წარწერაში „ყიფიანი“ გვხვდება – „ყიფიანის ქალი სათუთი.“

ქვემო სვანეთში, ისევე როგორც ზემო სვანეთსა და ლეჩხუმში, **დევდარიანებიც** მოსახლეობენ, რომლებიც აზნაურები იყვნენ (ზემო სვანეთში – ვარაგები). სოფელ მელეს ხატის ერთ-ერთ წარწერაში ე. თაყაიშვილს ამოუკითხავს: „დევდარიანის ქალი ყაზმი“<sup>46</sup>.

სოფელ ნაცულის მთავარანგელოზის ეკლესიის ხატის წარწერაში, რომელიც XVI საუკუნისაა, დასახელებულია **„ვედრანი ივანე.“** ასეთი გვარსახელი სვანეთში დღეს საერთოდ არ გვხვდება (სხვათა შორის, ამავე ძირით გვარი – ვედრაული ფშავშიც არსებობდა). როგორც ჩანს, ცხენისწყლის ხეობის სვანეთში სხვა გვარის ხალხიც მკვიდრობდა. მაგალითად, **შკუბლიანები**. დღეს ამ გვარისანი ლეჩხუმში, ქვედა ცაგერში მოსახლეობენ, რომლებიც ქვემო სვანეთის სოფელ ნანარიდან გადმოსახლებულან. ამ გვარის წარმომადგენლები ლეჩხუმიდან ნანარში ბოლო დრომდე დადიოდნენ სალოცავად. 1656 წლის საბუთით, შკვიბლიანები უკვე ლეჩხუმის მკვიდრები იყვნენ, რაც ადასტურებს სვანთა მიგრაციის სიძველეს ბარის მიმართულე-ბით. რაჭაში მოსახლე **ნანუკაშვილები** და **გოგრიჭიანები** ცხენისწყლის ხეობის სათავიდან, სოფელ *ხიდურიდან* ყოფილან გადასახლებულნი.

ქვემო სვანეთის ლაშხეთის ტერიტორიული თემის მფლობელები (აზნაურები), ეთნოგრაფიული მასალებით, **ლაშხები**

---

<sup>46</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 124.

(**ლაშხიშვილები, ლასხიშვილები**) ყოფილან. თემს სახელი სწორედ მათი მფლობელი აზნაურების გვარსახელის მიხედვით (ლაშხი → ლაშხეთი) მიენიჭა. დღეს ამ გვარისანი ლეჩხუმსა და რაჭაში საერთოდ აღარ ცხოვრობენ. როგორც 1878 წელს ბ. ნიჟარაძისათვის 108 წლის სიმონ გაბიანს გადმოუცია, „ლაშხეთს ყველაზე პირველად დაჰპატრონებია ლასხიშვილი. ლასხიშვილის გვარეულობა გადაუგდია ჯაფარიძეს (როგორც ეთაყაიშვილმა ამოიკითხა ქვემო სვანეთის სოფელ შგედის მაცხოვრის ხატის წარწერაში „მაცხოვარო მეოხ და მფარველ ექმენ ნასყიდასა ჯაფარიძესა და თანამეცხედრესა მისსა ყიფიანის ქალსა სათუთს“). არც ერთი გვარეულობა ისე უდიდესად არ იყო თურმე, როგორც ყიფიანი“<sup>47</sup>. ფაქტია, რომ 1503 წლისათვის ლაშხიშვილები ცხენისწყლის ხეობის სვანეთში აღარ მკვიდრობენ და ამ დროისათვის ისინი უკვე რაჭის აზნაურები არიან. გვიან შუა საუკუნეებში ქვემო სვანეთში აღარც ჯაფარიძეები და აღარც ყიფიანები აღარ ბატონობდნენ. ამ დროს ლაშხეთის მფლობელები თავადები გელოვანები, გარდაფხაძეები და აზნაური დევდარიანები იყვნენ.

ზემოთ ცხენისწყლის ხეობის (სადადიანო) სვანეთის ლაშხეთის თემის მცხოვრებთა შორის დავასახელეთ **ფერცულიანის** გვარიც. ფერცულიანები ნ. ნიჟარაძის მიერ მოხსენიებული **ფარცველანები** არიან: „*ლაშხეთში ყოფილა ორი მეგობარი (ლაც-ლაძევა) კაცი, სახელდობრ დოჩა გაბიანი და ფარცველან ფარცველანი. ფარცველანს ჰყოლია მახინჯი და. დოჩას ეს ფარცველანის მახინჯი და ცოლად მოუნდომებია. ფარცველანი თურმე ამის წინააღმდეგი იყო; მე ვიცით, უთხრა თურმე ფარცველანმა დოჩას, შენ ჩემ დას ცოლად ვერ იგუებ ბოლომდე, გააგდებ, ეს მე მეწყინება და ჩვენი მეგობრობა მტრობად შეიცვლებაო; რომ ასე არ მოხდეს, თავი დაანებე ჩემს დასაო. დოჩას მაინც არ დაუშლია თავისი და შეურთავს ფარცველანის მახინჯი და, რომელიც ერთ წელიწადს ჰყოლია და გაუგდია. ეს ფარცვე-*

---

<sup>47</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 79.

ლანს სწყენია; აულია პატარა კვანი, თავის სახლსა და ყანებში ამოღებული მიწა ჩაუყრია, წამოუღია და უშვულის ღვთისმშობლის კარზე ჩამოუკიდია. ძველად ეს იყო ნიშანი საზოგადოების შეხვეწნისა და ამგვარ ხვეწნას საზოგადოება ყოველთვის ასრულებდა. უშვული თავს იყრის. ფარცველანი სთხოვს ყრილობას დოჩა გაბიანის ძლიერად დასჯას. ყრილობა პატივს სცემს ფარცველანის ხვეწნას და უშვულის მაშინდელი მახვილის ბეგამ რატანის წინამძღოლობით მიდის ლაშხეთს დოჩა გაბიანის დასასჯელად. დოჩას სოფლად ვერა ნახავენ. უშვული თავს ესხმის დოჩას სოფელს შვედს და კიდევ ორ მახლობელ სოფელს – ნაცულს და ღვებს. რაც რამ პირუტყვი გააჩნიათ ამ სამ სოფელს, უშვული ართმევს. შვედელები მიდიან ლაშხეთის მაშინდელ ბატონ (მახვი) ბეჟანა ყიფიანთან და სთხოვენ შეეწიოს მათ და უშვულს დაატოვებინოს წართმეული საქონელი. ბეჟანა საჩაქაროზე თავს უყრის მთელს ლაშხეთს და უკან ევედრება უშვულელებს, რომლებსაც ვზა ცხენისწყლის ხეობაში უძევთ.<sup>48</sup> უშვულელებთან ბრძოლაში ლაშხეთელები და მათი ფეოდალი ყიფიანი მარცხდებიან. ამ ძველ გადმოცემაში ბევრი სიმართლეა. აშკარაა, რომ დაზარალებულ ფარცველანს ხელს არ აძლევდა მისი ყოფილი მეგობრის, ახლა მტრის, ფეოდალური კანონით დასჯა და ის დახმარებისათვის მიმართავს უშვულელებს, სადაც ფეოდალური ურთიერთობები აღარ იყო და ესა თუ ის დანაშაული ჩვეულებით სამართლით, ხალხის გადაწყვეტილებით, ისჯებოდა. აშკარაა სხვა რამეც, მართალია, მთაში ფეოდალური ურთიერთობებია, მაგრამ ბევრს და, მათ შორის, ფარცველანის გვარის კაცს შემორჩენილი აქვს თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი მენტალიტეტი. ის სამართალს ეძებს (ხალხის მიერ გადაწყვეტილს) და ინდივიდუალურად არ იძიებს შურს შეურაცხყოფელ გაბიანზე. ამ ამბის შემდეგ, ფარცველა ფარცველიანის ოჯახს სვანეთში აღარ დაედგომებოდა. თუ ისინი ამ ბრძოლას არ შეეწირნენ, ალბათ, ბარ-

<sup>48</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 72-80.

ში გადასახლდებოდნენ. შესაძლებელია, ამ ფარცველანთა შთამომავალნი იყვნენ დღეს სამეგრელოში მოსახლე ფარცვანიები.

ზემოთ აღნიშნული გადმოცემის თანახმად, ცხენისწყლის ხეობის სათავეში, სოფელ ცანაში/ცენაში, საიდანაც გადასასვლელია ენგურის ხეობის სათავეში, სოფელ უშგულში, უცხოვრიათ **თოდრუანებს**<sup>49</sup>. თოდრუანები დღეს სვანეთში აღარ მოსახლეობენ. შესაძლებელია, ამ თოდრუანების შთამომავლები იყვნენ სამეგრელოში მოსახლე თოდრები ან თორდიები.

ჩოლურის საზოგადოების (თემის) მფლობელები თავადი გარდაფხაძეები (სვანურად: „გალფხანარ“) იყვნენ. გარდაფხაძეებს ეკუთვნოდათ აზნაურები: ქურდიანები და ჟორჟოლიანები. ისინი აქ საუკეთესო მიწებს ფლობდნენ. გარდაფხაძეების სასახლე სოფელ თეკალში (ისევე როგორც გელოვანებისა ლაშხეთის სოფელ შგედში) რიგითი გლეხების საკარმიდამო კომპლექსებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მათს სოფელზე გადადიოდა თავისუფალი სვანეთიდან (ენგურის ხეობის ბალსზემო სვანეთიდან) გადმოსასვლელი: „გარდაფხაძეების სამყოფი ადგილი იმითაც არის შესანიშნავი, რომ თავისუფალ სვანეთიდან გარდმოსულს ამათ სოფელზე უნდა გამოეარნა და ღამე იქ გაეთია. ამისათვის გარდაფხაძეებს ბევრი ნაცნობი ჰყავდათ სვანეთში“<sup>50</sup>.

ლაშხეთის თემი, როგორც აღვნიშნეთ, თავად გელოვანების საკუთრებას წარმოადგენდა. თემში შემავალი 18 სოფელი, ერთის გამოკლებით (სასაში), გელოვანებს ეკუთვნოდათ. გელოვანები თავის დროზე მთელი სვანეთის ერისთავები იყვნენ. გარდა ქვემო სვანეთის ლაშხეთის თემისა, თავის დროზე მათ დიდი გავლენა ჰქონიათ ბალსზემო სვანეთის კალისა და უშგულის თემებზე. ადგილ-მამულს ისინი რაჭაშიც ფლობდნენ. ლაშხეთში მცხოვრები აზნაურები – დევდარიანები და ნემსაძეები – გელოვანებს ეკუთვნოდნენ. საისტორიო დოკუმენტებში გელოვანე-

---

<sup>49</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 80.

<sup>50</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 89.

ბი პირველად XIII-XIV საუკუნეებში არიან დასახელებულნი. როგორც ირკვევა, ლეჩხუმელი თავადი გელოვანები ქვემო სვანეთიდან არიან გადმოსახლებულნი. თუმცა მათი განსახლების მთავარი, ძირითადი ადგილი ზემო სვანეთი, ენგურის ხეობის სვანეთი იყო. საისტორიო საბუთებში გელოვანების გვარი სხვადასხვა ფონეტიკური ფორმით გვხვდება: „გელოანი“, „გელოვანი“, „გელუვანი“, „გელანი“. „გელიანი დათუხარ“ და „გელიანი თვალაი“ მოხსენიებულნი არიან ზემო სვანეთის XVI-XV საუკუნეების მიჯნის საბუთში<sup>51</sup>. სვანთა ერისთავი „გელუანი (გელოვანი) აბესალომ დასახელებულია 1455-1478 წლების დოკუმენტში. მოურავი „გელოვანი ადაი“ XIV საუკუნის სამოკეთეო დაწერილში გვხვდება. ხოლო „გელოვანი დათვაი“ ნახსენებია XIV საუკუნის გაუყრელობის დაწერილში. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც გელოვანების გვარია ნახსენები, XIII-XIV საუკუნეებისაა. ესენი არიან „ივანე და ხუერგო გელოვანები.“ საინტერესოა 1600-1637 წლების საბუთი, რომელშიც დასახელებულნი არიან: ფაცა, სულა, გიორგი, ბაკუ, ბესია, ისლამ და ხუნა გელოვანები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ცხენისწყლის ხეობის სვანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი ლიპარტელიანია. 1987 წლამდე აქ ამ გვარის 2.332 სული იყო აღრიცხული, ხოლო ვაუჩერის სიებმა მთლიანად საქართველოში 4.068 ლიპარტელიანი დააფიქსირა. აქ დანარჩენი გვარების თანამიმდევრობა ასეთია: ონიანი – 1.543 კაცი (მთლიანად საქართველოში – 3.693 კაცი), ჩანქსელიანი – 944, ქურასბედიანი – 727, ბენდელიანი – 335, ზურაბიანი – 330, გაზდელიანი – 332, მუკბანიანი – 305, მეშველიანი – 282, ხაბულიანი – 270...<sup>52</sup> აქ მკვიდრი გვარებიდან შეიძლება კიდევ დავსახელოთ: **ათრეჯიანი, ასროსიანი, გვიდიანი, გვიშიანი, თვირიანი, კოჭბიანი, სადილიანი, ფუ-**

<sup>51</sup> პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გვ. 622.

<sup>52</sup> ს. ვასვანი. ქვემო სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1992, გვ. 96.



## რელიანი, შავრეშიანი, ჩეიანი, ჩხვიმიანი...<sup>53</sup>

\*\*\*

ახლა რაც შეეხება ზემო სვანეთს. როგორც გეოგრაფიული, ისე სოციალური თვალსაზრისით (ყოველ შემთხვევაში, გვიან შუა საუკუნეებში მაინც), ზემო სვანეთი (ენგურის ხეობის სვანეთი) ორ ნაწილად იყოფებოდა: ბალსზემო სვანეთი და ბალსქვემო სვანეთი, ე.ი. ამ ორი ერთეულის გამყოფი **ბალის ქედი** იყო. სხვანაირად, ბალსზემო სვანეთი „თავისუფალი სვანეთის“ სახელითაც არის ცნობილი და ბალსქვემო სვანეთი „საბატონო (სადადეშქელიანო) სვანეთად.“ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბალსზემო სვანეთში ფეოდალური ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში მოისპო. თუმცა ჩვენ ეს შეხედულება ნაკლებ გასაზიარებლად მიგვაჩნია და სვანთა ერისთავების ხელისუფლება აქ უფრო ადრე უნდა გაუქმებულიყო, მას შემდეგ, რაც ერთიანი სამეფო დაიშალა და ცენტრი პერიფერიებსა და, განსაკუთრებით, მთის რეგიონებზე კონტროლს ვეღარ ახორციელებდა. ზემო სვანეთის ბალსზემო ნაწილში ფეოდალურ ურთიერთობათა მოსპობა XV საუკუნისთვისაა სავარაუდო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გეოგრაფიულ გარემოში, თავისთავად ცხადია, ფეოდალური ურთიერთობანი სიღრმისეული ვერ იყო, ზედაპირული იყო და მთის მეთემეებს მისი მოსპობა არ უნდა გასჭირვებოდათ. თუმცა აქ რამდენიმე აზნაურული გვარი კვლავ განაგრძობდა არსებობას „ვარგის“ სახელწოდებით და მათი აზნაურობა – ვარგობა მხოლოდ ფორმალური იყო.

საბატონო (სადადეშქელიანო, ბალსქვემო) სვანეთში მხოლოდ ერთი ფეოდალური სახლი (გვარი) – **დადეშქელიანების** ბატონობდა. თუმც, როგორც ირკვევა, XVIII საუკუნემდე აქ სხვა გვარებსაც ჰქონდათ სოციალური პრივილეგია. რიჩგვიანებთან ბრძოლაში დადეშქელიანებმა გაიმარჯვეს და ამ უკანასკ-

---

<sup>53</sup> ს. ვასვანი. *ქვემო სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1992, გვ. 97.*

ნელემა **რიჩვიანთა** გვარის წარმომადგენლები ამოწყვიტეს.

ენგურის ხეობას სათავიდან თუ დაუყვებით, პირველი **უშგულის** თემი იყო. შემდეგ მოდიოდა **კალის** თემი, **იფარის** თემი, **მუჟალის** თემი, **მულახის** თემი, **მესტიის თემი**, **ლენჯერის თემი**, **ლატალის** თემი (ზოგიერთ სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკეა გამოყოფილი აგრეთვე **ადიშის** თემი, **წვირძის** თემი და **იელის** თემი<sup>54</sup>). ჩვენ ეს მოსაზრება გასაზიარებლად მიგვაჩნია. ისტორიულად სვანეთში უფრო მეტი თემი იყო. თუ სვანეთში შედგენილ საისტორიო საბუთებს დავაკვირდებით, ეს მართლაც ასეა. მათში მოხსენებულია ისეთი თემები (მაშინდელი ტერმინით „კეკები“), რომლებიც ახალი ისტორიის ეპოქაში აღარ არსებობდა, ანდა შეერთებული იყო სხვა თემებთან. ტერიტორიული თემების გამსხვილება ბუნებრივი მოვლენა იყო. ასე შეუერთდა მუჟალის თემი მულახისას, ადიშის, იელის და წვირძის თემები (კეკები) – იფარისას და ა.შ.

### **უშგულის თემი**

უშგულის (უშკულის) თემის სოფლები განლაგებულია მდინარე ენგურის სათავეში. სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, მიუთითებენ უშგულის თემის ოთხი სოფლის შესახებ. ესენია: **ჟიბიანი**, **ჩვიბიანი (ჩუბიანი)**, **ჩაჟაში** და **მუყმერი (მერყმელი)**. ამ უკანასკნელ სოფელს *ბ. ნიჟარაძე* სვანაირად უწოდებს, „ძველად ზემო და ქვემო უშგული.“ *ა. ჩარკვიანს* უშგულის თემში შეჰყავს აგრეთვე ცხენისწყლის სათავის ორი სოფელი: *ზესხო* და *ცანა*<sup>55</sup>, რასაც ვერ გავიზიარებთ. ეს ორი სოფელი სხვა ბევრ ნასოფლართან ერთად თავის დროზე, რა თქმა უნდა, სხვა თემს (კეკს) ქმნიდა. მოსახლეობის აქედან გადასახლებამ და ამოწყვეტამ ე.წ. „ზესხო-ცანას“ თემი მოშალა. 1886 წლის საოჯახო სიებითაც უშგულის სასოფლო საზოგადოებაში ზემოხსენებული ოთხი სოფელი შედიოდა. საერთო ჯამში აქ 75 კომლი და 528 სული (285 მამრობითი და

<sup>54</sup>ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967, გვ. 237.

<sup>55</sup>ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967, გვ. 236.

243 მდედრობითი) მკვიდრობდა. მათ შორის ყველაზე დიდი მუცემერი იყო, რომელშიც 33 კომლი (220 სული) ცხოვრობდა. ჩაჟაშში 26 კომლი და 211 სული იყო, შესაბამისად, ჟიბიანში – 10 კომლი და 63 სული და ჩვიბიანში – 6 კომლი და 34 სული. ყველა ეს სოფელი თითქმის ერთმანეთზეა გადაბმული და როგორც *ე. თაყაიშვილი* აღნიშნავდა, ის „თავისი მალალი კოშკებით, შორიდან მოგეჩვენებათ ქალაქად“<sup>56</sup>. 1940 წლის მონაცემებითაც, მურყმელში 33 ოჯახი ცხოვრობდა, ჩაჟაშში – 10 კომლი, ჩვიბიანში – 11 კომლი და ჟიბიანში – 24 კომლი. უშგულში ძირითადად შემდეგი გვარები მკვიდრობდნენ: **ნიჟარაძე** (1940 წელს – 26 კომლი), **ჩარქსელიანი** (1940 წელს – 13 კომლი), **ჩარკვიანი** (1940 წელს – 5 ოჯახი), **რატიანი** (5 კომლი), **ხაჭვანი** (5 კომლი), **ჭელიძე** (7 კომლი), **ასათიანი** (2 კომლი), **დავითულიანი** (2 კომლი), **კაკრიაშვილი** (8 ოჯახი) და **ღვანლიანი** (5 ოჯახი). ეს უკანასკნელი გვარი სვანეთის მკვიდრთა შორის XIV საუკუნის საბუთშიცაა დასახელებული. სვანეთის XIII-XIV საუკუნეების სულთა მატეანეებში რატიანე-ბიც არიან დასახელებულნი<sup>57</sup>. XVII-XVIII საუკუნეების უშგულის სოფელ მურყმერის მაცხოვრის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია მღვდელი **რომანოზ ჩარქსიანი**.<sup>58</sup> სხვა ადგილას რომანოზი „ჩარიქასძე“-დაა დასახელებული. რა თქმა უნდა, ეს რომანოზი ჩარქსიანი (ჩარიქასძე) იგივე ჩარქსელიანია, ჩარქსელიანთა წინაპარი. ჩარკვიანები სვანეთში შედგენილ შუა საუკუნეების საბუთებში არაერთხელ არიან დასახელებულნი. მოწმე **„იგდარ ასათიანი“** სეტის ხევის XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ საბუთშია შეყვანილი. ასათიანის გვარისა უშგულში აღარავინ ცხოვრობს. 1931 წელს დაბადებული ინფორმატორის გადმოცემით, ჩვიბიანის თავდაპირველი მკვიდრნი ასათიანები ყოფილან. მისი ბავშვობის დროს ასათიანების ორი ოჯახი უშ-

<sup>56</sup> *ე. თაყაიშვილი*. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 135.

<sup>57</sup> *პ. ინგვროყვა*. სსმ, თბ., გვ. 142-143.

<sup>58</sup> სწმ, II, თბ., 1988, გვ. 327, 348.

გულიდან ჯერ ყორულდაშში გადასახლებულან, შემდეგ კი – წყალტუბოში. ე. თაყაიშვილს სოფელ იელის ერთ-ერთ ეკლესიაში უნახავს მიქაელ მთავარანგელოზის ხატი, რომელზედაც ასეთი წარწერა ყოფილა: „წმიდაო გიორგი ზღუდერისაო, მეოხ მექმენ მამკობსა შენსა ჯონარსი ასათიანსა“. <sup>59</sup> ჟიბიანის თავდაპირველ მკვიდრებად რატიანებსა და ხაჭვანებს მიიჩნევენ. 13 რატიანია მოხსენიებული XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატთანეში. <sup>60</sup> იხსენიებიან XVII საუკუნის დაწერილშიც. ოდესღაც ჩვიბიანში **ბეშიძეებსაც** უცხოვრიათ: „ამოწყდენ, კაცი არ დარჩნენ. ამჟამად აღარაინაა, გადაგვიშენდნენ.“ ამ გვარის სვანეთში მკვიდრობა („ბასილ ბეშაისძე“) დოკუმენტურადაც დასტურდება. ის ღვთისმსობლის ხატის კტიტორი ყოფილა. ჟიბიანში ოდასღაც **მუშკუდიანებს, სომელიანებსა და დაბღელიანებსაც** უცხოვრიათ. პირველი გვარი თუ აქედან გადასახლებულა, მეორე და მესამე ამოწყვეტილა. მუშკუდიანები XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატთანეში არიან დასხელებილი. <sup>61</sup> „აღმართ მუშკუდიანი“ XIV საუკუნის ერთ-ერთი დაწერილის დამწერი და მოწმეა. <sup>62</sup> გამქრალ გვარებს შორის ასახელებენ აგრეთვე **ალალიანებსა და ყულანებს**. აქ ყველა გვარს თავისი სალოცავი ეკლესია ჰქონია. ხაჭვანების სალოცავი ეკლესია **უფალი**, იგივე **მაცხოვარია**, რატიანებისა – **წმინდა გიორგი**, ჩვიბიანის ეკლესიის „ფუსდის“ „ყმანი“ ასათიანები ყოფილან. ეთნოგრაფიული მასალებით, „ფუსდის ასათიანები განაგებდნენ, ახლა ჩარკვიანები განაგებენ.“ ჩაჟაშის მაცხოვარი ნიჟარაძეების სალოცავი ყოფილა, მურყმერის მაცხოვარი და წმინდა ბარბარეს ეკლესიები – ჭელიძეების. ნიჟარაძეები შემდეგ სამხუბებად იყოფოდნენ: „ქალდანიშა“, „ლომიშა“, „კაბეშა“, „სუთმაშიშა“, „მარშანიშა“, „გაუშა“, „ნაგვაშა“.

<sup>59</sup> ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937, გვ. 229.

<sup>60</sup> პ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 123, 124, 125.

<sup>61</sup> პ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 141.

<sup>62</sup> სწმ, I, გვ. 229.

რატიანების სამხუბები: „ბატაშა“, „შალვაშა“, „გოგიჩუშა“. რატიანების მეოთხე სამხუბი „კოტიტშა“ დღეს უშგულში აღარ დასტურდება. ნიჟარაძეების გვარი ექვსი სამხუბისაგან შედგებოდა; ესენია: *მარშანშა, აუგულარი, ქუჩეშა, თაძუშა, გაუშა და ქალღანშა.*

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ უშგულის ტერიტორიული თემის სოფელ მურყმერში **კაკრიაშვილები** რაჭიდან არიან გადმოსახლებული „თამარის დროს“. რადგანაც კაკრიაშვილები რაჭაშიც მკვიდრობენ, ამკარაა, რომ ეს გვარი მათმა წინაპარმა რაჭიდან მოიყოლა. სვანეთის შესახებ გაგვაჩინია ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ქუთაისის საისტორიო არქივშია დაცული, რომელიც შედგენილია ბლალორინის თანაშემწის მღვდელ *ილარიონ გერსამიას* მიერ 1872 წელს, საარქივო საბუთში შეყვანილი არიან პირები, რომლებიც „შთაუწერელნი“ იყვნენ და „მეტრიკაში არ სჩანდნენ“. დოკუმენტში ოჯახის უფროსები არიან დაფიქსირებული. უშგულის სამრევლოში ასეთი სულ 51 სული ყოფილა. საბუთში გვხვდება შვიდი კომლი ნიჟარაძე, ოთხი კომლი – ჭელიძე, თითო კომლი – **მალღანი** და „ხაჭუანი“. აღსანიშნავია, რომ საეკლესიო საბუთში გვხვდება ორი კომლი **სიმძერიანი**, რომლებიც სხვა არცერთ დოკუმენტში დაფიქსირებული არ არიან: „*ნასყიდა სიმძიმერიანის ასული მარიაშ*“ და „*მოსე სიმძიმერიანის ასული ანტონ*“. ეთნოგრაფიული მასალით, სიმძიმერიანები იგივე კაკრიაშვილები არიან. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე კაკრიაშვილების ადრინდელი გვარი სიმძიმერიანი ყოფილა. რა ახსნა უნდა მიეცეს იმ ეთნოგრაფიულ მასალას, რომლის მიხედვითაც 1782 წლის საბუთში მოხსენიებული **სიმძერიაწები** იგივე კაკრიაშვილები არიან? საქართველოში იყო დაუწერელი კანონი სოფელში ახლად მოსული ადამიანი, თუ ის ამოვარდნილი/ამოწყვეტილი გვარის/ოჯახის მამულზე, სახლ-კარზე სახლდებოდა, ამ ამოვარდნილის გვარს იღებდა. ჩვენი აზრით, კაკრიაშვილ-სიმძერიაწებთან დაკავშირებით სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე – ტრადიციის ძალით რაჭიდან

მიგრირებულმა კაკრიაშვილმა ამოვარდნილი ოჯახის **სიმპერია-ნის** გვარი მიიღო, მაგრამ მათ მაინც არ დაივიწყეს წინაპართა ძველი გვარი და ორი გვარის მატარებელნი შეიქმნენ. ეთნოგრაფიული მასალებით **კაკრიაშვილ-სიმპერიანები** მურყმერის მაცხოვრის „მეკლიტულები“ („ხატის ყმანი“) ყოფილან. მაცხოვრობას კაკრიაშვილებს გარდა, ზეიმობდენ ღვაჩლიანები და ჩარქსელიანები. ისინიც ამ სალოცავის „მოკლიტულები“ ყოფილან. კაკრიაშვილების გვარი რამდენიმე სამხუბისაგან არ შედგებოდა. გვარის სამხუბს „კაკიშას“ უწოდებდნენ. მურყმერში, კაკრიაშვილების გარდა, უცხოვრიათ **ვაჩლიანებს, ჩარქსელიანებს და ჭველიძეებს**. „ბარბარეს კლიტე ჭველიძეებს ჰქონდათ, მაცხოვრისა – კაკრიაშვილებს.“ ჩვიბიანში, სადაც ნიჟარაძეებს, ჩარკვიანებსა და ჩარქსელიანებს უცხოვრიათ, ფუსდის ეკლესიის გასაღები ჩარკვიანებს ჰქონიათ. ჟიბიანში ბეშიძეებთან ერთად **გაგნიძეებსაც** უცხოვრიათ. ისინი აქედან გადასახლებულან.

მდინარე ენგურის გარდა, უშგულში მეორე მდინარეც (ქვიშარი) ჩამოდის. ბ. ნიჟარაძე აღნიშნავდა, რომ „ერთი მეორესთან შედარებით უშგულს სათიბი და სამწყემსური ადგილები ექვსჯერ მეტი ექნება, მინამ სახნავ-სათესი და ოთხჯერ მეტი – მინამ ტყეები. სახნავი მიწა არ ჰყოფნის ხალხს; არიან ისეთი მოსახლენი, რომლებსაც 4 დღიურზე მეტი სახნავი ადგილი არა აქვს. ამ ადგილის სიმცირესთან ნიადაგიც მწირი და გონია; საჭიროა ყოველ მესამე წელიწადს მოსახლემ ყანას პატივი დააყაროს, თუ არა და ძაბუნი მოსავალი მოუვა და ზოგჯერ სულ არაფერს მისცემს ყანა“<sup>63</sup>. ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანე, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ არახელსაყრელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდათ უშგულელებს ცხოვრება.

ბ. ნიჟარაძეც უშგულს თავისი სამოცდაერთი მეკომურით ქალაქს ადარებდა. მის დროს (XIX საუკუნის 70-იან წლებში)

---

<sup>63</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 64.

აქ 100 ქვითკირის სახლი ყოფილა, რომელთაგან „39 უკაცურად ღვას“<sup>64</sup>. უშგული კომპეების სიმრავლითაც გამოირჩეოდა („59 კოხტა, მაღალი, წვრილი და შელესილ-შეფეთქილი კომპი ღვას“). ამავე დროს, უშგულში 7 ეკლესიაც ყოფილა. უშგული, რომელიც ენგურის ხეობის სულ სათავეში მდებარეობს, ტერიტორიით უფრო ახლოსაა რაჭასთან და ქვემო სვანეთთან, ვიდრე ენგურის ხეობის სვანეთის ზოგიერთ სოფელთან. უშგული საძოვრებით იმდენად მდიდარი იყო, რომ „აქ ჰგზავნიდნენ სასუქად პირუტყვს აგრეთვე შორეული სოფლები თავისუფალი სვანეთისა“, უშგულის მწყემსებს აბარებდნენ შემოდგომამდე და შემდეგ მიჰყავდათ დასაკლავად“<sup>65</sup>. ეს უშგულელთა დამატებითი შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო.

უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიასთან პატარა გორაა, რომელსაც ხალხი „სავიარე-ლაშთხვალ“-ს უწოდებს, ე. ი. სავიარების სამარხ ადგილს. გადმოცემით, ერთხელ სავიარები ღვთისმშობლის გასამარცხავად მოსულან. ეს ღვთისმშობელს სწყენია, და ურწმუნო სავიარებისათვის თვალთახილვა წაუთმევია; მეორე დღეს უშგულელებს დაბრმავებული მძარცველები უნახავთ. როცა მათი განზრახვა შეუტყვიათ, დაუხოცავთ და იქვე დაუმარხავთ.<sup>66</sup> ხალხი არც შინაურ დამნაშავეებს ინლობდა. აქვე, სასოფლო ყრილობის გადაწყვეტილებით, ორი ძმა რატიანი ეკლესიიდან გამოტანილი შუბით გამოუფატრავთ, რადგან მათ ღვთისმშობლის ეკლესიიდან ხატი მოუპარავთ.

უშგულის თემში ცენა-ღვეშემარიდან ყოფილა გადმოსახლებული სუმაიშა ჩარკვიანი, რომლის უწინდელი გვარი ჩუბრუკიანი ყოფილა (სუმაიშა გვარის დანაყოფის, „სამხუბის“ სახელია). ცენა-ღვეშემარუდან ყოფილან აგრეთვე განსახლებულნი „თამარშა – გვარად ივჩიანი“ ლატალის თემის სოფელ ლეშუქს, „გაბიშა-ჩართოლანი“ – მესტიის თემში, „ყულანი“ –

<sup>64</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 66.

<sup>65</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 10.

<sup>66</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 11.

თავისუფალ სვანეთში და „მამიშა-ჯანხოთელი“ – ლაშხეთის საზოგადოებაში<sup>67</sup>.

„გვარის“ აღსანიშნავად სვანეთში სიტყვა „თემს“ იყენებდნენ. ბ. ნიჟარაძეც წერდა: „თემი იყო ერთი გვარეულობა, შთამომავლობა საერთო წინაპრისა. ერთი გვარეულობის წევრნი ყოველ ადგილს, მხარეს და ყოველ დროს, რა გინდ ძლიერაც გამრავლებულიყვნენ, იცავდნენ, ინახავდნენ ურთიერთშორის მჭიდრო კავშირს. მაგალითებრ: სადადიანო სვანეთში ლაშხეთის საზოგადოებაში რვა სოფელში ერთი მეორეში დაშორებულებში სცხოვრობს ერთი გვარეულობა – „ონიანი“ 60 კომლამდე. ეგენი ერთმანეთს ისე სახავეენ, თითქო ძლიერ ახლო მონათესავენი იყვნენ, თუმცა მათი ერთი მოერესაგან დაშორება შორს წარსულს ეკუთვნის. ონიანების თემი ჭირსა და ლხინში განუყრელნი არიან. ლაშხეთელი ჭელიძე ისე ესტუმრება უშგულელს (თავისუფალ სვანეთში) თავის მეგვარეს, თითქო მათი წინაპრები ახლო განაყოფი იყვნენ. უშგულელი მუშკუდიანი რომ ლახამულას (სადღეღმექელიანო სვანეთის უკნასკნელი საზოგადოება) მოვა, უთუოდ მეგვარეს კითხულობს და ნახვის შემდეგ, თუმცა ივინი პირველად ხედავენ ერთმანეთს, ლახამულელი მუშკუდიანი ისე მიიღებს მას, როგორც ნამდვილს ახლო ნათესავს. მულახელი (თავისუფალ სვანეთში) ჯაჭვლიანი აგრეთვე მიღებულია თავის მეგვარესთან ს. ცხომარში (სადაღმექელიანო სვანეთში).“ ნათესაური ურთიერთობები, ერთი გვარის ადამიანების ერთმანეთისადმი პატივისცემა, ჭირსა თუ ლხინში გვერდში მოდგომა ტრადიციულია, საერთოდ, ქართველი ხალხისათვის, მაგრამ საქართველოს მთაში ის უფრო გამოკვეთილი იყო. რაც შეეხება გვარის აღმნიშვნელ სვანურ სიტყვას „თემი“, ცხადია, ის შემოსულია ბერძნულიდან საკმაოდ დიდი ხნის წინ, ალბათ, იმ დროს, როდესაც ერთი გვარი მართლაც ერთი თემი იყო. ცნობილია, რომ არც ქართული სიტყვა „გვარია“ ადგი-

---

<sup>67</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 22.



ლობრივი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრება ამ სიტყვის „გორასთან“ დაკავშირებისა, მაინც, ცხადია, რომ ენათმეცნიერთა მოსაზრების თანახმად, ის ირანული ენიდანაა შემოსული. გვარის აღმნიშვნელმა თავდაპირველმა ქართულმა სიტყვამ „სახლმა“ კი ღრთთა განმავლობაში შინაარსი შეიცვალა.

უშგული მრავალმხრივია საყურადღებო. მაგალითად, აქ არის ტოპონიმი „თუშრე ნამზიგვ“, რომელიც აქ თუშების მოსახლეობის შესახებ მიუთითებს. თქმულება საინტერესოა. გასარკვევია, თუ როდის უნდა გაჩენილიყო აქ თუშური მოსახლეობა? გამოთქმულია მოსაზრება, რომ „უშგულის მდებარეობა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე, სადაც თავს იყრიდა მრავალი გადასავალი, სრულიად ბუნებრივად ხდის მოსაზრებას, რომ როგორც „თამარის ციხე“, ისე არასვანური ტიპის კომპები აშენებულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელმაც შესაძლებელია მართლაც საჭიროდ მიიჩნია ამ ციხეში თუშური გარნიზონის ჩაყენება“<sup>68</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ის მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომ „უშგული გვაძლევს ციხე-სახლის სვანეთისათვის ყველაზე დასრულებულსა და ტიპიურ ფორმას“<sup>69</sup>. ამასთანავე აქ ორი სხვადასხვა ტიპის კომპია დაფიქსირებული. ერთი, რომელიც სვანური მურყვამის ძირითადი ნიშნებით ხასიათდება და მეორე ტიპის კომპი მისგან განსხვავებულია, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშეთი, ხევსურეთი) გავრცელებულ კომპებს უახლოვდება<sup>70</sup>.

უშგულის ყველა ძველ სახლს (ციხე-სახლების გარდა), როგორც წესი, თავისი კომპი გააჩნდა და ამასთანავე უშგულს ჰქონდა საერთო თავდაცვითი ნაგებობაც, რომელიც ბალსხემო სვანეთს არცერთ სხვა თემს (ხევს) არ ჰქონდა.

ზემოთ ითქვა, რომ უშგული ეკლესიების სიმრავლით გა-

---

<sup>68</sup>რ. ხარაძე, *აღ. რობაქიძე*. სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 35

<sup>69</sup>რ. ხარაძე, *აღ. რობაქიძე*. სვანეთის... თბ., 1964, გვ. 40.

<sup>70</sup>რ. ხარაძე, *აღ. რობაქიძე*. სვანეთის... თბ., 1964, გვ. 41.

მოიჩევა. სოფელ ჟიბიანში სამი ეკლესიაა. ყველაზე დიდი ღვთისმშობლის სახელობისაა. ამ სოფლის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის წარწერაში მოხსენიებულია სოფელი ცენა, რომელიც უღელტეხილზე ცხენისწყლის მხარეს მდებარეობს. ცენაში ე. თაყაიშვილის დროს, XX საუკუნის დასაწყისში ექვსი ოჯახი ცხოვრობდა. საინტერესოა მაცხოვრის ხატის წერწარა: „წმინდაო მაცხოვარო, მეოხ ექმენ მარუშიანსა და ძესა მისსა.“ ე. თაყაიშვილის აზრით, ეს უნდა იყოს მარუშიან ვარდანის ძე რომელსაც თამარ მეფემ ჩუხჩარახობა უბოძა<sup>71</sup>. ამჯერად, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ საქართველოს გაერთიანების პერიოდისთვის ცნობილი საგვარეულო მარუშიანებისა წარმოშობით, როგორც ჩანს, სვანეთიდან იყო. წარწერების მიხედვით, უშგულის დედა ღვთისმშობლისათვის სხვა ქართულ ფეოდალურ გვარებსაც (სახლებსაც) შეუწირავთ. მაგალითად, კათხა შეუწირავს *ერისთავ შოშიტს*, რომელიც უეჭველად რაჭის ერისთავი შოშიტა უნდა იყოს, ვერცხლის თასი – იმერეთის თავადს *როსტომ ღოღობერიძეს*, ვერცხლის სურა – რაჭის თავად *მერაბ წულუკიძეს* (XVIII ს.), ვერცხლის ჯვარი – *ბეჟან ლორთქიფანიძეს*. ლორთქიფანიძეთა მიერ სვანური სალოცავისადმი ძვირფასი საეკლესიო ნივთის შეწირვა შემთხვევითი მოვლენა არ უნდა იყოს. საერთოდ, ლორთქიფანიძეთა გვარი პირველად იხსენიება XIV-XV საუკუნეების სვანურ დაწერილში: „დავწერეთ დაწერილი ესე ჩვენ, ლორთქიფანიძეთა გიორგი და დემეტრე და ჩვენ ჳალდეშელთა ერთობილთა, მას ჟამსა, ოდეს წერემელთა ხატი გარდმოვასვენეთ ჩვენ ერთობილთა. აწ, რაიცა საქმე მოხდეს, აწ ჩვენ, ლორთქიფანიძეთა და ჩვენთა – ჳილდეშელთა შორის, არცა ვისი ხატი ჩამოვასვენოთ, არცა ვისად სავედროდ გავჳადოთ ჳალდეში“<sup>72</sup>. ამ საბუთში გვარსახელი „ლოთქიფანიძის“ ფორმითაა ჩაწერილი. ჩვენი აზრით, ეს დოკუმენტი ლორთქიფანიძეების სვანურ წარმოშავ-

<sup>71</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 135.

<sup>72</sup>სწმ, I, გვ. 219.

ლობაზე მიუთითებს. მათ ქართული ტრადიციით წინაპართა ხატი ახალ საცხოვრისში გადააქვთ. გვარსახელი შეიცავს ორ სუფიქსს (-ან+-ძე). ისინი თავდაპირველად ატარებდნენ „ლოთქიფანის“ („ლორთქიფანის“) გვარს. ბარში გადასახლებისა და სოციალური აღზევების შემდეგ გვარსახელს დაემატა -ძე სუფიქსი.

უშგულის დედა ღვთისმშობლისათვის ვერცხლის თასის შემწირველთა შორის დასახელებულია „*სენია მეიფარიანიც*.“ გვიან პერიოდში არც მეიფარიანები იყვნენ არა მარტო უშგულის თემის, არამედ, საერთოდ, სვანეთის მცხოვრებნი. **მეიფარიანები** ლეჩხუმის სოფელ ორბელში მკვიდრობენ. გადმოცემით, ისინი სვანეთიდან არიან გადმოსახლებულნი. მეიფარიანების გვარი სვანეთიდან ლეჩხუმში საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩანს გადმოსახლებული. XVI საუკუნის საბუთში კვითხულობთ: „მართებს მეიფარიანს...“ მეიფარიანების გვარი, ოღონდ მუიფარიანის ფორმით („ვანახი მუიფარიანი“) მოხსენიებულია სვანეთის XIII საუკუნის სულთა მატიანეში სოფელ ეცერში<sup>73</sup>.

უშგულის სოფელ ჩვიბიანში ქვის პატარა ეკლესია იყო. რაც შეეხება ჩაჟაშს, აქ ორი ეკლესიაა და ერთი, წმინდა გიორგის სახელობისა, თამარ მეფის სახელობის ციხეში იყო<sup>74</sup>, მეორე კი მაცხოვრის სახელობისა იყო. მაცხოვრის ხატის XII-XIII საუკუნეების წარწერაში კვითხულობთ: „*წახანელიძე ვახტაგ და მისი მეუღლე ზუაშაქი*.“ ასეთი გვარსახელი სვანეთში დადასტურებული არაა. ხატი აქ, ალბათ, ბარიდან უნდა იყოს შემოტანილი. გვარსახელი ორი სუფიქსითაა (-ელ+-ძე) ნაწარმოები და ტოპონიმ **წახანს** უკავშირდება. ასეთი ტოპონიმი (სოფლის სახელი) - წახანი სამცხე-ჯავახეთში იყო. გვარსახელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამ სოფელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამავე ეკლესიის ჯვარზე ასეთი წარწერაა: „ნასრეთის ღმრთისმშობელო შეეწირე იოანეს და მეუღლესა მისსა თაბასა

<sup>73</sup>კ. ინვოროცვა. სსმ, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., გვ. 140.

<sup>74</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 151.

და ძეთა მისთა“<sup>75</sup>.

სოფელ მურყემერში ორი ეკლესიაა: „მაცხოვარი“ და „წმიდა ბარბარე.“ XII-XIII საუკუნეების გარდმოსხნის ხატის წარწერაში ვკითხულობთ: „ქრისტე ღმერთო, მომიკსენე, მკსნელო, სასუფეველსა შენსა მე, *ლოძინაძე ქველი* და მეუღლე ჩემი *რუსუდან* და შვილნი ჩემნი *ვახტანგ* და ძმანი მისნი“<sup>76</sup>. აშკარაა, რომ ეს ხატიც სვანეთში დასავლეთ საქართველოს ბარიდანაა მოხვედრილი.

უშგულის თემში არაერთი გადმოცემაა ჩაწერილი სვანთა ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ. ცნობილია, რომ საქართველოს მთაში ჩაწერილი ასეთი გადმოცემები უმეტეს შემთხვევაში ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. მაგალითად, ბევრ თავადს უცდია უშგულებლთა დამორჩილება, მაგრამ ამოდ. პირიქით, უშგულებებს ისე ჰქონდათ საქმე დაყენებული, რომ „ცხენოსანს თავადსა და აზნაურს სოფელზე არ გაატარებდა.“ ასეთი ამბის მომსწრენი დღესაც მოიპოვებიან უშგულში. რომელსამე თავადიშვილს რომ უშგულში მოსვლა სდომებოდა, ცხენი სამი ვერსის სიშორეზე უნდა დაეტოვებინა სოფლიდამ და თვითონ ფეხით შემოსულიყო“<sup>77</sup>. თავადმა დადეშქელიანებმა ბალსეზმო სვანეთი რომ ვერ ჩაიგდეს ხელში, ამას უშგულებები თავიანთ დამსახურებადაც მიიჩნევდნენ. მართალია, ლატალის თემი, რომელიც სადადეშქელიანო სვანეთს ესაზღვრებოდა, ფხიზლად იდგა, რათა ეს უკანასკნელნი თავისუფალ სვანეთში არ შემოეშვათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს რამდენჯერმე მაინც მომხდარა. „ფუთა დადეშქელიანმა, რომელიც ეხლანდელს დადეშქელიანების წინაპარი იყო, მთელს სვანეთში გაიკვლია გზა და ბოლოს უშგულს მიაღწია და მოინდომა იმისი დამორჩილება. ეს განზრახვა ფუთას ძვირად დაუჯდა; უშგულებებმა მოჰკლეს ეს გამბედავი კაცი. ამ გვარიდამ უშგულს მოუკლავს კი-

<sup>75</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 158.

<sup>76</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 174.

<sup>77</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 74.

დეკ ყვარყვარე. ასე გვეუბნება ხალხის გარდმოცემა და დღემდე უშგულში დარჩენილი ამის შესახებ საერო სიმღერა<sup>78</sup>. ფუთა დადემქელიანის მოკვლის დროს უშგულში სტუმრად „ექვსი **დვალეთელი** იყო. ამათ ჰქონდათ უჩახმახო თოფი. სვანეთში მაშინ თოფი არ იყო და მთელი სოფელი ამ უჩახმახო თოფს სინჯავდა და ეკითხებოდა დვალეთელებს, ეეხსნათ თოფის ხმარება. დვალეთელებმა თოფი გასტენეს და სთქვეს: თუ ფუთას მოკვლა გინდათ, ამ თოფით მოკლავთ“<sup>79</sup>. იმ სოციალურ ბრძოლასთან ერთად, რომელიც ამ გამოცემაშია დაცული, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ სვანებს ახსოვდათ საქართველოს სხვა მხარის – დვალეთისა და მისი მცხოვრებლების – დვალეების შესახებ და რომ ეს ურთიერთობა, როგორც ჩანს, ხშირი იყო. საყურადღებოა, რომ სვანებისათვის (უშგულელებისათვის) ცნობილი ყოფილა აგრეთვე „დვალეთური“ დანა.

### კალის თემი

ბალსზემო სვანეთის შემდეგი თემი **კალის თემი** იყო, რომელიც ასევე რამდენიმე სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. კალის თემის ექვსი სოფლისაგან შედგებოდა: **ვინჩაში, ხე, ლალხორი** (ლაიხორი), **დავბერი, იფრარი** (იფრალი) და **ხალდე**<sup>80</sup>. ალ. ჩარკვიანს კალის თემის კიდევ ორი სოფელი აქვს დასახელებული: **მუკვდარი** და **აგრაი**. 1886 წლის საოჯახო სიების მონაცემებით, კალის სასოფლო საზოგადოებაში სულ 64 კომლი, 425 სული ცხოვრობდა. საშუალოდ კალის თემში ერთ კომლში 6,65 სული იყო. სოფელ ვინჩაშში 16 კომლი (120 სული) ცხოვრობდა, იფრარში – 23 ოჯახი (136 სული), დავბერში – 15 ოჯახი (89 სული), ლალხორში – 8 ოჯახი (55 სული), ხეში – 2 კომლი (25 სული). რაც შეეხება ხალდეს, ის რუსის ჯარმა 1876 წელს განადგურა, მოსახლეობა ამოწყ-

<sup>78</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 74-75.

<sup>79</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 76.

<sup>80</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 178.

ვიტა და, ფაქტობრივად, მას შემდეგ სოფელი მოსახლეობის გარეშე დარჩა.

1940 წლის საარქივო მონაცემებით, კალის თემის სოფელ ვიჩნაშში 23 კომლი **ხარძიანი** მკვიდრობდა. ხარძიანები სოფელ ხე-ამრაის მკვიდრებიც იყვნენ (10 ოჯახი). ეს გვარი ერთ-ერთი ძველი სვანური გვარია. ის არაერთხელაა მოხსენიებული XIV-XV საუკუნეების სვანურ საბუთებში. ამ დროით დათარიღებული დაწერილით *შერგილ ჯარძიანს* და მის ძმის შვილებს – *ყივანს, ვაგანს* და *ლოდილს* – კალის ჰევისათვის დაწერილი მიურთმევიათ, რის თანახმადაც ისინი კალის ხევში/თემში შესულან: „...ოდეს ერთმანერთისა ნლობითა ერთობა და მოკეთეობა მოგვინდა და გავართედ ჩვენი საქმე კარგი და ჰავი.“<sup>81</sup> შემონახულია XV-XVI საუკუნეებით დათარიღებული ქაუ ხარზიანის მოსახსენებელი, რომელშიც მისი ოჯახის 17 წევრია დასახელებული.<sup>82</sup> ეთნოგრაფიული მასალა ხარძიანების შესახებ: „ხარძიანები ვართ კალის უძველესი მკვიდრი. ჩვენი გვარის სოფელია ვიჩნაში. აქედან არიან სხვაგან გადასული. აქ, ვიჩნაში მხოლოდ ხარძიანები ვართ. წარმომავლობა ჩვენი გვარისა მოდის ხაზუდან. ხაზუ ჩვენი გვარის წინაპარი იყო. აფხაზეთის სვანეთში ხარზიანები ვართ. **ჩვენი განაყრები არიან არზიანები სამეგრელოში**. დიდი ხნის ამბავია მაგათ გადასახლება. გვარიდან გასვლა კაცის მოკვლასთანაა დაკავშირებული. ამიტომ შეიცვალა ადგილი. ლეჩხუმში **სვანიძეებიც** აქედან არიან გადასახლებული, ჩვენი გვარისანი იყვნენ. ხარძიანები ვიყოფით სამხუბებად; ესენია: „ბატუმა“, „ბოთომა“, „ფუთამა“, „გეგილუმა“, „ხაიმა“, „ხვამა“, „ბადიმა“, „ბექიმა“ (უჩა ევგენის ძე ხარძიანი, 75 წლის, 2003 წ.). იგივე მთხრობელი კალის ძველ მკვიდრთა შორის ასახელებს: **ფანგანებს, დაღვანებს, გასვიანებს, ჩეგიანებს, ჩოფლიანებს, გულბანებს, პირველებს**. თუშცა, როგორც ირკვევა, გულბანები და პირველები იფარიდან არიან

<sup>81</sup>სწმ, I, გვ. 226.

<sup>82</sup>სწმ, I, გვ. 306.

გადმოსულები. ხარძიანებს, ფანგანებს და გულბანებს საერთო სალოცავი ჰქონდათ სოფელ ხეში, წმინდა ბარბარეს ეკლესია. „ამ სამი გვარის სასაფლაოც აქაა.“ სოფელ ხე-ამრაიში 1940 წელს 9 ოჯახი **გულბანი** ცხოვრობდა. ერთი კომლი გულბანი ლალხორის მკვიდრიც იყო (გულბანები და გულბიანები ქვემო სვანეთშიც ცხოვრობდნენ). XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატეანეში მოხსენიებულია „ადაშელ გულუბიანი“<sup>83</sup>. ეს გულუბიანი გულბანების (გულბიანების) წინაპარი უნდა იყოს. სოფელ ხე-ამრაიში **ფანგანისა** და **ჩეგემიანის** თითო ოჯახი ცხოვრობდა. ჩეგემიანები/ჩეგეიანები ხალდესა (4 კომლი) და იფრალშიც (1 კომლი) იყვნენ. 1940 წელს ხალდეში **გასვიანების** ცხრა კომლი და **ჯოხაძეების** სამი კომლი მკვიდრობდა. ხალდეს მცხოვრებნი იყვნენ აგრეთვე **ქორჩიანები** და **ჩოფლიანები**. სვანურ საისტორიო საბუთებში ჯოხაძეების წინაპრები **ჯოხიანებად** არიან ჩაწერილი. მაგალითად, სოფელ ცხმარეთში მოხსენიებულნი არიან „ფურთუხ ჯოხიანი. მისი ძმა სარგისი“<sup>84</sup>; აგრეთვე: „გ-ჯოხიანი“, „ბენდანი ჯოხიანი“, „გამრეკელი ჯოხიანი“<sup>85</sup>; „კ-კე ჯოხიანი“, „მრ-მ ჯოხიანი“<sup>86</sup>. რაც შეეხება გასვიანებს, მათი გვარიც განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტით იყო წარმოდგენილი – XIV საუკუნის პირველი ნახევრის დაწერილში დაფიქსირებული „გასვანი.“<sup>87</sup> კალის თემის სოფელ ლალხორში 11 კომლი **მარგველანი** ცხოვრობდა. მარგველანებთან ერთად ამ სოფელში **გამყრელიძეების** 5 კომლიც მკვიდრობდა. ისინი რაჭიდან ყოფილან გადმოსახლებული. მარგველანები დავბერის (დაუბერის) – 6 კომლი და იფრალის (9 ოჯახი) მკვიდრებიც იყვნენ. მარგველანებთან ერთად დაუბერში დადვანების ორ ოჯახსაც უცხოვრია. მარგველანები პირველად

---

<sup>83</sup>კ. ინგლორევა. სსმ, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., გვ. 151.

<sup>84</sup>კ. ინგლორევა. სსმ, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., გვ. 143.

<sup>85</sup>კ. ინგლორევა. სსმ, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., გვ. 144.

<sup>86</sup>კ. ინგლორევა. სსმ, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., გვ. 147.

<sup>87</sup>სწმ, I, გვ. 168.

XIV საუკუნის პირველი ნახევრის საბუთში არიან მოხსენიებულნი – „მარგველიანი ფარცმან“, „მარგველიანი ფაცა“.<sup>88</sup> გადმოცემით, *მარგველიანების წინაპარი კალაში ჩრდილოეთ კავკასიიდან, დღევანდელი ყარაჩაის ტერიტორიიდან, გადმოსახლებულა. ჩრდილოეთ კავკასიიდან სამი ძმა გადმოსულა: უფროსისაგან ჩხვიმიანები წარმომავლობენ, შუათანასაგან – ხერგიანები და უმცროსისაგან – მარგველიანები.* თავდაპირველად სამივე თავრალში დასახლებულა. შემდეგ კი ხერგიანები და მარგველიანები მესტიისში გადასულან. ბოლოს მარგველიანი კალაში დაფუძნებულა. ფრიად საყურადღებოა, რომ მარგველიანთა გვარის სამხუბები და ხერგიანთა გვარის სამხუბები ერთი და იმავე სახელწოდებისაა: „მაითუმა“, „ბექაიმა“, „მქელმა“, „ბესილუმა“, „თათმა“. მარგველიანები მონათესავე ხერგიანებსა და ჩხვიმიანებზე დღესაც არ ქორწინდებიან. კალელი მარგიანების საგვარეულო სალოცავია „წმიდა გიორგი“. XIV საუკუნის პირველ ნახევარში მარგველიანები მესტიის მკვიდრები იყვნენ (ამ დროის დაწერილში მოწმედ მოხსენიებულია „მარგველიანი ფარცმან“<sup>89</sup>. XIII საუკუნეში კი ჩრდილოეთ კავკასიის დღევანდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე თურქულენოვანი მოსახლეობა ჯერ დასახლებული არ იყო. სოფელ ლალხორში 6 კომლი **დაღვანი** ცხოვრობდა. ამ გვარის ოთხი (4) კომლი სოფელ იფრალში იყო. დაღვანები XV საუკუნის II ნახევრისა XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში არიან დასახლებულნი. კალის საზოგადოების სოფელ იფრალში 1940 წელს **პირველების** 7 ოჯახი იყო აღრიცხული. ლალხორის მკვიდრი იყო **გამყრელიძეების** სამი ოჯახიც, რომლებიც, რა თქმა უნდა, რაჭიდან იყვნენ გადმოსახლებულნი.

კალაში, როგორც ჩანს, მოსახლეობის ცვლა მოხდა. მაგალითად, „სვანეთის კრების მატიანეში“ კალას თემში დასახლებული არიან **მეჯვარიანები, მუშკიდიანები, ხაზალიანები,**

---

<sup>88</sup>სწმ, I, გვ. 172, 188.

<sup>89</sup>სვანური ისტორიული საბუთები, I, გვ. 178.



კვირკველიანები, ღურმუთიანები, უბილიანები, აფაქიანები, ახშიანები, ადაიანები და ქარჩიანები. ჩამოთვლილი გვარებიდან დღეს სვანეთში მხოლოდ *მუშკუდლიანები* მკვიდრობენ. ზოგიერთი გვარი (*მეგვარიანი, ახშიანი*), ჩანს, საერთოდ ამოწყდა. რაც შეეხება *ხაზალიანებს, აფაქიანებს, კვირკველიანებს, ადაიანებს, ქარჩიანებს*, ისინი სამეგრელოში გადასახლებულან. დღეს სამეგრელოში მცხოვრები *ხაზალიები, აფაქიძეები (აფაქიები), კვირკველიები, ადანაიები, ქარჩავეები* ზემოთ დასახლებული გვარების შთამომავლები არიან. იგივე შეიძლება ითქვას *უბილიანების* შესახებ, რომლებიც დღეს *უბილავას* გვარს ატარებენ, თუმცა მათი ნაწილი სვანეთშიც დარჩენილა და გვარსახელს ფონეტიკურად სახე უცვლია (*უბილიანი*→*უბილიანი*).

კალის საზოგადოებაში ხალდე გამორჩეული სოფელი იყო, სადაც რუსებმა 1876 წელს დიდი ტრაგედია დაატრიალეს. სოფლის დანგრევამდე ხალდეში 19 მოსახლე ყოფილა<sup>90</sup>. „ყოველ მოსახლეს 1-2 ქვითკირის ორსართულიანი სახლი ედგა და ამდენივე კოშკი. ხალდეშლები ამაყნი, მარდი და ჯაფის ამტანი იყვნენ. ტანადობით, თამაშ-ლხინით, სიმღერა-ფერხულით მთელს სვანეთში ტოლი არ ჰყავდათ. მთელს სოფელში ხუთი გვარეულობა მოსახლეობდა: **გასვიანი, ჯოზაძე, ქორჩიანი, ჩეგანი** და **ჩოფლიანი**<sup>91</sup>. ქორჩიანები დღეს მულახში ცხოვრობენ, XX საუკუნის დასაწყისში კი დალში გადასახლებულან. ამ დროს ბევრი ხალდეშელი ლეჩხუმში გადასახლებულა. ჩეგანის გვარი ერთ-ერთი ძველი გვარია. ის მოხსენიებულია ხალდეს „ჯგრაგ ლიჩანემის“ ეკლესიის წარწერაში: „**ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩეგანი, ამენ.**“<sup>92</sup> წარწერა XI საუკუნითაა დათარიღებული. ამ ჩეგანთა ერთი ნაწილი შემდეგ რუჩეგანის/რუჩაგი-

<sup>90</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 193.

<sup>91</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 193.

<sup>92</sup>ვ. სილოგავა. ჩეგანთა//რუჩეგანთა გვარის ისტორიის ფურცლები. – სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011, გვ. 12.

ანის გვარს ატარებდა.<sup>93</sup> ჩევიანებს სოფელ ხალდეში 1876 წლისათვის სამი კომპი ჰკუთვნებია, როდესაც რუსეთის ხელი-სუფლებამ ისინი ზარბაზნებით დაანგრია.

სოფელ დავერის ოდნავ ქვემოთ, მთაზე კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესია იყო გაშენებული. მას სვანები *ლაგურკას* უწოდებენ. ე. თაყაიშვილის ცნობით, „კალის ეკლესია წარმოადგენს მთელი სვანეთის მთავარ სალოცავს. ეს სვანეთისათვის ის არის, რაც მთელი საბერძნეთისათვის დელფის ტაძარი იყო. ეს აერთიანებს სვანებს თემებად დაყოფილს ისე, როგორც დელფის ტაძარი აერთიანებდა სხვადასხვა ბერძენთა რესპუბლიკებს“<sup>94</sup>. მართალია სვანეთის ყველა თემს თავისი მთავარი სალოცავი ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ძლიერად კალის „ლაგურკა“ ანუ „წა კვირიკეს და ივლიტას“ ეკლესია მიჩნდათ. მასში დაცული ყოფილა ბიზანტიური ხელოვნების საუცხოო ხატი, რომელსაც ისინი „შალიანს“ უწოდებდნენ. ამიტომაც იყო, რომ დიდი ბოროტებისა და დანაშაულის ჩამდენს ამ ხატზე აფიცებდნენ. მაგალითი არ ყოფილა წინა დროში, რომ სვანს ფიცის დროს თავისი დანაშაული არ აელიარებინოს და არ გატეხილიყოს დანაშაულობაში“<sup>95</sup>. „სვანების წარმოდგენით, შალიანი სვანი იყო. ერთხელ იმერეთის მეფემ ასი სვანი გამოიწვია და მათ შეუკვეთა გეგუთის ველის მოთიბვა. შალიანმა მეფეს წინადადება მისცა, რომ ის მარტოდ მარტო მოთიბავდა ველს სწორედ ამ დროის განმავლობაში, რაც მან ას სვანს დაუნიშნა, მაგრამ გასამრჯელოდ შალიანისათვის ის ნივთი უნდა მიეცა, რასაც ის მოითხოვდა. მეფემ თანხმობა გამოუცხადა. შალიანი შეუდგა საქმეს და დანიშნულ დროზე შეასრულა იგი. გასამრჯელოდ გამოითხოვა ეს კალის ხატი. მეფემ პირობა აას-

---

<sup>93</sup>ე. სილოგავა. ჩევიანთა//რუჩევიანთა გვარის ისტორიის ფურცლები. – სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011, გვ. 8-21; რ. გუჯეჯიანი. ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიიდან (ჩევიანები, რუჩევიანები) – სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2011, გვ. 31-40.

<sup>94</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 178.

<sup>95</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 179.

რულა. შალიანმა ხატი გამოხვია ვაცის ტყავში და სვანეთში გამოემგზავრა. კალის თემის მცხოვრებლებმა გაიგეს, რომ შალიანს ასეთი ძვირფასი ნივთი მოაქვს, მონღოლმეს მისი წართმევა, დახვდნენ გზაში, მოკლეს შალიანი და ხატი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ არ იცოდნენ სად წაეღოთ, სად დაესვენებინათ. ამიტომაც შეუბეს უღელში ორი კურო; უღელზე ბოძი დააკრეს, ბოძზე ხატი დაამაგრეს და ისე გაუშვეს თავის ნებაზე კუროები. ხარებმა გადალახეს ენგურის მდინარე, შეუდგნენ აღმართს და გაჩერდნენ იმ მთის წვერზე, სადაც ეხლა წმინდა კვირიკეს ეკლესია არის. აქ ააშენეს მონასტერი სვანებმა და მას შემდეგ ინახება შალიანის ხატი<sup>96</sup>. საყურადღებოა, რომ სვანებს არაერთი სიმღერა და გალობა ჰქონდათ და ზოგიერთი ჰიმნი და სიმღერა მხოლოდ ამ ეკლესიისათვის იყო განკუთვნილი. სხვაგან მას არ გალობდნენ. სწორედ ლაგურკაში, წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესიასთან, დადო 2000 სვანმა ფიცი ხალდეს ტრაგედიის წინ. ამ დროს ეკლესიიდან გიორგი ფანგანს გამოუსვენებია მთელი სვანეთისათვის სათაყვანებელი შალიანის ხატი. მის წინაშე ყველამ ფიცი დადო, რომ საერო საქმეს არ უღალატებდა. ამის ნიშნად ორ კაცს ერთი ჯოხის ბოლოებისათვის მოუკიდა ხელი და მის თავზე აღმართული ხატის ქვეშ გაუვლიათ. სხვათა შორის, შალიანის გვარის არსებობა საისტორიო საბუთებითაც დასტურდება – XV-XVI საუკუნეების საბუთში მოხსენიებულია *მიქაელ შარლიანი* და XVII საუკუნის „წიგნი“ – *ზურაბი შარლიანი*<sup>97</sup>. ლოკუმენტებში მოხსენიებული „შარლიანები“ უდავოდ შალიანები არიან.

კალის ლაგურკა, მართალია, მთელი სვანეთის საერთო და გამაერთიანებელი სალოცავია, მაგრამ ის კალის თემის საერთო სალოცავიც იყო. ამ სალოცავში ძირითადად თიკანს წირავდნენ. ხოლო მთელი კალა ერთ ხარს (რომელიც საერთო თანხით

<sup>96</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 189.

<sup>97</sup>სწმ, I, გვ. 202, 214.

ჰქონდათ ნაყიდი) წირავდა კვირიკეს. „კალის მოსამსახურეს მეგნეს ვეძახდით. მეგნედ მორიგეობით დგებოდნენ. დღეობის დამთავრების შემდეგ სხვას გადააბარებდნენ. მეგნეს საკლავი უნდა დაეკლა, თადარიგი დაეჭირა. საჭმელ-სასმელი მათი ხელიდან კეთდებოდა. ცუდი გზებია, წყალი ასაზიდი იყო. ორ-სამ ოჯახს უწევდა მორიგეობა. არაყიც (რახი) ქერის, პურისა ან ჭვავისაგან მეგნეებს უნდა გამოეხადათ.“ წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესიას ყანებიც ქონია. ყანებს, რომლებსაც კვირიკეს მიწებს უწოდებდნენ, ასევე მორიგეობით უვლიდნენ. საერთოდ საეკლესიო მიწები სვანეთში თითქმის ყველგან ყოფილა. ეთნოგრაფიული მონაცემებით *კალის ყანების მიწებზე ადრე გელოვანებს უცხოვრიათ. გელოვანების წასვლის შემდეგ ეს ყანები ეკლესიის (ანუ თემის) საკუთრებაში გადასულა.*

#### იფარის თემი

შემდეგი თემი იფარის თემი იყო. იფარის თემში შემდეგი სოფლები შედის: **ნაკიფარი** (1886 წლის საოჯახო სიებში დასახელებული არაა), **ზეგანი**, **ბოგრეში**, **იფარი**, **წვირმი**, **ადიში**, **იელი**. ე. თაყაიშვილის მიხედვით, „წინათ წვირმი და ადიში ცალკე თემებს შეადგენდნენ.“ ცალ-ცალკე ასახელებს ადიშისა და წვირმის თემებს ალ. ჩარკვიანიც. ადიშის თემში თუ მხოლოდ ერთი სოფელი იყო, წვირმის თემში 6 სოფელი (ტვიბერი, ზაგარი, ლამოლდი, ჩიბანი, სვიფი და ნესგაუბანი) შედიოდა. ცალკე თემად გამოყოფს ალ. ჩარკვიანი იელის თემს (სოფლები: ნესგაუბანი, ასკარდი, აცი). 1886 წლის საოჯახო სიებით იფარის სასოფლო საზოგადოებაში 133 კომლი (1023 სული) ცხოვრობდა, რაც კომლში საშუალოდ 7,7 სულს უდრის. ყველაზე დიდი სოფელი იყო წვირმი, რომელშიც 38 კომლი (265 სული) მკვიდრობდა; იფარში 32 კომლი იყო (242 სული), ზეგანში – 24 კომლი (169 სული), ადიშში 13 კომლი (134 სული), იელში – 14 კომლი (142 სული), ბუგრეშში – 12 კომლი (77 სული).

1940 წლის მონაცემებით, იფარის საზოგადოების სოფელ ზეგანში **პირველების** 25 ოჯახი ცხოვრობდა; ოცი კომლი პირ-

ველი სოფელ ნაკიფარში მკვიდრობდა. იფარის საზოგადოებაში თავისი სიმრავლით გამოირჩეოდა **გულბანების** გვარი (ზეგანში 28 კომლი, ნაკიფარში – 20 კომლი). როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, XIII საუკუნეში მათი წინაპრები **გულუბიანებად** არიან მოხსენიებულნი. ამ თემის მკვიდრნი იყვნენ **ხვისტანებიც** (ზეგანში 20 ოჯახი). 1940 წელს ზეგანში შვიდი კომლი **კორძაიებიც** სახლობდნენ. კორძაიები მკვიდრობდნენ აგრეთვე ბოგრემში (6 ოჯახი) და წვირმში (9 ოჯახი). XIV საუკუნის პირველი ნახევრის საბუთში კორძაიების წინაპრები „კორძიანებად“ არიან მოხსენიებულნი.<sup>98</sup> სოფელ ბოგრემის მკვიდრნი არიან **ხორგუანები** (5 კომლი). XIII-XIV საუკუნეებში ხორგუანების წინაპრებს ბეჩოს სოფელ დოლში უცხოვრიათ. აქ ამ დროს აღრიცხულნი იყვნენ: „თვალმიხინდი ხვერგუანი“, „გვანგვა ხვერგუანი“, „ნანა ხვერგუანი“, „ათარაჯი ხვერგუანი“, „გ-ხვერგუანი“<sup>99</sup>. გულბანების წინაპრებიც იფარში ამ სოფლიდან არიან გადმოსახლებულნი. როგორც ჩანს, იშვიათი შემთხვევა არ იყო ცალკეული გვარების ბალსქვემო სვანეთიდან ბალსხემო სვანეთში გადასახლება და ეს დაკავშირებული უნდა იყოს საბატონო (სადადეშქელიანო) სვანეთიდან თავისუფალ (უბატონო) სვანეთში მოსახლეობის მიგრაციასთან (ლტოლვასთან).

იფარის საზოგადოების სოფელ ბოგრემის მკვიდრნი არიან **ავალიანები** (1940 წელს – 24 კომლი). ავალიანები ცხოვრობდნენ ადიშშიც. ავალიანების გვარიც სვანეთის ერთ-ერთი ძველი გვარია. ადიშიდან არის ეს გვარი გადასული ქუთაისში და ცხენისწყლის ხეობის სოფლებში (მელე და ჩიხარეში – ლაშხეთის თემი). სვანეთის მკვიდრებად ავალიანები პირველად XIV საუკუნეში არიან მოხსენიებული. XVII საუკუნის საბუთებით იმერეთში ჩანან<sup>100</sup> ერთ-ერთი ძველი სვანური გვარია **ქალ-**

---

<sup>98</sup>სწკ, I, გვ. 168.

<sup>99</sup>პ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 149, 151.

<sup>100</sup>რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია. თბ., 2011, გვ. 17-18.

**დანების** გვარიც. ისინი იფარის თემის სოფელ ბოგრეშში ცხოვრობენ (10 კომლი). მკვიდრობენ აგრეთვე სოფელ ცხუმარშიც (12 ოჯახი). საერთო წარმომავლობის შესახებ გადმოცემა აქვთ სვან ქალდანებსა და სამეგრელოში მოსახლე ქარდავებს. ს. მაკალათიას სამეგრელოში ქარდავების შესახებ შემდეგი გადმოცემა ჩაუწერია: „ს. ჯვარში პირველად დასახლებულა ქარდა, რომელიც გადმოსულა სვანეთიდან. ქარდა სამი ძმა ყოფილა. მათ კაცი მოუკლავთ ლაჭალში და ჯვარში გამოქცეულან. აქ დადიანს ისინი მიუღია და დასახლებულან ჯვარში. მათი გვარის კაცები სვანეთში არიან ქალდაანი.“<sup>101</sup> ქალდანების წინაპრები არაერთხელ არიან მოხსენიებული XIII-XIV საუკუნეების „სვანეთის კრების მატიანეში.“ სოფელ ლალვერს დასახელებულია „გ-ი ქალდიანი“, „ნენე ქალდიანი“, „შალვა ქალდიანი“, „გ-ი ქალდიანი“, „მარიამ ქალდიანი“<sup>102</sup>. XIV საუკუნის მეორე ნახევრის საბუთში გვხვდებიან „მიმაღ ქალდეანი“ და „არდაშელ „ქალდიანი“,“<sup>103</sup> XV საუკუნის პირველ ნახევარში – „არდაშელ ქალდიანი“, XV-XVI საუკუნეებში – „ჭოჭლა ქალდიანი“, XVII-XVIII საუკუნეებში – „ბიქელი ქალდიანი“. სოფელ ბოგრეშსა და სოფელ წვირში **ფანგანების** 19 კომლი ცხოვრობდა (1940 წ.). წვირის გვარებიდან შეიძლება კიდევ დავასახელოთ: **ფიცხელიანები** (13 კომლი), **ყიფიანები** (6 კომლი), **გიგლებიანები** (6 კომლი), **ბენდიანები** (2 კომლი. ამ გვარისანი თავდაპირველად ბენდიანები უნდა ყოფილიყვნენ. ბენდიანები მოხსენიებული არიან XIV საუკუნის დაწერილში<sup>104</sup>), **თამლიანები** (8 კომლი), **კვებლიანები** (4 კომლი), **მუკვანები** (3 კომლი), **ხვიბლიანები** (12 კომლი. ბოგრეშში – 7 კომლი), **სამსიანები** (13 კომლი. XV-XVI საუკუ-

<sup>101</sup>ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, ბ., 1941, გვ. 243.

<sup>102</sup>პ. ინვოროცვა. სსმ, თბ., გვ. 157.

<sup>103</sup>სწმ, I, გვ. 202, 214.

<sup>104</sup>სწმ, I, გვ. 191.

ნების დაწერილში გვხვდება „საგი სამსიანი“<sup>105</sup>). ეთნოგრაფიული მონაცემებით, ერთი წამოშობა აქვთ სოფელ იელში მცხოვრებ **სამსიანებსა** და სოფელ ნაკრაში მოსახლე **ანსიანებს**. „როცა ჭირი-ლხინი აქვთ ერთმანეთთან დადიან. არავის ახსოვს მათი ერთმანეთზე დაქორწინება.“ ანსიანების წინაპრები უნდა იყვნენ „სვანეთის სულთა მატიანეში“ მოხსენიებული **ასიანები**<sup>106</sup>. იფარის მკვიდრნი არიან აგრეთვე გულბანები, რომელთა სოფელი აქ ნაკიფარია. ამავე სოფელში მკვიდრობდნენ პირველები. პირველების გვარი რამდენიმე სამხუბისაგან შედგება: „აბღუმერები“, „ჯავახშა“, „გვენეშა“, „ლემინშა“, „გიოშა“. სოფელ ზეგანში გულბანებთან ერთად ზვისტანები ცხოვრობდნენ, ბოგრეში – კორძაიები, ხორგუანები. ხორგუანებსა და გულბანებს საერთო წარმომავლობა აქვთ. ეს ორი გვარი ერთმანეთზე არ ქორწინდება და ერთმანეთს წელიწადში ერთხელ ხვდებიან ხან იფარში და ხან ბეჩოში, რომ ნათესაობა არ დაკარგონ.

საქართველოს ისტორიაში ცნობილი გვარი **მარუშიანი** სვანეთის იფარის წმიდა გიორგის ეკლესიის XII-XIII საუკუნეების ნაკაწრ წარწერაში გვხვდება: „წმიდაო გიორგი იფარისაო, ნუ ამკლდი საფარველსა შენსა, მომეც გამარჯვებაი მონასა თქვენსა მარუშიანსა.“<sup>107</sup>

სოფლებში წვირძსა და ადიშში მაცხოვრის სახელზე აგებული ეკლესიები იყო, სოფლებში ნაკიფარში, ადიშში, იელში კი – წმინდა გიორგის ეკლესიები. სოფელ იელის მიქაელ მთავარანგელოზის ხატზე ასეთი წარწერა ყოფილა: „წმინდა გიორგი ზღუდერისაო, მეოხ მექმენ მამკობსა შენსა ჯონარსი ასათიანსა“, რაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასათიანების სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

---

<sup>105</sup>სწმ, I, გვ. 213.

<sup>106</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 155.

<sup>107</sup>სწმ, II, 1988, გვ. 336.

## მულახ-მუჟალის თემი

ე. თაყაიშვილისა და ა. ჩარკვიანის მიხედვით, ცალ-ცალკე თემები იყო **მუჟალი** და **მულახი**. სხვა ეთნოგრაფიული მასალით კი ისინი ერთ თემს (მულახ-მუჟალი) წარმოადგენდა. მუჟალის თემში სამი სოფელი შედიოდა: **ჩვაბიანი**, **ჟაბეში** და **ჩალდაში** (ცალდაში). მულახის (მულაყის) თემის სოფლებიდან კი შეიძლება დავასახელოთ: **ჭოლაში**, **ჟამუში**, **არცხელი**, **ლახირი**, **მურშკელი/მუშკიერი**, **ღვებრა**, **ზარდლაში**. ზარდლაში გაერთიანებული იყო სოფელ ლობრთან. 1886 წლის საოჯახო სიებით მულახის (მულახ-მუჟალის) თემში 151 კომლი (1296 სული) ცხოვრობდა, რაც კომლში საშუალოდ 8,6 სულს უდრიდა. ყველაზე დიდი სოფელი იყო ჭოლაში (30 კომლი, 232 სული). შემდეგ მოდიოდა: **ჩვაბიანი** (21 კომლი, 171 სული), **ლახირი** (21 კომლი, 194 სული), **არცხელი** (18 კომლი, 134 სული), **მურშკელი** (16 ოჯახი, 105 სული), **ჟაბეში** (14 კომლი, 123 სული), **ჟამუში** (10 კომლი, 109 სული), **ზარდაში** (9 კომლი, 115 სული), **ღვებრა** (7 კომლი, 67 სული), **ცალდაში** (5 კომლი, 46 სული).

1940 წლისათვის მულახის თემის სოფლებში რამდენიმე დიდი გვარი მკვიდრობდა: **გიგანები** (34 კომლი. სოფ. ჩაბიანი. XVI-XVII საუკუნეების ნაკაწრი წარწერა: „გიგანთა დიაკონ ღირსყავ თარეგზელ“.<sup>108</sup> სვანეთის სულთა მატიანეში კი გვხვდება „გიგიანი“<sup>109</sup>), **გუჯეჯიანი** (33 კომლი. ჭოლაში, ჟაბეში, ჩვაბიანი), **მარგიანები** (54 კომლი. არცხელი, ჩვაბიანი, ქვემო მულახი. შუა საუკუნეებში ატარებდნენ „მარეგიანის“ გვარს), **ქალდანი** (13 კომლი. სოფ. ჟამუში), **ქოჩქიანი** (10 ოჯახი. სოფ. ჭოლაში), **შერვაშიძე** (13 კომლი. სოფ. ჭოლაში), **ღვედარიანი** (10 კომლი. ჭოლაში. პირველად მოხსენიებული არიან XIV საუკუნეების დოკუმენტებში), **ჟორჟოლიანი** (31 კომლი. არცხელი. არაერთხელ იხსენიებიან XIV-XVII საუკუნეების საბუ-

<sup>108</sup>სწმ, II, გვ. 387.

<sup>109</sup>კ. ინვოროყვა. სსმ, თბ., გვ. 133, 134.



თებში.), **ჯაჭვლიანი** (14 კომლი. ჭოლაში. XIII საუკუნის სულთა მატთანით „ბასილი ჯაჭვინელიანი“ ცხუმარში ცხოვრობდა<sup>110</sup>), **ღადვანი** (17 კომლი, ქვემო მულახი. მოხსენიებულია XV საუკუნის დაწერილში), **იოსელიანი** (30 ოჯახი. ლახირი. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც იოსელიანის გვარია მოხსენიებული XIV საუკუნით თარიღდება – „ფორთოხ იოსელიანი“. ხშირად არიან დაფიქსირებული XV საუკუნის საბუთებშიც<sup>111</sup>), **ნავერიანი** (36 კომლი. ჟაშუში და ჟაბეში. გვარი შუა საუკუნეებში „ნავარელიანისა“ (XIV საუკუნის I ნახევარი) და „ნავარიანის“ ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება), **ქურდიანი** (24 კომლი. მურშეკელი. პირველად მოხსენიებულია XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატთანეში, აგრეთვე XIV საუკუნის პირველი ნახევრის საბუთში<sup>112</sup>), **ბერიანი** (10 კომლი. ქვ. მულახი), **გაბლიანი** (9 კომლი. ქვ. მულახი. გვხვდება XIII საუკუნის მატთანეში. ამ გვარის რამდენიმე წარმომადგენელი შეყვანილია XIII საუკუნის სულთა მატთანეში<sup>113</sup>), **წიფიანი** (5 კომლი. ქვ. მულახი), **მიბჩუანი** (3 კომლი. ზარდლაში. XV საუკუნით დათარიღებულ ნაკაწრ წარწერაში იკითხება „ხუცეს მიბჩუანი“<sup>114</sup>), **მჭედლიანი** (4 კომლი), **ზურებიანი** (6 კომლი. ლალხორი და ცალდაში. XIV საუკუნის შუა ხანების დაწერილში – „ზურემიანი“<sup>115</sup>), **მიტიანი** (2 კომლი. ლახირი. მიტიანების განაყრები ყოფილან ჭუბერში მცხოვრები **მიქიანები**. მოსული არიან ჭუბერიდან); **გულბანი** (8 ოჯახი. შუა საუკუნეებში ბერი გულბანი მეზრის მთავარანგელოზის კტიტორი ყოფილა), **ჭეხანი** (8 კომლი. ჩაბიანი), **გვიდანი** (6 კომლი. ლახირი.), **შარვაშიძეები** (შარვაშიანები) (სოფელი ჭოლაში). ლახირში **ბაბლუა-**

<sup>110</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 142.

<sup>111</sup>რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურთა გვარის ისტორია, თბ., 2011, გვ. 163.

<sup>112</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 177.

<sup>113</sup>კ. ინგოროყვა. სწმ, თბ., გვ. 147, 151, 152, 153, 154, 156.

<sup>114</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 272.

<sup>115</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 172.

**ნებსაც** უცხოვრიათ, რომელთა კომპიცი ყველაზე ლამაზ კომკა-  
დაა მიჩნეული. მულახში ბაბლუანები გათავებულან. „*მამაკაცები*  
*აღარ ჰყავდათ. ბოლო დედაკაცი 1960-იან წლებში გარდაიცვა-*  
*ლა.*“ გადმოცემით იოსელიანები მულახში მესტიის თემის სო-  
ფელ ლალამიდან გადმოსულან. გადასახლების მიზეზი მესის-  
ხლეობა ყოფილა. ლახირში იოსელიანებს მხოლოდ ბაბლუანები  
დახვედრიან. იოსელიანების მეორე ძმა ეცერში წასულა, მესამე  
– წყალტუბოში. **ეცერში გადასახლებულ იოსელიანებს გვარი**  
**შეუცვლიათ და მურღვლიანის გვარი მიუღიათ** (სინამდვილეში  
კი დადემქელიანებმა ჩააწერინეს ასე), ხოლო ლატალში მისუ-  
ლები **ყვინთელანებად** იქცნენ. მულახელი იოსელიანების სამხუ-  
ბებია: „ოთიმა“, „გვეგვიმა“, „ბადუმა“, „გუსტანში“ („გუსტან-  
შერ“). სოფელ არცხელში **ნესტრიანებს** უცხოვრიათ. თავდაპი-  
რველად ნესტრიანები ძლიერი გვარი ყოფილა, მაგარამ შემდეგ  
დასუსტებულან და ბოლოს ჟორჯოლიანებს შეყრიან, მათ გვარ-  
ზე გადასულან. ნესტრიანების შესახებ არსებული ეთნოგრაფი-  
ული მასალა ყაბარდოულ წარმომავლობაზე მიუთითებს. სხვა  
ვარიანტით ნესტრიანები სავიარები ყოფილან. გვარში დაცული  
გადმოცემა იმაზედაც მიუთითებს, რომ მათ წინაპრებს სადლა-  
საც ზღვის პირზე უცხოვრიათ.

ეთნოგრაფიული მონაცემებით **ნავერიანების** წინაპრები სვა-  
ნეთში ბარიდან – ქუთაისიდან მოსულან. „სალოცავი ჰქონიათ  
ლამარია და ეხლაც ერთ კვერს აცხობენ ქუთაისის ლამარიას  
სახელზე.“ ზემოთ დასახელებული ზოგიერთი გვარი ძველ სვა-  
ნურ დოკუმენტებშიცაა ფიქსირებული. მაგალითად, XIII-XIV  
საუკუნის სულთა მატეანეში დასახელებულნი არიან: „ი-ნე  
ქურდიანი“, „გუანგვა ქურდიანი“, „ბოცო ქურდიანი“ (ოლონდ  
აღნიშნულ საუკუნეებში ისინი აღრიცხულნი არიან ფარის სა-  
ზოგადოების სოფელ ლჰას); „ბასელა ჯაჭვინელიანი“ (ჯაჭვ-  
ლიანი) – სოფელ ცხმარში; „გ-ი გაბლიანი“<sup>116</sup>. მარგიანები  
XIV საუკუნის პირველი ნახევრისა და XV საუკუნის საბუთე-

<sup>116</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 144.

ბში მარევიანის გვართ არიან მოხსენიებულნი, იოსელიანები – XIV საუკუნის I ნახევარში. იმავე „სულთა მატრიანეში“ გიგანების გვარიცაა დასახელებული – „დუდა გიგანი“, ოღონდ ეცერის თემში. XIV საუკუნეშია მოხსენიებული ჟორჟოლიანის გვარიც<sup>117</sup>. იმერელი ჟორჟოლიანები მულახიდან არიან წასული. ძირითად ჟორჟოლიანები ერთი სამხუბისაგან შედგებიან – „ყუდუშ“. შეკედლებულებს/შეყრილებს კი სხვა სამხუბი აქვთ – „მოშშერ“. XV საუკუნის II ნახევრის საბუთში მოწმედ დასახელებულია **დაღვანის** გვარის კაცი. XV საუკუნის დაწერილში მულახელთა გვარებიდან გვხვდებიან: იოსელიანები, ჭედელიანები, მარევიანები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარევიანები შუა საუკუნეების საბუთებში „მარევიანებად“ არიან დაფიქსირებული. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც ეს გვარია მოხსენიებული XIV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება – საბუთის დამწერი ყოფილა „იაგდარ მარევიანი.“<sup>118</sup> XV საუკუნის „დაწერლის“ შუამავლებად ფიქსირებული არიან ფრანგი, იოვანე და გიორგი მარევიანები.<sup>119</sup> ირკვევა, რომ მარევიანები/მარევიანები კომკების/„ციხეთა“ „აღმაშენებელნი“ იყვნენ. ასეთ „აღმაშენებელად“ XVI საუკუნის დოკუმენტში „ბადი მარევიანია“ დასახელებული, XVI-XVII საუკუნეების მოსახსენიებელში – „პორტი და იოვანე მარევიანები.“<sup>120</sup> ეთნოგრაფიული მონაცემებით მარევიანთა გვარის მამაკაცები სალოცავად დადიოდნენ თანამედროვე აფხაზეთში – ილორში. ცხვარი, სანთელი, ზედაშე და სეფისკვერი მიჰქონდათ. „იმიტომ დადიოდნენ, რომ წარმოშობით იქიდან ვიყავით... **მარკელიანები/მარკელიები** ილორთან ახლოს ცხოვრობენ. ისინი და მარევიანები ერთი წინაპრისაგან მოვდივართ. ბეჩოში არიან **ვერსკლანები**. ისინიც მარევიანების გვარისანი არიან. ეს ვერსკლანები არ მრავლდებიან.“

<sup>117</sup>სწს, I, გვ. 192.

<sup>118</sup>სწძ, I, თბ., 1986, გვ. 189.

<sup>119</sup>სწძ, I, თბ., 1986, გვ. 199.

<sup>120</sup>სწძ, I, თბ., 1986, გვ. 272, 285.

ეთნოგრაფიული მასალებით მულახში მკვიდრობდნენ **დეცლიანები**. „დეცლიანები და ნიგურიანები ერთი საძმო ვიყავით.“ დეცლიანები საისტორიო საბუთებში არ გვხვდებიან, რაც შეეხება ნიგურიანებს, ისინი მხოლოდ ერთხელ, XVII საუკუნის საბუთში არიან დაფიქსირებული – „ტატაჩა ნიგორიანი.“<sup>121</sup> როგორც ამკარაა, ამ შემთხვევაშიც გვარსახელი ფონეტიკურად შეცვლილა.

XIX საუკუნეში საეკლესიო სამრევლოები ისტორიული ტერიტორიული თემების მიხედვით იყო მოწყობილი: „უშგულის სამრევლო“, „კალის სამრევლო“, „იფარის სამრევლო“, „ლატალის სამრევლო“... მაგრამ მულახისა და მუჟალის სამრევლოები ცალ-ცალკე იყო. ასეა მუჟალის სამრევლო ცალკე დაფიქსირებული ზემოთ დასახელებულ 1872 წლის საეკლესიო დოკუმენტში. ამ დოკუმენტით მუჟალში **ლუხუტაშვილებსაც** უცხოვრიათ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს მუჟალი ცალკე თემს აღარ წარმოადგენდა და ის მულახის თემთან იყო გაერთიანებული, ძველი ტრადიციით ეკლესიურად ის მაინც ცალკე სამრევლოს შეადგენდა. რატომ მოხდა მუჟალის ტერიტორიული თემის მულახის ტერიტორიულ თემთან გაერთიანება? ასეთი გაერთიანება, ტერიტორიული თემის გამსხვილება ჩვეულებრივი მოვლენა იყო საქართველოს მთიანეთისათვის. სუსტი, მცირერიცხოვნი თემები და გვარები მრავალრიცხოვანი და ძლიერი თემების, გვარების მფარველობაში, შემადგენლობაში შედიოდნენ. მაგრამ, როგორც ირკვევა, მუჟალის მულახის თემთან გაერთიანება აღნიშნული მიზეზით არ მომხდარა. მუჟალის ადრინდელი მოსახლეობა ჟამს/შავ ჭირს გაუწყვეტია. მუჟალის მკვიდრი ზოგიერთი გვარი (*მიბჩუანი, ჩამევიანი, დაღვანი, სამხუბი* „კაკფერმა“ – გვარი გადმოცემას არ შემოუნახავს) სხვაგან გადასახლებულან. ძირითადი მკვიდრი მოსახლეობა კი, როგორც აღვნიშნეთ, ჟამს გაუწყვეტია. პირველი მოსახლე კი

---

<sup>121</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 160.

ვინც აქ შავი ჭირის შემდეგ დასახლებულა თანამედროვე კახიანის წინაპარი ყოფილა, რომელიც სავიარებიდან მოსულა. ოღნავ განსხვავებულია სხვა გადმოცემა კახიანებისა და მუჟალის აწ ამოწყვეტილი ერთ-ერთი გვარის – **ჩამეგვიანების** – შესახებ: „კახიანები რომ არიან მუჟალში, სოფელ ჟაბეშში, ესენი არ არიან სვანები შთამომავლობით. ჟაბეშში ყოფილა 80 კომლი გვარად ჩამეგვიანი. ამ გვარის ვაჟკაცები ჩამეგვიანები სათიბად დადიოდნენ სავიარებში. ერთ-ერთი სეზონური სამუშაოს დროს სათიბად წასულა 10 კაცი (8 ვაჟკაცი და 2 ყმაწვილი) ჩამეგვინი. შრომის საზღაურად სავიარებს თითო ხარი მიუციათ. პირუტყვი ურელტეხილს აქეთ გადმოურეკავთ. იმავე საღამოს სავიარები ჩამეგვიანებს თავს დასხმიან. თავდადამსხმელებმა სვანები ამოწყვიტეს. ორ ყმაწვილს კი ბუჩქებში მოუხერხებია დამალვა. გათენებისას მკვდრებს შორის ყმაწვილები რომ ვერ ნახეს, მკვლელებმა მათ ძებნა დაუწყეს. ერთ-ერთი მათგანი მოუკლავთ. როდესაც მეორეც უნდა მოეკლათ, ამ დროს ბუჩქებიდან მათივე მოღმის ყმაწვილი გამოვარდნილა; ის ხანჯალმომარჯვებულ მკვლელს გადაეღობა და ხანჯალმომარჯვებულს დამბახით შუბლი გაუხვრიტა. ეს ორივე ბავშვი – სვანი ჩამეგვიანი და მსავი სვანეთში გადმოვიდნენ. სავიარების ყმაწვილს იქ უკვე აღარ დაედგომებოდა. მუჟალში მოსვლისას ჩამეგვიანის ვაჟმა მომხდარის შესახებ თავისიანებს უამბო. ჩამეგვიანებმა სავიარების ახალგაზრდას წყალგალმა სახლი აუშენეს და თავიანთ ვოვოზეც დააქორწინეს. მისი შთამომავლები გამრავლდნენ, რომლებსაც კახიანი დაარქვეს. სინამდვილეში კი ბურალავეი იყო გვარად. მას შემდეგ მუჟალში ჟამი/შავი ჭირი გაჩენდა. შავი ჭირი მდინარის იქით არ გადასულა და კახიანები გადარჩნენ. ჩამეგვიანები კი ღიდი ხნის განმავლობაში ერთ ოჯახზე მოდიოდნენ. უკანასკნელი ჩამეგვიანი ამ ათი წლის წინ გარდაიცვალა“ (მასალა ჩაწერილი გვაქვს 2004 წელს. მთხრობელი პირიბე სოფრომის ძე ნიგურიანი, 78 წლის). „კახიანები შემდეგ წყალს აქეთ გადმოვიდნენ და კარვი 30 მოსახლე შეიქმნა. ბეთქილზე რომ არის სიმღერა, ის ბეთქილი კი არა ბეთქანი

იყო, ჩამეგვიანების გვარისა. იმერეთში რომ კახიანები არიან, არავითარი ნათესაობა არა აქვთ.“ თუმცა, როგორც ირკვევა, კახიანებს სვანეთში ოდესღაც ნამდვილად უცხოვრიათ და იმერელი კახიანები სვანეთიდან არიან გადასახლებული. კახიანის გვარი პირველად სვანეთში XIII საუკუნის მატიანეშია მოხსენიებული – „ჩიჩად კახიანი“.<sup>122</sup> რამდენჯერმე გვხვდებიან კახიანები XIV და XV საუკუნეების საბუთებშიც. მაგრამ, ვფიქრობ, ისინი იმერეთში გადასახლებული ძველი კახიანები არიან და არა ახალი კახიანები. მუჟალელი ჩამეგვიანების გვარი XVI-XVII საუკუნეების ერთ-ერთ „წიგნში“ არიან მოხსენიებულები – „შიოში და ქელდიშ ჩამეგვიანი.“<sup>123</sup>

შემდეგ მუჟალი სვანეთის სხვადასხვა თემების წარმომადგენლებს მოუშენებიათ, განსაკუთრებით ჭარბობდნენ მეზობელი მულახის თემიდან გადმოსახლებულები. მულახელთა მუჟალში გადმოსახლებამ კი ავტომატურად გამოიწვია მუჟალის მულახისადმი დაქვემდებარება, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გაერთიანება. მუჟალის სოფლებია **ჩვაბიანი, ჟაბეში და ჩ(ც)ალდაში**. პირველ მათგანში მკვიდრობენ **ჭეზანები, გიგანები, გულბანები, მარგიანები, გუჯეჯიანები, ქალდანები, ჟაბეშიში – ნავერიანები, იოსელიანები** (ადგილობრივი გამოთქმით, იესელიანი), **ქორჩიანები, გუჯეჯიანები, ჯაფარიძეები, ავალიანები, ნიგურიანები, გულბანები, მესამეში – ზურებიანები, და ნავერიანები**. ამოგარდნილებს შორის ასახელებენ „ყურჩაშებს“, „მოსაშებს“, „ქეჩოშებს“... ნასახლარებად ქცეული მუჟალის მკვიდრნი კახიანები იყვნენ, რომლებსაც ტრადიციით 12 ხარი დაუკლავთ, დიდი ნადიმი გადაუხდიათ და სვანეთის ყველა თემიდან მოუწვევიათ ამ ნადიმზე ადამიანები. ამის შემდეგ, „ეს მიწა-წყალი ერთ ოჯახს დარჩა, კახიანებს.“ დანარჩენი გვარები კახიანების შემდეგ შემოსახლებულან, „ზოგი გაწყვეტილი გვარების ბადიში მოვიდა.“ ნავერიანები მულახის სოფელ ჟამუშიდან მოსუ-

<sup>122</sup>კ. ინგოროცვა. სსმ, თბ., გვ. 158.

<sup>123</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 211.

ლან, იოსელიანები – ლახირიდან, ქოჩქიანები და გუჯეჯიანები – ჭოლაშიდან, ჯაფარიძეები და ნიგურიანები – მესტიიდან, ავალიანები – ჰადიშიდან, გულბანები – იფარიდან. კახიანების წინაპარი ტვიბერის გადასასვლელით შემოსულა. თავდაპირველად მას ტყეში უცხოვრია, გვიან შემოუშვიათ სოფელში. ამისათვის მას მოციქული გამოუგზავნია. „სათბში დგას „გაშუ ქორი“ (სახლი). აქ შემოუშვიათ ცოლ-შვილიანი კახიანი. ერთი მოსახლე იყო და გამრავლდნენ. გაშუ ქორში 60 ადამიანი ცხოვრობდა, კახიანი. ყველაფერი მოიტანეს მაცხვარიშში, ხარები. კახიანების კოშკი საერთოდ არ დგას.“ ცალდაშში პირველად მულახელი ნავერიანები მოსულან, რომლებსაც შემდეგ მესტიიდან ზურებიანები მოუყვანიათ. არც გიგანები არიან ძირძველი მუჟაღელები. საისტორიო საბუთებით, გიგანები თავდაპირველად ეცერის მკვიდრნი იყვნენ. გიგანების გვარი ხუთი დანაყოფისაგან (სამხუბისაგან) შედგება; ესენია: *ბუტიშა, ჯახუშა, ჯანთუშა, ქეთბიშა* და *ჯანჩვა*. ხუთი სამხუბიდან სამი სამხუბის წარმომადგენლები ძირძველი გიგანები არიან, ხოლო ორი სამხუბი გიგანებთან ხელოვნურად არიან დანათესავებული, გიგანების გვარში შეყრილი.

### მესტიის თემი

**მესტიის თემი** ოთხი სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა. ესენია: *სეტი, ლებთავი, ლანაჩვალი* და *ლაღამი*. 1888 წლის საოჯახო სიებში მესტიის საზოგადოებაში მხოლოდ ორი სოფელია (ლაღამი და მესტია) შეტანილი. მთლიანად მესტიის საზოგადოებაში 101 კომლი (860 სული) ცხოვრობდა (საშუალოდ კომლში 8,6 სული). დღეს დაბა მესტიაში მკვიდრობენ: **ბარლიანები** (17 კომლი), **გვარლიანები** (26 კომლი), **ფალიანები** (ლაღამში – 5 ოჯახი, ლანჩვალში – 14), **სეტიელები, ხოჯელანები** (გადმოცემით ხოჯელანების ერთი შტო ქორქიშლიანების შთამომავალია), **ნიგურიანები, რატიანები** (41 ოჯახი), **ხერგიანები** (70 ოჯახი), **ხვისტანები, გოშთელანები** (15 კომლი), **ჯაფარიძეები, მუშკუდიანები, ჩართოლანები** (ლებთავში 35 კომლი), **ნაკანები, მჭედლიანები** (12 კომლი),

## კახბერიძეები.

მესტიელი გვარლიანები და ნაკრაში მცხოვრები **გვარმიანები** საერთო წარმომავლობისანი არიან. ამ ორი გვარის წარმომადგენლები არასოდეს არ დაქორწინებულან ერთმანეთზე. სვანი გვარმიანები და გვარლიანები თავიანთ ნათესავებად მიიჩნევდნენ აფხაზ გვარამიებს. რამდენიმე წლის წინ გვარმიანებმა ყრილობა ჩაატარეს და ყრილობაზე გვარლიანები და აფხაზი გვარამებიც მოიპატიჟეს. მესტიის „ჯვარაგის“ მლოცველი ხუთი გვარი ყოფილა: **მიტვლიანები, რატიანები, მჭეღლიანები, ფალიანები** და **ნიგურთანები**. ახლა მიტვლიანები აღარ არიან. ისინი ამოწყდნენ. XIV-XV საუკუნეების საბუთში ამ გვარის ხალხი არაერთგზისაა დასახელებული<sup>124</sup>. XIV „ესენი ცალ-ცალკე „თემი“ იყო, მაგრამ ერთ ჯვარს ეყმობოდნენ. მთელი სვანეთის დროშა „ლემი“ ამ ოთხ გვარს უნდა გამოეტანა. სხვა გვარებს მისი გამოტანის უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ მეორე დღეს ეძლეოდათ ჯაფარიძეებს მისი ტარების უფლება. „ლემი რომ გაცვდა, შეკერა ქურდიანის ქალმა, ჯაფარიძის ცოლმა, „ამიტომ მიეცათ მათ მეორე დღეს ლემის“ ტარების უფლება. XIV საუკუნის პირველი ნახევრის საბუთებით, მელიძეებს შორის „გომჭოთელიანი აზაგ“ და „გომჭოთელიანი ცოცმან“ არიან დასახელებული.<sup>125</sup> გომჭოთელიანის (გომჭოთელიანის) გვარს ფონეტიკურად სახე უცვლია. ისინი დღეს გომჭოთელიანის გვარსახელს ატარებენ. გადმოცემით გომჭოთელიანები სავიარებიდან არიან მოსული. რაჭიდან მოსულებად მიიჩნევიან ჯაფარიძეები. XV-XVI საუკუნეების სვანურ საბუთებში მოხსენიებული არიან: „გავაშელ ფალიანი“, „გაშა ფალიანი“, „ქარმან ფალიანი“, „მიქაელ ფალიანი“, „რტიბულვა ფალიანი“, „ქველი ფალიანი“, „ქურსიკი ფალიანი“...<sup>126</sup> მესტიის სასაფლაოზე ზოგიერთ ფალიანს მიწერილი აქვს „სეტიელი“. სეტიელები საისტორიო

<sup>124</sup>სმწ, I, გვ. 165, 166, 172, 173.

<sup>125</sup>სმძ, I, გვ. 169-171.

<sup>126</sup>სმძ, I, გვ. 114, 163, 194, 195, 197, 207, 211.



საბუთებში ძირითადად XIV-XV საუკუნეებში არიან მოხსენიებული.<sup>127</sup> XIV საუკუნის პირველი ნახევრის დაწერილში კვითხულობთ: „ესე დაწერილი ... მოგეცით შენ, *სეტიელსა ივანეს* და შენსა შვილსა *დებეტრეს*, მისთა შვილთა და მომავალთა, მე, იოსელიანმან ამსაჯან-ოზბეგ ... მას ჟამსა, ოდეს თქვენმან ძმამან მიქაელ ლალობასა შინა დამკოდა.“<sup>128</sup> ორ დაწერილში სეტიელების სახლიშვილებად **სავიანები** არიან დასახელებული, რაც გვაგვარაუდებინებს იმას, რომ მათი ადრინდელი, მეორე გვარი იყო სავიანი. თუმცა ხშირად სახლიშვილებად შეყრილი გვარებიც აღინიშნებოდნენ.

მხოლოდ ფალიანების ნაწილია ძირად სეტიელი. სეტიელებს ფალიანებთან ბავშვი ჰყოლიათ გაძიძავებული. მივარდნილან, რომ მოეკლათ სეტიელის ბავშვი. მაგრამ ფალიანის ქალს თავისი ბავშვი მიუცია; იცნეს ბავშვი და უკან დააბრუნეს. მას შემდეგ სეტიელები ფალიანების გვარზე გადავიდნენ. ფალიანები, რ. ხარაძის ეთნოგრაფიული მასალით, კანეთიდან მოსულელებად მიიჩნევიან.

ამოწვევტილ მიტვლიანების სასაფლაო ჩართოლანებს დაუშკვიდრებიათ. მიტვლიანების გვარსახელი საბუთებში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტითაა წარმოდგენილი. XIII საუკუნის სულთა მატთანში დასახელებულია „აბულვან მულატალიანი“.<sup>129</sup> XIV საუკუნის დაწერილში გვხვდება „ივანე მუტულიანი“, XV საუკუნისაში – „ქელიშ მუტვილიანი“, იმავე დროის კიდევ ერთ დაწერილში – „გიორგი მუტკლანი“.<sup>130</sup>

ეთნოგრაფიული მონაცემებით, „*გაფარიძეებს ტეხილი აქვთ. ერთხელ გამრავლდნენ, მძლავრობდნენ და გააფროთხილეს და შემდეგ ამოწვეტიეს. მხოლოდ ერთი გადარჩენილა; ის ნიგურიანს გადაურჩენია; არ დაწვევინა*“. რ. ხარაძის მასალით

<sup>127</sup>რ. თოფჩიშვილი. საქართველოს თავად-აზნაურული გვარების ისტორია. თბ., 2011, გვ. 462.

<sup>128</sup>სწმ, I, გვ. 182.

<sup>129</sup>პ. ინვოროცია. სსმ, თბ., გვ. 143.

<sup>130</sup>სწმ, I, გვ. 162, 193, 198.

„ჯაფარიძეები ლელჯრაგებმა მოსკეს და მერე ძიძასთან დარჩენილი ბავშვიდან გამრავლდნენ.“ XIX საუკუნეში ჩაწერილი მასალით, ჯაფარიძეებისადმი თემის დაპირისპირების საბაბი უმემკვიდრეოდ დარჩენილი მიწის არა გვარის წევრთა საკუთრებაში, არამედ აზნაურთა საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნა ყოფილა.<sup>131</sup> ჯაფარიძეების მოყვანა რაჭიდან მესტიაში ჩართოლანებს მიეწერებათ, რადგან „შავი ჭირი ყოფილა და ბევრი გვარი ამოწყვეტილა.“ წერილობით ძეგლში ჯაფარიძეები სვანეთის მკვიდრად პირველად XIV საუკუნის პირველ ნახევარში არიან მოხსენიებული: „სარმან ჯაფარიძე“ და „პირნათელ ჯაფარიძე.“<sup>132</sup> პირნათელ ჯაფარიძე, ჩარგას ჯაფარიძესთან ერთად, იმავე დროის სხვა „დაწერლებშიც“ გვხვდება.<sup>133</sup> პირნათელ ჯაფარიძე ლეხთავის ღმრთისმშობლის ეკლესიაშიც არის გამოხატული. როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. სილოგავა, „პირნათელ ჯაფარიძე სვანეთის ისტორიის ერთ-ერთი გამოჩენილი და თვალსაჩინო მოღვაწეა; საბუთების მიხედვით, იგი იყო მორვარი, კეუისარი, მელომე. საბუთებიდავე ჩანს, რომ მას მესტიის სხვადასხვა უბანში მიწების შესაძენად და შემოსაერთებლად, ე. ი. თავისი მიწებისა და ქონების გაზრდისათვის, მრავალრიცხოვანი სავაჭრო ოპერაციები ჩაუტარებია სხვა სავაჭრულულოების წარმომადგენლებთან. ამკარაა, რომ იგი სხვებზე მეტად დაწინაურებულა და გაბატონებისაკენ მიისწრაფოდა. როგორც ჩანს, ეს მისწრაფება მისთვის სამწუხაროდ დამთავრდა – ჯაფარიძეთა ძალადობით ამოწყვეტის შესახებ სვანეთში ზეპირი გადმოცემა პირნათელ ჯაფარიძესა და მისი ოჯახის შესახებ უნდა იყოს.“<sup>134</sup> ამკარაა, რომ რაჭიდან მოსული დიდი გვარის წარმომადგენელი ცდილობდა დიდგვაროვნება მთაშიც დაემკვიდრებინა, მაგრამ მთური ლანდშაფტში მცხოვრები ადამი-

<sup>131</sup>ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 125.

<sup>132</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 161.

<sup>133</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 165, 169, 171, 172, 188, 198, 200, 201.

<sup>134</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 52.

ანები (თანაც, არაადგილობრივის) ძალიან გადიდგაცებას ვერ აიტანდნენ. ისინი მხოლოდ მცირე აზნაურებს იყვნენ შეჩვეული. ეს ვითარება შეიძლება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შევადართო და აშკარა განსხვავებას დავინახავთ. აქ საზოგადოების სოციალურ სისტემაში პიროვნების სოციალური აღზევების ტენდენციებს ძირშივე სპობდნენ. ხოლო სვანეთში მხოლოდ შედარებით მცირე აზნაურებს, თანაც მეფის, სახელმწიფოს მოხელეებს იტანდნენ და უფრო გადიდგაცების მსურველს ამოწყვეტდნენ.

XIII საუკუნეში იხსენიებიან ხერგვიანები. „სულთა მატია-ნეში“ სეტში გვხვდება „ბენდე ხერგვიანი“.<sup>135</sup> გიორგი ხერგვიანი XIV-XV საუკუნეების დაწერილში მოიხსენიება. ჩართოლანების გვარი XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში გვხვდება. XIV-XV სსაუკუნეების დოკუმენტებიდან: „მესტიის ოთხთავის მინაწერთა ერთ წყებაში იხსენიებიან ჯაფარიძეები, კერძოდ, ამ საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელი: ჯაფარიძე (ან მჯაფარიანი) მამისა, პირანთელ, ივანე; ჯაფარიძე კახაბერ და მისი ძენი ასლან და ტაიბულა; ჯაფარიძე პირანთელ და მისი შვილები დოდელ, ივანე და ასლან. ამასთან გარკვევით ჩანს, რომ ეს საგვარეულო, დანარჩენ მცხოვრებლებთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაშია“<sup>136</sup>. „ლანჩვალში (ამჟამად მესტიის ჩრდილო-დასავლეთი უბანი) არის ეკლესია, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა და, გადმოცემით, მისი აღმშენებელი პაპი ჩართულარი ყოფილა. ეს ეკლესია ხელოვნებათმცოდნეების აზრით, XIII-XIV საუკუნეებისაა და XV საუკუნეში საფუძვლიანად გადაკეთებული და მოხატული“<sup>137</sup>. ავტორს მესტიის ოთხთავის წარწერიდან მოყვანილი აქვს ციტატა: „თავად ვითა

<sup>135</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, თბ., გვ. 158.

<sup>136</sup>მ. ბერძნიშვილი. სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV-XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის. – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, გვ. 108.

<sup>137</sup>მ. ბერძნიშვილი. სვანური დოკუმენტები... – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, გვ. 109.

შენისა გუარისა ...სა სახლსა ჰქონებ, ეგრე მელომედ დაგაყენეთო“, რასაც უკეთებს შემდეგ კომენტარს: „იმას მიუთითებს (ეს გამოთქმა – რ.თ.), რომ ვახტანგიანის გვარის სახლს მანამდე ჰქონებია მელომის ხელი“<sup>138</sup> (გვ. 115). „ჯაფარიძე და იოსელიანი ის გვარები ყოფილან, რომელთა სისხლი ყველაზე მეტად ფასობდა“<sup>139</sup>.

„სოფ. უღვალის წმ. გიორგის ეკლესია (ჯგრაგ) აშენებულია ძმების ანტონ და მიქაელ **უმფრიანების** მიერ (XIV საუკუნე). ამ სოფელში დღესაც უმფრიანები ცხოვრობენ. ეკლესიაც და სასაფლაოც მხოლოდ მათ ეკუთვნით. სოფ. ლაღამში (დაბა მესტია) მაცხოვრის ეკლესია აუშენებია და მოუხატავს შალვა ქირქიშლანს (XIV საუკუნე); ლენჯერის მუხურის მთავარანგელოზის ეკლესია აშენებულია და მოხატულია **იველდიანის** მიერ (XV-XVI საუკუნეები). ამ ეკლესიის კაცი (ლაჭში მარე) ახლაც **ილდანები** არიან“<sup>140</sup>.

„ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, სვანეთის მოსახლეობა გვარობრივი შერევის შორს წასული პროცესის სურათს წარმოადგენს. ეს გარემოება თვალნათლივ თუნდაც მესტიის მაგალითზე მოჩანს. სეტის 52 მეკომურიდან 21 მეკომური ჯაფარიძეებს ეკუთვნის, 4 – ჭედლიანებს, 9 – ნაკანებს, 6 – მუშკუდიანებს, 8 – ნიგურიანებს, თითო-თითო სახლი – ბარლიანს, ფალიანს, ნიჟარაძეს და ფარჯიანს. გვარობრივი შერევის ასეთსავე სურათს გვაძლევს ლანჩვალის, რომელშიც 54 კომლიდან 17 ხერგიანია, 10 ფალიანი, 10 რატიანი, 5 მარგიანი, 4 გოშთელანი, 3 ნიგურიანი, 2 კახბერიძე, 1 ჩართოლანი, 2 ნაკანი. ლეხთაგის 18 მოსახლიდან 8 ჩართოლანი, 8 ხერგი-

---

<sup>138</sup>გ. ბერძნიშვილი. სვანური დოკუმენტები... – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, გვ. 119

<sup>139</sup>გ. ბერძნიშვილი. სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV-XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის. – „ქართული წყაროთმცოდნეობა“, II, 1968, გვ. 119.

<sup>140</sup>გ. ჩართოლანი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში. – კრ.: „სვანეთი II“, თბ., 1979, გვ. 108

ანი და ორი ჯაფარიძე“<sup>141</sup>.

ერთ-ერთი გადმოცემით, ხერგიანები მდ. ტებერდისა და მდ. ყუბანის სათავეებიდან მოსულან (თანამედროვე ყარაჩაის ტერიტორია). სვანეთისათვის ოთხ ძმას შეუფარებია თავი: ხერგიანს, ჩხვიმიანს, მარგველანს (მეოთხე ძმის სახელი დავიწყებულია). ძმები ჩუბეხევეში მოსულან და დასახლებულან. აქ ჩხვიმიანს თავისი თავი ძმების ბატონად გამოუცხადებია, რის გამოც მას ძმები გაექცნენ. ჩხვიმიანი დარჩენილა ჩუბახევეში, ხერგიანი მესტიაში ასულა, ხოლო მარგველანი კალაში დასახლებულა“<sup>142</sup>. ამ სამი ძმისაგან წარმოსდგა ნათესაური ჯგუფები ჩხვიმლან-მარგველან-ხერგიანების. წარმოდგენა საერთო წარმოშობის შესახებ ახლაც განაპირობებს მათ შორის კეთილ განწყობილებას, რაც სტუმარ-მასპინძლობაში და ურთიერთდახმარებაში ვლინდება, თუმცა ეს ურთიერთობა რაიმე ვალდებულებას ქორწინებისა თუ სისხლმესისხლეობის სფეროში არ ვარაუდობს“<sup>143</sup>. საისტორიო საბუთებში ხერგიანების წინაპრები „ხერევიანად“ არიან ჩაწერილი. XIII საუკუნის „სულთა მატიანეში“ სეტის მკიდრთა შორის ვხვდებით „ბენდე ხერგიანს“,<sup>144</sup> XIV-XV საუკუნეების დაწერილში – „გიორგი ხერგიანს“,<sup>145</sup> XV საუკუნისაში – საერთოდ „ხერევიანები“, XVI-XVII საუკუნეებისაში – საერთოდ, ხერევიანები და „დუდი ხერევიანი“.<sup>146</sup> გადმოცემით მესტიაში ტყე ყოფილა და პირველად ხერგიანს გაუჭრია და სამოსახლო გაუკეთებია.

მესტიის გვარებთან დაკავშირებით კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მაცხოვრის ხატის წარწერაში მოხსენიებულია „გიორგი ჩართულარი“, ე.ი. როგორც ჩანს, ჩართოლანები ჩარ-

---

<sup>141</sup>რ. ხარაძე, *ალ. რობაქიძე*. სვანეთის... 1964, გვ. 30.

<sup>142</sup>რ. ხარაძე, *ალ. რობაქიძე*. სვანეთის... 1964, გვ. 30.

<sup>143</sup>რ. ხარაძე, *ალ. რობაქიძე*. სვანეთის... 1964, გვ. 31.

<sup>144</sup>კ. ინვოროვია. სსმ, თბ., გვ. 158.

<sup>145</sup>სწმ, I, გვ. 190.

<sup>146</sup>სწმ, I, გვ. 190, 199.

თულარის გვართაც იწერებოდნენ (იწოდებოდნენ)<sup>147</sup>.

სეტის მკვიდრები არიან **ნიგურიანები**. გადმოცემით ნიგურიანების ადრინდელი გვარი **ენგურანი** ყოფილა. დღეისათვის ნიგურიანები 30 კომლის ფარგლებში არიან. აღნიშნული გვარი სამი სამხუბსაგან შედგება: „მიქემერი“, „ბაჰმა“ და „ადაიმა“. ამ ნიგურიანების წინაპარი იყო XVII საუკუნის დაწერილში მოხსენიებული „ტატაჩა ნიგორიანი.“<sup>148</sup>

**მჭედლიანები** შუა საუკუნეების საბუთებში ჭედლიანებად არიან მოხსენიებული. XIV საუკუნის პირველი ნახევრის დაწერილში დასახელებულია „ჭედლიანი დოდილა“, იმავე დროის სხვა დაწერილებში – „ჭედლიანი დავით“, „ჭედლიანი დემეტრე“, „იგია ჭედლიანი“, „ბულღაირ ჭედლიანი“...<sup>149</sup>

ოდესღაც მესტიის მკვიდრები ყოფილან **ზურაბიანები**. ლალამში ზურაბიანების კოშკის ნანგრევს დღესაც მიუთითებენ. ზურაბიანების სამ ძმას ერთ ოჯახად უცხოვრია. „სოფელმა შეიძულა და დაატოვებინეს ლალამი.“ ერთი ძმა მულახის სოფელ ლახირში დასახლებულა, რომელთა სამხუბია „ზურმიანმა“, მეორე მუჟალის სოფელ ცალღამში დამკვიდრებულა („თემზაშა“. მესტიიდან წასულს რქმევია თემზა). მესამე ძმა კი ცხენისწყლის ხეობაში წასულა. ზურაბიანებს დღემდე ერთმანეთში ნათესაური ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ.

ლალამში მკვიდრობენ **ხოჯელანები**. ლანჩვალის „ფუსდის“ ეკლესიაში დაცულ XVII-XVIII საუკუნეების გრაფიტზე კვითხულობთ: „სულსა მიქაელს ხოჯელანისა ღმრთმან, ამინ.“<sup>150</sup> უფრო ადრინდელ დოკუმენტებში ისინი **უხოჯელანის** გვართ არიან ჩაწერილი. XIV-XV საუკუნეების დაწერილებში გვხვდებიან: „საგილა უხოჯელანი“, „მახარობელ უხოჯელანი“, „დემეტრე უხოჯელანი“, „გუგუ უხოჯელანი“...<sup>151</sup> ეთნოგრაფიული

<sup>147</sup> *ე. თაყაიშვილი*. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 299.

<sup>148</sup> სწმ, I, თბ., 1986, გვ. 160.

<sup>149</sup> სწმ, I, გვ. 180, 188, 190.

<sup>150</sup> სწმ, II, გვ. 297.

<sup>151</sup> სწმ, I, გვ. 183, 194, 198, 199, 204..

მასალა: „ხოჯელები უშულის თემიდან არიან მოსულები. პირველად ჩვენი გვარი მობრძანებულა აქ (ლალამში – რ. თ.). არიან ხოჯელები, მაგრამ ნიჟარაძეები ჰქვიათ ახლა. ნიჟარაძე და ხოჯელანი ერთი შტოა (ალ. დავითიანის მასალებით ნიჟარაძეები უხოჯელები იყვნენ). ჩვენი კოშკებიც არსებობს უშ-გულში. ურთიერთშორის უკმაყოფილების საფუძველზე წამოვიდნენ უშგულიდან. მურყმელში ვყოფილვართ, სულ ზედა სოფელში. თავდაპირველად იყვნენ უხოჯელანი. ჩვენი სამხუბის სახელია „დოქაშ“. იყო ოთხი სამხუბი, ახლა დარჩა ორი. მეორე სამხუბს ჰქვია „მუმაიშა“. ამოწყდნენ „კაქურა“ და „მეფრაიშა“ სამხუბები. ლალამის მაცხოვრის ეკლესიის გასაღები ჩვენ გვაბარია“ (კონდრატე მიხეილის ძე ხოჯელანი, 85 წლის, 2002 წელი). ამავე მთხრობელის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სოფელ ლალამში **ჭახრა(ე)გიანებსაც** უცხოვრიათ. ისინი ამოწყვეტილან. „ჭახრეგიანების კოშკი ახლა ბარლიანებს უკავიათ“. ლალამში მოსვლის დროს ხოჯელებს ჭახრეგიანები და იოსელიანები დახვედრიათ. საინტერესო გადმოცემაა დაცული ლალამის ეკლესიის აღმშენებლების – ქირქიშლიანების შესახებ: „ქირქიშლიანები ცხოვრობდნენ ბალსქვემოთ. თავხედი და შეძლებული გვარი ყოფილა. რაღაც ჰქონდათ ჩადენილი. ამაზე ძმები წუხდნენ. ერთ-ერთ ძმას ხილვა ჰქონია: თქვენ არ მოგეტევათ, სანამ ღმერთს სახლებს არ აუშენებთო. იარეთ და სადაც მოგეწონებათ ადგილი, იქ ააშენეთო. მოეწონათ ეს ადგილი, სადაც ეს მაცხოვრის ტაძარი დგას. ოღონდ ეს იყო პატარა – „ქრისტე“. სოფლისთვის უთხოვიათ აქ დიდი ტაძრის აშენების უფლება. იფიქრეს, პატარა ტაძარს რა ვუყოთო. მაგას გულში შევინახავთ და ისე ავაშენებთო. ამ ტაძარს შემოაშენეს ირგვლივ მეტრანახევრის გალავანი და იმაზე ზედ დააშენეს ლალამის ფერისცვალების ეკლესია. ამ ეკლესიაში ლოცულობდნენ ბარლიანები, გვარლიანები, ზურებიანები, ჭახრაგიანები, იოსელიანები და ჩვენ, ხოჯელები.“

მესტიელი **ნაკანები** ეცერის სოფელ ქურაშიდან არიან გადმოსახლებული. ისინი არ ქორწინდებიან ჩხვიმიანებსა („ყანსავმა“ სამხუბი) და გოშუანებზე, რადგან, მიაჩნიათ, რომ საერთო წინაპარი ჰყავდათ. ნაკანების გვარის სალოცავი – წმინდა გიორგი („ხომა ჯგარაგ“) – სწორედ სოფელ ქურაშია. ნაკანების ნასახლარებზე შემდეგ ბეჩოელი ხორგუანები დასახლებულან. ნაკანები როდესაც ქურაში მიდიოდნენ სალოცავად, ხორგუანებს სუფრით დახვედრა ევალეობდათ. ნაკანების სამხუბებია: „გიუნუმა“, „ყუბათმა“, „გიდუმა“. ნაკანების ნაწილმა გვარი შეიცვალა იმიტომ, რომ მესისხლეობის გამო იყვნენ ეცერიდან აყრილი. ლემტერში დასახლებული ჩხვიმიანად დაწერილა, ბეჩოში დასახლებული – გოშუანად („გვარი შეიცვალეს გვარის დაფარვის მიზნით და დამხვდურის გვარზე დაეწერნენ“ – მთხრობელი ფილიპე ალექსის ძე ნაკანი, 66 წლის, 2003 წელი).

მესტიაში ისინი სეტში ცხოვრობენ. ეცერის სოფელ ქურაში ნაკანებს საგვარო სალოცავი – „ხომა ჯგარაგ“ აქვთ. მთხრობელის ფილიპე ნაკანის გადმოცემით, „ახლა იშვიათად დავდივართ ქურაში სალოცავად, წინაპრები კი ხშირად დადიოდნენ“. ქურაში ნაკანების ნასახლარებზე ახლა ხორგუანები ცხოვრობენ. ადგილ-მამული ნაკანებს ხორგუანებისათვის მიუყიდათ. ნაკანების გადმოსახლების მიზეზი კი ის ყოფილა, რომ მათ „წინაპრებს მკვლელობა მოხდენიათ დაღუშქელიანებთან და იმიტომ აღარ შეიძლებოდა იქ გაჩერება“. XIII-XIV საუკუნეების „სვანეთის კრების მატრიანეში“ დღევანდელი ნაკანების წინაპრები ნაკიანის გვარით არიან ჩაწერილები: „მრმ ნაკიანი“, „ხალინა ნაკიანი“, „აბესალომ ნაკიანი“, „გვანგვა ნაკიანი“, „თამთარ ნაკიანი“, „ნათა ნაკიანი“, „ლელა ნაკიანი“, „ამადა ნაკიანი“<sup>152</sup>.

<sup>152</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, გვ. 132, 134, 135, 136, 140.



ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ნაკანები არ ქორწინდებიან ჩხვიმიანებსა და გოშუანებზე. ისინი ერთი წარმოშობისანი არიან: „ჩვენს შორის ქორწინება არ შეიძლება“. როგორც ირკვევა, ჩხვიმიანების გვარი ორად იყოფა. ერთნი ჩართოლანებს ეძმობიან, მეორენი – ნაკანებს. ნაკანების მონათესავენი „ყანსავმა“ ჩხვიმიანები არიან, რომლებიც ლეშტერში მკვიდრობენ. მეორე ჩხვიმიანების სახელია („სამხუბია“) „ფადლარ“. ისინი კი ჩართოლანებს ეკუთვნიან (ენათესავეებიან). ნაკანების გვარი სამი „სამხუბისაგან“ შედგება, სამი ძმის ნაშიერნი არიან: „გიუნუმა“, „ყუბაიმა“, „გელუმა“. „ყანსავმა“ არიან როგორც ჩხვიმიანები, ისე გოშუანები. მესტიაში ნაკანებს 5 მურყვამი (კოშკი) ჰქონდათ.

### ლენჯერის თემი

ბალსზემო სვანეთის შემდეგი თემია **ლენჯერის თემი**, რომელიც როგორც სხვა თემები, რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. ესენია: *ნესგუნი, ლემსია, ქაშვეთი, ლაშთხვარი, კაერი, სოლი, ხეშკილი*. 1886 წლის მონაცემებით, ლენჯერის სასოფლო საზოგადოებაში 70 კომლი (668 სული) მკვიდრობდა. 17-17 კომლი ცხოვრობდა ლემსიასა და ნესგუნში (შესაბამისად 139 და 183 სული), ქაშვეთში – 14 კომლი (154 სული) იყო, ლაშთხვერში – 12 კომლი (119 სული), სოლში – 7 კომლი (54 სული), კაერში – 3 კომლი (54 სული). ე. თაყაიშვილი ასახელებს კიდევ ერთ სოფელს – მუხელი (როგორც ჩანს, ის ლაშთხვერის ერთი უბანი იყო). აქ ყოფილა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. საინტერესოა, რომ ლაშთხვერის მთავარანგელოზისათვის ზარი შეუწირავს კახეთის მეფე დავითს: „*შემოგწირე ზარი ესე ჩუენ კახთა მეფემან პატრონმან დავით თქუენ ლაშთახურის წმინდათ მთავარანგელოზთა დღეთა ჩუენთა სადღევრძელოდ და მეფობასა ჩუენისა წარსამართებლად*“. ეს ფაქტი საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის, ამ შემთხვევაში კი ერთმანეთისაგან სრულიად დაშორებულ კუთხეებს შორის, მჭიდრო კავშირებზე მიუთითებს. ლენჯერის საერთო სალოცავია „იელ“-ი (წმ. ილიას ეკლესია). ადრე მთელი ლენჯე-

რი საერთო სალოცავს – ორ ხარს სწირავდა (შესაწირ ხარს საერთო ფულით ერთი თვით ადრე ყიდულობდნენ და მთაში ასუქებდნენ). ლენჯერის დიდი დღესასწაული იყო „ქაშვეთობაც“. მას არა მხოლოდ ლენჯერელები, არამედ ლატალებიც დღესასწაულობდნენ. საყურადღებოა, რომ **სამურზაყანოდან – ილორიდან აქ აუცილებლად ზურგით უნდა მოეტანათ შეწირული ხარის ბეჭი**. ეს ეთნოგრაფიული მასალა ქართველთა ეთნიკური ისტორიისა და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მჭიდრო ურთიერთობის შესახებ შორს მიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. საერთოდ ლენჯერის პირველმოსახლენი **ილდანები** ყოფილან (სოფელი ლაშთხვარი), რომლებიც სვანეთის სხვა სოფლებშიც არიან განსახლებული და **მილდიანის** გვარს ატარებენ.

ლენჯერში ყველაზე დიდი გვარი **გულედანების** გვარი იყო. 1940 წლის მონაცემებით, აქ 86 კომლი გულედანი ცხოვრობდა. **ფილფანები** 60 კომლი იყვნენ, **ხაფთანები** – 25 კომლი (გადმოცემით გელათიდან მოსულან. გვარში ორი სამხუბია: „მიქელაიშა“ და „გივიშა“. გელათიდან გამოქცეული სამი ძმიდან ორი ლენჯერში მოსულა. ერთი ნესგუნში დასახლებულა, მეორე – სოლში. მესამე ძმა სამეგრელოში, სოფელ საბერიოში წასულა, რომლის შთამომავლებიც ახლა **ხაფაეები** არიან. ხაფთანები ერთ სამხუბში შედიან – „მიქელაიშა“), **უდესიანები** – 19 კომლი, **ჯაჭვანები** – 19 კომლი, **მერლანები** – 28 კომლი (სოფლები კაერი და ლემსია. სამხუბები: „ადაიშა“, „ბექზაშა“, ჩახეშა“, „ბიჭოშა“. ეს უკანასკნელი სამხუბი შეკედლებულია. „ძლიერ გვარს ეკედლებოდნენ“), **შუკვანები** – 59 კომლი (მოსულან ფარიდან), **მადედანები** – 3 კომლი. **მეშველიანები** – 2 კომლი, **ილდანები** – 5 კომლი, **ნავერიანები** – 10 კომლი (მულახიდან გადმოსულები. „ქვითმშენებლები იყვნენ“), **გიგდელიანები** – 4 კომლი, მკვიდრობდნენ აგრეთვე **გიგლეძიანები** (წვირში გადასახლდნენ. გიგლეძიანი და გიგდელიანი ერთი წარმოშობისანი არიან), **წიფიანები**, **ჯაფარიძეები** და **ხორგუანები**. ლენჯერის ამოწყვეტილ გვარებს შორის იხსენიებენ **ვიბლია-**

**ნებს.** ეთნოგრაფიული მასალებით, ვიბლიანები „გაბატონებას ფიქრობდნენ მთლიანად ლენჯერზე და იმიტომ ამოწყვიტეს.“ თუმცა ვიბლიანების გვარი სვანეთში დღესაც ცხოვრობს – ისინი ჭუბერის მკვიდრნი არიან.

გადმოცემით, სვან გულეღანებს და მეგრულ გულორღავეებს ერთი ძირი აქვთ: „სადაც ვხვდებით ერთმანეთს, როგორც ერთ მოგვარე ისე ვართ“. საყურადღებოა, რომ სვანი გულეღანების გადმოცემით, ისინი სამეგრელოდან არიან მოსული, ხოლო გულორღავეები სვანეთიდან მოსულებად მიიჩნევენ თავს. გულეღანების გვარში ოთხი სამხუბი (სამძო ანუ გვარის დანაყოფი) გამოიყოფა: „გულემა“, „ბექურზაშა“, „ტიტიშა“ და „ქაუბა“. ნესგუნელების მთავარი სალოცავია „ჯვრაგ“. გარდა ამისა, აქვე არის „მაცხოვარი“, „იელ“, „ფუსტ“. ლენჯერში გულეღანები ეცერიდან გადმოსახლებულან. მართლაც, „სვანეთის კრების მატიანეში (XIII-XIV საუკუნეები) ეცერს დასახლებული არიან „ივანე გულეღიანი“, „გ-ი გულეღიანი“<sup>153</sup>. ეცერიდან ლენჯერში გადმოსახლების მეზეზების შესახებ გვარში გადმოცემა არაა დაცული. აქ გადმოსახლებისას გულეღანებს მალეღანები დახვდნენ. მთხრობელის გადმოცემით, „როგორც გულეღანებს გვაქვს კავშირი გულორღავებთან, ისე მალეღანებს აქვთ კავშირი მარღანიებთან. მალეღანები მცხოვრისა და იელს მლოცველები არიან“. XV საუკუნეში მალეღიანების გვარის ფონეტიკური ვარიანტი „მალელღიანი“ იყო<sup>154</sup>.

სოფელ სოლში ძირითადად **ხაფთანები, ხორგუანები** და **გიგდელიანები** მკვიდრობენ. XII-XIII საუკუნეების „სვანეთის კრების მატიანეში“ ხაფთანები ხაფთიანის გვარით არიან ჩაწერილები: „შალვა ხაფთიანი“<sup>155</sup>. სოფელ ლემსიას მთავარი გვარია შუკვანი (შუკუანი). ქაშუეთის მთავარი მოსახლენი ფილფანები არიან. წიფიანი აქ მულახიდან არის გადმოსახლებუ-

<sup>153</sup>კ. ინგოროვია. სსმ., გვ. 133, 137.

<sup>154</sup>სწმ, თბ., 1986, გვ. 186.

<sup>155</sup>კ. ინგოროვია. სსმ, თბ., გვ. 153.

ლი.

სოფელ ნესგუნში ადრე ვიბიანებსაც უცხოვრიათ, რომლებიც ამოწყვეტილან. მათ ცალკე კოშკიც ედგათ. დილით და საღამოთი ნახირს არ გაუშვებდნენ, რომ არ მოეწველათ. ლენჯერელთა ყველა ოჯახს თითო მარხილი შემა მოუტანია და კოშკისათვის გარშემო შემოუწყვიათ. „წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. დიდი ოჯახი იყო, ტოლად არავის ავდენდნენ.“

ლენჯერელი ილდანები XIII-XIV საუკუნეებს მატიანეში ელელინად არიან ჩაწერილები, XVIII საუკუნის მოსახსენებელში – მილდანებად<sup>156</sup>.

სოფელ ლემსიაში, ეთნოგრაფიული მონაცემებით, პირველად მერლანები დასახლებულან, შემდეგ კი შუკვანები, რომლებიც ბეროდან მიგრირებულან. მათი სალოცავი ბეროს სოფელ გულში ყოფილა – „გულისგაბრიელი“. ბეროდან წამოსვლისას შუკვანებს თან თავიანთი ხატები წამოუღიათ და ამ ხატისათვის შეუწირავთ. „პირველად ბეროში არ უცხოვრიათ შუკვანებს და იქ შეტაკება მოსვლიათ თავად ჩარკვიანებთან, თითონაც თავადები ყოფილან. ეს ომი რომ წაუგიათ ბეროში გადასახლებულან სულ მთაში, თავში და ეტყობა დიდხანს ვერ გაძლეს და აქ გადმოსულან. შუკვანები ადრე ღოღელიანები ყოფილან და მერე გვარი შეუცვლიათ“. შუკვანები თავიანთ განაყრებად მიიჩნევენ ჩიქოვანებსა და მუკვანებს (სოფელი წვირმი). მუკვანებისა და შუკვანების საერთო წარმომავლობას ისიც ადასტურებს, რომ ამ ორი გვარის წარმომადგენლები ერთმანეთზე არ ქორწინდებიან. ღოღელიანების გვარი დღეს სვანეთში ადარ მოსახლეობს. ისინი ლეჩხუმის მკვიდრნი არიან. XII-XIV საუკუნეების სვანეთის სულთა მატიანის მიხედვით, ღოღელიანების გვარი ფართოდ იყო განსახლებული სვანეთში. მაგალითად, სოფელ ლემდერში უცხოვრია „ვეშე ღოღელიანს“, ფარის თემის სოფელ მაღს – „გ ი ღოღელიანს“, „მიქ ღოღელიანს“, „გ ი ღოღელიანს“, „ინაღ ღოღელიანს“, „თათე ღოღელიანს“, იე

<sup>156</sup>სფძ, I, თბ., 1986, გვ. 293.

ლოლელიანს“, „მარიამ ლოლელიანს“, „ვარდან ლოლელიანს“, „ქაქუბა ლოლელიანს“<sup>157</sup>. ლენჯერში **ნავერიანები** მულახიდან არიან გადმოსახლებულნი. აქ მათ თავიანთი საგვარეულო სალოცავი და სასაფლაო („მაცხოვარი“) აქვთ. რაც შეეხება ქაშვეთობის დღესასწაულს, მასში, ლენჯერელთა გარდა, ლატალელებიც მონაწილეობდნენ.

ზემოთ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ მეგრულ-სვანური გვარების საერთო წარმომავლობის შესახებ. ხაფთანებისგან წარმომავლობენ ხაფავები. ლენჯერელი მთხრობელის გადმოცემით, „*აქ, ლაშთხვერში ჯაჯვანები (ჯაჭვანები) ვცხოვრობთ. ჩემი დედულები ახლა სოფელ ოტობაიაში ცხოვრობენ. მათ რომ გაიგეს ვისი ბადიში ვიყავი ჯაჯვანების (ჯაჭვანების), ძალიან გაუხარდათ, პატივი მცეს: ჯაჭვანები და ჯოჯუები ერთნი ვართ. ფილფანები თავს ფიფიებად მიიჩნევენ. სამი ძმა ვიყავით. იქიდან გამოვიქეციით. ხარით მოსულან*“ XIV საუკუნის პირველი ნახევრის დაწერილში „თაუსდებად“ გვხვდება „ჯაჭვანი ტაიბუღვა.“<sup>158</sup> ყველაზე ადრინდელი დოკუმენტი, რომელშიც ჯაჭვანები არიან დაფიქსირებული ესაა XI საუკუნის გრაფიტი, რომელშიც ვკითხულობთ: „წმიდალ მთავარანგელოზო, შეიწყალე მონაი შენი გიორგი ჯაჭვიანი, ვინ ესე წაიკითხოს იგიცა შეიწყალე, მეცა მომიცსენე.“<sup>159</sup>

ლენჯერის სოფელ ხეშკელიდან ყოფილან ქვემო სვანეთში გადასახლებულნი **ბაბლუნების** წინაპრები. ხეშკელში შვიდ სხვადასხვა გვარს უცხოვრია. ბაბლუნებთან ერთად **კეტვანებიც** ყოფილან. ბაბლუნები დღემდე დადიან ლენჯერში სალოცავად. ხეშკელის მოსახლეობა ამოუწყვეტაით: „ხეშკელში არის ერთი ადგილი – გაგანი ჰქვია; გვარია თუ სახელი არ ვიცით. ადგილს „გაგნის ნეხტომსაც“ ეძახიან (სვანურად: „გა-

---

<sup>157</sup> კ. ინვოროცვა. სსმ, თბ., გვ. 122-124.

<sup>158</sup> სწმ, I, თბ., 1986, გვ. 181.

<sup>159</sup> სწმ, II, თბ., 1988, გვ. 240.

განა ნასკინ“). ის კაცი გაღმა ყოფილა გასული. თავს დასხ-  
მიან. საქონელი წაასხეს. ძალი წასულა პატრონთან, გაგანი  
მათ უკან გაეკიდა; იძულებული გამხდარა მდინარეზე გადამხ-  
ტარიყო და ამიტომ დაერქვა „გაგნა ნასკინ“. გაგანი გადარჩა,  
ჯოგს გაეკიდა და უკან დააბრუნა. გამტაცებლები მულახელები  
ყოფილან. ხემკელში **ბარვანის** და ცხოვრობდა. **გაგვანის** გვა-  
რის ხალხიც ცხოვრობდა. ქალის გულისთვის მოუხდათ ჩხუბი  
და ყველანი ამოწყდნენ. უძრავ-მოძრავი ქონება მულახელმა ქუ-  
რდიანებმა წაიღეს, მიწა კი – ლატალმა და ნაწილი – ლენჯე-  
რმა. ქაშეთისა და ლაშდვერის მოსახლეობა ხემკელში ჩამო-  
სახლებულა. პირველად ილდანები ჩამოსულან. ილდანები ილო-  
რიდან არიან. მოსულ კაცს შეურაცხყოფა რომ მიაყენეს, გაასა-  
ხლეს და შემდეგ ერთი უკან დაბრუნებულა. მისი შთამომავ-  
ლები არიან ეს ილდანები.

ლენჯერის დიდი გვარები თუ სამშობლად („სამხუბ“, „ლამ-  
ხუბ“) იყოფიან, **მაღედანები** და **წიფიანები**, რომლებიც პატარა  
გვარებია და არ მრავლდება, „სამხუბებისაგან“ არ შედგება.  
გადმოცემით, მაღედანები იმიტომ არ მრავლდებიან, რომ „ტყის  
კაცის“ – „დავ“-ის დაწყველილები არიან. XIII-XIV საუკუნე-  
ებში წიფიანებს ეცერში უცხოვრიათ: „აქუნელ წიფიანი“, „თა-  
თე წიფიანი“, „გ წიფიანი“<sup>160</sup>. სოფელ სოლში ადრე **თვირიან-  
ნებს** უცხოვრიათ. ახლა მხოლოდ მათი კომკია შემორჩენილი.  
თვირიანების საცხოვრისზე ახლა ხაფთანები მკვიდრობენ. „ახ-  
ლა ეს თვირიანები სამეგრელოში თორიები არიან“.

ლენჯერში ჩაწერილი მასალებით ადრე აქ ბევრ სხვა  
გვარს უცხოვრია, რომლებიც ძირითადად ეპიდემიის გამო ამო-  
წყვეტილან. მთლიანად ამოვარდნილა სოფელ კაერის ძველი  
მოსახლეობა. სოფელ სოლში ახლა **გულედანები** ცხოვრობენ,  
უფრო ადრე კი აქ **თვირიანებს/თორიებს** უცხოვრიათ. ლენჯე-  
რიდან წასული თვირიანები ამჟამად ხაიშში მკვიდრობენ და  
თორიას გვარს ატარებენ. თავის დროზე სოლში თვირიანები 12

<sup>160</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 137, 147.

კომლი ყოფილან, რომლებიც „ესპანურას“ (ჭირს) გაუწყვიტა. 2005 წელს სოფელ სოლში დაბადებული მოხუცი ქალი ცაცუ თვირიანი ლენჯერში ცხოვრობდა. ის მერლანების რძალი იყო. ისე კი სოლის თავდაპირველი მკვიდრები გიგდელიანები ყოფილან.

### ლატალის თემი

ბალსზემო სვანეთის უკანასკნელი თემია ლატალის თემი. ლატალის თემის სოფლებია: ენაში, მაცხვარიში, შყალერი, კვანჭიანარი, ლაპილი, სვობულდი, ლახუშტი, სიდიანარი, იფხი, ლეშუკი, ნამყვან-ნაგრალი, ლელბავი. ე. თაყაიშვილი წერდა, რომ „ლატალის თემი ერთ-ერთი საუკეთესო თემია თავისუფალი სვანეთისა, ყველაზე უფრო მაგარი და მდიდარი, ვინაიდან ენგურის ხეობა აქ ფართოა. ლატალელებს ბევრი აქვთ საერთო სახნავ-სათესი მიწა, საძოვრები და ტყე. ესენი ყველაზე უფრო მამაცად ითვლებიან, ყველა თემზე უფრო გვიან მიიღეს ნებაყოფლობით რუსეთის ქვეშევრდომობა“<sup>161</sup>.

1886 წელს საოჯახო სიებით, ლატალის სასოფლო საზოგადოებაში 121 კომლი (995 სული) კვიდრობდა. ყველაზე მეტი მოსახლეობა ენაშში (35 კომლი, 253 სული) ცხოვრობდა; 20 კომლი (188 სული) იყო მაცხვარიშში (აქ არის ყველაზე ძლიერი სალოცავი – „ფუყულდაში ჯგრაგ“, რომელსაც გირგვლიანები, გვიჩიანები, ივეჩიანები და აბდელანები ლოცულობენ); შემდეგ მოდიოდა: კვანჭიანარი (14 კომლი, 138 სული), იფხი (10 კომლი, 96 სული), ლეჩუკვი (10 კომლი, 85 სული), ლახუშტი (9 კომლი, 88 სული); შყალერი (7 კომლი, 49 სული), სიდიანარი (6 კომლი, 39 სული), ლაპილი (4 კომლი, 26 სული), ლამი (4 კომლი, 33 სული).

1940 წლის მონაცემებით, ლატალის საზოგადოებაში შემდეგი გვარები იყო განსახლებული: ასუმბანი (ლახუშტი – 4 კომლი. 1872 წლის საეკლესიო საბუთში დაფიქსირებულია „ასანბანი“); ფირცხელანი (ლახუშტი – 4 კომლი); კვანჭიანი

<sup>161</sup> ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 337.

(ლახუშტი – 3 კომლი, იფხი – 15 კომლი, ლატალი – 14 კომლი, კვანჭიანარი – 19 კომლი). უნაშში ცხოვრობდნენ: **ფარჯიანები** (10 კომლი), **წერელიანები** (11 ოჯახი. XIII საუკუნის სულთა მატთანში – „წვერელიანი“<sup>162</sup>); **ჩარკვიანები** (2 ოჯახი), **გირგვლიანები** (10 კომლი). გირგვლიანები (10 კომლი) იფხის მკვიდრებიც იყვნენ. მაცხვარიშში გირგვლიანების (გურგვლიანების) 14 კომლი მკვიდრობდა. რ. ხარაძის მიერ ჩაწერილი მასალით, გირგვლიანების წინაპარი გურიიდან მოსულა: „გურიიდან მოსულა ერთი კაცი სახელად გირგვლან და დასახლებულა მაცხვარიშში და მათი, შთამომავლობაა მთლიანად მთელი გირგვლიანარ.“<sup>163</sup> გირგვლიანების გვარი გვხვდება XVI-XVII საუკუნეების დაწერილში. „კაცთაგან დამხდურთა“ შორის მოხსენიებულია „ბაკე გირგულიანი.“<sup>164</sup> ლატალის თემის გვარებიდან კიდევ შეიძლება დავასახელოთ: **აბდელანები** (11 კომლი), **ნანსყანები** (9 კომლი. 1872 წლის საეკლესიო საბუთში დაფიქსირებულია „პიწყილ ნანსყანი“. გვარი მოხსენიებულია XIV საუკუნის შუა ხანების დაწერილში, რომელსაც „მპარავი“ ომხიანი შეუპყრავს<sup>165</sup>), **სუბელიანები**, **გვიჩიანები** (23 კომლი. 1872 წლის დოკუმენტში – „გვიჭიანი.“ XVI-XVII საუკუნის დაწერილშიც გვიჭიანი გვხვდება – „ბიშე გვიჭიანი“. აქედან ქვემო სვანეთში გადასახლებულნი დღესაც გვიჭიანის გვარს ატარებენ. 2000-იანი წლების დასაწყისში გვიჩიან-გვიჭიანებს საგვარო თავშეყრა გაუმართავთ, სადაც გვიჭიანები გვიჩიანებს საყვედურობდნენ – „ჭ“ „ჩ“-დ რატომ გადაიკეთეთო), **ივეჩიანები** (15 კომლი), **სიდიანები** (3 კომლი), **პაიკვლანები**, **თამლიანები** (6 კომლი. თამლიანებს მხოლოდ ერთი სამხუბი გააჩნიათ – „კუკვამა“. წვირმელი თამლიანები

<sup>162</sup>კ. ინკოროცვა. სსმ, თბ., გვ. 124.

<sup>163</sup>რ. ხარაძე. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. 1945 წელი (ეთნოგრაფიული მასალები) – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XV, თბ., 2014, გვ. 216.

<sup>164</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 203.

<sup>165</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 146-147.



ლატალიდან არიან გადასული. გვარის სალოცავია „მაცხოვარი“, **სტეფლიანი**, **ჩამგელიანი** (1872 წლის საეკლესიო საბუთში გვხვდება „ჯახუ ბიტის ძე ჩამგელიანი“), **ხვიბლიანი**, **ნიკოლოზიანი** (გვარი პირველად გვხვდება XIV საუკუნის დაწერილში, რომელშიც მოხსენიებული არიან დავით, დემეტრე, ტიმოთე და დოდოლა ნიკოლოზიანები<sup>166</sup>). ლატალის სოფელ სგობულდის მკვიდრები ყოფილან **ჩორგოლიანები**. გადმოცემებს შემოუნახავს ერთ-ერთი გამორჩეული ჩორგოლიანის სახელი – *ჯუჯუ*. ეთნოგრაფიული მასალა: „ამჟამად ამ გვარის (ჩორგოლიანის – რ. თ.) ერთადერთი გამგრძელებელი ცხოვრობს დალის ხეობაში“. ლაჰილში უცხოვრიათ **მესიანებს**. ამჟამად ეს გვარი აღარ არსებობს. ამ გვარებიდან XII-XIV საუკუნეების სვანეთის სულთა მატეანეში მოხსენიებულნი არიან: წერედიანები („ვანელი წერედიანი“<sup>167</sup>), ივეჩიანები („ჯულაბა ივეჩიანი“, „ძაძუ ივაჩიანი.“<sup>168</sup> ივაჩიანები ქვემო სვანეთის ჩოლურის თემის სოფელ ტვიბის მთავარანგელოზის (XIV საუკუნე) ეკლესიის ფრესკულ წარწერაშიც მოიხსენიებიან, კერძოდ, „დპარიტ ივაჩიანი“), აბდელანები/აბდალანები („გვი აბდელიანი,“ ივანე აბდალანი<sup>169</sup>. ოლონდ მაშინ ამ გვარის წარმომადგენლებს ცხუმარში უცხოვრიათ), ჩარკვიანები („მიქლ შარგვიანი“<sup>170</sup>). XVI-XVII საუკუნეების დოკუმენტებში დასახელებულნი არიან: „კვანჯიანები“, „პაიკელანები“; XIV საუკუნის საბუთში გვხვდება ფარჯიანთა გვარი, ოლონდ მაშინ ისინი ფარეჯიანად იყვნენ დაფიქსირებული: „ტაიბულვა ფარეჯიანი“, „დოდოლა ფარეჯიანი“, „ბახნარ ფარეჯიანი.“<sup>171</sup> რ. ხარაძის მიხედვით, „ფარჯიანების გვარი ორი შტო-

<sup>166</sup>სწმ, I, გვ. 150.

<sup>167</sup>კ. *ინვოროცია*. სსმ, თბ., გვ. 124.

<sup>168</sup>კ. *ინვოროცია*. სსმ, თბ., გვ. 155.

<sup>169</sup>კ. *ინვოროცია*. სსმ, თბ., გვ. 148.

<sup>170</sup>კ. *ინვოროცია*. სსმ, თბ., გვ. 132, 134, 135, 136, 148.

<sup>171</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 150.

საგან შედგება: *ნუაშერ* და *დათუარ*. ნაუშერ-ები, დათუარ-ებთან შედარებით, უფრო ძლიერ ჯგუფს წარმოადგენენ, ამიტომ თავიანთ თავს ძველი ფარჯიანების დარჩენილ შთამომავლებად მიიჩნევენ. დათუარები კი, მათი წარმოდგენით, თავდაპირველი ფარჯიანები არ ყოფილან, არამედ **დათულიანებს** ეკუთვნებოდნენ და ფარჯიანობა ნაყიდობით აქვთ მოპოვებული. ამგვარ გადმოცემას დათუარები ძლიერ ეწინააღმდეგებიან და პირიქით ნუაშერ-ებს გვარის მონაყედეს უწოდებენ. მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს მხოლოდ ერთ მრავალთაგანს, რადგანაც თითქმის ყველა დიდ გვარში, რომელშიც ძველთაგანვე ე. წ. სამხუბების მიხედვით არის მომხდარი დანაწილება და რომლებსაც საერთო წინაპარი დაკარგული ჰყავთ, ეს სამხუბები ერთი მეორეს უცხო გვარიდან დაკარგული ჰყავთ, ეს სამხუბები ერთი მეორეს უცხო გვარიდან და, უმრავლეს შემთხვევაში, სუსტი გვარისაგან წარმომავლად სთვლიან. რაც შეეხება თვითონ გვარის ყიდვას და გამოცვლის წესს, ეს უკანასკნელი სვანეთის ცხოვრებაში ცნობილ ფაქტად უნდა იყოს მიჩნეული, როგორც იძულებით მდგომარეობა, სისხლის აღებითა და გვარის შესუსტებით გამოწვეული. სვანურ გვარს არ ახასიათებს სისხლის ნათესაობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი და არც ნათესაური რეგლამენტაცია ოჯახის შექმნისა და დაქორწინების საკითხებში<sup>172</sup>.

რ. ხარაძე საინტერესოდ მსჯელობს მოყვანილი სვანური გვარების შესახებ, მაგრამ ვერ გავიზიარებთ იმას, რომ გვარის დანაყოფები („სამხუბები“) უმრავლეს შემთხვევაში სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან. რა თქმა უნდა, მრავალი შემთხვევა გვაქვს სვანეთში ერთი გვარის მეორე გვარში შესვლისა, სუსტი გვარის ძლიერ გვარში შესვლისა, მაგრამ ის, რომ ეს საყოველთაო მოვლენა იყო და ყველა გვარის „სამხუბებს“ სხვადასხვა წარმოშობა აქვთ, სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგრამ ზოგჯერ ეს „სამხუბები“ სხვადასხვა წინაპრის შთამომავლნი

---

<sup>172</sup>რ. ხარაძე. გვ. 17

ნამდვილად არიან. რაც შეეხება გვარის ყიდვას, რეალურ ფაქტად არ მიგვაჩნია. არცერთი შემთხვევა არა გვაქვს გვარის ყიდვის რეალური ფაქტისა: რას იხდიდნენ, ან რამდენს უხდიდნენ, ვის უხდიდნენ იმ გვარის ყველა წარმომადგენელს, რომელშიც შედიოდნენ, თუ გვარის უფროსს („მახვშს“); იქნებ ის გვარის სალოცავში მიჰქონდათ?). ამ შემთხვევაში საქმე ისეთსავე მოვლენასთან გვაქვს, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში – ძლიერ გვარებში სუსტი და მცირერიცხოვანი გვარების შესვლისა, შეყრისა ანუ ხელოვნური დანათესავებისა გვექონდა, რაც სალოცავში (ჯვარ-ხატში) მხოლოდ ერთგვარი რიტუალის შესრულებით გამოიხატებოდა. ამგვარად, ხდებოდა ე.წ. ძლიერი და დიდი გვარების გაძლიერებაც და სუსტი სოციალური ერთეულის (სუსტი გვარის) მიერ პატრონ-მფარველის პონა. თავის დროზე ეს გვაროვნული ურთიერთობის მოსპობის და გვაროვნული ურთიერთობებიდან ტერიტორიულ თემურ ურთიერთობებზე გადასვლის მიმანიშნებელი ერთ-ერთი ფაქტი იყო. რა თქმა უნდა, სვანური გვარის ერთი წინაპრის შთამომავალნი ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ და თუ ქორწინდებოდნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ გვარის დანაყოფების („სამხუბების“) წარმომადგენლები სხვადასხვა წარმომავლობისანი იყვნენ. ამდენად, ოჯახის შექმნისა და ქორწინების საკითხებში სისხლით მონათესავეებს ნათესაობასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობაც განსაზღვრული ჰქონდათ და ნათესაური რეგლამენტაციაც არსებობდა. ამ მხრივ სვანეთში ისეთივე წესი მოქმედებდა, როგორც მთელ საქართველოში.

ლატალის საზოგადოებაში (თემში) ერთსამხუბიანი გვარია *ვირგვლიანი*. ლატალში გამორჩეული ადგილი ეჭირა *ჩარკვიანებსა* და მათ ნასახლარებს. „უფრო მკვეთრად ეს განსხვავება მოჩანს ლატალელი ჩარკვიანების სახლების მაგალითზე, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს არა მარტო გაბარიტებით, არამედ მათი განლაგებითაც ლატალის დანარჩენი მოსახლეობის

მიმართ<sup>173</sup>. „ლატალში არის ჩარკვიანების ხუთი ნასახლარი: გიგბაშ, ზაგრარ, გილონ, ჩირდილაში და ლახუშდ-ი. ყველა ეს ნასახლარი სოფლისაგან განკერძოებით არის განლაგებული და სოფლის დანარჩენი მოსახლეობისაგან ტერიტორიულად გამოირჩევა.“<sup>174</sup> ჩარკვიანების მიერ განცალკევებით დასახლების ტენდენცია იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ისინი თავის დროზე სოციალურად დაწინაურებულნი იყვნენ.

კახეთის მეფეების შეწირული ზარი ლატალშიც ყოფილა: „ჩუენ მეფემან ალექსანდრე, ძემან მეფისამან ლეონისამან, წარმოვეც ზარი ესე სამსახურებლად წმინდისა ტაძრისა შენისა წინასწარმეტყველ იონა ლატალისანი, 1600 წლისა“<sup>175</sup>. ე. თაყაიშვილისავე გადმოცემით, გამორჩეული ყოფილა ლატალის საზოგადოების სოფელი მაცხვარიში. „ამ სოფელში გვხვდება ხის სახლები, რომელნიც იშვიათია სვანეთში. ეკლესია ამ სოფლისა არის მაცხვორის სახელზე აშენებული და აქედან წარმოსდგება სოფლის სახელიც მაცხვარიში“. მაცხვორის ხატს მიბმული ჰქონია ვერცხლის ძეწკვი, „რომელსაც ცალკე ფირფიტაზე აქვს შემდეგი მინაწერი მხედრულად: „ქ. შემოვწირე მცირე შესაწირი ძეწკვი ესი მაცხვორის ლატალისას მე ჩიქუანმან ქაიხოსრომ ჩემს სადღევრძელოდ და მერმე ჩემის ცოდვილის სულის საოხად და საცხონებლად“. „ეს ქაიხოსრო ჩიქოვანი იგივე ქაიხოსრო ჩიქოვანი უნდა იყოს, რომელიც თავისი ცოლით, ლასხიშვილის ქალით, წარმოდგენილია ფრესკებით ნაკურალემის ეკლესიის კედელზე, მე-17 საუკუნეში“<sup>176</sup>. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან ჩიქოვანები, მართალია, ბოლო დროს სვანეთში აღარ მოსახლეობენ, მაგრამ ძირით სვანეთიდან არიან და ისინი მამა-პაპათა სალოცავენს არ ივიწყებდნენ. XIII-XIV საუკუნეების სვანეთის სულთა მატიანეში არაერთი ჩიქო-

<sup>173</sup>რ. ზარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის... თბ., 1964, გვ. 25.

<sup>174</sup>რ. ზარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის... თბ., 1964, გვ. 26.

<sup>175</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 337.

<sup>176</sup>ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 356.

ვანია დასახელებული: „მ~რმ ჩიქოვანი“, „გ~ი ჩიქოვანი“<sup>177</sup>. როდის გადასახლდნენ ჩიქოვანები სვანეთიდან ლეჩხუმში, ცნობილი არაა. როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე. სად დაწინაურდნენ სოციალურად ისინი – ძველ თუ ახალ საცხოვრისში?

ლატალის თემის სოფელ ლაჰილის წმინდა გიორგის ეკლესიის გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზე კი შემდეგი წარწერაა: „**წმინდაო მთავარანგელოზო მუხერისაო, ხელთუქმრო, აღიდენ მეფენი ბაგრატიონიანნი, დადიანნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სანი და კვეცი ლატალისა და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლალისა და ყოველნი მადიდებელნი შენნი**“<sup>178</sup>. ე. თაყაიშვილი არა მარტო სვანეთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის ამ მნიშვნელოვან წარწერას XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებს. აღნიშნული დოკუმენტით სვანები ხაზს უსვამენ იმას, რომ სვანეთი ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და წმინდა მთავარანგელოზს ამ ერთიანი საქართველოსა და მეფეთა საგვარეულოს დიდებას შესთხოვენ.

1872 წლის საეკლესიო საბუთით ლატალში უცხოვრიათ აგრეთვე ბარვანისა და ჩეგეშინების გვარებს: „აღაი ნაწიფაის ძე ბარვანი“ (90 წლის) და „ბექნ ბეკოს ძე ჩეგეშინი“ (65 წლის). პირველ მათგანს ოჯახის წევრები არ ყავდა, მეორეს კი ოთხი ვაჟის მამა იყო. აქვე დაფიქსირებულია აგრეთვე გვარსახელი **იღმთიანი**: „**ფუთა გირვლებიანთან მცხოვრებნი: გიორგი კვანჭიანი. ცოლი მისი მანია იღმთიანის ასული.**“ ეთნოგრაფიული მასალებით, ლატალის სოფელ ლაჰილში უცხოვრიათ **შარგიანებს**. დღეს ამ გვარისა აქ აღარავინაა. XX საუკუნის 50-იან წლებამდე ლატალში შარგიანების ორი კომლი ცხოვრობდა, რომლებიც სამეგრელოში გადასახლდნენ. შარგიანების გვარი XIV საუკუნის შუა ხანების დაწერილში გვხვდება –

<sup>177</sup> კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., გვ. 132, 134, 135, 136, 134, 137.

<sup>178</sup> ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური... პარიზი, 1937 წ. გვ. 364.

„შაურეგანი“.<sup>179</sup> სხვათა შორის, შარგიანებთან დაკავშირებულია საიტერესო გადმოცემა: „შარგიანს დათვი დაუჭერია. მას დათვისათვის ყურებზე მოუჭერია ხელი და ისე ჩამოუყვანია სოფელში. შარგიანს დათვისათვის ბრჭყალები მოუჭერია და კერიის ქვეშ, მიწაში შეუნახავს. აღდგომა დღეს შარგიანები სასაფლაოზე ყოფილან, სახლში კი მხოლოდ გოგო და ბიჭი ყოფილან. ვიღაცას უთქვამს, ბრჭყალები მომინახეო. ბიჭს ბრჭყალები არ უჩვენებია, გოგოს – კი. (დევს) ბიჭი დაუწყევვლია, რომ არ გამრავლებულიყო. მას შემდეგ არ გამრავლდნენ შარგიანები.“

ლატალის მაცხოვრის ეკლესიის XI საუკუნის ნაკაწრ წარწერაში გვხვდება **ჩხიკვიანის** გვარი: „წმიდაო მაცხოვარო, შეიწყალე მიქაელ ჩხიკვიანი ორთავე ცხორებასა, ამას საწუთროსა და მას საუკუნოსა.“ ხოლო ანალოგიურ X საუკუნის მეორე ნახევრის წარწერაში გვხვდება **„კუირიკე კუირიკიანი.“**<sup>180</sup>

### ბეჩოს თემი

ახლა კი დავახსიანოთ ბალსქვემო საბატონო (სადადეშქელიანო) სვანეთი. პირველი თემი აქ **ბეჩოს თემია**. ბეჩოს თემიც რამდენიმე სოფლის ერთობლიობას წარმოადგენს: *ტებიში, მაზერი, ბავედანარი, გული, თეთნაში, ნაშთქელი, ჭონხული, უშხვანარი, ჭკიდანარი, დოლი, ქართვანი*. 1886 წლის საოჯახო სიებით ბეჩოს სასოფლო საზოგადოებაში სულ 88 კომლი (699 სული) მკვიდრობდა. ყველა სოფელი თითქმის ძალიან პატარა იყო. მხოლოდ მაზერში ცხოვრობდა 27 ოჯახი (191 სული) და უშხვანარში 19 კომლი (142 სული). დანარჩენებში კი ასეთი მდგომარეობა იყო: დოლში ცხოვრობდა 9 კომლი, 96 სული; ქართვანიში 9 კომლი, 83 სული; ტებიშში 7 კომ-

<sup>179</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 193.

<sup>180</sup>სწმ, II, 1988, გვ. 204, 210.

ლი, 41 სული მკვიდრობდა; ჭკიდანარში – 5 კომლი, 63 სული; გულში და ნაშთქალში 3-3 კომლი (შესაბამისად 21 და 14 სული); ბაკვდანარში, თეთნაშში და ჭიხულდში – 2-2 ოჯახი (15, 12 და 21 სული).

ბეჩოში განსახლებული გვარებიდან შეიძლება დავასახელოთ: **გაბულდანები** (1940 წლის მონაცემებით, 16 კომლი), **კვიციანები** (76 კომლი), **ზორგუანები** (15 კომლი), **კვანჭიანები** (7 კომლი), **ვიბლიანები** (5 კომლი), **უშხვანები** (9 კომლი), **შაფურიანები** (6 კომლი. ძირძველი გვარი *კიბოლანი* ყოფილა), **ვეზდენები** (10 კომლი), **ჯამღელიანები** (6 კომლი), **დადეშქელიანი** (3 კომლი), **გოშუანი** (9 კომლი), **ქაღდანი** (4 კომლი), **აფრასიძე** (3 კომლი), **ცალანი** (3 კომლი), **არღველიანი** (3 კომლი), **ბერჩლიანი** (1 კომლი. დღეს ამ გვარისა აღარავინ არაა. „კაცი აღარ დარჩათ“), **ხარძიანი** (1 კომლი), **კიბოლანი** (ერთი ოჯახი ცხოვრობდა სოფელ მაზერში. დღეს ამ გვარისა აღარავინაა). „სვანეთის კრების მატიანის“ მიხედვით, ერთ-ერთი ძველი სვანური გვარია გაბულდანი, რომლებიც საისტორიო საბუთებში ბეჩოს სოფელ დოლში *გაბელდანის* გვარით – ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმით არიან ჩაწერილები: („ამუნა გაბელდანი“, „რუჩაგ გაბელდანი“, „ძაძუ გაბელდანი“, „ნეჩე გაბელდანი“, გ ი გაბელდანი“<sup>181</sup>. XIII საუკუნეში უცხოვრიათ ბეჩოს სოფელ დოლში *უშხვანების* წინაპრებსაც. მათ გვარსაც უცვლია ფონეტიკურად სახე; ისინი უშხვიანებად იყვნენ ჩაწერილნი: „ჯაურა უშხვიანი“, „ინე უშხვანი“, „დუდა უშხვიანი“, „აღა უშხვიანი“, „ინე უშხვიანი“<sup>182</sup>; „ჩორმან უშხვიანი“, „გ ი უშხვიანი“, „მარცხი უშხვიანი“<sup>183</sup>. XV საუკუნეში გვხვდება პირველად კვიციანის გვარი. არაერთგზის არიან სვანეთის კრების მატიანეში დასახელებულნი ზორგუანებიც: „თვალმინდი ხვერგუანი“, „გვანგვა ხვერგუანი“, „ნანა ხვერგუ-

181კ. *ინგოროვია*. სსმ, თბ., 1941, გვ. 149, 151.

182კ. *ინგოროვია*. სსმ, თბ., 1941, გვ. 151, 152.

183კ. *ინგოროვია*. სსმ, თბ., 1941, გვ. 153, 154, 155, 156.

ანი“, „ათარჯი სვერგუანი“, „გ<sup>ი</sup> სვერგუანი“<sup>184</sup>.

ცალანების გვარი XVI-XVII და XVIII საუკუნეების მოსახსენიებლებში გვხვდება – „აღა ცალანი“, „გუტუ ცალანი“, „მამისთვალ ცალანი“, „ანა ცალაფხე“<sup>185</sup> უფრო აღრინდელ, XIV საუკუნის პირველი ნახევრის დაწერილში კი დაფიქსირებულია „იოვანე ცალანიანი“<sup>186</sup>

ბეროელი გუჯეჯიანების გვარში შემდეგი გადმოცემა დაცულია: *„ეცერში გუჯეჯიანები ცხოვრობდნენ. ეტა გუჯეჯიანს სამი ვაჟი ჰყოლია, რომელთაგან ერთი ექიმბაში ყოფილა. მოსულა ბატონი დადეშქელიანი, რათა წაეყვანა ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც ყაბარდოელებისათვის უნდა მიეცა. გუჯეჯიანს უთქვამს: ბატონი ამობრძანდეს და აქ დაბრძანდესო. გაუშალეს პურ-მარილი. თავადი წასვლას ჩქარობდა. თურმე ტყვიას აკეთებდნენ ჩაქურით, ოთხკუთხა ტყვიას (თუ სანადიროდ წავიდოდნენ მრგვალიც შეიძლებოდა. სამტრო ოთხკუთხა იყო). ბატონმა კვლავ რომ დაუძანა, გუჯეჯიანს უთქვამს, სასძელი გამოუტანეთო და ამ დროს უსვრია და დაუჭრია. ეტა და სამივე ძმა აქეთ წამოსულან. მულახში ეტა და მისი ერთი შვილი მისულან, ორი ძმა კი ბეროში დარჩენილა. მულახში დევდარიანები დახვედრიან და იქაური ადგილები შეუთავაზებიათ. აურჩევით ზელა სოფელი – ჭოლაში. ბეროში დარჩენილი ორი ძმიდან ერთი ექიმბაში ყოფილა. დაჭრილ დადეშქელიანს უთქვამს, მომარჩინე და ეცერს ზემოთ ადგილია – „ჭელირი“, იმას მოგცემო. მანაც მოარჩინა და ერთი ძმა იქ დამკვიდრდა. ამის შემდეგაც ჰქონდათ ერთმანეთში შეხლა-შემოხლა და ერთი ძმა გუჯეჯიანი მულახიდან ყაბარდოში გადასახლებულა. იმისი შთამომავლები ახლა შახმურზაევეების გვარს ატარებენ“.*

ბეროში **კვიციანები** თითქმის ყველა სოფელში ცხოვრობდ-

<sup>184</sup>კ. ინვოროცვა. სსმ, თბ., 1941, გვ. 149, 151.

<sup>185</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 285, 286, 297, 299.

<sup>186</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 151.



ნენ, როგორც იტყვიან, „გადაღმა გინდა, თუ გადმოღმა.“ კვიციანებს რამდენიმე სამხუბი გააჩნიათ: „გოსოშერები“, „ბაბაშერები“, „აბრამშერები“, „ჩხიკვაიშერ“, „ძალუაშერები“... კვიციანები სვანეთში მთის რაჭვის სოფელ ღებიდან მოსულან. გადმოსახლების მიზეზი მესისხლეობა ყოფილა. „ღებიდან სამი ძმა წამოსულა. რაჭაში კვიცარიძეები ვყოფილვართ. ერთი ძმა ბეჩოში დასახლებულა, რომლის შთამომავლები კვიციანები ვართ, მეორე ძმა ქვემო სვანეთში გადასულა. ახლა მისი შთამომავლები **კვასტიანები** არიან. მესამე ძმის შთამომავლები ახლა აფხაზეთში ცხოვრობენ – ისინი კვიწინიები არიან.“ ბეჩოში მოსული ადგილობრივ ნაქჭურს დაესიდა. ნაქჭურის კოჭლ ქალთან სამი შვილი შეძენია. ამ სამი ძმის შთამომავლები არიან კვიციანების სამხუბები: „ძალუაშერ“, „ბაბაშერ“ და „აბრამშერ“. თუმცა, ერთ-ერთი სამხუბის კვიციანები ძირად კვიციანებად არ მიიჩნევიან. მოსული კვიციანებს როგორც მრავალრიცხოვან და ძლიერ გვარს შეყრია და მათი გვარიც მიუღია. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც კვიციანების გვარი მოიხსენიება XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ესაა ბაბაში კვიციანის მოსახსენებელი. დოკუმენტში ბაბაში კვიციანის გარდა, დასახელებული არიან აგრეთვე სიღურ და იოვანე კვიციანები. XVIII საუკუნის მოსახსენებელში კი „ბუღაჩი კვიციანია“ ნახსენები.<sup>187</sup>

ბეჩოელი **ვეზდენები** ჩრდილოეთ კავკასიიდან არიან გადმოსახლებული. ამის გამო, მათ სავიარებს უწოდებენ. ბეჩოში **ვერსკიანებიც** ცხოვრობენ (1 ოჯახი). სვანეთში სამი ძმა მოსულა „სადღაც რაჭა-ლენხუმიდან“. მულასში დასახლებულს მარგიანის გვარი მიუღია, მეორე კალაში დასახლდებულა, მესამე ძმა, რომელიც ბეჩოში მოსულა თავის ძველ გვარზე (ვერსკიანი) დარჩენილა. ლეგენდით თანახმად ვერსკიანები ტყის კაცს დაუწყევლია, რომ არ გამრავლებულიყვნენ. „დიდი ხანი ასე მოდიოდნენ და ამ ბოლო ხანებში ცოტა

---

<sup>187</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 279, 289, 291.

გამრავლდნენ. 4 ოჯახი არიან და ერთს 5 ვაჟი ჰყავს.“ ბეროში ამოწყვეტილ გვარებსაც მიუთითებენ. სოფელ ჭკიდანარში **ჭკიდიანებს** უცხოვრიათ – ისინი ამოწყვეტილან. ამავე სოფელში უცხოვრიათ **აბრევიანებს**, რომლებსაც ჭკიდიანების ბედი გაუზიარებიათ. იგივე ითქმის ბეროელი **ბერჩლიანების** შესახებაც („ბერჩლიანების შვილები ახლა გოგონები არიან“). სოფელ დოღში „იყვნენ და აღარ არიან „ბიჭოშერ“-ები.

### ცხუმარის თემი

ბალსქვემო სვანეთის შემდეგი თემი **ცხუმარის თემია**. ცხუმარის თემში შემდეგი სოფლები შედიოდა: *ლაბსყალდი*, *მაგარდელი*, *ლეზგარა*, *ტვიბერი*, *სვიფი*, *ღვებალდი*. 1888 წელს ცხუმარის ჰევის (თემის) სოფლები ეცერის სასოფლო საზოგადოებაში იყო გაერთიანებული. ლაბსყალდში 9 კომლი (62 სული) მკვიდრობდა, ღვებალდში – 28 კომლი (208 სული), მაგარდელში – 7 კომლი (39 სული), ლეზგარში – 6 კომლი (45 სული), ტვიბერში – 7 კომლი (44 სული). 1940 წლის მონაცემებით, ცხუმარში შემდეგი გვარები აღირიცხებოდნენ: **არღვლიანები** (30 ოჯახი. სვიფი), **ჯაჭვლიანები** (7 ოჯახი), **გერლიანები** (12 ოჯახი. სოფელი ღვებელდი), **გოშუანები** (2 ოჯახი), **ქალდანები** (12 ოჯახი. სოფელი ტვიბერი), **სუბელიანები** (2 ოჯახი. სოფელი მაგარდელი), **გურჩიანები** (1 ოჯახი), **საღლიანები** (14 ოჯახი. სოფელი ლეზგარა), **მიღლიანები** (6 ოჯახი. სოფელი მაგარდელი), **გუგუსიანები** (8 ოჯახი. ლაბსყალდი). „სვანეთის სულთა მატეანის“ მიხედვით, ძველი გვარისანი არიან *ჯაჭვლიანები*, რომლებიც ჯაჭვინელიანად იყვნენ ჩაწერილები და *საღლიანები*, რომელთა წინაპრები საღირელიანად ეწერნენ. XIII-XIV საუკუნეებში ცხუმარში აღრიცხულნი იყვნენ: „ბასილ ჯაჭვინელიანი“, „გუჩე საღირელიანი“<sup>188</sup>. საღლიანებიდან მომდინარეობენ ლეჩხუმელი საღინაძეები. საღლიანების გვარი შემდეგი სამხუბისაგან შედგება: „სოლთნარ“, „გუჩარ“,

<sup>188</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., 1941, გვ. 148.

„ჯაკუტათარ“, „სეგზელდარ“, „ნაუსაუმერ.“<sup>189</sup> გურჩიანების წინაპარია „ივანე გურეჩიანი“<sup>190</sup>. თუ შევადარებთ XIII-XIV საუკუნეების მონაცემებს გვიანდელ მონაცემებთან, აღმოჩნდება, რომ ცხუმარში იმ გვარების უმეტესობა, რომლებიც აქ მკვიდრობდა, აღარ ცხოვრობს. ეს დამახასიათებელია არა მარტო ცხუმარისათვის, არამედ სხვა თემებისთვისაც. აშკარად ჩანს არა მარტო შიდარეგიონალური მიგრაციული პროცესები, არამედ გარემიგრაციული პროცესებიც. როგორც ჩანს, სვანეთიდან მოსახლეობის ბარში მიგრაცია მუდმივ ხასიათს ატარებდა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ცხუმარის თემის ყველაზე ძველი გვარები არიან **შამფრიანები** და **ჯაჭვლიანები**. ადგილობრივი მკვიდრნი არიან **საღლიანები**, **მილდანები**. **სუბელიანები** ეცერის სოფელ ებუდიდან გადმოსულან, გოშუანები – ფარიდან. ვრცლად უნდა შევჩერდეთ **გუგუსიანების** გვარზე. გუგუსიანები ლაბსყალდში ქვემოდან, სოფელ წვირმინდიდან (ხაიშს ქვემოთაა) გადმოსახლებულან. ისინი მტერს გამოქცევნიან. „*კელესიას თათრები დასვეიან. თათრებს შემოჭრის დროს წვირმინდის მთავარანგელოზი ცარიელი დახვედრიათ. წვირმინდელ გუგუსიანებს ეკლესიაში არსებული ჯვარ-ხატები გადაუშალავთ. ბრძოლისა და შრომის უნარიანები ხატებს იცავდნენ. მათი მიზანი იყო ხატები არ დაეთმოთ. იმის გამო, რომ მტერმა ხატებს ვერ მიაგნო, სოფელი ააწიოკეს. ერთი ყმაწვილი კი ტყვედ წაიყვანეს. ის ჯვარში ჩაუყვანიათ და ეპისკოპოსს უყიდა. ერთ უხვთოვლიან ზამთარში ყმაწვილს სვანური თხილამურები გაუკეთებია და სვანეთში გაპარულა. წვირმინდში მისვლისას, სოფელი ცარიელი დახვედრია. ბოლოს თავისიანებს ცხუმარის სოფელ ლაბსყალდში მიაგნო. მაშინ ლაბსყალდი ცარიელი, სამწყემსო ადგილი ყოფილა.*“ XIII საუკუნეში გუგუსიანები უკვე ცხუმარში ცხოვრობდნენ, ოღონდ გვასახელი ფო-

<sup>189</sup> მ. საღლიანი. სვანური გვარ-წარმოება ზოგადქართული თვალსაზრისით. – სვანეთი – ქართული კულტურის სვანე, თბ., 2008, გვ. 164.

<sup>190</sup> ვ. ინვოროვია. სსბ, თბ., 1941, გვ. 144.

ნეტიკურად მაშინ ოდნავ განსხვავებული ფორმითაა დაფიქსირებული – *გუგესიანი*.<sup>191</sup> ლაბსყალდში გუგუსიანები 60 კომლი ყოფილან. XIX საუკუნეში ბევრი გუგუსიანი კოდორის ხეობაში გადასულა საცხოვრებლად. გუგუსიანების სამხუბს „თავარ“-ს უწოდებენ. უფრო ადრე მათ „ფუთიარს“ უწოდებდნენ. წვირმინდში კი გუგუსიანების ნასოფლარში შემდეგ სამეგრელოდან მოსული ჭკადუები დასახლებულან.

ეთნოგრაფიული მასალებით ცხუმარის სოფელ მაგარდელში ნასახლარებია, სადაც ოდესღაც „სოლთმანშერ“-ებს უცხოვრიათ. მათი გვარი უცნობია. ისინი ამოწყვეტილან.

### ეცერის თემი

**ეცერის თემში** შემდეგი სოფლები შედიოდა: *ქურაში, ჭელირი, სვიფი, ბარში, ისკარი, ფხუტრერი, უღვალი, ცალანარი, ლანტელი, ლადრერი, ლაშხრერი, ჟაბე-კალაში, ჩვაბე-კალაში, გვალდერი, ებუთი, უსგვირი. რუსუდან ხარაძის* ეთნოგრაფიული მასალების თანახმად ეცერის თემის დასახლებული სოფლები სამ „სიკვობ“-ში იყო გაერთიანებული, რაც ბალს ზემო სვანეთში დაფიქსირებული „ლაკრან“-ის ანალოგიური იყო: 1. *ჟაბე სოფელ* (ანუ ზედა სოფელი), 2. *ნენსვაშ სოფელ* (შუა სოფელი), 3. *ჩვაბე სოფელ* (ქვედა სოფელი). პირველ მათგანში შედიოდა ბარში, სვიფი, ჭელირი, ქურაში, მეორეში – ისკარი, უღვალი, ფხუტრერი, მესამეში – ცალანარი, ლანტელი, ლადრერი და ლაშხრერი. იმავე ავტორის სამართლიანი დაკვირვებით, ზედა და ქვედა კალაში, ჰებუთი, გვალდერი და უსგვირი მხოლოდ ბოლო ხანებში მოექცნენ ეცერის თემში.<sup>192</sup> 1886 წელს ეცერის თემში (რომელშიც ცხუმარის თემის სოფლებიც შედიოდა) 176 კომლი (1.366 სული) მკვიდრობდა. ყველაზე დიდი სოფელი იყო ბარში (28 ოჯახი, 208 სული). სვიფში 23 კომლი (191 სული) ცხოვრობდა, ისკარში – 18 კომლი (149

<sup>191</sup> *ქ. ინვოროვია*. სსმ, თბ., 1941, გვ. 139.

<sup>192</sup> *ლ. ხარაძე*. ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში. – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1963, გვ. 392.

სული), ჭელირში – 19 კომლი (149 სული), გვალდერში – 4 კომლი (43 სული), ლადლერში – 13 კომლი (86 სული), ლანტელში – 6 კომლი (61 სული), ლაშხერში – 4 კომლი (38 სული), ფხუტრერში – 2 კომლი (12 სული), უღვალში – 8 კომლი (44 სული), ცალნარში – 2 კომლი (26 სული), ებუთში – 11 კომლი (85 სული).

ეცერის თემში ძირითადად შემდეგი გვარები მკვიდრობდნენ: **ხორგუანი, გუჯეჯიანი, პაკელიანი, აფრასიძე, გურჩიანი, გერლიანი, უმფრიაანი, ქანცლიანი, ჩარკვიანი, გაზდელიანი, ცალანი, კაშტანი, სტეფლიანი, მურღვლიანი, ჩხეტიანი, სუბელიანი, ფარჯველიანი (გადმოსულნი იყვნენ ჰებუთიდან ისკარში)...** პაკელიანები XVII საუკუნის საბუთში არიან დასახელებულები. ხორგუანების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ხორგუანებს თავიანთ განაყრებად და ნათესავებად მიიჩნევენ იფარის თემში მცხოვრები გულბანები. XIII საუკუნის საბუთში ეცერში **გურჩიანების** წინაპრები **გურეჩიანებად** არიან ჩაწერილები, **ქანცლიანებისა – ქანცხლიანებად**<sup>193</sup>. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ეცერის სოფელ ისკარის პირველმოსახლენი **საბანაძეები** და **კატშანები** ყოფილან. პირველი მათგანი სვანეთში ბარიდან ყოფილა მოსული. ეს საბანაძეები საბიანების შთამომავლები უნდა იყვნენ. XIII საუკუნის სულთა მატეანეში ეცერში მოხსენიებულია „დეკანოზი საბიანი“.<sup>194</sup> სუბელიანების თავდაპირველი საცხოვრისი კი ლენჯერის თემის სოფელი შყალერი ყოფილა.

გადმოცემით ეცერის ადრინდელი მოსახლეობა თითქმის განადგურებულა. „ზვავს, რომელიც ჩასულა ძდინარე ენგურში, მოსახლეობის დანაღეჟი მიჰქონდა სამეგრელოში... ეცერი ნახეს განადგურებული ზვავით. სწორედ დიდი ხნის შემდეგ დაიწყო

<sup>193</sup>კ. ინგოროვია. სსმ, თბ., 1941, გვ. 131.

<sup>194</sup>კ. ინგოროვია. სსმ, თბ., 1941, გვ. 136.

მარტო ეცერში დასახლება ხელმოკრედ.<sup>195</sup> გადმოცემას ამ დროს ერთ-ერთი ამოწვევტილ გვარის სახელიც შემოუნახავს – **ტასლეთიანი**. ქანცლიანი კი იმ დროს გადარჩენილ გვარადაა მიჩნეული.<sup>196</sup>

**უმფრიანები** ეცერის სოფელებში – უღვალსა და ფხოტრერში – მკვიდრობენ. ამ გვარისანი მოხსენიებული არიან XIV საუკუნის პირველი ნახევრის უღვალის წმიდა გიორგის ეკლესიის წარწერაში: „ამა ეკლესიის აღმაშენებელსა, უფრიანსა ანტონსა, შეუნდვენ ღმერთმან.“<sup>197</sup> „მათში შემონახულია გადმოცემა, რომ გვარის დამაარსებელია ვინმე ონოფრე და აქედანაა მიღებული გვარი „ონოფრიანი, ანუ „უნუფრიანი“, „უმფრიანი.“<sup>198</sup>

ეცერში ჰქონდათ საჯდომი **დადეშქელიანებს**, რომლებსაც პატარა სამთავრო ჰქონდათ შექმნილი ენგურის ხეობის სვანეთში, ბაღს ქვემოთ. დადეშქელიანები პირველად იხსენიებიან XIII-XIV საუკუნეებში. არა ერთხელ და ორჯერ გვხვდება დადეშქელიანების გვარი „სვანეთის სულთა მატეიანეში“, მოსახსენებლებში. სვანეთში პირველობისათვის მათ **რიჩგვიანები** გაანადგურეს. მოხსენიებულნი არიან 1503 წლის საბუთში, რომლითაც ირკვევა, რომ დადიშქელიანი და რუჩაგვიანი ჯაფარიძეებისაგან შევიწროვებულმა სვანებმა გააგზავნეს მამია დადიანთან, რათა მას სვანებისათვის ალექსანდრე მეფესთან ეშუამდგომლა. XVIII საუკუნეში ისლამ დადეშქელიანი სვანეთში დიდ ოჯახად ცხოვრობდა. ამ საბუთით ირკვევა, რომ დადეშქელი-

---

<sup>195</sup>რ. ხარაძე. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. 1945 წელი (ეთნოგრაფიული მასალები) – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XV, თბ., 2014, გვ. 230.

<sup>196</sup>რ. ხარაძე. სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია. 1945 წელი (ეთნოგრაფიული მასალები) – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XV, თბ., 2014, გვ. 227-230.

<sup>197</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 86.

<sup>198</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 50.

ანებს საქორწინო ურთიერთობა ჰქონიათ რუჩეგვიანებსა და ჩარკვიანებთან. XVII-XVIII საუკუნეებში სორთმან დაღეშქელიანის მოსახსენებლით ჩანს, რომ მის ოჯახს ეკლესიისათვის ოცდათხუთმეტი ხატი შეუწირავს. საისტორიო საბუთებში დაღეშქელიანები/დადიშქელიანები ხშირად დაღეშგელიანად არიან დაფიქსირებული. სვანურში „გ“-სა და „ქ/კ“-ს მონაცვლეობა ფაქტია. დაღეში/დადაში საქართველოში გავრცელებული მამაკაცის პიროვნული სახელი იყო. ასე რომ, **გვარის საფუძვლის ჩამყრელი იყო დაღეშ/დადაშ გელანი**, ანუ **გელოვანი**. დაღეშქელიანები დადაშ გელოვანებისაგან რომ მომდინარეობენ, ამის შესახებ ყველაზე ადრე პ. უსლარმა მიუთითა. დაღეშქელიანების შესახებ თავის დროზე ნ. ღუბრვინიც დაინტერესებულა და სათანადო მონაცემებიც შეუკრებია: «Жившие же к западу от них деревни и расположенные по реке Ингур остались под властью князей Гелуани, как рассказывают, были выгнаны князьями Дадишкилианами. Последние считают себя выходцами из Дагестана; другие же говорят, что князья Дадишкилиани переселились в Сванетию из гурии. Самое же верное предположение о происхождении Дадишкилианов принадлежит, по нашему мнению, П. К. Услару, который предполагает, что фамилия эта произошла от прибавления весьма употребительного в картвельских наречиях слова «дадаш» к родному имени Гелуани.»<sup>199</sup> როგორც ჩანს, დაღეშქელიანების შესახებ უცხოური წარმოსობის ლეგენდაც შექმნილა. ასეთი ლეგენდები თავად-აზნაურულ გვარებში კი ხშირად იმ შემთხვევაში წარმოიქმნებოდა, როდესაც საკუთრებაში არსებული მიწა და ყმა-გლეხები კონფლიქტურ სიტუაციაში, არაკანონიერად ჰქონდათ შექმნილი.

ეცრშივე უცხოვრია **რიჩგვიანების** თავადურ გვარს. გვარსახელი, რომელიც საბუთებში XIII საუკუნიდან მოიხსენიება, რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით არის დაფიქსირებული: რუ-

---

<sup>199</sup>Н. Ф. Дубровин. Кавказ и народы, его населяющие. Книга II , Закавказье, М., 2015, С. 94.

ჩევიანი, რუჩაგიანი, როჩაგიანი, რიჩვიანი. შემორჩენილია XVI-XVII საუკუნეების ბაძუ რუჩაგიანის სახლის მოსახსენებელი, რომელშიც ისინი დიდებულად იწოდებიან. ამავე მოსახსენებელში ვხვდებით „ბაძუს ბაბუას დიდს რუჩაგიანს“. როგორც აღვნიშნეთ, **რუჩევიანების თავადური სახლი დადგენილიანებს ამოუწყვეტია, რაც, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის შუა ხანებში მოხდა.** როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ბალსქვემო სვანეთში მკვიდრ რიჩვიანებსა და დადგენიანებს ერთმანეთს შორის ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონიათ. ამ დაპირისპირებაში ერთხანს რიჩვიანები გარკვეულ უპირატესობაც კი ფლობდნენ, მაგრამ ბოლოს გამარჯვების სასწორი დადგენიანების მხარეზე გადახრილა. საამისო მონაცემები ფოლკლორსაც შემოუნახავს. მკვიდრობდნენ ბეჩოსა და ეცერის თემებში.<sup>200</sup> ვ. სილოგავას მოსაზრებით, გვარსახელი – რიჩვიანი – ისეთივე წარმოშობისა უნდა იყოს, როგორც დადგენიანი (პიროვნული სახელი+გვარსახელი). როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტი იყო რუჩევიანი. ცნობილია სოფელ ადიშის ეკლესიის კედელზე შესრულებული XI საუკუნის წარწერა: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩევიანი, ამენ.“<sup>201</sup> „ბევლი სვანეთის წარჩინებულ გვარებს შორის ერთ-ერთია ჩევიანთა გვარი, რომელიც წერილობით წყაროებში XIV ს-დან რუჩევიანების სახელწოდებით გვხვდება.“<sup>202</sup>

ბალსქვემო სვანეთის მკვიდრნი იყვნენ აზნაური **ბაბიანები**. პირველად XIII საუკუნის „სვანეთის სულთა მატეიანეში“ არიან მოხსენიებული: გიორგი ბაბიანი, მისი მეუღლე თვარე და შვილი ბაბიანი, აგრეთვე ანგურაგ ბაბიანი.<sup>203</sup> მათ ბეჩოში უცხოვრიათ. მის მკვიდრი ყოფილა ბეჟან ბაბიანი. იმავე წყაროს თა-

<sup>200</sup>რ. გუჯეჯიანი. ქართულ საგვარეულოთა ისტორიიდან (რიჩვიანები). – კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XI, თბ., 2009, გვ.88-97.

<sup>201</sup>ვ. სილოგავა. ჩევიანთა/რუჩევიანთა გვარის ისტორიის ფურცლები. – სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბ., 2000, გვ. 12.

<sup>202</sup>ვ. სილოგავა. ჩევიანთა/რუჩევიანთა გვარის... თბ., 2000, გვ. 8-21.

<sup>203</sup>კ. ინვოროვა. სსსრ, თბ., 1941, გვ. 153.



ნახმად ერთ-ერთი ბაბიანი „ქვერებისკოპოსი“ ყოფილა. გვხვდებიან XVI საუკუნის მოსახსენებელში: „**ღმერთო, აშენე, აკურთხე სახლი, საყოფელი აზნაურისა ბაბიანისა და ღმერთო მიეც აზნაურს და მის შვილებსა**“. „**დიდებულსა როსტომს ბაბიანს**“. ამ დოკუმენტის მიხედვით, ბაბიანებს თანამეცხედრეებად თაჯი რუჩეგიანი და მირანგვ ჩარკვიანი ყოლიათ. XV-XVI საუკუნეების მოსახსენებელში ბურნაყ ბაბიანი, მისი მამა როსტომი, მმა ყარდა არიან დასახელებულნი.<sup>204</sup>

### ფარის თემი

**ფარის თემი** შემდეგი სოფლების ერთობლიობას წარმოადგენდა: *სვიფი, კაცხი, ფარი, ზაგარი, ლამხერი, ჟაბე-ლიპა, ჩეაბე-ლიპა, ლაყერი, ღეშდენი, ფალედი, ხოსრარი, ყვანა*. 1888 წლის საოჯახო სიების მონაცემებით, ფარის სასოფლო საზოგადოებაში 80 კომლი (664 სული) ცხოვრობდა. ყველაზე დიდი სოფელი ფარი იყო (28 კომლი, 231 სული). ლუშდერში 11 კომლი (73 სული) მკვიდრობდა. დანარჩენები 9, 8, 6, 4, 3-კომლიანი სოფლები იყო. 1940 წლის მონაცემებით, ფარის სოფლებში შემდეგი გვარსახელებია დაფიქსირებული: **ჩხვიმიანი** (31 კომლი), **ჯაჭვლიანი** (13 კომლი), **რეხესიძე** (29 კომლი), **აფრასიძე** (11 კომლი), **ცალანი** (21 კომლი), **წულუკიანი** (16 კომლი), **დადეშქელიანი** (5 კომლი), **ხაფთანი** (2 კომლი), **დევდარიანი** (9 კომლი), **ნარსავიძე** (23 კომლი), **გადრანი** (17 კომლი), **ჩხეტანი** (18 კომლი), **ვიბლიანი** (9 კომლი). ამ გვარებიდან ჩხვიმიანთა გვარი დაფიქსირებულია XIII-XIV საუკუნეების „სვანეთის სულთა მატთანეში“. ლახამულაში უცხოვრიათ: „მიქლი ცხვიმიანს“, „ჯავახი ცხვიმიანს“, „გნი ცხვიმიანს“, „შამან ცხვიმიანს“ „ინდო ცხვიმიანს“, „სარგის ცხვიმიანს“, „ინად ცხვიმიანს“, „ჯიჯი ცხვიმიანს“<sup>205</sup>. ფარის ხევის სოფელ მადში აღრიცხული არიან: „ჯავახი ცხვიმიანი“<sup>206</sup>, ეცე-

<sup>204</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 273.

<sup>205</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., 1941, გვ. 180.

<sup>206</sup>კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., 1941, გვ. 125.

რში: „მ რმ ჩხუმიანი“, „თუმა ჩხუმიფხე“, „გიორგი ჩხუმიანი“, „გვანცა ჩხუმიანი“, „ხალინა ჩხუმიანი“<sup>207</sup>. გადმოცემით ჩხვიმიანების გვარში ორი შტოა – ნამდვილი ჩხვიმიანები და შეყრილები. შეყრილთა ადრინდელი გვარი გოშუანი ყოფილა. საველე მონაცემებით, „*ძველად ძლიერსა და სუსტს ერთნაირად ახდევენებდნენ გადასახადს, ადგნენ და შეეკედლნენ.*“ ჩხვიმიანების „ყანსავშა“-ს სამხუბი ნაკანებს ენათესავება. ახლაც ნაკანები და ჩხვიმიანთა „ყანსავშას“ სამხუბი ერთმანეთის მოგვარებად მიჩნევენ თავს. ჩხვიმიანთა მეორე სამხუბი („ფადლარ“) კი მარგველანებისა და ხერგიანების ნათესავებს წარმოადგენენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ფარში მოსახლე წულუკიანები რაჭიდან გადმოსახლებული წულუკიძეების შთამომავალნი არიან. 1871 წლის საარქივო დოკუმენტში ერთ-ერთი აფრასიძე ჩაწერილია „აფრასუცი“-ს ფორმით. ძველი გვარია გადრანიც. ისინი არაერთგზის არიან მოხსენიებულნი XIII საუკუნის საბუთებში. ამავე პერიოდის დოკუმენტში ვიბლიანების წინაპრები უბელიანებად არიან ჩაწერილნი.

**ნარსავიძეები** ფარიდან ჭუბერსა და კოდორის ხეობაში იყვნენ გადასახლებული. ამ გვარის ხალხს „ბინი“ – საომარი იარაღი უკეთებია. ხალხის რწმენით წმინდა გიორგის მტერი ამ იარაღით მოუგერიებია. ყოველ წელს ყველა ნარსავიძის სახელით ერთი „ბინი“ კეთდებოდა, რასაც წმინდა გიორგის უძღვნიდნენ. ნარსავიძეები ამ ეკლესიის მთავარი მსახურებიც იყვნენ. ნარსავიძეების განაყრებად მიაჩნიათ თავი *ნარსიებს*. ცინდელიანების მთავარი სალოცავი „თავრალი“ ყოფილა. ამ გვარს სამეგრელოში მცხოვრები ცანავეები და ცირდავეები ეძმობიან. ეთნოგრაფიული მასალით ძველად გამოთქვამდნენ არა ცინდელიანს, არამედ ცინდელანს, რასაც 1872 წლის საეკლესიო დოკუმენტიც ადასტურებს, რომელშიც „ცინდელანის“ გვარით არიან ჩაწერილი: [თავრარის პრიზოდში] „როსტომ ცინდელანის ძე მუ-

<sup>207</sup> კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., 1941, გვ. 132, 133, 134, 136.

რზაბეგ. ომანა ცინდელანის შვილები: ჯაჯა და მანიაილ. ეზა ცინდელანის შვილები: ომარ, ესო.“ ცინდელიანები გვარი XVII-XVIII საუკუნეების მოსახსენებელშია დაფიქსირებული. აღმაზ ცინდელიანი თემირყან დადემქელიანის მეთოფე ყოფილა.<sup>208</sup> როგორც სხვა გვარებს, ცინდელიანებსაც ყოლიათ შეყრილები („ეზაშერთა“ სამხუბი). ვიბლიანების „მოგვარეებად“ კი უბილა-ვები და ბალსზემთ მცხოვრები **ხვიბლიანები** მიიჩნევიან.

### ლახამულას თემი

აღ. ჩარკვიანი ცალკე გამოყოფს აგრეთვე **ლახამულას, თავრარის, ჭუბერისა და ლენხერის თემებს**. ლახამულა ოთხი სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა (*ქაბე-ლახამულ, ჩვაბე-ლახამულ, დიზი და შდინირი*). 1940 წლის მონაცემებით, ლახამულაში მკვიდრობდნენ: **ჭკადუები** (47 ოჯახი), **დავითიანები** (5 კომლი), **კვანჭიანები** (3 კომლი). რაც შეეხება თავრარის თემს, აქ აღ. ჩარკვიანი შემდეგ სოფლებს ჩამოთვლის: *თავრარს, ლაშხარს, ცალერს, კიჩხულდაშს, ჩუბარს, ჯუხვლანსა და ხერხვაშს*. ეს სოფლები 1886 წლის საოჯახო სიებში ჩუბახევის სასოფლო საზოგადოებაში არიან გაერთიანებულნი (ეს დღევანდელი ნაკრის სასოფლო საკრებულო უნდა იყოს). აქ ცხოვრობდნენ: **ანსიანები, ცინდელიანები, ვიბლიანები, ჩხვიმიანები, სუბელიანები, ქალდანები და გვარმიანები** (12 კომლი). ბ. ნიჟარაძის მიერ XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, „*ჩუბახევის საზოგადოებაში სოფ. ცალერს არის ერთი გვარეულობა – გვარმიანები. გვარმიანები დღესაც დარწმუნებით ამბობენ, რომ „ჩვენი წინაპრები დალის ხეობიდან ყოფილან გადმოსახლებულნი“*<sup>209</sup>. XIII საუკუნის „*სულოთა მატეანეში*“ გვარმიანების გვარი რამდენჯერმე დასახლებული, მაგალითად, „*ნონა გუარამიანი*“<sup>210</sup>. 1886 წლისათ-

<sup>208</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 284, 305.

<sup>209</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 51.

<sup>210</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 144.

ვის ჩუბახევის საზოგადოებაში (თუ თავრარის თემში) 116 კომლი მოსახლე (997 სული) ყოფილა. საერთო წარმოშობა ჰქონიათ ნაკრელ **ანსიანებსა** და იფარის თემის სოფელ იელში მცხოვრებ **სამსინებს** („როცა ჭირი, ლხინი აქეთ, ერთმნეთთან დადიან“). იგივე შეიძლება ითქვას ნაკრელ და ჭუბერელ **გვარმიანებსა** და მესტიელ **გვარლიანებზე**. ეს ორი გვარი აფხაზეთში მცხოვრებ **გვარამიებთანაც** ბიძაშვილობს. მის დასადასტურებლად შემდეგი ეთნოგრაფიული მასალაც გამოგვადგება: „*ოთხი წლის წინ გვარმიანებმა ყრილობა ჩაატარეს. მოიწვიეს გვარლიანები და აფხაზეთიდან გვარამიები. დაამტკიცეს ძმობა. აფხაზეთში როცა შეგვიტყუეს, ჩემი დის შვილი ახალდაბადიდან გამოიქცა, დაუხვდნენ სეპარატისტები, მანქანიდან გადმოავდეს და რა გვარი ხარო – კითხეს. გვარმიანი ვარო. გამოძხვარა ერთი ვაჟკაცი და ხელი არ ახლოთო და გადაარჩინა იმ გვარამიამ*“ (ზაქრო გაიოზის ძე გულელანი, 75 წლის, 2003 წელი).

**ვიბლიანების** ძირითადი საცხოვრებელია თავრალის თემის სოფელი ცალერი. 1872 წლის საეკლესიო საბუთში „თავრარის პრიზოდში“ სამი ვიბლიანია შეყვანილი (მაგალითად, „თემრბეგ ვიბლიანის ძე ალექსანდრე“). ცხოვრობენ ჩუბახევიც. გვარი რამდენიმე სამხუბს მოიცავს: „ბაძუარ“, „ბაკაშერ“, „ნოდარიშერ“, „ქვანაშერ“, „თემოშერ“. ვიბლიანების თავდაპირველი საცხოვრისი იყო ლატალი. „რადაც მომხდარა და იმიტომ გამოსულან“. ებუთში **სუბელიანები** ცხოვრობდნენ, ჩუბახევიში – **სუბარები**. ეთნოგრაფიული მასალებით, „**რახან პატარა გვარი იყო, გვარის გაძლიერების მიზნით, გაერთიანდნენ. მახსოვს 1960-იან წლებში ერთი კაცი სუბარად მოკვდა.**“ (ცისანა მურზაბეგის ასული ვიბლიანი, 66 წლის, 2007 წელი). სუბარები ორ შტოდ იყოფიან – „ბათუშერ“ და „ყადუშერ.“ 1872 წლის დოკუმენტშიცაა სუბარების გვარი დადასტურებული: „*დიდუ სუბარის ქვრივი ჯაჯა*“ (80 წლის). აღნიშნულ დოკუმენტში ბეჩოში აფრასიძე **აფსარუყადაა** ჩაწერილი. ფხოტრერის სამრევლოში გულუ და დავით გურჩიანების და სულა გვირჩიანის

ოჯახებია დაფიქსირებული. აქვე გვხვდებიან **პაკლანები** (ბიუ, აჩხმათ, აჩი პაკლანების ოჯახები). პაკლანი დღევანდელი პაკელიანების თავდაპირველი ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. ფიქსირდება გვარსახელები **ხაბლანი** („ბათერა აღმასკირის ძე ხაბლანი“), **ახლებიანი** („ასლან ახლებიანის შვილები ომანა, ბესარია, მინასა და მანია“) და **ქანცხლიანი** („ამინ ქანცხლიანის ძე მუღვარი“). როგორც ჩანს, ქანცხლიანი იგივე ქანცლიანია, რომლებიც ახლა ეცერში ცხოვრობენ. რამდენიმე ოჯახია **ცინდელიანის** გვარისა დადასტურებული. აღ. რობაქიძის მიერ 1957 წელს ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, ცინდელიანები თავრარის თემის სოფელ ხერხვაშში აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოსახლებულან. მათთვის მიწა თავრარელ ანსიანებს გამოუყვიათ, რაზედაც სახლი აუშენებიათ. სანაცვლოდ ცინდელიანები ყოველწლიურად „უფლიშის“ დღესასწაულის დროს ხარს წირავდნენ. ხარის ხორცს თავრარის მთელი მოსახლეობა დღესასწაულის დროს გამოიყენებდა.<sup>211</sup> „თავრარის პრინოდში“ აღურიცხავთ **დუდულანის** გვარიც („ლეშირ დუდულანის შვილები: ბუკუ, ნულად“). აქვე დიდი რაოდენობით გვხვდებიან **ჭკადუები**. ჭკადუების შეასახებ 1939 წელს ა. დავითიანს შემდეგი ეთნოგრაფიულ მასალა აქვს ჩაწერილი: **„ლახამულაში გადაჭარბებული რაოდენობით ცხოვრობენ ჭკადუები. ისინი თემბად დაყოფილია, სხვადასხვა საძმოს ეკუთვნიან. ჭკადუები ერთმანეთის ნათესავებად თავს მხოლოდ საძმო-თემურ მიხედვით თვლიან. ამიტომ ერთი თემიდან მეორეში ხდება ცოლქმრული კავშირის დამყარება, რაშიდაც სოფელი დაბრკოლებას ვერ ხედავს, რადგანაც გვარი ჭკადუა ამ თემებს დღემდე არ მიაჩნიათ თავის ნამდვილ გვარად. ეს გვარი, როგორც დანარჩენ თემებს ამას ვერ აკავშირებს ნათესაურად. თითონ თემი კი თავის შიგნით ნათესაობას მტკიცედ იცავს, თითოეულ ოჯახს თუ ოჯახის წევრებს ამა თუ იმ თემში თავი ძვლის ნათესავად მიაჩნია თავისი თემის და მის სიწმინდეს იცავს. ვაჟი თავისი**

<sup>211</sup> *А. И. Робакидзе. Очерки общественного быта сванов. Тб., 1993, С. 99.*

თემის ქალიშვილსაც ნათესავად თვლის და ქალიშვილიც ასევე უყურებს ვაჟს.“ „ლახამულა მთლიანად, რომელიც დასახლებულია ლახამულაში და ლენხერის ხეობაში „ჭირხილსა და თოთანს შუა“, დაყოფილია სამძობედ ანუ თემებად, რომლებშიც თავმოყრილია ამა თუ იმ გვარის მოსახლეობა. ლახამულაში სახლობენ **ჭკადუები, დავითიანები, კვანჭიანები, საბანი და ქობალიები**. ამათში ჭკადუები არიან ჭარბი ოდენობით. ჭკადუები თავის შიგნით იყოფიან თემ-სამძობედ (თემ-სამხუბებად).“<sup>212</sup> „სამხუბები კი სხვადასხვა ლასკარებისაგან შედგება თავის მხრივ, ლასკარები უფრო წვრილ ერთეულებს მოიცავს. მაგალითად, ჭკადუების ერთ-ერთი სამხუბია „კოილარ“ (კოიანი), რომელიც შემდეგი „ლასკარებისაგან“ შედგება: „სიმზარანი“, „ხირფთლიანი“... თავის მხრივ სიმზარანი მოიცავენ „მარვანანების“, „იშარმეთანების“, „ვასილაანთების“ ოჯახებს. ჭკადუების „კვირიკანთ“ თემში სამძობებია: „დუდისანთი“, „ძივანთი“, „მამურზანთი“, „სუძანთი“. დუდისანთ სამძობში ითვლებიან თვითონ დუდიშერ, რომელიც გაყოფილი იყო ორ ოჯახად – ფურელაანი ანუ შემდეგ ქერექარ და ახლა რაჟდენარ.“ (ა. დავითიანი).

ეთნოგრაფიული მონაცემებით XIX საუკუნის 40-იან წლებში მოხდა რამდენიმე გვარის სხვა გვარებზე ჩაწერა. ამ არასამართლებრივ ქმედებაში გარკვეული როლი დადემქელიანებმა ითამაშეს, რომლებმაც ეცერში მცხოვრებ **იოსელიანებს** გვარსახელი შეუცვალეს და ოფიციალურ აღმწერს ისინი **მურღვლიანებად** ჩააწერინეს და საეკლესიო წიგნებში ისინი საბატონო ყმებად გაატარებინეს; იგივე მოიძოქმედეს ფარში მცხოვრები **წულუკიძეების** მიმართ, რომლებიც **წულუკიანებად** ჩააწერნეს. დადემქელიანებმა იგივე ქმედება მოგვარეების მიმართაც მოიძო-

<sup>212</sup>ა. დავითიანი. ეთნოგრაფიული მასალები. 1939 წელი, რვ. 1, გვ. 11-12. ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების არქივი, -1, 80.

ქმედეს და მათი ერთი შტო აფრასიძეებად აღარიცხინეს.<sup>213</sup> დადემქელიანების ეს ქმედება გამოწვეული იყო გარკვეული შიშით ახალი რუსული ხელისუფლების პირობებში სოციალურად დაწინაურებული აღნიშნული გვარების წარმომადგენლებს რეალურად არ მიეღოთ პრივილეგიები და ჩამოემორებინათ კონკურენტები.

იგივე მოიმოქმედეს ლახამულაში მცხოვრები სხვადასხვა გვარების მიმართ. „1855 წ. თავადი ჯანსუხ დადიშგელიანის მკვლელობაში, მისი ბიძაშვილების ისლამისა და თენგიზის ხელშეწყობისათვის, ეცერის თავადებმა ათავალისწინეს სოფ. ლახამულის გლეხობა და ხელი მოკიდეს მათ ყოველნაირ შევიწროვებასა და ჩაგვრას. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეუტანია ჯანსულის შვილს თენგიზ დადიშგელიანს, რომელიც თან ახლდა მამას ლახამულაში მისი მკვლელობის ჟამს. ლახამულელთა უხუცესების გადმოცემით, მას სოფელ ლახამულის სხვადასხვა გვარის: **დავითიანების, საბანიძეების, ჭკადუების, კვანჭიანების, ქობალიების, მიშხელანების, ზამაძეების, კვირიკაძეების, გელოვანების, ზოიძეების, სუმაძეების, მოსიძეების** და სხვადასხვა საძმოს: **ბერერშერების, ნუაშერების, მოსესერების, გოიშერების, ხაიდაშერების, ბეტაშერების, დუდიშერების, ყოჯაშერების, ხერვიანშერების, ძივაშერების, გორუშერების, სავასტანშერების, სუმაშერების, მბებეშერების, თობეშერების, თუთაშერების, დაკეშერების, კეკიბშერების, შეყმანშერების** და სხვათა – ერთი სიტყვით, რამდენი გვარიც არსებობდა იმდენი საძმოს წარმომადგენლობების აბსოლუტურ ოჯახთა უმრავლესობისათვის ერთი გვარი – ჭკადუა – გაუტარებია.“<sup>214</sup> „იმ პერიოდში, როცა ლახამულელებსა და ეცერის დადემქელიანებს შორის უმკაცრესადაა გაღვივებული წინააღმდეგობა, სვანეთში ქუთაისიდან მოდის სამღვდელეობის წარმომადგენელი გვარების

<sup>213</sup>ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 114.

<sup>214</sup>ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს... თბ., 2003, გვ. 114.

აღსაწერად. გვარების აღმწერი ეცერიდან ლახამულაში არ გა-  
უშვიათ. სწორედ უკარნახეს ლახამულელთა სახელი, მამის  
სახელი, გვარი კი ყველას ერთი – ჭკალუა მიაწერეს.<sup>215</sup>

ა. დავითიანისავე ეთნოგრაფიული მასალით, დავითიანების  
გვარი სამ „სამძო-ლასკარად“ იყოფოდა: „თუთაანთი“, „პატაან-  
თი“, „კეტიტანთი.“

ზემოხსენებულ 1872 წლის საეკლესიო საბუთში ეთნოლო-  
გიური თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტიცაა დადა-  
სტურებული. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების/ფეოდალურ სა-  
ქართველოში ხდებოდა ოჯახების, ხშირად სხვადასხვა გვარის  
ოჯახების შეყრა. ეს მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა ძი-  
რითადად ეკონომიკური მოვლენებით იყო გაპირობებული. აღნი-  
შნული ფაქტი XIX საუკუნის სვანეთშიც ხდებოდა. ორიოდე  
მაგალითი შეიძლება 1872 წლის დოკუმენტიდან მოვიყვანოთ:  
„შავლუხთან (ვიბლიანი – რ.თ.) (52-ე კომლში) მცხოვრებნი:  
„ლემის დუდულანის შვილები: „ბაკუ და ნულად“; „გეგან ვიბ-  
ლიანის ასული აბაშხა. ამათთან მცხოვრებნი: ამინ ქანცხლი-  
ანის ძე მუდვარი. სძალი მუდვარისა ელმურზას ქვრივი მაქა“;  
„ფუთა გირგლებიანთან მცხოვრებნი: გიორგი კვანჭიანი. ცოლი  
მისი მანია იღმთიანის ასული“; „შავხან ფარჯიანთან მცხოვ-  
რებნი: ჩეყან ხორგუანი (ცოლ-შვილთან ერთად“); „ესავ  
ფარჯიანთან მცხოვრებნი (მე-10 კომლში): ბექმურზა ხორგუ-  
ანის ძე ხორგუანი. ცოლი ამისა ხვამზი, შვილი ამათი ხორ-  
გუან, ძმა ბექმურზასი მაბილა“...

### **ანთროპონიმები და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი**

#### **ეთნოსოციალური საკითხი**

ძველ საბუთებს თუ თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ  
ბევრი გვარი, რომელიც თავის დროზე სვანეთში ცხოვრობდა,  
ბარში (სამეგრელოში, იმერეთში, ლეჩხუმში, რაჭაში) გადასახ-  
ლებულა. დღეს სვანეთში აღარ ცხოვრობენ, მაგრამ სვანური

---

<sup>215</sup>ფ. ფილფანი, ჯ. ცხვარვაშვილი. ლახამულის მკვიდრთა გვარების ისტო-  
რიისათვის. – გაზ. „ახალი სვანეთი“, 1982, №95.



წამოშობა აქვთ დასავლეთ საქართველოს ბარში განსახლებულ გვარებს, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: ქელბაქიანები, ფანჯიკიანები (ახლა ფანჯიკიძეები), ლოლელიანები, ჩიქოვანები, ნაკვეხელიანები, სანიგიანები (იგივე სანიკიანი, სანიკიძე), ჭაბუკიანები, შამანიანები (ახლა შამანიძეები), ჟორჯოლიანები, კახიანები და სხვა მრავალი. მიგრაციას სამეგრელოში ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. ამ მიგრაციას კი, ჩვეულებრივ, გვარსახელის ფორმანტის ცვლა მოსდევდა: გობეჩიანები გობეჩიებად იქცნენ, აფაქიანები – აფაქიებად და აფაქიძეებად, კურაცხელიანები – კვარცხელიებად, უბელიანები – უბილავებად, ხაზალიანები – ხაზალიებად, კვირკველიანები – კვირკველიებად, ქარჩიანები – ქარჩავებად, ჯამბურიანები – ჯამბურიებად, ცავანები – ცავებად, გაბუნიანები – გაბუნიებად, კაჭარანები – კაჭარავებად, გოშუანები – გოშუებად, ბაბლუანები – ბაბილუებად, სტეფანიანები – სტეფანიებად, წიფურიანები – წიფურიებად, ბოკერიანები – ბოკერიებად, ჭითანები/ჭითიანები – ჭითანავებად, ხაჭომიანები – ხაჭომიებად, ჩარგასიანები – ჩარგაზიებად, ჭანტურიანები – ჭანტურიებად. გვაქვს გვარსახელები: ჩხეტიანი და ჩხეტია, რატიანი და რატია... სვანური წარმოშობისანი არიან სამეგრელოში მცხოვრები სოტკილაკები, რომელთა ადრინდელი გვარი ჩარკვიანი ყოფილა. გადმოცემით ასევე ძირად ჩარკვიანები ყოფილან შონიები, დემურიები და ჯორჯიკიები. სამეგრელოში მცხოვრებ არზიანების ადრინდელი გვარი კი ხარძიანი ყოფილა. მათი წინაპრები კალას თემიდან არიან მიგრირებულნი. გადმოცემით სამეგრელოში (ზუგდიდი) მცხოვრები ფარჯიკიები ძირად ლატალელი ფარჯიანები არიან.

შუა საუკუნეების საისტორიო საბუთებში არაერთი სხვა გვარსახელია დადასტურებული, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ჩამოვთვალოთ; **აბულეთიანი, დალიდიანი, დეკანოზიანი, ამონიანი, არანიანი, ასიბერიანი, ბებიანი, ბეშქენიანი, ბუბიანი, გაჟანიანი, გატკეჩილიანი, გელაზარდიანი, გვაწიანი, გოდერზიანი, გოროლიანი, დვალისანი, დოდილიანი, ელედისანი,**

ვარდალიანი, ვახთანგიანი, ზორემიანი, თეტენიანი, კვასლიანი, ლჩდიანი, მანაშიანი, მარცხიანი, მახუჯეგეიანი, მახვილიანი, მსავიანი, მულულანი, ნახუმიანი, ოფრიანი, პოლოზონიანი, რკინიანი, საბანი, სანთელიანი, სტეფანიანი, ტბელიანი, ტოტოვანი, უჩინარიანი, ფოხელიანი, ქარჩიანი, ყუცალიანი, შავრეგეიანი, შქერიანი, ჩახტელიანი, ცავანიანი, ცაცქურანი, ძიგორიანი, წარეკელიანი, წრანიანი, ჭაბიანი, ხვინჭიანი, ჭაჩილიანი, ჯავიანი...

გვარსახელთან დაკავშირებით შემდეგიც უნდა აღვნიშნოთ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, შესაძლებელი იყო ქართველებს სუფიქსების მიხედვით განესხვავებინათ ქალისა და კაცის გვარები. ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში შემჩნეული იყო, რომ ასეთი ფუნქცია ზანურსა და დასავლეთ საქართველოს სხვა ქართველთა მეტყველებაში ჰქონდა -ფხე (-ხე) სუფიქსს<sup>216</sup>. დღეს სვანური მეტყველება არ განასხვავებს ქალისა და მამაკაცის გვარებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, -ფხე სუფიქსი სვანური მეტყველებისთვისაც იყო დამახასიათებელი. XII-XIV საუკუნეების „სვანეთის სულთა მატიანეში“ ქალები, ქალთა გვარსახელები ზოგჯერ -ფხე სუფიქსითაა ჩაწერილი: ხალინა გურასაფხე“ (მამაკაცი: „გურისიანი“), „სუკვა ბეუთმანიფხე“ (მამაკაცი: „ბეუთმანიანი“), „მამქან ათარიფხე“ (იგივე „ათარიანი“), მრმ გოგორელიფხე“ (იგივე გოგორელიანი), „თოვლაი მიქელიფხე“ (მამაკაცი: „მიქელიანი“, „მიქელანი“), „მარიამ რუმბიფხე“ (იგივე „რუმბიანი“), „სუკა უჩინაროფხე“ (იგივე „უჩინარიანი“), „თუმა ჩხუმბიფხე“ (მამაკაცი: „მიქლ ჩხუმბიანი“, „გ ჩხუმბიანი“)<sup>217</sup>. ამავე -ფხე სუფიქსითაა გაფორმებული ქალთა გვარსახელები შედარებით გვიანი პერიოდის (XV-XVIII საუკუნეები) საბუთებში. საგვარეულო-საოჯახო

<sup>216</sup> *И. В. Мегрелидзе*. Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре – сб. «Памяти акад. Н. Я. Марра, М.-Л. АН СССР. 1939г. с. 152-159

<sup>217</sup> *კ. ინგოროვა*. სსმ თბ., 1941, გვ. 117, 121, 122, 129, 131, 133.

სულთა მოსახსენიებლებში: გურჩიფხე (გურჩიანი), დაჩქელაფხე (დადიჩქელიანი), ჯაფარიფხე (ჯაფარიძე), ორაფხე (ორიანი), რუჩეგიფხე (რუჩეგიანი) გადრაფხე (გადრანი), ცალაფხე (ცალანი).

ზემოთ აღნიშნული -ფხე სუფიქსი, როგორც ირკვევა, არა მხოლოდ გვარსახელებს ერთვოდა, არამედ ქალის სახელებსაც. „ფხ“ კომლექსი ქალის სახელებში გვიანდელი ეთნოგრაფიული ყოფისათვისაც იყო დამახასიათებელი. XIII საუკუნის სულთა მატრიანეში ქალის ასეთი ორი სახელია დაფიქსირებული: „კოსტაფხე“ და „ადრაფხე“<sup>218</sup>. აშკარაა, რომ ეს სუფიქსები მამაკაცის სახელებს ერთვოდა და ამგვარად იქცეოდნენ ისინი ქალის სახელებად. ზემოთ მოყვანილი ორი მაგალითი, – „კოსტა-ფხე“ და „ადრა-ფხე“ – ამის ნათლად დამადასტურებელია. „ფხ“-სუფიქსიანი ქალის სახელები 1865 წლის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტშიცაა დადასტურებული<sup>219</sup>. „ხაზიფხ“ ერქვა ლენჯერის თემში მცხოვრებ უდესიანს, რომელიც 1806 წელს იყო დაბადებული. „დაჩქელაფხ“-ის სახელის მატარებელი სამი ადამიანია აღრიცხული: „დაჩქელაფხ ჯაფარიძე“ (დაბადებული 1852 წელს), ჯაფარიძეების რძალი „დადიშქელაფხ“ (დაბადებული 1823 წელს) და „დადიშქელაფხ“ (ხალხის გამოთქმით „დაჩქელაფხ“) ჩართოლანი (დაბადებული 1843 წელს). ქალის სახელს „ბერდუფხ“ ზემოაღნიშნული საარქივო დოკუმენტით ორი პიროვნება ატარებდა: „ბერდუფხ ჯაფარიძე“ (დაბადებული 1862 წელს) და ციოყ ჯაფარიძის ბიცოლა, რომელიც XVIII საუკუნეში იყო დაბადებული. „ელდაფხ“ ერქვა ბექან ხერგიანის მეუღლეს, რომელიც 1835 წელს იყო დაბადებული და „ელდაფხ“ – თათავ დადუანის 2 წლის ქალიშვილს. იმავე თათავ დადუანის მეორე, ექვსი წლის ქალიშვილი კი „გირგულაფხ“-ის სახელის მატარებელი იყო. ქალის სახელი „ბერდაფხ“ 1871 წლის დოკუმენტშიცაა დადასტურებული ენგურის ხეობის სო-

<sup>218</sup> კ. ინგოროყვა. სსმ, თბ., 1941, გვ. 135, 137.

<sup>219</sup> ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე №10254, ფფ. 1-20.

ფელ უშგულში. ამ სახელს გეგი ჭელიძის 24 წლის მეუღლე ატარებდა<sup>220</sup>. ჩამოთვლილ სახელებს -ფხე სუფიქსს თუ ჩამოვამორებთ, მივიღებთ მამაკაცის სახელებს, რომლებიც ოდესღაც სვანეთში იყო გავრცელებული: „დაჩქელა“, „ბერდი“, „ილდა“, „გირგულა“, „ხაზი“. ქალის სახელის წარმოება -ფხე სუფიქსით დასავლეთ საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისათვის არ იყო დამახასიათებელი. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყოს, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში ქალთა საკუთარი სახელები შედარებით მცირე რაოდენობითაა დაფიქსირებული.

XII-XIII საუკუნეებში სვანეთი ქართული ქრისტიანული სამყაროს ორგანული ნაწილი რომ იყო, ეს კარგად ჩანს „სვანეთის კრების მატთანეში“ ფიქსირებული ანთროპონიმებით. როგორც მამაკაცები, ისე ქალები ძირითადად ქართულ-ქართველურ და ქრისტიანულ კანონიზებულ სახელებს ატარებდნენ. როგორც ჩანს, ქართულ-ქართველურ სახელებს აქ უფრო ადრე უნდა შემოეღწია, ვიდრე კანონიზებულ ქრისტიანულ სახელებს. საქართველოს ბარიდან იყო შემოსული აღმოსავლური (ძირითადად სპარსულ-ირანული) სახელები. კანონიზებული ქრისტიანული სახელებიდან XII-XIII საუკუნეების სვანეთში ფართოდ გავრცელებული იყო: *გიორგი, ილარიონი, მიქელ, მარიამ, მართა, ნინო, ივანე, ნოე, არსენ, მარინე, ევნატი, გაბრიელ, ნიკოლოზ, დემეტრე, ათანასე, მაკერ, დავით, ზეით, იაკობ, ანანია, გრიგოლ, ბასელ...* გამჭვირვალე ქართულ-ქართველური წარმოშობის სახელებიდან შეიძლება დავასახელოთ: *მუხლოუხა, ნათელი (ქ), ნაღველა, გამრეკელ, გვანცა (ქ), ხალინა (ქ), ერთგულა (ქ), სინათლი, რკინა, ჯავახი, ოქროპირი, თვალშავი, თოულა (ქ), ზვიად, ქურსიკი, ნაკვეთა, თვალმინდი (ქ), მწარე, შეიდა, ბიჭია, ლედაჩი, ცოტნე, მალხინა, შეუნური, ჭაბუკველა, ჯოხა, დათუა, ნიჟარა, შავა, ქალკმა (ქ), ლომა, ფრანგი, ტბელი, მთვარე (ქ), ცეცხლა, თვარე, დუდაი (ქ), ჩხავუ, გუჯეჯი,*

<sup>220</sup>ქუთაისის სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე №194, ფ. 35.

ვეშავ, ბერეჟი, ზაზი, ჩარვას, თუთა, კურცხა და სხვა მრავალი.

სვანეთში საქართველოს ბარიდან შემოსული და გავრცელებული იყო აგრეთვე აღმოსავლური წარმოშობის სახელები: თინათინი, ანგურავ, პილუნ, ტარიელ, სარგის, რუსუდან, გურანდუხტ, რატი, ვახტანგ, ზვაშავი, ბეშქენ, ჯაჰვარ, აბესალომ, სიაგუმ, ფარცმან, შაჰანშაჰ, ტაიბულა, ბურღუხან, ჩაყათან, ათარჯი, შესახან, ბეჟან...

აღნიშნულ პერიოდში სვანეთში მხოლოდ კანტიკუნტად თუ შეინიშნებოდა ჩრდილო კავკასიური ანთროპონიმები, რომლებიც აქ ფართოდ გავრცელდა XVIII საუკუნიდან.

რამდენიმე გამონაკლისის გარდა, სვანეთში გავრცელებული ქართული გვარსახელები ან(-იან) სუფიქსით ბოლოვდება. ეს გამონაკლისებია -ძე, -შვილი და -ია სუფიქსებით დაბოლოებული გვარები: *ჯოხაძე, აფრასიძე, რეზესიძე, ჯაფარიძე, ჭელიძე, ნიჟარაძე, კაკრიაშვილი, ლუხუტაშვილი, კორძაია*. იყო -ელ სუფიქსიანი ერთი გვარიც – სეტიელი, რომლის მატარებლებმაც გარკვეული მიზეზის გამო ფალიანის გვარი მიიღეს. საბუთებში -ელ სუფიქსიანი კიდევ ორიოდ გვასახელია დაფიქსირებული: დაბიერელი, ზაგარელი. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ სვანური გვარების მაწარმოებელი -ან(-იან) სუფიქსი თავდაპირველად მთელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი და დროთა განმავლობაში ის სხვა სუფიქსებმა შეცვალა, სვანეთმა კი თითქმის ხელუხლებლად, უცვლელად შემოინახა.

სვანურ გვარებზე როცა ვლაპარაკობთ, არ შეიძლება სვანური გვარების დანაყოფებს არ შევეხოთ. გვარის დანაყოფები მთლიანი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი და ისინი, ფაქტობრივად, მეორე მემკვიდრეობით სახელებს წარმოადგენდა. სვანეთში ეს სვანური გვარების ახლო ნათესაურ ჯგუფებს წარმოადგენდა და მას ტერმინ „სამხუბით“ („ლამხუბი“) აღნიშნავდნენ, რაც „საძმოს“ ნიშნავს. „სამხუბები“ სისხლით ნათესაობაზე დამყარებულ ურთიერთობას წარმოადგენენ, რომელთა წევრები მოძმეებად, ხოლო თვითონ გაერთიანებები საძმო-

ბად იწოდება. ეს უკანასკნელნი უახლოეს და შორეულ მოძმეების სახით ნაწილდებოდნენ. თანდათანობით ზრდისა და გამრავლების შედეგად ზოგიერთი სამხუბი კვლავ ახალ შტოებად იყოფოდა.

„სამხუბში“ შემავალ ცალკეულ განშტოებათა სახელწოდება უმრავლეს შემთხვევაში მამამთავრის სახელისაგან მომდინარეობდა, ხოლო ზოგიერთ უფრო იშვიათ შემთხვევაში, დასახლების ადგილის სახელწოდებას ატარებდა. სამხუბს ჰქონდა თავისი საერთო კრება. ყველა დადგენილება სამხუბს კრებაზე გამოჰქონდა, რასაც *სამხუბიშ ლინზორალ*-ი ეწოდებოდა. სამხუბის შეკრება ცხოვრების სხვადასხვა მომენტთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, მოსისხლე სამხუბების შეკრების დროს, რადგან თითოეული პირი არა მხოლოდ ოჯახის, არამედ მთელი სამხუბის წევრადაც ითვლებოდა. „სამხუბის“ შეკრება ხდებოდა აგრეთვე ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების გამო, ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში და სხვ. „სამხუბის“ განსახილველი საკითხი იყო მორიგება ყიდვა-გაყიდვის დროს, ქურდობა. მთელი სამხუბის გადასაწყვეტი საკითხი იყო სამხუბის წევრების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება. ყველაზე უხუცეს და სახელმძღვანელო წევრს სამხუბისას „სამხუბიშ მახუში“ ეწოდებოდა. ის მხოლოდ შეკრებილობის ხელმძღვანელი და არა რაიმე მმართველად მიიჩნეოდა. ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებს ოჯახი „სამხუბის“ გარეშე არ წყვეტდა, რადგან მისი შედეგი, როგორც ავი, ისე კარგი, მთელ „სამხუბს“ მოეკითხებოდა. სამხუბის წევრებს მნიშვნელოვანი მოვალეობები ჰქონდათ ქორწინებისა და დასაფლავების დროს. სვანურ გვარებსა და მის დანაყოფებს (ერთეულებს) საერთო საკუთრება, საერთო წარმოება და მოხმარება არ ახასიათებდათ. „სამხუბის“ საერთო საკუთრებას მხოლოდ სათიბი წარმოადგენდა და თიბვა ერთიანი ძალით ხდებოდა. XX საუკუნეში ყველა ოჯახს საკუთარი სათიბი ჰქონდა. თიბვა კი „სამხუბის“ წევრების ურთიერთდამარებით ხდებოდა.

სვანური მეტყველებისათვის ფაქტობრივად უცნობი იყო

სანათესაო წრის მემკვიდრეობითი სახელის აღმნიშვნელი სიტყვა „გვარი“. ამ ტერმინის გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევაა დადასტურებული ნაკაწრ წარწერაში და ისიც XVIII-XIX საუკუნეების მიჯნისაა: „ჩემი გვარისა მიცვალებულსა, შეუნდვენ ღმერთმანი.“<sup>221</sup> სვანურ საბუთებში და სასაუბრო მეტყველებაში „გვარის“ აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულად გამოყენებულია ტერმინი „თემი“. უფრო მეტი, ამ სიტყვით ზოგჯერ გვარის დანაყოფებსაც („სამხუბი“, „ლამხუბი“) აღნიშნავდნენ. სა-ვარაუდოდ „თემი“ მაშინ უნდა შესულიყო სვანურ მეტყველებაში, როდესაც აქ ერთი გვარი ნამდვილად ერთ თემს წარმოადგენდა. საილუსტრაციოდ ამონაწერი XIV საუკუნის პირველი ნახევრის „სეტის თემის ერთპირობის დაწერილიდან“: „ჩვენ ოთხმან თემმან, თავად ... ერთმანერთსა ესე პირი დაუიმედეთ...“<sup>222</sup> დოკუმენტზე ხელის მომწერთა შორის ოთხი თემია/გვარია: ჯაფარიძე, გოშოთელიანი, ხრთაგანი და მარევიანი. XIII-XIX საუკუნეების დაწერილში გელოვანები თავიანთ გვარს თემს უწოდებენ: „ქ. ესებ ნიშანი და დაწერილი დაგიწერე და მოგაკსენე მე, ივანე და ხუერგო გელუანმა თქუენ, წმიდასა მთავარანგელოზსსა და მისთა მავედრებელთა ლაილისა ჭევთა, მას ჟამსა ოდეს ჩემისა პატრონისა მიქელაისძისა ნებითა, მოხერისა მთავარანგელოზსა დაგათუალეთ ჩუენი თავი, შვილნი და რასაც ჰქუაიან, მკუიდრად, ვიდრე ჩუენი თემი იყოს.“<sup>223</sup>

სვანური გვარების შესახებ გადმოცემების შესწავლა მთელი რიგი სოციალური საკითხების გარკვევის საშუალებას გაძლევს. ამის შესახებ ზემოთაც იყო საუბარი. აქ კი გვინდა აღვნიშნოთ, რომ სვანეთში მოსახლეობის მიგრაციის რამდენიმე მიმართულება შეინიშნება. შეინიშნება როგორც შიდა მიგრაციული პროცესები, ასევე მიგრაცია საქართველოს სხვა კუთხეები-

<sup>221</sup>სწმ, II, გვ. 429.

<sup>222</sup>სწმ, I, გვ. 161.

<sup>223</sup>სწმ, I, გვ. 137-138.

დანაც. აღარას ვამბობთ სვანთა მუდმივ მიგრაციაზე როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ასეთი მიგრაცია კი ისტორიულად საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხისათვის იყო დამახასიათებელი. მთისათვის ნამატი მოსახლეობა ბარში გადასახლდებოდა, სადაც, ხშირი ომიანობის გამო, ამის შესაძლებლობა ყოველთვის იყო. არაერთი ფაქტია დადასტურებული სვანეთში მოსახლეობის ჩრდილოეთ კავკასიიდან მიგრაციის შესახებაც.

### **ტერიტორიული თემი**

ხემოთ მიმოხილული მასალით ვნახეთ, რომ სვანეთი მრავალი გვართა და გვარის დანაყოფი ერთეულებით („სამხუბებით“) იყო დასახლებული. სვანეთის თითოეული თემი ტერიტორიული პრინციპით იყო მოწყობილი; ის ერთი გვართა არ ყოფილა დასახლებული. ტერიტორიული ერთეული (თემი, სოფელი) რამდენიმე გვართა იყო დასახლებული. მაგალითად, მულახის თემი, რომელშიც რვა სოფელი შედიოდა, 26 გვარისაგან შედგებოდა. მულახის თემის სოფელ ჩვაბიანში კი ხუთი გვარი მკვიდრობდა. მრავალგვარიანობა თანაბრად ეხება როგორც ენგურის ხეობის, ისე ცხენისწყლის ხეობის სვანეთსაც. როგორც ერთ, ისე მეორე ხეობაში მხოლოდ გვარის დანაყოფებს (სამხუბებს, ლამხუბებს) ჰქონდათ საერთო ტერიტორია. XX საუკუნეში გვარის დანაყოფების ერთ ტერიტორიულ ერთეულზე განსახლების წესი მოიშალა.

სოფლის თემს ჰქონდა თავისი სახალხო კრება, რომელსაც *ლუზორ* ან *ლუზორ* ეწოდებოდა. ამ კრებას ხალხის მიერ ამორჩეული „მახვი“ წარმართავდა. მას თემი უვადოდ ირჩევდა და ეს პრესტიჟული „თანამდებობა“ ღრმა მოხუცებულობამდე ან სიკვდილამდე ეკავა. თუ „მახვი“ ვერ გაამართლებდა, მას გამოცვლიდნენ, რაც იშვიათად ხდებოდა. საერთო ყრილობაზე ხდებოდა „მახვის“ წინადადების მიღება ან უარყოფა: „ყოველ საზოგადო საქმეში „მახვი“ ჯერ დაეკითხებოდა გამოცდილ და სარწმუნო კაცებს და მათებურად დადგენილს მოსაზრებას და გადაწყვეტილებას იგი წარუდგენდა საზოგადო ყრილობას“ (ბ.



ნიჟარაძე). წარსულში, როდესაც თითქმის ყველა სვანი შეიარაღებული იყო, მახვშს უფლება ჰქონდა დღესასწაულების დროს ყველასათვის იარაღი აეყარა. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ კი იარაღს ყველას უბრუნებდა.

სათემო ყრილობაზე დასწრებისა და მონაწილეობის უფლება ჰქონდა არა მარტო ყველა სრულწლოვან ვაჟს, არამედ ყველა სრულწლოვან ქალსაც. სათემო ყრილობას დიდი უფლებები ჰქონდა; მას შეეძლო მოსახლის აყრა, საზოგადოებიდან განდევნა, სახლ-კარის გადაწვა და სიკვდილით დასჯაც კი. სათემო ყრილობის ფუნქციაში შედიოდა ლაშქრობის საკითხების გადაწყვეტაც. ის აწესრიგებდა თემთა შორის ურთიერთობას. სათემო ყრილობა დაუნდობელი იყო ქურდების მიმართ. სათემო ყრილობის მოვალეობას შეადგენდა ხალხში ზნეობის დაცვა. ბ. ნიჟარაძის სიტყვით, „თუ ქალიშვილს მეძაობა გამოაჩნდებოდა და ბუში ეყოლებოდა, მაშინ ყრილობა ქალიშვილის პატრონს ჩამოართმევდა ჯარიმად ერთ დღიურ ყანას ან სათიბს, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო ადგილებად რჩებოდა სამუდამოდ. მეძავ ქალიშვილს და მის ბუშს ეკრძალებოდათ ნაკურთხ მიწაში დამარხვა, საყდარში მისვლა და სახალხო-სალმრთო დღესასწაულებზე დასწრება“. სვანური ტრადიციული საზოგადოების ასეთი მკაცრი ჩვეულებითი სამართლის გამო, ასეთი დანაშაული ან გადაცდომა, რომელიც ხალხის კოლექტიურ მენტალიტეტს ეწინააღმდეგებოდა, ფაქტობრივად, არ ხდებოდა. სვანები ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და დღემდე ანიჭებენ ფიცის დადებას. დაფიცება ხდებოდა ქრისტიანული ტაძრის ტერიტორიაზე, ტაძრიდან გამოტანილი რომელიმე წმინდანის ხატზე. ფიცს დებდა არჩეული „მახვშიც“, რომ ის ხალხის, თემის ერთგული და ტრადიციების დამცველი იქნებოდა.

ზემოთ აღწერილი სათემო ურთიერთობები ძირითადად ენგურის ხეობის ბალსხემო სვანეთისათვის ანუ თავისუფალ სვანეთისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც ფეოდალურმა ურთიერთობებმა თემურ ურთიერთობასთან ჭიდილში, როგორც ჩანს, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, პოზი-

ციები დათმო.

თავდაპირველად სვანეთის ტერიტორიული თემის ხელმძღვანელი „ხევისთავი“ უნდა ყოფილიყო. როგორც ცხენისწყლის, ისე ენგურის ხეობათა სვანეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მონაცემებით, **კერისტაუ//კეისტაუ**-ს მოვალეობის შემსრულებლები არსებობდნენ. „ხევი“ კი ძველი, შუა საუკუნეების საბუთების მიხედვით, გვიანდელი ტერიტორიული თემის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ხელმისაწვდომი პერიოდისათვის **კერისტაუ//კეისტაუ**-ს ფუნქციები შემცირებული და დაკნინებული იყო და მისი ძირითადი მოვალეობა ქურდების გამოაშკარავება და აგრეთვე, მახვშთან ერთად, უთვისტომო, უნათესაო მოხუცთა, დავრდომილთა რჩენის საკითხების მოგვარება იყო.

სვანური ტერიტორიული თემის ანუ ხევის (კეუ) შესახებ წერილობითი დოკუმენტებიც არსებობს. ასეთი საბუთები ჩვენ ძირითადად ენგურის ხეობის სვანეთის შესახებ გვაქვს შემორჩენილი და თანაც მისი ზედა ნაწილის ანუ ბალსზემო (თავისუფალი) სვანეთის შესახებ. დოკუმენტების მიხედვით, სვანეთის ცალკეული ხევის (ტერიტორიული თემის) წევრები ყველა ღონეს ხმარობდნენ წევრთა ერთიანობისათვის. მაგალითად, სეტის ხევის ერთ-ერთ დოკუმენტში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „კეუ“-ი უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიან ძალას საერთო მტრის წინააღმდეგ. ის, ვინც თემს (კეობას) უღალატებდა, მოიკვეთებოდა და გადასახადით (ასი თეთრი) დაისჯებოდა. ეს დოკუმენტი შემდეგი შინაარსისა გახლავთ: „**ქ. მთავარმოწამისა სეტისა თაუსდებობითა და შუვამდგომლობითა დაუწერეთ და დაუდევით დაწერილი ესე ერთობისა და გაუყრელობისა ჩვენ ერთობილმან სეტისა მთავარმოწამისა საყდრის შველთა მტკიცე და უქცეველი, ყოულისა მიზეზისაგან უმიზეზოი, რაისა გინდა ჟამისა შემოსრულობისთვის შეუცვალებლი, უთუოი და უთუმციოი, მას ჟამსა, ოდეს დაუჭირვებლად, ერთმანეთისა ერთობაი და გაუყრელობაი მოგვინდა და გაგაერთედ ჩვენი სამტერო და**

სამოყროი, მოგვიდა და გავაერთეთ ჩვენი საქმე ყველაი, ამა პირსა ზედა – აწ დღისით წაღმა მტერის მტერი სწორად ვიყოთ და მოყვრის მოყვარე; არ გავყვართ ერთმანერთსა არა-რაისა მოჭირვებისათვის, არაისა ღზინისათვის, არავის კაცისა გულისათვის, არაისა ქრთამისათვის; სად საურავი გვიჯობდეს, ერთმან ერთისა გულმართლად საურავი მოვიჭირით: სადა შეე-ლაი დაგვეჭიროს ერთმან ერთსა თაუდადებით უშუელოთ; ჩვენი საქმე არავის ვათნოთ, ყოულითა ჩვენით ღონითა და შეძლები-თა ერთმან ერთის საკეთოსა საქმეს ვიწიროდეთ; მიღმა ერთმან ერთსა დაგვადგეთ, უაუგოი გული შევაწიოთ; მიღმა რაიც მოგვივიდეს მესამედი ჩვენ ერთობილსა გამოგვიყოს. ესე დაწე-რილი ფიცითაც დაგვიმტკიცებია. ვინც შეშალოს, არ გაათიოს მისითი შეძლებითა, კრულმც არს კაცი იგი ღმრთისა დაუსაბა-მონისა პირთა აქა და მას საუკუნესა, სული და ჳორცი მისი აქა და მას საუკუნესა, ორთავე ცხოვრებათა შინა. ვინც უკუ დგეს, ესე დაწერილი გაგვიტეხოს, ასის თეთრისა პატიჟი გარ-დავაკლევინოთ, უმიზეზოდ ჩვენგან გავაყენოთ.“<sup>224</sup> მოყვანილი საბუთი მრავალმხრივ საყურადღებოა. საბუთი შედგენილია XIV საუკუნის პირველ ნახევარში. დაწერილი სეტის მთავარმოწამის საყდრიშვილთა მიერაა შედგენილი. მნიშვნელოვანია ის გარემო-ებაც, რომ ერთობის, გაუყრელობის, ერთად მოქმედების შესა-ხებ ფიცს დებენ სეტის მთავარმოწამის თავდებობითა და შუამ-დგომლობით და თუ ვინმე ფიცს დაარღვევს, მას არა მარტო ხალხი დასჯის (ეკლესიის სახელით), არამედ სალოცავისაგა-ნაც შეირისხება. აღსანიშნავია ბარისაგან განსხვავებული ერთი მომენტიც. შუა საუკუნეების ბარში „საყდრიშვილად“ თუ საეკ-ლესიო აზნაური იწოდებოდა, აქ მთაში (სვანეთში) სალოცავის ყველა მლოცველი ანუ ტერიტორიული თემის ყველა წარმომად-გენელი „საყდრიშვილად“ მიჩნევა. შუა საუკუნეების სვანეთში, ფაქტობრივად, საერო და საეკლესიო საქმე ცალ-ცალკე არ არ-

---

<sup>224</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 155.

სებობდა. ყველა საერო საქმის მოთავედ და შუამავლად სახეგო (სათემო) სალოცავები გამოდიოდნენ. მაგალითად, შუა საუკუნეების კალის თემში საერთო იყო მთის საძოვრები. თუ ამ საძოვრებისათვის დადგენილ წესს ვინმე დაარღვევდა, თემის მთარი სალოცავი და ტერიტორიული თემის მკვიდრნი („ხევი ერთობილი“) მას ერთად დასჯიდნენ. ასე რომ, ფეოდალურ ურთიერთობებთან ერთად, სვანეთში წინაფეოდალური ურთიერთობების ბევრი ინსტიტიტუტი განაგრძობდა არსებობას. სვანაირად წარმოდგენილიც კი იყო. მთური ლანდშაფტი ზღუდავდა ბარის ანალოგიური სოციალური ურთიერთობების სრულყოფილად განვითარებას.

ყველა სვანურ საისტორიო საბუთში, რომელიც ამავე დროს იურული დოკუმენტიცაა, ტერიტორიული თემი მოხსენიებულია ხევის (კეუ-ს) სახელწოდებით. ცნობილია, რომ ხეობების მოხედვით ქვეყანა ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში იყო მოწყობილი. დასავლეთ საქართველოში ადმინისტრაციული მოწყობის ეს პრინციპი ფაქტობრივად არ დასტურდება. ამ მხრივ გამონაკლისს სვანეთი წარმოადგენს, რომლის ტერიტორიულ-თემობრივი თუ ადმინისტრაციული მოწყობა აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიური იყო (თუმცა გამოთქმულია საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სამეგრელოში „ხევს“ შეესატყვისებოდა ტერმინი „მუნური“).<sup>225</sup> XIX საუკუნეში ამ ხეებს, ანუ ტერიტორიულ თემებს რუსეთის ხელისუფლებამ „საზოგადოება“ უწოდა. ეს ტერიტორიული თემები ერთობას საბჭოთა ხელისუფლების დროსაც ინარჩუნებდნენ, რადგან ამ პერიოდის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ისტორიულ ტრადიციას ანგარიშს უწევდა. სვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ყველა ეს ერთეული ჩამოყალიბებული იყო გარკვეული გეოგრაფიული, ისტორიული, სასოფლო-სამეურნეო პირობების გათვალისწინებით და ამ ერთეულთა საზღვრებიც მუდმივად ხე-

---

<sup>225</sup>კ. ჩიქობავა. ფეოდალიზმი და ქართული ეთნოკულტურა VIII-X საუკუნეებში, თბ., 2015, გვ. 78-99.

ლმეუხებელი იყო. ამ საზღვრებს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიული ერთეულები დღესაც იცავენ. დღესაც ეს ტერიტორიული ერთეულები (ყოფილი თემები) საერთო სალოცავის გარშემო არიან გაერთიანებული. ამკარაა, რომ თავდაპირველად ტერიტორიული თემების რაოდენობა უფრო მეტი იყო და ხდებოდა მათი გამსხვილება, გაფართოვება, უფრო დიდი ტერიტორიული თემების მფარველობაში შესვლა. მაგალითად, ცალკე იყო მუჟალის თემი, რომელიც დროთა განმავლობაში მულახის თემში გაერთიანდა. დღეს ლატალის თემში შემავალი იენაში საისტორიო საბუთებში ცალკე ხევადაა მოხსენიებული. ცალკე ტერიტორიული თემი ყოფილა დოლის თემი, რომელიც გვიან ბეჩოს ტერიტორიული თემის ერთ-ერთი სოფელი იყო. ეცერის თემში შემავალი სოფლები კალაში და ჰებუდი XIII საუკუნეში ასევე ცალკე ტერიტორიული თემები იყო.

სვანეთის ტერიტორიული თემები (ხევები) ერთმანეთთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი. საბუთებში არაერთგზისაა მოხსენიებული ერთობილი სვანეთის ხევი. ასე რომ, ტერმინი „ხევით“ არაა მარტო ცალკეული ტერიტორიული თემი, არამედ მთელი სვანეთიც აღინიშნებოდა, რომელიც დიდ ტერიტორიულ ერთეულზე, ორ დიდ ხეობაში მდებარეობდა. მესტიის ტერიტორიული თემი ანუ მესტიის ჰეუ მესტია ჭალა-ს ხეობაში იყო მოქცეული; მულახის ჰეუ (ანუ ტერიტორიული თემი) – მულახის ჭალა-ს ხეობაში, ჰადიშის თემი (ჰეუ) – ჰადიშის ჭალა-ს ხეობაში და ა.შ. თითოეული ტერიტორიული თემი (ანუ ჰეუ) რამდენიმე სოფლის ერთობლიობას წარმოადგენდა.

ტერიტორიულ თემს (ჰევს) საერთო ინტერესები ჰქონდა, რომელთაგანაც შეიძლება დავასახელოთ: მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით გალაშქრება, საერთო თავდაცვა, საერთო საკუთრების (საძოვრების, ეკლესიებისა და მათში მოთავსებული საეკლესიო საკულტო ნივთების – ჯვრების, ხატების) დაცვა, თემის ცალკეული წევრების კეთილდღეობისათვის ზრუნვა და მათი ინტერესების დაცვა, რასაც თემის კრების მიერ არჩეული

პირები (კერსთაუ-ები ანუ კერტაუ-ები და მახვშები) ხელმძღვანელობდნენ.

შუა საუკუნეების წერილობითი ძეგლებით სვანეთში „მამასახლისის“ ინსტიტუტიც არსებულა, რაც, სხვა სოციალურ პრობლემებთან ერთად, იმ დასკვნის საშუალებასაც გვაძლევს, რომ სვანეთი საერთოქართულ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანაბრად იყო ჩართული. ამ ინსტიტუტის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული: „უბიანის ლამარიაში (უშგული) ... მოთავსებულია ღრმა კვეთით შესრულებული ორი გრაფიტი გიორგი მამასახლისისა, რომლებიც, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XI ს-ით თარიღდებიან. ამ გრაფიტების მიხედვით სახეზეა მამასახლისის ინსტიტუტის ყველაზე ადრინდელი დოკუმენტური დადასტურება ზემო სვანეთში. ეს ინსტიტუტი, სხვა წერილობითი ძეგლების მიხედვითაც, აქ ძალზე გავრცელებული ჩანს მთელი შუასაუკუნეების მანძილზე. მამასახლისები ზემო სვანეთში, როგორც ჩანს, წარმოადგენდნენ თემის მმართველებს და მათ ხელში იყო თავმოყრილი როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფლება.“<sup>226</sup>

სვანეთის თემის მოქმედ ძალას ე.წ. *სუიმრა* წარმოადგენდა. მას ლაშქრისაგან განსხვავებული ფუნქციები ეკისრებოდა. სუიმრა ცალკეული თემების მიხედვით დგებოდა და მასში გამორჩეული და საუკეთესო ვაჟკაცები შედიოდნენ. სუიმრას ძირითადად პოლიციის ფუნქციები ჰქონია. სუიმრა სჯიდა იმ ოჯახს, რომელიც ტერიტორიული თემისა თუ მთლიანად სვანეთის (ერთობილი სვანეთის კეუ-ს) გადაწყვეტილებას არ შეასრულებდა.

არსებობდა აგრეთვე ე.წ. „შუანია სუიმრა“ ანუ „კეუია სუიმრა“, რომელიც ცალკეული ტერიტორიული თემების „სუიმრას“ აერთიანებდა. ამ ე.წ. პოლიციურ გაერთიანებას ჩვენამდე

---

<sup>226</sup>გ. სილოგავა. ზემო სვანეთის გრაფიტები. – სვანეთი. II, თბ., 1979, გვ. 121.

არ მოუღწევია; უფრო მეტიც: ის არც XIX-XX საუკუნეებში არსებობდა. გადმოცემით, თუ სვანთა სათემო და საერთო ყრილობის გადაწყვეტილებას ესა თუ ის ოჯახი და პიროვნება არ დაემორჩილებოდა, მაშინ სვიმრა (სუიმრა) მათ თემიდან ან, საერთოდ, სვანეთიდან განდევნიდა. სათემო საბჭოს გადაწყვეტილებას „სუიმრა“ განუხრელად ახორციელებდა (აყრა, გადაწვა, დილეგში ჩასმა...). ხალხი სუიმრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის სვანეთის მცხოვრებთა ერთგვარი მაიდენტიფიცირებელი ინსტიტუტიც იყო. XX საუკუნის 30-იანი წლების ეთნოგრაფიული მონაცემებით, სუიმრას არსებობისას (XIX საუკუნის 70-იან წლებამდე) სვანეთში წესრიგი იყო.

სვანური სოფლები მჭიდრო დასახლებით გამოირჩეოდა. აქ მცირედ დასახლებული პუნქტები (სოფლები) გვქონდა. მიწის ფართობი, რელიეფი დიდი დასახლებული პუნქტების წარმოქმნის საშუალებას არ იძლეოდა. XIX საუკუნის ბოლოს სვანეთში ასორმოცზე მეტი სოფელი იყო. სოფლების ჯგუფი, როგორც საქართველოს სხვა პროვინციებშიც, სვანეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღინიშნებოდა ქართული ტერმინით „ხევი“ (კეუ). სოფლები ხეობის გასწვრივ იყო გაშენებული. XIV-XV საუკუნეების წერილობით დოკუმენტებით, რომლებიც სვანეთს ეხება, ტერმინი „ხევი“ თავისი სოციალური მნიშვნელობით ტერიტორიული (და არა გვაროვნული!) თემის თანაფარდია. ხშირად ტერმინით „ხევი“ რამდენიმე ხეობის ერთობლიობაც (ამ ხეობათა და ხევთა კავშირიც) აღინიშნებოდა. ხევი ანუ ტერიტორიული თემი თითქმის ბოლო დრომდე გვეკვლინებოდა მკაფიოდ განსაზღვრულ და ორგანიზებულ ერთობად, რომელთა მიმართებაშიც სოფელი დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა და მის შემადგენელ ნაწილს შეადგენდა. სოფელს ხევთან (ტერიტორიულ თემთან) მიმართებაში არავითარი ავტონომიური ფუნქციაც კი არ ჰქონდა. ყოველივე ეს განმტკიცებული იყო რელიგიითაც. ყველა სოფელში არსებულ რამდენიმე ქრისტიანულ ეკლესიასთან ერთად ტერიტორიულ თემს გააჩნდა მთავარი, ძირითადი სალოცავი (ეკლესია), სადაც თემის (ხევის) ყველა

წარმომადგენელი ლოცულობდა.

სვანეთში თემების ტერიტორიული და სამეზობლო პრინციპით გაერთიანების შესახებ ჯერ კიდევ ადრე მიუთითა რუსუდან ხარაძემ: „ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად XIV-XV სს. დოკუმენტების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ლასკარი-სვანეთში წარმომადგენდა ისეთ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის წევრებიც გაერთიანებული იყვნენ არა ბუნებრივი ნათესაური პრინციპით, არამედ ხელოვნური შეკავშირებით. მომენტითი შეყრილობისა აუცილებელ პირობას შეადგენდა მეზობლურ გაერთიანებაზე დამყარებული კავშირისათვის, რაც პირადი შეთანხმების გარეშე ვერც მოხდებოდა.“<sup>227</sup> ამ ციტატის, და მისი ხაზგასმით, მოყვანა აუცილებლად ვცანით იმის გამო, რომ საბოლოოდ უარი ეთქვას დღემდე შემორჩენილ ზოგიერთ ნააზრევს საქართველოს მთიანეთში (და, მითუმეტეს, სვანეთში) გვაროვნული საზოგადოების არსებობის შესახებ. რაც შეეხება ტერიტორიულ/სამეზობლო/სასოფლო თემს ის ევროპის ფეოდალური საზოგადოებისთვისაც იყო დამახასიათებელი. თითქმის ანალოგიური ვითარება დადასტურებული ცხენისწყლის ხეობის სვანეთშიც, სადაც ტერმინი ლასკარი- შემოინახა არა სოფლის შიგნით მეზობელ მეკომურეთა გაერთიანების აღმნიშვნელად, არამედ სწორედ ქვეის შიგნით მეზობელ სოფელთა გაერთიანების სახით და აქ ლასკარი ძირითადად რელიგიური გაერთიანება გახლდათ.<sup>228</sup> საისტორიო ძეგლებისა და ეთნოგრაფიული მონაცემებით სვანეთში დასტურდება ტერიტორიული გაერთიანების სამი საფეხური: 1. ხევების გაერთიანება, 2. ხევში შემავალ მეზობელ სოფელთა გაერთიანება (ბალს ზემო ლაკრანისა, ბალს ქვემო სიკვობისა და ქვემო სვანური ლასკარის სახით), 3. სოფლის შიგნით უახლოესი მეზობელი ოჯახების გა-

<sup>227</sup> ლ. ხარაძე. ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში. — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1963, გვ. 394.

<sup>228</sup> ლ. ხარაძე. ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში. — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1963, გვ. 394.



ერთიანება.

ამრიგად, სვანეთში, მიუხედავად იმისა, რომ აქ ადრიდანვე გავრცელდა ფეოდალური ურთიერთობები, თემური ტრადიციებიც იყო შემორჩენილი. ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ. ფეოდალიზმის ისტორიის სპეციალისტებს შენიშნული აქვთ, რომ ყველა ევროპულ ქვეყანაში არსებობდა ოლქები, რომლებიც სოციალ-ეკონომიკური წყობის თავისებურებებით ხასიათდებოდა<sup>229</sup>. სვანეთი საქართველოს ერთ-ერთ ასეთ მხარეს წარმოადგენდა. მისი თავისებურება ძირითადად მაღალმთიანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი იყო განპირობებული. ფეოდალურმა ურთიერთობებმა საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ სვანეთის ერთ ნაწილში – ენგურის ხეობის ზედა წელში („ბალსზემო სვანეთში“) უკან დაიხია. ამიტომ ამ კუთხეს „თავისუფალ სვანეთსაც“ უწოდებენ. აქ ყველაფერს ტერიტორიული-თემობრივი ურთიერთობები აწესრიგებდა ჩვეულებითი სამართლით, რომელიც ძალიან ბევრ შემთხვევაში ქართულ სასულიერო და საერო ფეოდალურ სამართალსაც ემყარებოდა. „თავისუფალ სვანეთში“ არ დაუკარგავს თავისი როლი ქართულ ქრისტიანულ ეკლესიასაც. საზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „თავისუფალ სვანეთში“ გვიან პერიოდამდე არსებობდა „ვარგების“ ანუ აზნაურების ზედაფენა. ისინი აზნაურები მხოლოდ თავიანთი გვარით იყვნენ, მდგომარეობით კი რიგითი მეთემეებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ.

სვანეთის ტერიტორიული თემები ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რაც დოკუმენტების მიხედვით „ერთობილ სვანეთის“ კეუ-ის ანუ „კეუ ბედნიერის“ სახელით იყო ცნობილი. იმავე დოკუმენტების მიხედვით, შუა საუკუნეებში სვანეთს ჰქონდა საერთო მმართველობის სისტემა საერთო კრებით და საბჭოთი, რომელიც სვანეთის ეთნოგრაფიული ყოფაში ფაქტობრივად შემორჩენილი იყო. აღნიშნული კი უნდა განეპირო-

---

<sup>229</sup> Гуревич А.Я. Проблемы генезиса феодализма в Западной Европе. М., 1970, с. 8.

ბებინა იმას, რომ ცხენისწყლის ხეობის ანუ ქვემო სვანეთი და ენგურის ხეობის ბალსქვემო სვანეთი სხვადასხვა ფეოდალთა ხელში იყო, ხოლო ენგურის ხეობის ბალსზემო სვანეთში ფეოდალურმა ურთიერთობებმა პოზიციები დათმო. დოკუმენტებში არ ჩანს სვანეთის ერთობილ ხელში შედიოდა თუ არა ცხენისწყლის ხეობის სვანეთი. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, ქვემო სვანეთი „ერთობილ სვანეთში“ აუცილებლად შედიოდა. ეს მოსაზრება გასაზიარებელია, რადგან კალის „ლაგურკა“ ისეთივე ძლიერი და ცენტრალური სალოცავია ქვემო სვანეთში მცხოვრებ სვანთათვის, როგორც ენგურის ხეობაში განსახლებული სვანებისათვის. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „ერთობილ სვანეთში“ ჩრდილოეთ კავკასიის ის ტერიტორიებიც შედიოდა, რომლებიც თავის დროზე სვანებით იყო დასახლებული (მაგალითად, ბახსანი). გვიან შუა საუკუნეებში კი „ერთობილ სვანეთის“ „კვეუ“-ს მხოლოდ ენგურის ხეობის ზედა მონაკვეთს, ანუ თავისუფალ სვანეთს უწოდებდნენ, სადაც ფეოდალურმა ურთიერთობამ უკან დაიხია.

როგორც „სვანეთის საისტორიო ძეგლებიდან“ ირკვევა, ერთობილ სვანეთის ხევს ჰქონდა თავისი ალაში და ჰყავდა თავისი მედროშე, რომელიც საპატიო თანამდებობას წარმოადგენდა. დროშაზე ლომი იყო გამოსახული და მას „ლემი“ ეწოდებოდა, ხოლო მედროშეს მელომე. მას ებარა „ლემი“ და დღესასწაულსა თუ ლაშქრობის დროს „ლემის“ გამოტანაც მელომის ფუნქციას შეადგენდა. ყველა სვანი ვალდებული იყო სალაშქროდ გასულიყო, თუ სოფელში მელომე „ლემით“ ჩამოივლიდა. სალაშქროდ წასვლაზე უარის თქმის შემთხვევა გამორიცხული იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელსა და თემს „ერთობლი სვანეთის ხევი“ დასჯიდა. მელომის თანამდებობა მემკვიდრეობითი თანამდებობა ყოფილა. ლემი სეტში (მესტიაში) ინახებოდა. მესტიაში „წმინდა გიორგის“ ხუთი გვარის ხალხი (*მიტკლიანები, რატიანები, მჭედლიანები, ფალიანები და ნიგურიანები*) მკვიდრობდა და მთელი სვანეთის დროშის („ლემის“) გამოტანის უფლება ამ გვარებს ჰქონდათ. ლემის გამოტანის უფლება

მეორე დღეს *ჯაფარიძეებს* ჰქონდათ. ეს უფლება მას შემდეგ მოუპოვებიათ, რაც გაცვეთილი ლემის ნაცლვად ახალი „ლემი“ ჯაფარიძის ცოლმა შეკერა. საისტორიო საბუთებით მელომე სხვა გვარის კაციც ყოფილა. მაგალითად, XIV საუკუნის შუა ხანების დოკუმენტში მოხსენიებულია „გომქოთელიანი აზაგ მელომე“<sup>230</sup>. გომთელიანებიც მესტიის თემში, ოღონდ სოფელ ლანჩვალში ცხოვრობდნენ. საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ მელომეს მაინც თემი ნიშნავდა, ოღონდ იმ გვარიდან, რომელსაც მელომეობა (მედროშეობა) ეკუთვნოდა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ, გადმოცემით, საერთო დროშა („ლემი“) სვანებს თათრებზე მოპოვებულ გამარჯვების შემდეგ დარჩენიათ. ზოგიერთი გადმოცემის მიხედვით, ის მგლის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს და არა ლომის. საერთო სვანურ დროშას („ლემი“) დიდი ხანია თავისი ფუნქცია აღარა აქვს და დღეს ის მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს.

ისტორიულად სვანეთის თემები ხშირად იყვნენ ერთმანეთთან დაპირისპირებულნი. ძლიერ თემებს თავისი გავლენისა და დაქვემდებარების ქვეშ ჰყავდათ სუსტი, შედარებით მცირერიცხოვანი თემები. თავისი სიძლიერით მულახის თემი გამოირჩეოდა, რომელსაც გარკვეული გადასახადი ჰქონდა დაკისრებული შედარებით სუსტი თემებისათვის (წვირმი, იფარი, კალა, ჰადიში, მუაჟლი). თემების სიძლიერე-სისუსტე კი ხშირად უფრო დიდი ტერიტორიული თემის წარმოქმნას იწვევდა. მაგალითისთვის მუჟალის თემის მულახის თემში შესვლა შეიძლება დავასახელოთ. ეს გადასახადი ძლიერი თემის მამაკაცების გამასპინძლებით გამოინატებოდა, რაც წელიწადში ერთხელ პეტრე-პავლობის მარხვის დროს ხდებოდა.

### **სოციალური ვითარება**

სვანეთში ფეოდალური ურთიერთობების განვითარება აშკა-

---

<sup>230</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 171.

რას, თუმცა ამ ურთიერთობების ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ან საერთოდ გაქრა, ან შესუსტდა. ქართული საისტორიო წყაროებით აქ არა ერთი და ორი ფეოდალური საგვარეულო მკვიდრობდა; ვარდანიძეები, გელოვანები, ყიფიანები, ჩარკვიანები, ბაბიანები, რუჩევიანები, ქირქიშლიანები, იოსელიანები, ქურდიანები, ჟორჯოლიანები, სეტიელეები... ქვემო სვანეთზე თუ არ ვისაბრებთ, XV საუკუნიდან ჩამოთვლილი გვარებიდან ნაწილი საერთოდ გაქრა, ნაწილი ბარში მიგრირდა. ადგილზე დარჩენილები ან ჩვეულებრივ გლეხებს, მეთემეებს გაუთანაბრდნენ (თუმცა აზნაურის ანუ „ვარგის“ წოდება შეინარჩუნეს), ან ურთიერთბრძოლას შეეწირნენ. ბალსზემო სვანეთში უუფლებო აზნაურებად/ვარგებად იქცნენ ქურდიანები, ჟორჯოლიანები, იოსელიანები, ჩარკვიანები, ჯაფარიძეები, გოშთელიანები, რომელთათვისაც ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წოდება (ვარგი) მხოლოდ პრესტიჟულობის გამოხატულება იყო, რასაც ძირითადად საქორწინო ურთიერთობებში ავლენდნენ (ვარგი ვარგზე ქორწინდებოდა). ბალსქვემოთ კი გვიან შუა საუკუნეებში დადემქელიანებმა, ბაბიანებმა, რიჩგვიანებმა ერთმანეთში ბრძოლა გააჩაღეს. ამ ბრძოლაში გამარჯვებული პირველი გვარი გამოვიდა. დადემქელიანებმა ბაბიანები და რიჩგვიანები ამოწყვიტეს და ეს ბრძოლა მათ მხოლოდ XVIII საუკუნეების შუა ხანებში დაამთავრეს. ეს ლოგიკურიც იყო. მთური ლანდშაფტი, ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს შეზღუდულობა რამდენიმე ფეოდალური გვარის არსებობას ვერც აიჭანდა. რამდენადაც ფეოდალიზმი ფეოდალის მიერ მიწასა და მიწისმომქმედზე კერძო საკუთრებას და მათ მემკვიდრეობით გადაცემას გულისხმობს, სვანეთის მიწის სიმცირე ასეთ ურთიერთობებს ვერ აიჭანდა. მწარმოებელ მოსახლეობას თავად არ ყოფნიდა მთელი წლის ნაჯაფარი (ამიტომაც დადიოდნენ ისინი ზამთრის განმავლობაში გარე სამუშაოზე) და აზნაურისა თუ თავადისათვის რაღა უნდა გადაეხადათ. ცენტრალური ხელისუფლების შესუსტებისთანავე ბალსზემო სვანეთში თემურმა ურთიერთობე-

ბმა ფაქტობრივად ოდინდელი დაკარგული უფლებები აღიდგინა. ივანე ჯავახიშვილის სამართლიანი დაკვირვებით „ვარგი“ სვანეთში აზნაურის გამომხატველი ტერმინი იყო.<sup>231</sup> ამავე მოსაზრების გახლდათ სიმონ ჯანაშია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგ ეს სამართლიანი მოსაზრება აღარ იქნა გაზიარებული. მაგალითად, შეიძლება ეთნოლოგები რ. ხარაძე და ალ. რობაქიძე დავასახლელოთ. მათ „ვარგი“ ხევისურულ „კარგ ყმას“ გაუთანაბრეს. უფრო მართებულად რომ ვთქვათ, კარგ ყმაზე ოდნავ მაღლა მდგომად მიიჩნიეს, რომელიც ჯერ აზნაური არაა. ამავე დროს ვარგს თავისუფალი მეთემეებიდან ახლად დაწინაურებულ ფენად განიხილავენ, რომელიც მოპოვებული უპირატესობის სამემკვიდრეოდ გადაქცევას ცდილობს.<sup>232</sup> ეს მოსაზრება სამართლიანად არ გაიზიარა გ. გასვიანმა.<sup>233</sup> შუა საუკუნეების სვანური წერილობითი ძეგლებით, აშკარაა, რომ „ვარგი“ ნამდვილად სოციალურად დაწინაურებულია, აზნაურია, ის გამოიყოფა მოსახლეობის დანარჩენი მასისაგან. „ვარგის“ „კარგ ყმასთან“ გათანაბრება დაუშვებელია. „კარგი ყმა“ იყო „კარგი ვაჯკაცი, სახელოვანი, სოფლისა და თემის საამაყო, ვაჟკაცი, რაინდი.“<sup>234</sup> ფშავ-ხევსურეთში „კარგი ყმა“ იყო ჩვეულებრივი მეთემე. ის შეიძლება ნებისმიერი გვარიდან გამოსულიყო. სვანეთში კი ასე არ იყო, აქ რამდენიმე ვარგის სახელის მატარებელი არა ჩვეულებრივი რიგითი მეთემე გახლდათ, არამედ ვარგის სოციალურ ფენას რამდენიმე გვარი მიეკუთვნებოდა (დადეშქელიანი, ბაბიანი, რიჩგვიანი, იოსელიანი, ჟორჯოლიანი, ქურდიანი...), რომლებზედაც ვარგობა/აზნაურობა მემკვიდრეობით გადადიოდა. ისინი იყვნენ სამეფო/სახელმწიფო აზნაურები, მე-

---

<sup>231</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაწილი I, თბ., გვ. 40.

<sup>232</sup> რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე. სვანეთის... თბ., 1964, 106, 110, 111.

<sup>233</sup> გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 25-26.

<sup>234</sup> ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალექსი ჭინჭარაულმა, თბ., 1969, გვ. 284.

ფის მოხელეები, რომლებმაც ფაქტობრივად აღნიშნული სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ნიშნები დაკარგეს, რადგან, ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, თემურმა ურთიერთობებმა იმძლავრეს. მაგრამ, საზგასმით უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ გვარებს ვარგის სახელი არააღროს არ დაუკარგავთ. ისინი რომ დანარჩენი მეთემეებისაგან თავს მაინც გამოაცალკევებდნენ, ამის დამადასტურებელი ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული ფაქტიცაა – ვარგი მხოლოდ ვარგზე ქორწინდებოდა. ისტორიულად სვანეთისათვის არც ტერმინი „აზნაური“ იყო უცხო. მაგალითად, „ლაგურკას“ 1111 წლის კტიტორულ წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა ღმრთისადათა, მოიხატა და შეიმკო წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ წმიდისა კკრიკესი სადიდებლად და სალოცველად **ამისა კვეისა აზნაურთა** და ყოველთა, რომელნი აშენებენ ამა წმიდისა ეკლესიასა...“<sup>235</sup> 1130 წლის ნაკიფარის (იფარის) წმიდა გიორგის („ჯგრაგ“) ეკლესიის წარწერა ასე უღერს: „სახელითა ღმრთისადათა მოიხატა და შეიმკო საყდარი ესე წმიდისა გიორგისი სადიდებლად და სალოცველად სულისა **აზნაურთა ამისა კვეისათა** ყოველთა ერთობით...“<sup>236</sup> ორივე ფრესკულ წარწერაში ადგილობრივ ხევის აზნაურებზეა საუბარი. ლალამის ეკლესიის „მაშენებელი“ ქირქიშლიანი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ვარგი/აზნაური იყო (XIV საუკუნე): „შალვა ქირქიშლიანსა, ამა ეკლესიისა მაშენებელსა, შეუნდვენ ღმერთმან; მისსა ძმასა ნექეს, შეუნდვენ ღმერთმან; მან დახატა ეკლესია ესე.“<sup>237</sup> ეკლესიას ზომ რიგითი მეთემეები არ აგებდნენ. შალვა ქირქიშლიანის აზნაურობას მისი ფრესკაც ადასტურებს – ის მდიდრული სამოსითაა შემოსილი.

სვანეთის საზოგადოების სოციალური ბუნებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო მიწის ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა, მზითევში მიცემა, და, რაც სა-

<sup>235</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 73.

<sup>236</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 74.

<sup>237</sup>სწმ, II, თბ., 1988, გვ. 88.

გულისხმობს სრულიად სხვა გვარის კაცზე. ამ მხრივ სვანური საზოგადოება დიდ განსხვავებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საზოგადოებებისაგან და, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება ბარის ფეოდალური ურთიერთობებისაგან. თქმულის დასადასტურებლად შეიძლება XV საუკუნის პირველი ნახევრის დაწერილიდან ამონაწერი მოვიყვანოთ: „ესე დაწერილი და ნიშანი ნასყიდობისაი, მტკიცე და უქცეველი დაგიწერე და მოგეცით მე, **გელანმან ცოტნე** და ჩემთა შვილთა და **მოსათი**, და ჩუენთა შვილთა და მომავალთა ყველათა შენ, მოძღუარსა კეშტინიანსა, შენსა გერშვილსა **გერაბშელსა** და მისთა შვილთა და მომავალთა ყველათა, მას ჟამსა, ოდეს შაოლ[...].ნისა ყანაი ჩუელ ...[მოგყიდეთ მკუილ]რად და სამამულოთ, კელმოკსნით; გიბედნიეროს ღმერთმან; გინდა გაყიდე, გინდა გასცვალე, გინდა გაამზითვე. ... ავიღეთ ფასი სურული, რომელთა შეგჯერდი; არა დამრჩომია შენსა იმისი ფასი.“<sup>238</sup> მაგრამ, მაინც ზემო სვანეთში ისეთი ფეოდალური ურთიერთობები არ ყოფილა, როგორც ბარში – აქ პარალელურად ზოგიერთი წინაფეოდალური ინსტიტუტიც განაგრძობდა არსებობას, პოზიციებს არ თმობდა ტერიტორიულ-თემობრივი ურთიერთობები. მთელ სვანეთში კერძო საკუთრება გაბატონებული მოვლენა იყო. მაგრამ ეთნოგრაფიული მონაცემებით მიწის გასხვიება აუცილებლად თემთან უნდა შეთანხმებულიყო, გვარის წარმომადგენლებს მიწის შესყიდვის უპირატესი უფლება ჰქონდათ.<sup>239</sup>

ბალსზემო სვანეთში ტერიტორიული თემების შეტევის შედეგად ფეოდალურმა ურთიერთობებმა უკან რომ დაიხია, ლატალელი ჩარკვიანების შესახებ გადმოცემაში ნათლადაა ასახული. ლატალში ჩარკვიანები საუკეთესო და დიდი რაოდენობით მიწას ფლობდნენ. ფაქტობრივად ისეთივე ფეოდალური უფლებები გააჩნდათ, როგორც ბარელ აზნაურებს, ძალმომრეობდნენ, რასაც ლატალელები არ ემორჩილებოდნენ. საერთოსახვეო ყრი-

<sup>238</sup>სწმ, I, გვ. 148.

<sup>239</sup> *А. И. Робакидзе. Очерки общественного быта сванов. Тб., 1993, С. 79.*

ლობაზე გადაწყვედა ძალმომრეობისათვის ბოლოს მოღება. ჩარკვიანები ლატალიის მოსახლეობამ კოშკში ამოწვა. განადგურებას გადარჩენილი ჩარკვიანები (ერთი კომლი) ჩვეულებრივ რიგით მეთემეებად იქცნენ, თუმცა ვარგობა კი შეინარჩუნეს. შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან (მხედველობაში თუ არ მივიღებთ ქსნის ხეობის მთიანეთს), ბარის სოციალურ ვითარებასთან ყველაზე მეტად სვანეთი იყო მიახლოებული. მთელი რიგი თავისებურებები კი მთური ლადშაფტით იყო განპირობებული.

### **სამართლებრივი ურთიერთობები**

ენგურის ხეობის სვანეთის მკვიდრთა ურთიერთობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ფიცს. ფიცის საშუალებით წესრიგდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობები. ფიცს ქრისტიანულ სამლოცველოსთან ხატის წინაშე დებდნენ. ფიცს, ფაქტობრივად, არავინ ტეხდა. ფიცის მნიშვნელობა სვანთა ტრადიციულ ყოფაში არა მხოლოდ ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება, არამედ მთელი შუა საუკუნეების იმ დოკუმენტებითაც, რომლებიც სვანეთშია შედგენილი. ფიცი ერთგვარ საშუალებას წარმოადგენდა იმისათვის, რათა სვანეთის მკვიდრთ არ დაერღვიათ საუკუნეების მიღმა ჩამოყალიბებული ტრადიციული ურთიერთობები, რომელიც ოდნავ მაინც ზიანს მიაყენებდა არა მარტო ტერიტორიულ თემს, არამედ მის თითოეულ წევრსაც კი. სვანები ფიცს დებდნენ ერთგულებაზე, იმაზე, რომ ერთმანეთთან არ ეჩხუბათ, არ ექურდათ და უქმე დღეებში არ ემუშავათ. დამნაშავის გამოტეხვის ერთადერთი საშუალებაც ქრისტიანული წმინდანის ხატზე დაფიცება იყო. სვანურმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ დროთა განმავლობაში ბევრი რეალია დაკარგა, მაგრამ ფიცს დღესაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სვანეთის მკვიდრნი. ფიცს, რიტუალს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც დიდი ადგილი ეკავა, მაგრამ აქ წერილობითი დოკუმენტი არ დგებოდა. ფიცი, შესრულებული რიტუალი ზეპირად, ანდრეზის, ზოგჯერ ლექსის სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. სვანეთში განსხვავებული ვითარება გვქონდა.



ფიცს, რიტუალს აუცილებლად თან ახლდა წერილობითი დოკუმენტის შედგენა. ამ მხრივ ის, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდებოდა ბარის საზოგადოებისაგან, აქ არსებული სოციალური ურთიერთობებისაგან. სვანეთში ფიცის საკითხი სათანადოდ აქვთ შესწავლილი ქართველ სამართალმცოდნეებს. ეთნოლოგთაგან კი ამ პრობლემას სიღრმისეულად როზეტა გუჯეჯიანი შეეხო, რომელმაც ეს პრობლემა რელიგიისა და ჩვეულებითი სამართლის ურთიერთმიმართების ჭრილში განიხილა. ფიცი აუცილებლად „დაწერილით“ უნდა გაფორმებულიყო და ეკლესიაში შენახულიყო. ფიცი როგორც დამამტკიცებელი საბუთი საერთო ქართული სამართლისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო და სვანეთის ტრადიციულმა ყოფამ ის ბოლო დრომდე შემოინახა. „ფიცი, სვანეთში, არა მხოლოდ კერძო მნიშვნელობის სამართლებრივ საკითხებს არეგულირებდა, იგი საზოგადოებრივი ყოფის ბევრ სხვა მხარესაც წარმართავდა. სვანეთის ისტორიის ბოლო ორასი წლის მანძილზე ცნობილია რამდენიმე საერთო-სახელო მნიშვნელობის გადაწყვეტილება, რომელთა შესრულება ხატზე დადებულმა ფიცმა უზრუნველყო.“<sup>240</sup>

ოჯახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გადასახადს იხდის, რასაც „ჰიბარი“ ეწოდებოდა. შედარებით ნაკლები იყო გადასახადი უქმე დღეების დარღვევის შემთხვევაში. ზოგჯერ ოჯახი უქმე დღეს შეგნებულად ტეხდა და მაშინ გადასახადს – „ჰიბარ“-ს წინასწარ იხდიდა. „ჰიბარ“-ის მიტანა და შეწირვა ეკლესიაში ხდებოდა ყველას მიერ ერთ რომელიმე დაწესებულ დღეს. შესაწირის სოფლის მცხოვრებნი (თემი) ერთად ხარჯავდნენ. გადასახადი დანაშაულის სიმძიმის კვალობაზე იზრდებოდა. მაგალითად, თუ ვინმე თავისი თემის რომელიმე წევრს უდანაშაულოდ ცუდი სიტყვით მიმართავდა, მის ოჯახს შეურაცხყოფის გამო დაწესებული საურავის გარდა, თემის სასარგებლოდაც უნდა გადაეხადა გადასახადი. „ჰიბარ“-ს მხოლოდ ოჯა-

---

<sup>240</sup>რ. გუჯეჯიანი. ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (სვანეთი), თბ., გვ. 123; დაწვრილებით იხილე გვ. 95-125.

ხი იხდიდა და არა გვარი ანდა გვარის დანაყოფი, ნათესაური გაერთიანება, რომელსაც სვანეთში „სამხუბი“ („ლამხუბი“) ერქვა. ზემოთ აღწერილი გადასახადი, რომელსაც დანაშაულის გამო იხდიდნენ, თანდათან დავიწყებას ეძლევა.

ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, სვანეთშიც იცოდნენ სისხლის აღება. სისხლის ამღები მოკლულის უახლოესი ნათესავი, უფრო სწორად ოჯახის წევრი (ძმა, შვილი, მამა) იყო. მთელი XX საუკუნის მანძილზე და ახლაც, მართალია, დამნაშავე პიროვნებას სახელმწიფო სჯიდა, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ ყველა საკითხს ჩვეულებით სამართალი აგვარებდა და აგვარებს. მკვლელობის შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება წარმოუდგენელია. ჩვეულებითი სამართალი დავიწყებას არ მიეცა არა მარტო მთაში, არამედ XX საუკუნეში სხვადასხვა მიზეზით ბარში კომპაქტურად ჩასახლებულ სვანებშიც.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისაგან სვანეთი მრავალმხრივ განსხვავდებოდა, მაგალითად, აქ მემკვიდრეობა ქალზედაც გადადიოდა. „ქალი თუ დარჩა ოჯახში, ქონება გადადიოდა მასზე და არა სამხუბზე. ზესიძე შეიძლებოდა მოეყვანა და ტერიტორია ზესიძეს (ქალს) რჩებოდა. მე ვარ ხაჭვანის მიწაზე. ზესიძე იყო ჩემი წინაპარი.“

### **საოჯახო ყოფა. საქორწინო ურთიერთობები**

დიდი ხანია დავიწყებას მიეცა აგრეთვე დიდი ოჯახი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „საოჯახო თემსაც“ უწოდებენ. შემდგომმა კვლევებმა სრულიად სამართლიანად დიდი ოჯახის მიმართ „საოჯახო თემის“ არამართებულობა დაადასტურა. XIX საუკუნისა XX საუკუნის დასაწყისში დიდი ოჯახი, რომელშიც ორი, სამი, ოთხი და მეტი ცოლშვილიანი ძმა ერთად ცხოვრობდა თავის მშობლებთან ერთად, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო შემორჩენილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის გარდა, როგორიცაა ხევსურეთი. ასეთ დიდ ოჯახებში არა მარტო ძმების, არამედ ახლო ბიძაშვილების ცხოვრებაცაა და-

დასტურებული. ზემოთ არაერთგზის მოხსენიებული XIX საუკუნის ავტორი ბ. ნიჟარაძე წერდა, რომ სვანური ოჯახი მრავალრიცხოვანია. მას 50 და მეტსულიანი ოჯახები აქვს აღნიშნული. მაგრამ XIX საუკუნეში სვანეთში დიდი ოჯახი მაინც საყოველთაო არ იყო. ეთნოგრაფ რ. ხარაძეს სვანეთში არამონათესავე პატარა ოჯახების დიდ ოჯახებად შეყრის ფაქტებიც აქვს დადასტურებული, რაც შესაბამისი რიტუალით ხდებოდა. დიდი ოჯახი სვანეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში მეურნეობის გაძღოლის საუკეთესო საშუალება იყო. დიდ ოჯახს ძირითადად უზუცესი („ქორა მახვში“) უძღვებოდა. სვანურ სახლში „ქორა მახვში“-ს განსაზღვრული ადგილი და სკამი ჰქონდა გამოყოფილი. დიდი ოჯახში „ქორა მახვში“ მამაკაცებს შორის სამეურნეო საქმიანობას ანაწილებდა. როგორც ენგურის ხეობის, ისე ცხენისწყლის ხეობის სვანეთისათვის დამახასიათებელი იყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შერეული ტიპის მეურნეობის ფორმა. მნიშვნელოვანი დრო მიჰქონდა ხე-ტყის დამზადებას. სვანები ისევე როგორც სხვა მთიელები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში მონაწილეობდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. დიდ ოჯახში ყველას ფუნქცია მკაცრად იყო განსაზღვრული. ქალების ყოველგვარ სამუშაოს უფროსი ქალი ხელმძღვანელობდა, რომელიც, ჩვეულებრივ, „ქორა მახვში“-ის მეუღლე იყო. XX საუკუნის 20-30-იანი წლებიდან სვანეთში შემორჩენილმა დიდმა ოჯახებმა ადგილი პატარა ოჯახებს დაუთმო.

სვანეთში ისეთივე საქორწინო ურთიერთობები არსებობდა, როგორც დანარჩენ საქართველოში. ქორწინება ეგზოგამიური იყო და არის, ე.ი. ერთი გვარის წარმომადგენლები ერთმანეთზე არ ქორწინდებოდნენ. თუმცა XX საუკუნეში ეს წეს-ჩვეულება ზოგან დაირღვა და ერთი გვარის სხვადასხვა დანაყოფთა („სამხუბთა“) წარმომადგენლები ერთმანეთზე დაქორწინდნენ. ამ შემთხვევაში ნათესაური ურთიერთობა და ესა თუ ის „სამხუბი“ (რომლებსაც ასევე თავისი სახელწოდებები ჰქონდა და აქვს) როდინდელი, რამდენი თაობის თუ საუკუნის წარმოქმნი-

ლი იყო აღარავის ახსოვდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით გა-  
ირკვა, რომ ხშირად ერთი გვარის იმ „სამხუბის“ წევრები ქო-  
რწინდებოდნენ ერთმანეთზე, რომლებსაც საერთო ნათესაური  
წარმოშობა არა ჰქონდათ და ერთ-ერთი „სამხუბის“ წევრები  
ამა თუ იმ გვარში შეყრილები ანუ ხელოვნურად დანათესავე-  
ბულები ყოფილან. მაგალითად, ენგურის ხეობის ბალსქვემო  
სვანეთის ბეჩოს თემის რამდენიმე სოფელში მკვიდრობს კვიცი-  
ანების გვარი. ამ გვარის ერთი დანაყოფი ანუ „სამხუბი“  
წარმომავლობით ნამდვილი კვიციანები არ არიან. მათი  
წინაპარი ჩრდილოეთ კავკასიიდან, ბალყარეთიდან გადმოსახლე-  
ბულა და ძლიერი გვარის – კვიციანების მფარველობაში შესუ-  
ლა, განსაკუთრებული რიტუალის შესრულების შემდეგ ხელოვ-  
ნურად დანათესავებია, დამხვდურის გვარი მიუღია; მაგრამ  
ძირითადი თანამოგვარეებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ  
გვარის დანაყოფის სხვა სახელი მიუღიათ. აღნიშნული გვარის  
სწორედ იმ სხვადასხვა წარმოშობის შტოს წარმომადგენლები  
ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე. ისეთ გვარებს, რომელთა  
შიგნითაც ქორწინება ხდებოდა, ტერმინ „გვარგატეხილით“  
მოიხსენიებენ და ამ ტერმინს მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა  
აქვს. უკანასკნელ 15-20 წლის განმავლობაში როგორც ქვემო,  
ისე ზემო სვანეთში მცხოვრებმა ასეთმა „გვარგატეხილებმა“  
სასოფლო თუ სათემო სალოცავებში ფიცი დადეს, რომ ასეთ  
შემთხვევას (ერთი გვარის წევრების ერთმანეთზე დაქორწინე-  
ბას) აღარ დაუშვებენ. ზემოთ აღვნიშნეთ თუ რაოდენ დიდ  
მნიშვნელობას ანიჭებენ სვანები ქრისტიანული ეკლესიის წინ  
დადებულ ფიცს დღესაც. ეთნოგრაფიული მონაცემებით,  
ერთმანეთზე არ ქორწინდებიან იმ გვარების მატარებელნი,  
რომლებსაც საერთო წარმომავლობა აქვთ. მაგალითად, იფარის  
თემიდან ბეჩოს თემში გადასახლებულ გულებანს ახალი გვარი  
– ხორგუანი მიუღია. ამ გვარისანი ერთმანეთზე დღესაც არ  
ქორწინდებიან. იგივე შეიძლება ითქვას ნაკანების, ჩხვიმიანებისა  
და გოშუანების გვარებზეც. სვანები დღესაც არ დაუშვებენ  
ქორწინებას იმ გვარის წარმომადგენელზე, თუ თავისი ბებია და

პაპა, ბებიის ან პაპის მშობლები აღნიშნულ გვარს ატარებდნენ. ამ შემთხვევაში აკრძალვა ოთხ თაობას ეხება.

### **ქრისტიანობა და რწმენა-წარმოდგენები**

საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მსგავსად, სვანეთის მკვიდრებმაც ხანგრძლივი გლოვა იციან. მიცვალებულის ოჯახს ყოველმხრივ მხარში ედგანან „სამხუბისა“ და გვარის წევრები. გლოვას შავი ტანისამოსის ხანგრძლივი ტარებით გამოხატავენ, მითუმეტეს, თუ გარდაცვლილი ახალგაზრდაა. ისევე როგორც საქართველოს სხვა მხრეებში, სვანეთშიც საგვარეულო სასაფლაოები არსებობდა. უფრო სწორად, სოფელში მდგარი ეკლესიის ირგვლივ არსებულ სასაფლაოზე ყველა გვარს თავისი უბანი ჰქონდა გამოყოფილი. თუმცა XX საუკუნეში ეს ტრადიცია ზოგან დაირღვა. მაგალითად, მესტიის სოფელ ლაღამის „მაცხოვრის“ ეკლესია *ხოჯელანების* გვარს ეკუთვნის, ეკლესიის გასაღები ამ გვარს აბარია და მის ეზოშიც აღნიშნული გვარის ხალხია დაკრძალული. 30-იოდე წლის წინ მეზობლებმა (სხვა გვარისანებმა) *ხოჯელანებს* მათ სასაფლაოზე მიცვალებულის დამარხვა სთხოვეს. *ხოჯელანების* გვარმა მეზობლების მიმართ კეთილი ნება გამოამჟღავნა. ძველად ამ ტრადიციას არავინ დაარღვევდა.

სვანეთში მიცვალებულთან იყო დაკავშირებული სიმღერის განსაკუთრებული სახე, სამგლოვიარო სიმღერა – „ზარი“, რომელსაც მხოლოდ მამაკაცები ასრულებდნენ. ბალსზემო სვანეთის ყველა ტერიტორიულ თემში მხოლოდ ამ თემისათვის დამახასიათებელი, ორიგინალური ზარი სრულდებოდა, ბალსქვემო სვანებს კი ერთი „ზარი“ ჰქონდათ. დღეს სვანეთში სამგლოვიარო სიმღერების („ზარის“) შემსრულებელთა რაოდენობა თანდათან კლებულობს. სვანეთი მდიდარია მუსიკალური ფოლკლორით. განსაკუთრებით აღსანიშნავია საყოველთაოდ ცნობილი მზისა და განთიადის საგალობლები, საგმირო და საფერხულო-სახუმარო სიმღერები.

სვანეთი ქართულ ეკლესია-მონასტრების განძთსაცავი იყო. საქართველოში მაჰმადიანი მტრების შემოსევისას, ქართველები

ეკლესია-მონასტრებში არსებულ ძვირფას, მაღალი ხელოვნებით შესრულებულ ჯვრებს, ხატებს და სხვა საეკლესიო ნივთებს, ძვირფას ხელნაწერ წიგნებს („ბიბლია“, „სახარება“) სვანეთის ეკლესიებში ხიზნავდნენ. მთის პირობებში ისინი საიმედოდ იყო დაცული. მათ ეკლესიის „მეკლიტულები“, ტრადიციულად ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლები იცავდნენ და იცავენ დღესაც. ჩვენ საშუალება გვქონდა 2005 წელს ლატალის თემში დაცული იფხის წმინდა გიორგის უნიკალური, მაღალი ხელოვნებით შესრულებული ოქროს ხატი გვენახა, რომელზედაც ქართული წარწერებია შესრულებული. ის ძვირფასი ქვებითაცაა მორთული. XI საუკუნეში გამოჩედილი აღნიშნული პატარა ხატი მეომრის სატარებელი იყო და იგი თავის დროზე, რომელიდაც დიდებულს ეკუთვნოდა. ამავე დროს სვანეთის მკვიდრთა მიერაც დიდი რაოდენობითაა შექმნილი ოქრომჭედლობის, კედლის მხატვრობისა და ხეზე კვეთის ნიმუშები. ადგილობრივი მხატვრის – გვარად ქირქიშლანის მიერაა მოხატული XIV საუკუნეში ლალამის „მაცხოვრის“ ეკლესია.

სვანეთის თითოეულ თემს საერთო და გამაერთიანებელი სალოცავი ჰქონდა. გამაერთიანებელ სალოცავებთან ერთად საგვარეულო, ზოგჯერ ორი-სამი გვარის საზიარო სალოცავიც ჰქონდათ. რომელიმე ეკლესიას აუცილებლად ერთი გვარისანი პატრონობდნენ, რომლებსაც გასაღები ჰქონდათ ჩაბარებული. ეკლესიებს მამულებიც გააჩნდა. ხშირად ეკლესიის კუთვნილ მიწებს გაჭირვებულები ამუშავებდნენ: „დავუშვათ ადამიანს უჭირდა და მიიტანდა სასმელ-საჭმელს და ხალხის თანდასწრებით შევედრებოდნენ, რომ უფლება მიეცათ დაემუშავებინათ მიწა“ (ზაურ მოსეს ძე ნიჟარაძე, 62 წლის, 2003 წელი).

სვანეთს გამაერთიანებელი/ცენტრალური სალოცავიც გააჩნია. ესაა კალის წმიდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია/სალოცავი – „ლაგურკა“. მას თანაბრად ეთაყვანებიან, არა მხოლოდ ენგურის ხეობაში, არამედ ცხენისწყლის ხეობაში მცხოვრები სვანებიც. ვფიქრობთ, ასეთი ფუნქცია „ლაგურკამ“ შედარებით გვიან შეიძინა. ყოველ შემთხვევაში ცენტრალური სალოცავის

ფუნქცია მას XV საუკუნეში ნამდვილად არ გააჩნდა. ამის საფუძველს იძლევა ამ დროის „დაწერილი საგმობი ერთობილი სვანეთის ჴევისა“, რომელშიც „წმიდა კვირიკე კალისა“ სხვა სათემო სალოცავების რიგშია მოხსენიებული: „ღმრთისა, დედისა მისისა და ყოველთა წმიდათა მისთა თვისდობობითა და შვამდგომლობითა|

მაცხოურისა **ლატალისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა, ||

[...]ბითა შვამდგომლობითა,

მაცხოურისა **მჟალევისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

მაცხოურისა **წურემისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

მთავარმოწამისა **გრდაშისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

მაცხოურისა **ელისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

მთავარმოწამისა **იფარისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

მაცხოურისა **ჰადიშისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

წმიდისა კვირიკე **კალისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა,

დედისა ღმრთისა **უშგულისა** თვისდობობითა და შვამდგომლობითა დაუწერეთ საგმობი ესე ერთობილმან **სვანეთისა ჴეუმან**, ატკვერს და ბელას შვამან, ყველამან, ერთმანერთისა ნდობითა, ამა პირი (!) ზედა, რომე:

თუ ეკლესია ვინ გატეხოს,

ანუ კაცი ვინ შეიპყრას, ანუ ხუცესი შეიპყრას, ანუ დედაკაცი შეიპყრას,

ანუ კაცი ოუსეთს გაჰყიდოს,

ანუ ვინ თუ სანახშიროთ არა იყოს, სახლი ვინ დაწუას,

ანუ ვინ მთა გატეხოს, ნაძლევი მისი დაუვარდეს.

თუ ესე ვინ შეშალოს, კრულ-მცა არს სული და ჴორცი

მისი, სახლი და საყოფელი მისი, სასუმელი და საჭმელი მისი  
ორთავე ცხორებასა...

თუ ვინ სხვის თაუზედ მთავარმოწამისა **სეტისა** კაცსა  
აწყინოს, მისი ქვეყნისა ნაძლევი დაუვარდეს, ათასისა თეთრისა  
იბარა გარდაიკადოს.<sup>241</sup>

თუ დაუუკვირდებით ცენტრალური სალოცავის ფუნქცია  
უფრო **სეტის მთავარმოწამეს** ჰქონდა. სეტის მთავარმოწამის  
პრიორიტეტი სხვა ღოკუმენტებშიც აშკარად ჩანს, მაგალითად,  
XIII-XIV საუკუნეების მიჯნის დაწერილში ვკითხულობთ: „სა-  
ხელითა ღმრთისათა და სეტისა მთავარმოწამისა თავსდებობითა  
და შუამდგომლობითა დაუწერეთ და დაუღვეით ჩუენ, კეუმან  
ერთობილმან ლავერსა და უშკულს შუამან, მას ჟამსა, ოდეს  
აპუთა კაცთა და სულის მათისა გამწირაუთა კაცთა ეკულესია-  
თა ოდება დაიწყეს.“<sup>242</sup> სალოცავების ჩამოთვლის შემდეგ შეგ-  
ნებულად არ შევწყვიტეთ ციტირება და „დაწერილის“ დანარ-  
ჩენი ნაწილიც მოვიყვანეთ, რადგან, აშკარაა, რომ ბალსზემო  
სვანეთში ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ სახელმწიფო  
და ტრადიციული ურთიერთობები დაირღვა, ხდებოდა კანონდა-  
რღვევები და სხვადასხვა ავი საქმე. სხვას არაფერს უნდა ნიშ-  
ნავდეს დაწყევლა და დაგმობა იმ ადამიანებისა, ვინც ეკლესიას  
გატეხავდა, ვინც კაცსა და ქალს შეიპყრობდა, ვინც ხუცესს  
აწყენინებდა და შეიპყრობდა, ვინც კაცს „ოუსეთს“ გაყიდდა,  
ვინც სახლს დაწვავდა.

სვანეთში საეკლესიო მიწების დამუშავების სხვა წესიც  
არსებობდა. მაგალითად ნაკრაში ადგილობრივი მცხოვრებნი  
ასეთ მიწებს მორიგეობით ამუშავებდნენ. სამაგიეროდ დღეობაში  
მათ არაფი მოჰქონდათ. საეკლესიო მიწების წარმოქმნის ერთ-  
ერთი წყარო იყო გადასხლებულთა მიერ საკუთარი მიწის ერ-  
თი ნაწილის სამხუბისათვის, გვარისათვის, ნათესავებისათვის

---

<sup>241</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 109-110.

<sup>242</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 110.



დატოვება და მეორე ნაწილის – ეკლესიისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოგიერთ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისაგან სვანეთი მრავალმხრივ განსხვავდებოდა. ეს განსხვავება თვალშისაცემია, როგორც რელიგიური, ისე სოციალური თვალსაზრისითაც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისეთ კუთხეებში, როგორიცაა ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, ქრისტიანობის გავრცელებას მხოლოდ ზედაპირული ხასიათი ჰქონდა. გვიანდელმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ აქ საერთოდ არ შემოინახა არცერთი ქრისტიანული სამლოცველო (ეკლესია-მონასტრები). ფშავსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არქეოლოგებმა მხოლოდ ეკლესიათა ნანგრევებს მიაკვლიეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ქრისტიანობამდელ ჯვარ-ხატებში ლოცულობდნენ და ბევრ სალოცავს წინარექრისტიანული სახელწოდებებიც ჰქონდა შემორჩენილი. სვანეთი კი ამ მხრივ სულ სხვა სურათს გვაძლევს. აქ არცერთი სალოცავი არ მოიხსენიება წარმართული, ქრისტიანობამდელი სახელით. ყოველი მათგანი ქრისტიანი წმინდანების სახელზეა აგებული. ყველა სოფელში ორიგინალური, მთის გეოგრაფიული გარემოსათვის დამახასიათებელი რამდენიმე ეკლესიაა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ეკლესიები ამავე დროს საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრების განმსაცავიც იყო.

ერთი გარემოება კი სვანურ ყოფას აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფასთან აახლოვებს. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის მთაში ლოცულობდნენ ჯვარ-ხატის ირგვლივ, ზღურბლს არავინ გადადიოდა. „სვანეთშიც ეკლესიაში შიგნით არ ლოცულობდნენ. დაფიცებაც ეკლესიის კარებთან ზდებოდა. ხატს გამოიტანდნენ და დააფიცებდნენ.“

ორიოდე სიტყვით არ შეიძლება არ ითქვას შემდეგიც: მიუხედავად იმისა, რომ სვანები ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებიდან მოკიდებული ქრისტიანები იყვნენ, მათ რწმენა-წარმოდგენებში მაინც შემორჩა ზოგიერთი ქრისტიანობამდელი ანუ წარმართული რიტუალი. ზოგჯერ წარმართული და ქრისტიანული სინკრეტული სახითაა წარმოდგენილი. ეთნოგრაფმა ვ.

ბარდაველიძემ ხალხური რწმენის არაერთი მაგალითი გამოავლინა. მან დაადგინა, რომ წმინდა ბარბარეს კულტი სვანთა მზის კულტს ჩაენაცვლა. ქრისტიანობამდელ რწმენა-წარმოდგენებს მიეკუთვნება „ლიფანალის“ დღესასწაული ზამთარში. ის სულების გაცილების დღედ ითვლება. ლიფანალის დროს, უფრო სწორად კი დღესასწაულის ბოლო დღეს, მესტიის თემის მამაკაცები ორ ჯგუფად იყოფოდნენ და ერთმანეთს აწვებოდნენ, ისევე როგორც რაგბში. უფრო ღონიერი ჯგუფი გამარჯვებულად ცხადდებოდა. სულების ხსენების დღედ ითვლება „ლამპრობა“. სასაფლაოზე ყველას ორმეტრიანი არყის გამოთლილი ხე მიჰქონდა. ამ შეკვრას სასაფლაოს თავისუფალ ტერიტორიაზე გვარის დანაყოფი („სამხუბი“) ერთად ანთებს. წარმოთქვამენ სულების შესანდობარს. ქალები ახალ გარდაცვლილებს დაიტირებენ. რიტუალის მონაწილენი სასაფლაოს ტერიტორიას არ ტოვებენ, სანამ ლამპრები (არყის ხეები) არ ჩაიწვება. საყურადღებოა, რომ ლატალის თემში ეს რიტუალი ოდნავ სხვანაირად ტარდება და მას სხვა სახელსაც („მიშხლაგ“) უწოდებენ. გამოთლილ ორმეტრიან არყის ხეებს სახლებში უკიდებენ ცეცხლს და ისე მიაქვთ სასაფლაოზე. რამდენი ქუდოსანიც (ვაჟკაციც) არის ოჯახში, იმდენი ცეცხლმოკიდებული ხე მიაქვთ. ლატალის თემშივე იცოდნენ „ლიგუნაშ“-იც, რაც ცეცხლმოკიდებული ხით შეტევაში გამოიხატებოდა. ვისაც შეუტევდნენ, ან უნდა შეწინააღმდეგებოდა, ან უნდა გაქცეულიყო. გაქცევას თუ ვერ მოასწრებდა, შემომტევი დასვრიდა თუ დაწვადა დამარცხებულს, უნდა აეტანა. „ლიგუნაშ“ ითარგმნება „ნახშირით დასვრა“. „ლამაპრობის“ რიტუალის ერთგული სვანები დღესაც არიან. მიცვალებულთან დაკავშირებული რიტუალები და რწმენა-წარმოდგენები უფრო კონსერვატულია. აღნიშნულ რიტუალს სვანები ბარშიც ასრულებენ, იქ, სადაც ისინი კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი. ვ. ბარდაველიძე მიიჩნევდა, რომ ხალხურ დღეობებში მოცემული კულტი რთული შინაარსისაა და ის სხვადასხვა საფეხურის რწმენისა და სარწმუნოების კონგლომერატს წარმოადგენს. ერთი რამ ცხადია: სვანებში შემო-

რჩენილი ზოგიერთი წარმართული რიტუალი, რომელიც ქრისტიანობასთან იყო შერწყმული, თანამედროვე მეცნიერებს ქრისტიანობამდელი ქართული რწმენა-წარმოდგენების ზოგიერთი სურათის აღდგენის საშუალებას აძლევთ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ყველა სალოცავს (ეკლესიას) ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლები ემსახურებოდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა ხატის სამსახური. მათ ხელში იყო ამა თუ იმ სალოცავში დაუნჯებული საეკლესიო ნივთებიც. მათვე ევალებოდა ეკლესიის შეკეთება, გადახურვა. ხოლო ყველაზე პატივსაცემ პიროვნებას ჩაბარებული ჰქონდა ეკლესიის გასაღები. ყველა გვარი სალოცავის (ეკლესიის) მიმართ თავის ვალდებულებას დღესაც ისევე ასრულებს, როგორც საუკუნეების წინათ.

სვანები სალოცავებში მხოლოდ თავიანთი სოფლის ან მხარის სალოცავებს როდი ახსენებდნენ: „პირველად თავის სოფლის სალოცავებს მოიხსენიებდნენ, შემდეგ მახლობელი სოფლებისას; როდესაც ბაღს ქვემოთ სალოცავების მოხსენიებას მორჩებოდნენ, ბაღს-ზემოურზე გადავიდოდნენ და ბოლოს ლეჩხუმის, სამეგრელოს და აფხაზეთის ეკლესიების ხსენებით დამთავრებდნენ“<sup>243</sup>. ეს ეთნოგრაფიული მასალა ფრიად საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ სვანეთი საქართველოს მეზობელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებისაგან მოწყვეტილი არ ყოფილა. პირიქით, მისი კავშირურთიერთობა რელიგიური ხასიათის გადმოცემებითაც კარგად ჩანს. ხალხის რწმენით, აფხაზეთში არსებული ილორის სალოცავის წმინდა გიორგი სვანეთის რამდენიმე წმინდა გიორგი ეკლესიას ხარს უგზავნიდა. სამაგიეროდ ილორის სალოცავი ყოველწლიურად სვანეთის სალოცავებისაგან სანთელს იღებდა. სვანებს სწამთ, რომ აფხაზეთის ილორის წმინდა გიორგი და ლატალისა და ლენჯერის წმინდა გიორგები ძმები იყვნენ. ამ ძმებში უფროსი ილორიაო. სამივე ძმა კი აღმოსავლეთ საქართველოდან – კახეთიდან მო-

---

<sup>243</sup>ვ. ბარდაველიძე, გვ. 62

სულა და აქ დასახლებულა. მიგვაჩნია, რომ ამ ეთნოგრაფიულ მასალაში საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები უნდა იყოს ასახული. ცნობილია, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გადასახლებულები არ ივიწყებდნენ თავდაპირველ სალოცავებს და მას ხატ-სალოცავთა ძმობის შესახებ გადმოცემებში ასახავდნენ. უფრო მეტი: აღნიშნული მასალით ტერიტორია აფხაზეთიდან მოკიდებული კახეთამდე, სვანეთისა და სამეგრელოს ჩათვლით, ერთი ქართული ეთნოსის განსახლების არეალი გახლდათ.

სვანეთში, კოშკებთან ერთად, თვალშისაცემია ეკლესიების სიმრავლე, თუმცა, როგორც მიუთითებენ, აქ სალოცავი ნიშებიც არის დადასტურებული: „ადგილზე მუშაობის შედეგად აღრიცხულ იქნა ისტორიული ძეგლები: 200 კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსი, 70 ძველი ფრესკებით და წარწერებით შემკული ეკლესია და მრავალი საკულტო სალოცავი ადგილი, რომელთა შორის არის წარმართული ხასიათის ნიშებიც (ვითინ), ამ ძეგლებში აღრიცხულ იქნა 9000-მდე ნივთი.“<sup>244</sup>

### **მატერიალური კულტურა**

სვანეთი კოშკების მხარეა. რომლებსაც ძირითადად თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. აქ ორასამდე კოშკს ითვლიან. ერთი ამდენი დანგრეულია. ყველა გვარს რამდენიმე კოშკი ჰქონდა, რომელთა მშენებლობაში მთელი სოფელი, თემი მონაწილეობდა. კოლექტიური შრომის გარეშე კოშკების მშენებლობა წარმოუდგენელიც იყო. თუმცა, ხალხში დაცული გადმოცემებით ჩანს, რომ კოშკების მშენებლობაში ზოგიერთი გვარი იყო დახელოვნებულ-დაოსტატებული. კოშკების ასეთ სახელგანთქმულ მშენებლებად სვანები ხშირად და-ძმა *ბერიანებს* ასახელებენ. სვანური საცხოვრებელი კომპლექსები მეცნიერულად შესწავლილია და მისი კლასიფიკაციაც არის მოცემული: საცხოვრებელი კოშკი, საცხოვრებელი სახლი თავდაცვითი კოშკით, საცხოვრებელი

---

<sup>244</sup>გ. ჩართოლანი. ისტორიისა და კულტურის ძეგლები სვანეთში. – სვანეთი. II, თბ., 1979, გვ. 110.

სახლი დავდაცვითი კომპითა და ზღუდე-გალაენით.<sup>245</sup> თავისე-ბურებებითა და რაოდენობით სვანური კომპები დიდი ხანია იქცევენ მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღებას, მაგალითად, 1913 წელს მ. ილინა აღნიშნავდა, რომ „უშგულსა და მესტიაში თითქმის არაა სახლი კომპის გარეშე.<sup>246</sup> მეცნიერები იმაზედაც მიუთითებენ, რომ XIX საუკუნიდან XX საუკუნემდე კომპების რაოდენობა შემცირებულა. უშგულში 70 კომპიდან 50 დარჩენილა, მესტიაში 50-დან – მხოლოდ 30. განსაკუთრებით აღნიშნავენ მულხის კომპების მრავალრიცხოვნებას და მათი ფორმების სრულყოფილობას.<sup>247</sup> თავდაცვით კომპებს ძირითადად 3-5 სართულიანს აგებდნენ, თუმცა ბევრი მაღალი კომპი 8-9 სართულიანიცაა. ბევრ კომპს პირველი სართული ამოყორილი აქვს და შესასვლელი კარი მიწიდან 3-6 მეტრზე აქვს. ხოლო იმ კომპების პირველ სართულს, რომლებსაც ამოყორილი არა აქვს, მტრის შემოსვლის დროს საქონლის სადგომად იყენებდნენ, შუა სართულებს ოჯახი იკავებდა და ზედა სართულებს უშუალოდ თავდაცვითი ფუნქცია გააჩნდა.

მიხეილ გეგეშიძემ სვანური კომპების სხვა ფუნქციის შესახებაც მიუთითა, ესაა ზვავისადმი მედეგობა. კომპები სოფელს არა მხოლოდ მტრების შემოსევების დროს იცავდნენ, არამედ ზვავების დროსაც; კომპი ზვავს ისხლეტდა. მეცნიერის დაკვირვება შემდეგ პრაქტიკითაც დადასტურდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, „სვანური კომპი იმიტომ უძლებს ზვავს, რომ კვერცხისებური საძირკველი აქვს ხუთ მეტრზე.“

არანაკლებ საყურადღებოა კომპების გვერდით მიდგმული ქვიტკირის ორსართულიანი, ძველი საცხოვრებელი სახლები. ძველად კომპი და სვანური სახლი ერთ კომპლექსში იყო წარმოდგენილი. გეოგრაფიულ პირობებთან შეხამებით ისინი განსაკუთრებულ პეიზაჟს ქმნიდნენ. XIX საუკუნის 80-იან წლებში

---

<sup>245</sup> *А. И. Робакидзе*. Сванети, I, Тб., 1984, 25.

<sup>246</sup> *Г. Н. Ильина*. Поездка в Сванетию. СПб., 1913, С. 35.

<sup>247</sup> *А. И. Робакидзе*. Сванети, I, Тб., 1984, 26.

უმგულის თემში ბ. ნიჟარაძეს 100-მდე ქვიტკირის სახლი და 59 კოშკი ჰქონდა დათვლილი. კოშკებს ძირითადად თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდათ. ისინი, ფაქტობრივად, მტერთათვის აუღებელ ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. თუმცა კოშკებს სხვა ფუნქციაც ჰქონდათ. ისინი ზვავს ისხლეტდნენ. კოშკების ეს ფუნქცია უკანასკნელი 20 წლის კატასტროფებმაც დაადასტურა. იმდენად არიან სვანეთში დაბადებულნი კოშკებს შერგეულნი, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ბარში ჯგუფურად ჩასახლებულებმა კოშკებიც ააგეს.

სვანებს ჰქონდათ საცხოვრებელი კოშკებიც, რომლის პირველი სართული („მაჩვიბ“) განკუთვნილი იყო საქონლისათვის, მეორე სართული საცხოვრებელს წარმოადგენდა, ხოლო მესამეს თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა.

სვანეთში ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს შესანიშნავად შეხამებული ასამდე ეკლესიაა შემორჩენილი. სვანური მცირე ზომის ეკლესიები ერთნავიანი და დარბაზული ტიპისაა. ისინი ძირითადად X-XV საუკუნეებშია შექმნილი და დამშვენებულია ფრესკებითა და ქართული წარწერებით, თუმცა, უფრო ადრე აგებული ეკლესიებიცაა. მაგალითად VIII საუკუნით თარიღდება ლალამის ორსართულიანი ეკლესიის პირველი სართული, რომელსაც „ქრისტე“ ეწოდება. სვანეთი საქართველოს ერთადერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეა, სადაც ეკლესიების გარეთა კედლებზე ფრესკები გვხვდება. ამასთანავე, გარე კედელზე შესრულებული ზოგიერთი ფრესკა საეკლესიო-სასულიერო მოვლენასთან როდია დაკავშირებული. მაგალითად, სოფლების ლასტხვერისა და ჩაჟაშის ეკლესიების გარე ფრესკებზე მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ რამდენიმე სიუჟეტია გამოსახული. გარეთა კედლების მოხატვის ტრადიცია მეტად იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს ხელოვნების ისტორიაში. იგი მხოლოდ ბალკანეთის ზოგიერთი ქვეყნის გვიანი ხანის ძეგლებზე გვხვდება. სვანეთში კი უფრო ადრეული, X-XIII საუკუნეების ეკლესიათა ფასადებია მოხატული.

საქართველოში ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მრავა-

ლფეროვნების გამო, საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო სათავსოების რამდენიმე კომპლექსი არსებობდა. სვანეთი ამ მხრივ ორიგინალურობით გამოირჩეოდა. ასევე ორიგინალური იყო აქ დასახლების სისტემაც. სვანეთში მხოლოდ რამდენიმე სოფელია ერთი გვარით დასახლებული. სოფლებში ორი, სამი და მეტი გვარის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. მაგრამ ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული გვარი სვანურ სოფელში უბან-უბან იყო დასახლებული. მაგალითად, მესტიის სოფელ ლეხთავის ზედა უბანში ხერგიანები მკვიდრობდნენ, ქვედა უბანში – ჩართოლანები. იშვიათი არ იყო ერთი გვარით დასახლებულ უბანში სხვა გვარის წარმომადგენელთა ჩასახლებაც. ეს განსაკუთრებით ჩამოსიძებისას, ზესიძედ მოსვლის დროს ხდებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ქალს ძმები არ ჰყავდა, მას ქმარი სახლში მოჰყავდა და მემკვიდრეობით მამის ქონებას იღებდა. ასეთი რამ კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გამოირიცხებოდა. სვანეთში ჩვენ ვერ დავადასტურეთ ჩამოსიძების შემთხვევაში მეუღლის გვარზე გადასვლის ფაქტები. საქართველოს სხვა კუთხეებში კი ზესიძის მიერ გვარის შეცვლა (მეუღლის გვარზე გადასვლა) მემკვიდრეობის მიღების ერთ-ერთი პირობა იყო. სვანური სოფელი რომ ერთი გვარით შუა საუკუნეებშიც არ იყო დასახლებული, ამას XIII საუკუნის დოკუმენტებიც ამტკიცებს. მაგალითად, ბეჩოს ტერიტორიული თემის სოფელ დოლში აღნიშნული დროისათვის 25 გვარზე მეტი მკვიდრობდა.

### **სამეურნეო ყოფა**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სვანეთის მეურნეობას მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზი წარმოადგენდა. XX-XXI საუკუნეებში სვანეთის მთავარი სამიწათმოქმედო კულტურა კარტოფილია. შუა საუკუნეებში კი სვანებს ძირითადად ქერი, შვრია, ფეტვი, კანაფი მოჰყავდათ. XIX საუკუნეში სახნავ-სათესად ვარგისი იყო მიწის მთელი ფართობის მხოლოდ 1,1%. ლანდშაფტი უფრო მეტი ფართობის გამოყენების შესაძლებლობას არ იძლეოდა. ყველა მკვლევარი, ვინც სვანთა სამეურნეო

ყოფას შეეხო, ერთსულოვანია იმაში, რომ საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მიწის დამუშავების უაღრესად მაღალი კულტურა არსებობდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ავტორი ა. სტოიანოვი აღნიშნავდა: „(სვანეთში) სადაც კი შესძლებს სვანი ფეხი დადგას, იქ ან სახნავია ან სათიბი ... მიწის თითოეული გოჯი დამუშავებულია... ნათესი საუკეთესოა.“<sup>248</sup> მაღალი მოსავლის მისაღებად სვანეთში ტრადიციული იყო თესლბრუნვის სისტემა, ნიადაგის სასუქით განოყიერება (იცოდნენ ნაკელის თოვლზე მიმობნევა, რაც აჩქარებდა თოვლის დნობას და დნობის პროცესში მიწა ადვილად შეიწოვდა მას), რწყვა. ნიკო ბერძენიშვილი სვანებს „არხის ოსტატებს“ უწოდებდა. „ზემო სვანეთში, როგორც ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, მორწყვა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და მისი წარმოების წესები და ხერხები ხალხის საფუძვლიან და ხანგრძლივ საწარმოო ცოდნა-გამოცდილებაზეა დამყარებული.“<sup>249</sup>

სვანეთი საქართველოს თითქმის ერთადერთი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონია, სადაც სათიბები ირწყვებოდა და დღესაც ირწყვება, რაც ზაფხულის განმავლობაში ბალახის ორჯერ მოთიბვის საშუალებას აძლევდა აქაურ მკვიდრებს (ასეთივე ტრადიცია არსებობდა შავშეთ-იმერხეში). სასუქი სათიბებშიც შეჰქონდათ, რაც ორჯერ მოთიბვის საშუალებას იძლეოდა (ივლისის დასაწყისში და 1 აგვისტოდან). ისევ ეთნოლოგი მ. გეგეშიძე უნდა დავიმოწმოთ: „აქაურ სათიბებში ერთი გაზაფხულის განმავლობაში, როგორც წესი, ორი მოსავალი აიღება, ცალკეულ შემთხვევაში სამიც. ამ გარემოებას კი მხოლოდ მორწყვა განაპირობებს.“<sup>250</sup> ეთნოგრაფიულ მონაცემებით,

<sup>248</sup>ციტირებულია ა. გელოვანის წიგნიდან: დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, თბ., 2003, გვ. 145.

<sup>249</sup>მ. გეგეშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 117.

<sup>250</sup>მ. გეგეშიძე. სარწყავი... თბ., 1961, გვ. 117.



განსაკუთრებით ხარისხიანი მეორედ მოთიბული ბალახისაგან მიღებული თივა იყო.

სვანები მატყლისაგან ამზადებდნენ ქუდებსა და ნაბღებს. სვანური ქუდები, რომლებიც მთელ საქართველოში მოწონებით სარგებლობდა და სარგებლობს, სამი ფერის (თეთრი, შავი და რუხი) მზადდებოდა. ოღონდ დღევანდელი სვანური ქუდები ერთგვარად მოდიფიცირებულია XIX საუკუნეში დამზადებულ ქუდებთან შედარებით. სვანურ ქუდებს ზემოდან ზონარები აქვს გადაჭიმული და ეს ზონარები ჯვრის გამოსახულებას ქმნის, რითაც სვანები ქრისტიანობისადმი ერთგულებას გამოხატავდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფაქტობრივად არაფერია ნათქვამი სვანური თხის ყველის შესახებ. ირკვევა, რომ აქ შესანიშნავ თხის ყველს ამზადებდნენ. ჩვენი ერთ-ერთი მთხრობელის ფილიპე ნაკანის ბიძას 200 სული თხა ყოლია. „თხის ნაწველისაგან ყველი კეთდებოდა. თეთრი, ქათქათა ყველი გამოსდიოდა. ახალი ყველი კარაქით ძალიან რბილი იყო. ხის კასრებში ჩააწყობდნენ და ჩაპრესავდნენ. არტიომ ჩართოლანი იყო. მას 500 სული თხა ყავდა. 1960-იან წლებში სამეგრელოში, სოფელ ქვალონში აბარებდა თხის ყველს. ზრუშჩოვის დროს ჩამოართვეს. ბეჩოსაკენ გაიქცა და 100 თხა მაინც დაიტოვეს.“

### **სვანთა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობები**

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთი მაღალმთიანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონი იყო, ის ჩაკეტილი, დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილი არ ყოფილა. სვანებს მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ ჩრდილოეთკავკასიელ მთიელებთანაც იმ არაერთი გზითა და ბილიკით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იყო გაჭრილ-გაყვანილი.

სვანთათვის ნიშანდობლივი იყო გარე სამუშაოზე სიარული. მოსახლეობის ერთი ნაწილი – შრომისუნარიანი მამაკაცები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მიდიოდნენ სამუშაოდ. სვანების გარე სამუშაოზე წასვლა გვიანდელი მოვლენა კი არ

იყო, არამედ ის ისტორიის სიღრმეში წარმოიქმნა და არც სხვა მთიანი ეთნოგრაფიული მხარეებისათვის იყო უცხო. ეს ბუნებრივია, რადგან მთა სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას განიცდიდა და მთიელები (ჩვენს შემთხვევაში, სვანები) ცდილობდნენ ოჯახის გამოკვებისათვის სხვადასხვა გზები ეძებნათ, რომელთაგანაც ერთ-ერთი გარე სამუშაოზე, ბარში სიარული იყო. სვანები გარე სამუშაოზე საქართველოს ბარის სხვადასხვა რაიონში სისტემატურად და ძველთაგანვე რომ დადიოდნენ, ამას ქართული საისტორიო საბუთებიც მოწმობენ. 1503 წლის „წიგნში ალექსანდრე მეფისა სვანთა მიერ ჯაფარიძეთა სასისხლოს გადასახადზე“ ვკითხულობთ: „მოხუდით და თქუენი ბიძანები თვალია და ივანე მოგუეწივნეს და შეგუებნეს. მოგუერია ცოდვა, ეშმაკის მანქანებითა შემოგუერივნეს. მერმე დაგიწყეთ მტერობა თქუენ, ჯაფარიძემან სარგის და აღარც გაგუიშუით საჯამაგიროდ, აღარც რაჭას და ლეჩხუმს სამუშირაოდ გამოგუიშუით. შუიდს წელიწადს ასრე ვიყუენით, რომე სრულიად სუანეთის ქუეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით და არც ვის მარილის გემო გუინახავს. მერმე მოგუჭირდა და აღარა ღონე გუქონდა, შვეიყარენით და ოთხასი საპალნე ცხენი წარმოვიტანეთ, თუითოს ცხენს ოროლი კაცი წამოვჰყევით. ჩამოვედით ლეჩხუმს და რაც სავაჭრო გუახლდა გავჰყიდეთ და ვისაქმეთ. ავკიდეთ ღუინო და წამოვედით...“ „ოთხასი ცხენი ყუელას ღუინო ეკიდა, მისის საპალნით წაგუართუით.“ „ამას გარეთ სხუა მრავალ მტერობა გუიყავით და ვერსით საჯამაგიროდ ვერ გაგეპარენით, ამისი ღონე ვერ დავდევეთ, რომ გზა გუემოვნა. ასი სუანი დვალეთისაკენ გავიპარენით, კახეთს საჯამაგიროდ წავედით“. „სხუა რასდენი ჭირი და მტერობა გარდაგუეკიდა, კაცის ენა როგორ იტყუის. ვიყუენით სრულიად ეცერს აქეთ რაც სუანეთი არის თორმეტს წელიწადს ასრე შეწყუდეულნი, რომ ვერც კახეთისაკენ ვიშოეთ საჯამაგირო გზა, ვერც სამცხისაკენ, და ვერც გურიისაკენ“<sup>251</sup>.

---

<sup>251</sup>სწმ, I, თბ., 1986, გვ. 113-114.

ამრიგად, სასისხლო სიგელის ამონაწერებიდან ამკარად ჩანს, რომ სვანეთსა და მის მოსახლეობას საქართველოს ბართან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების გარეშე არსებობა არ შეეძლო. სვანები სამუშაოდ რეგულარულად დადიოდნენ არა მარტო მეზობელ რაჭასა და ლეჩხუმში, არამედ ისეთ დაშორებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებშიც კი, როგორებიცაა გურია (დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონი), კახეთი (საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი მხარე), სამცხე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინცია). ისიც ირკვევა, რომ გამოძევაზე მყოფი ფულით სვანები ბარში ძირითადად ღვინოსა და მარილს ყიდულობდნენ. უღვინობის გამო ისინი წუხან, რომ „შუიდს წელიწადს ასრე ვიყუენით, რომე სრულიად სუანეთის ქუეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვებდით“. როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის — სვანებისათვის ძნელი იყო ღვინის გარეშე არსებობა, ზიარება მის გარეშე წარმოუდგენელი იყო. ამავე დროს ღვინოს ისინი ძირითადი რელიგიური დღესასწაულების დროსაც იყენებდნენ. გადმოცემით სვანეთში ღვინო ძირითადად რაჭა-ლეჩხუმიდან შემოჰქონდათ ტიკჭორებით. ხშირად ღვინოს ველურ თაფლზე ცვლიდნენ. სვანებს ბარიდან სხვა პროდუქტებიც შემოჰქონდათ და ღვინის შესანახი ქვევრებიც, რომლებიც დღესაც მრავლად მოიპოვება როგორც ქვემო, ისე ზემო სვანეთში. ბარიდან მოტანილი ქვევრები სვანებს კოშკებშიც ჰქონდათ დაფლული. ომიანობა-შიშინობის დროს თავდაცვის მიზნით კოშკში შესული და ჩაკეტილი სვანები ქვევრში სასმელ წყალს ინახავდნენ. საისტორიო საბუთებით ბარში წასულ სვანეთის მკვიდრთ გასაყიდად დიდი რაოდენობით მიჰქონდათ თაფლი და სანთელი.

სვანების სამეგრელოში გარე სამუშაოზე სიარულის შესახებ ცნობებს გვაწვდის იტალიელი არქანჯელო ლამბერტიც (XVII საუკუნე). ის წერდა, რომ ოჯახის საჭიროებისათვის სვანები „ზაფხულის დასაწყისს მუდამ ჩამოდიან ჯგუფ-ჯგუფ-

ფად“, მუშაობენ სამეგრელოში „მოსავლის აღებამდე“, მერე „ბრუნდებიან შინ“, ხოლო ზამთარი რომ დადგება სვანები ჩამოდან ოდიშში“ და არიან იქ „ზამთრის დასასრულამდე“<sup>252</sup>, ე.ი. სვანები სამეგრელოში სამუშაოდ არა მარტო ზამთარში, არამედ ზაფხულშიც დადიოდნენ, თანაც ჯგუფ-ჯგუფად და იმ დროს, როდესაც მთაში სამუშაო არ ჰქონდათ. „XIX ს. 40-50-იან წლებში, როცა სამეგრელოსა და საბატონო სვანეთის მთავრებს შორის დაიძაბა ურთიერთობა და ერთმანეთთან ყოველგვარი კავშირი და მიმოსვლა აიკრძალა, თავისუფალი სვანეთის სოფელ იფარის აზნაურები ბესი და სულთან ქურდიანები რამდენიმე გლეხთან ერთად, იძულებულნი გახდნენ „უტყუარი პირობის დადებით“ ეთხოვათ სამეგრელოს მთავარ დადიანისათვის უფლება სამეგრელოში „თავისუფალი მსვლელობისა“ და „მოუშლელი ვაჭრობისა“<sup>253</sup>. ზემოთ მიმოხილული მასალებიდან აშკარაა, რომ სვანეთის მკვიდრთ არსებობისათვის მუდმივი კავშირი (სამეურნეო, სავაჭრო, ეკონომიკური) ესაჭიროებოდა საქართველოს ბარის რეგიონებთან, კავშირები არა მარტო ახლოს მდებარე და მოსაზღვრე მხარეებთან, არამედ უკიდურესად დაშორებულთანაც მუდმივი იყო.

სვანთა გარე სამუშაოზე გასვლას სხვა მხრივაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. რამდენიმე თვის განმავლობაში ბარში მასობრივად ჩამოსული სვანები ქართულ ენას ეუფლებოდნენ. ამის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღნიშნავდა ბეს. ნიჟარაძე: „საშუალება, რომლის წყალობითაც ქართული ენა ვრცელდება სვანეთი, სხვა არა არისრა გარდა სვანების მიმოსვლა-მოსვლისა ქართულად მოლაპარაკე მეზობლებთან. ამ უკანასკნელს წლებში მუშა სვანს შეხვდებით – ნამეტურ ზამთრობით: რაჭა-ლეჩხუმს, იმერეთს, გურიასა და ქართლში. სამი-ოთხი კვირა სრულიად საკმაოა, რომ სვანმა

---

<sup>252</sup>ა. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 167.

<sup>253</sup>ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, დისერტაცია, 2002, გვ. 160.

საყველპურო ქართული შეისწავლოს, ე.ი. შეისწავლოს იმდენად, რომ გაუჭირვებლად გამოიყენოს მგზავრობასა, მუშაობასა და ვაჭრობაში სხვის უშემწეოდ. ღარიბი ბუნება სვანეთისა ძალას ატანს სვანს, რომ სამუშაოდ წავიდეს საქართველოს დასახელებულ კუთხეებში. თანდათან მატულობს მუშა სვანთა რიცხვი და ამასთანავე მატულობს ქართულის მცოდნეთა რიცხვიცა. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანს დიდი სურველი აქვს ქართულის შესწავლისა. არა ერთი მაგალითი ვიცი, რომ შეძლებული სვანი მუშებთან ერთად ჩამოსულა იმერეთს მხოლოდ იმ აზრით, რომ ქართული შეისწავლოს. ამ ქართული ენის შესწავლის სურვილს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ქართულის ცოდნა სვანს სასახელოდაც მიაჩნია<sup>254</sup>. ბ. ნიჟარაძე ცხენისწყლის ხეობის (სადადიანო) სვანეთის შესახებ აღნიშნავდა, რომ „7-8 წლისაზე მეტებმა ყველა მამაკაცმა იცის ქართული ენა“. სვანეთში ისტორიულად ქართული ენა კარგად რომ იცოდნენ, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ყველა საისტორიო საბუთი შუა საუკუნეების სვანეთში თვით სვანთა მიერაა შედგენილი. ჩვეულებრივ, ყველა დოკუმენტს ბოლოს საბუთის შემდგენელის ხელმოწერაც ახლავს. ისინი ყოველთვის სვანეთის მკვიდრნი არიან. ბეს. ნიჟარაძის მიხედვით, „ქართული ცოდნა სვანს სასახელოდაც მიაჩნია“ ე.ი. ქართულის ცოდნა ერთგვარი პრესტიჟი იყო. ტრადიციულ საზოგადოებაში კი პრესტიჟს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ასეთი პრესტიჟული ადამიანები კი ჩენილები, მახვშები, ხევისტავეები იყვნენ, რომელთაც რიგითი მეთემეები მოწიწებით ეპყრობოდნენ.

ზემოთ მოყვანილი მასალა ცხადყოფს, რომ სვანეთს, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებს, ბართან ურთიერთობის გარეშე, რაც გარე სამუშაოზე გასვლასთან ერთად („ლაქმა“) სავაჭროდ სიარულსაც გულისხმობდა, არ შეეძლო არსებობა. „სვანეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი

---

<sup>254</sup>ბ. ნიჟარაძე. წერილები, II, თბ., 1964, გვ. 169-170.

განიცდიდა სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობას. აქ ვერ მოდიოდა იმდენი მოსავალი, რომ ოჯახი თუნდაც მინიმალურად უზრუნველყო. ამასთან, ხანგრძლივი ზამთრის განმავლობაში, რაც 5-6 თვე გრძელდებოდა, სვანი შრომისუნარიანი მამაკაცების უმრავლესობა არ იყო დატვირთული სამეურნეო საქმიანობით. ის სამუშაო, რაც ზამთარში იყო შესასრულებელი, სახელდობრ, პირუტყვის მოვლა (აქ მთელი წლის განმავლობაში საქონელი ბაგურ კვებაზე იყო გადაყვანილი), შეშის დაჩეხვა, სახურავიდან თოვლის გადმოყრა და სხვა, თავისუფლად შეეძლოთ შეესრულებინათ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს. ამიტომ შრომისუნარიან მამაკაცებს ზამთრის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ, თითქმის უკლებლივ, გასულიყვნენ გარე სამუშაოზე. ისინი მიდიოდნენ უმთავრესად სამეგრელოში, იმერეთში, ლეჩხუმში, გურიაში და აფხაზეთში<sup>255</sup>. ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ XIX საუკუნის შუა ხანებამდე სვანეთში ბევრი დიდი ოჯახი იყო, რომელშიც რამდენიმე ცოლშვილიანი ძმა ერთად ცხოვრობდა. საოჯახო ყოფის ეს ფორმა სვანებს საშუალებას აძლევდა, რომ ერთ-ერთი ძმა, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვდა, ზამთარში სვანეთში დარჩენილიყო, რაც მორიგეობასაც გულისხმობდა. გარე სამუშაოზე სიარული სვანთა ინტენსიურ მიგრაციულ პროცესებსაც ამუხრუჭებდა და სვანეთში მუდმივად ცხოვრობდა მოსახლეობის უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე საქართველოს ამ გეოგრაფიულ რეგიონს შეეძლო გამოეკვება.

საშოვარზე გასული სვანები ბარავდნენ ბაღებსა და ვენახებს, ჭრიდნენ თხრილებს, ამზადებდნენ სამშენებლო მასალებსა და ხე-ტყეს. ჩვეულებრივ, სვანების გარე სამუშაოზე გასვლის ვადა ოქტომბრის ბოლო იყო, მთაში კი აპრილის თვის დასაწყისში ბრუნდებოდნენ. ე.ი. როცა სვანეთში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები იწყებოდა.

საქართველოს ბარის გარდა, სვანები გარე სამუშაოზე

---

<sup>255</sup>ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967, გვ. 159-160.

ჩრდილოეთ კავკასიაშიც მიემგზავრებოდნენ, რაც ძირითადად ზაფხულში ხდებოდა. ამ მიზნით სვანთა ჩრდილოეთ კავკასიაში გასვლა დასტურდება მთელი XIX საუკუნის მანძილზე. საქართველოს ბარში სვანთა დროებითი მიგრაცია თუ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, მაგრამ როდის დაიწყო მათ ჩრდილოეთ კავკასიაში ამ მიზნით გადასვლა, ცნობილი არაა. ჩრდილოეთ კავკასიაში სვანები ძირითადად თიბავდნენ, მოსავალს იღებდნენ (სათიბად საქართველოს ბარში სვანების დროებით მიგრაციას ადრე შუა-საუკუნეებში გადმოცემებიც ადასტურებს. სვანეთის ცენტრალური სალოცავის – კალას კვირიკესა და ივლიტას ეკლესიაში დაცული ე.წ. „შალიანის“ ხატის იმერეთიდან მოყვანა სწორედ სვან მთიბველებს მიეწერებათ). ა. ჩარკვიანის მიხედვით, ისინი ეზოს გალავნებსაც აკებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში სვანები, ჩვეულებრივ, ერთ თვეს რჩებოდნენ (ძირითადად აგვისტოში). ერთი თვის განმავლობაში სვანი მთიბავი ღებულობდა პირუტყვს, ზოგჯერ ფულსაც. პირუტყვი ორი-სამი წლის მოზვერი უნდა ყოფილიყო. დამატებით ხშირად ზრდასრულებულ ვერძსაც იღებდნენ. ცარიზმის დროინდელ რუსეთში მათი ღირებულება ერთად 20 მანეთს შეადგენდა. საქართველოს ბარიდან კი სვანეთის მკვიდრს სახლში, 1899 წლის მონაცემებით, საშუალოდ 130-დან 350-მდე მანეთი შეჰქონდა, 1888 წლის მონაცემებით – 140-დან 300 მანეთამდე. ალ. ჩარკვიანის მიხედვით<sup>256</sup>, ჩრდილოეთ კავკასიაში სვანები სამუშაოდ XIX საუკუნეში ზამთარშიც დადიოდნენ. 1909 წლის საარქივო მასალით, „სვანეთის ბოქაულს გარე სამუშაოზე წამსვლელთათვის მარტო ზემო სვანეთში 1646 პასპორტი გაუცია. ამ დროს ზემო სვანეთის მოსახლეობა შეადგენდა 11.896 სულს, აქედან მამაკაცთა რიცხვი 6.000 იყო“<sup>257</sup>.

სვანების გარე სამუშაოზე სიარული არც XIX საუკუნის ქართულ პრესას დარჩენია ყურადღების გარეშე: „სვანი, რომე-

<sup>256</sup>ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967, გვ. 162.

<sup>257</sup>ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967, გვ. 162.

ლსაც კი შრომა შეუძლია, სტუმარია თავის ოჯახში. წელიწადის სამ მეოთხედს ის მოკლებულია ოჯახის კერას: შემოდგომა-ზამთარში ის დასავლეთ საქართველოში მუშაობს ორიოდ გროშისათვის“<sup>258</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნულია, რომ „სვანეთიდან, ჩვეულებრივ, გარე სამუშაოზე მიდიოდა ფიზიკურად შეძლებული, მძიმე სამგზავრო პირობების ამტანი და შრომისუნარიანი 18-50 წლამდე ასაკის მამაკაცობა“<sup>259</sup>.

სვანთა გარე სამუშაოზე სიარულს საქართველოს ბარში ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ სვანები ეცნობოდნენ რა ბარს, ისინი გადასახლების შემთხვევაში ადგილებსაც შეიგულებდნენ და შიგადაშიგ მათი არაერთი წარმომადგენელი ბარში სამუდამოდ გადასახლდებოდა ხოლმე. დასავლეთ საქართველოში არაერთი სვანური წარმომავლობის გვარი მკვიდრობს. ბევრი მიგრანტი გვარს იცვლიდა და გადასახლების შემდეგ ახალ გვარსახელს იღებდა. მაგალითად, ოკრიბაში დღეს მცხოვრები არაერთი გვარი, გადმოცემით, სვანეთიდანაა მიგრირებული (ხორხომელიძე, შალიკიანი, ხერხაძე, ყიფიანი, სანდუხაძე, ბაბუხაძია, მესხორაძე, გვეტაძე, სოფრომაძე, გაბრიაძე, სირბილაძე, ჟორჟოლაძე...) <sup>260</sup>.

ამრიგად, გარე სამუშაოზე სიარულის შედეგი იყო ის, რომ სვანეთი ბართან იყო დაახლებული, „უძრავი და ერთ წერტილზე გაყინული არ ყოფილა“ (ნ. ბერძენიშვილი). გარე სამუშაოზე წასულ სვანს ბარიდან ცოდნა-გამოცდილება მოჰქონდა, რასაც მთაში ამკვიდრებდა. ფაქტობრივად, სავაჭრო და ეკონომიკურ-სამეურნეო ურთიერთობანი საქართველოს მთასა და ბარს შორის საუკუნეების მიღმა იყო ჩამოყალიბებული და ის XIX-XX საუკუნეებამდე არ შეცვლილა. ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზეც მთიელები და მათ შორის, სვანებიც რომ

---

<sup>258</sup> „კვალი“, №41, 1900

<sup>259</sup> ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში, დისერტაცია, 2002, გვ. 162.

<sup>260</sup> დ. შავიანიძე. ოკრიბული გვარსახელები, 2002.



დადიოდნენ სავაჭროდ ბარში, ამის შესახებ ცნობა სტრაბონსაც აქვს დაცული, რომელიც აღნიშნავს, რომ შავი ზღვის ნაპირზე, დიოსკურიაში (დღევანდელი სოხუმი) კავკასიის მთებიდან 70 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი იყრიდა თავს. ა. ლამბერტის ცნობით ქუთაისში მთებიდან ჩამოსულ სვანებს გასაყიდად მოჰქონდათ შინაური ნაწარმი, ნაბდები, შალი, თხა, ცხვარი.

ქართველ ისტორიკოსებს ის გზა-ბილიკებიც აქვთ დადასტურებული, რომლებითაც სვანები სარგებლობდნენ: „ზემო სვანეთიდან გარე სამუშაოზე შემდეგი გზებით დადიოდნენ: ლატფარით, მუშურით, ლასილით, ლენხერით, ლეშვინდით და სხვ. ამ გზებით შეიძლებოდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გადასვლა. ჩრდილოეთ კავკასიაში კი სვანეთიდან გადადიოდნენ შემდეგი უღელტეხილებით: მაჩხაფარით, წანერით, ტვიბერით, ბაშილით, მესტიის, ბეროს, ჩუბეხევის და სხვ. გადასასვლელეობით“<sup>261</sup>.

მცირემიწიანობა იყო ძირითადი მიზეზი, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, სვანები ერთგვარ შუამავლებად იქცნენ ვაჭრობაში ჩრდილოეთ კავკასიას და საქართველოს ბარს შორის. „ყარაჩაელებისა და ბაღყარელებისაგან სვანები მცირე ფასებში ყიდულობდნენ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, ცხენებს, თხებს, ასევე ნაბდებს, ქეჩებს, ჩერქეზულ ცხენებს, შალეულს და ორმაგ ფასებში ყიდიან სადადიანო სვანებთან, ხოლო ლეჩხუმში და სადადიანო სვანეთის ბაზრობებზე ნაყიდ ჩითუელით და წითელი საქონლით სვანები ამარაგებენ ყარაჩაელებსა და ბაქსანელებს. სადადიანო სვანები კი ზემო სვანეთში ყიდიან მარილს, ტყვიას, რკინას“<sup>262</sup>. ამასთანავე „სვანებს ყარაჩაი-ბაღყარეთში გარდა აღნიშნულისა, მიჰქონდათ გასაყიდად მსხლისა და ვაშლის ჩირი („ლებადე“), ლამაზად დაწნული ხის კალათები და

---

<sup>261</sup>ა. ჩარკვიანი. სვანეთი, 1967, გვ. 164.

<sup>262</sup>საარქივო ცნობა ციტირებულია ა. გელოვანის სადისერტაციო ნაშრომიდან, გვ. 165.

იქ ცვლიდნენ ადგილობრივ ნაწარმზე, მატყლზე, საფენ და მოსასხამ ნაბღებზე და სხვ.<sup>263</sup>

ამრიგად, სვანეთი საქართველოს არა მხოლოდ ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ისტორიულ-ადმინისტრაციული რეგიონი იყო, არამედ ის ერთიან ისტორიულ-ეკონომიკურ მხარესაც წარმოადგენდა. საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ვერტიკალური ზონალობიდან გამომდინარე, ის ჩართული იყო ერთიან სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობებში, რაც საზოგადოებრივი შრომისა და საწარმოო საქმიანობის ისტორიულ-ტერიტორიულ განაწილებასთან იყო დაკავშირებული.<sup>264</sup>

### **ვლის თუ არა საფრთხე სვანურ მეტყველებას**

ბოლო დროს ქართულ პრესაში რამდენჯერმე დაიბეჭდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სამეცნიერო წრეში ხშირად საუბრობენ მცირე ენების და, მათ შორის, საქართველოში მეგრულის, სვანური და წოვა-თუშურის (ბაცბური) გაქრობის შესახებ. შეიძლება დადგეს დრო, ამ ენებზე მოსაუბრენი აღარ იქნებიან. ამის გამო ზოგიერთი დასავლური ფონდი მათთვის ანბანის შექმნისა და სახარების („ახალი აღთქმის“) აღნიშნულ ენებზე თარგმნის სურვილს გამოთქვამს.

ქართველი ერი მსოფლიოს იმ ერებს (იტალიელები, გერმანელები, ჩინელები...) შორისაა, რომლისთვისაც დამახასიათებელი დიგლოსიაა. სალიტერატურო, სახელმწიფო და საღვთისმეტყველო ქართულ ენასთან ერთად ისტორიულად და დღესაც ქართველთა გარკვეული (მცირე) ნაწილი საუბრობს ქართულის მონათესავე სვანურსა და მეგრულ მეტყველებაზე და წოვა-თუშურ (ბაცბურ) ენაზე, რომელიც კავკასიურ ენათა ოჯახის ვაი-

---

<sup>263</sup>ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, შედგენილი გ. ავალიანისა და გ. ზურაბიანის მიერ, თბ., 1973, გვ. 138.

<sup>264</sup>გ. გეგეშიძე. მთის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული დაგეგმვის მეთოდის საკითხები (სვანეთის მაგალითზე) – სვანეთი, II (კომპლექსური შესწავლის მასალები), თბ., 1979, გვ. 54.

ნახური ჯგუფის ენებს მიეკუთვნება. მეგრული, სვანური და წოვა-თუშური საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ საოჯახო სალაპარაკო ენები იყო. სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ისინი, ჩვეულებრივ, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებს უთანაბრდებიან. როგორც სამეგრელოს, ისე სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრებნი თავს მხოლოდ ქართველებად მიიჩნევენ. ორენოვნება მათ ხელს არ უშლიდათ ეთნიკური ცნობიერების განსაზღვრაში.

ქართველთა ეთნიკური ისტორიიდან აშკარაა, რომ საოჯახო სალაპარაკო ენა სრულიადაც არაა ეთნიკურობის, ეთნოსის ძირითადი და განმსაზღვრელი ნიშანი. ამ დებულების განსამტკიცებლად მეცნიერებს ხშირად მოაქვთ გერმანელების, ჩინელების, მორდველებისა და სხვა ხალხთა ორ და სამენოვნების შესახებ მაგალითები.

ელის თუ არა რაიმე საშიშროება სვანურ მეტყველებას? შეიძლება თუ არა მეცნიერულად ამ კითხვაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა? მანამ, სანამ ამ კითხვებს პასუხს გავცემთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიულად სვანურზე მოლაპარაკეთა გეოგრაფიული არეალი უფრო ვრცელი იყო. სვანები, დღევანდელი სვანეთის გარდა, განსახლებულნი იყვნენ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც. აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში სვანთა მკვიდრობას, უპირველეს ყოვლისა, ტოპონიმები გვიდასტურებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქალაქ სოხუმის ისტორიული (ადრინდელი) სახელწოდება „ცხუმი“ სწორედ სვანურის საშუალებით იხსნება და ის „რცხილას“ ნიშნავს. მსგავსი ტოპონიმი („ცხუმარი“) ენგურის ხეობის სვანეთშიც გვაქვს. საისტორიო წყაროებით, ეთნოგრაფიულ-ენობრივი მონაცემებით ირკვევა, რომ სვანები ცხოვრობდნენ დღევანდელი ლეჩხუმისა და რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში და სვანეთის მოსაზღვრე სამეგრელოს მთიან ნაწილში.

სვანურ მეტყველებას ქართულმა ენამ (აგრეთვე: მეგრულმა და აფხაზურმა) ისტორიულად კიდევები „ჩამოჭრა“ და, ვფიქ-

რობთ, გაჩერდა იქ, სადაც უნდა გაჩერებულიყო. სვანურენოვანი ჯგუფების ქართულ ენაზე გადასვლა, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა იმან, რომ სახელმწიფო, სალიტერატურო და, რაც მთავარია, საღვთისმეტყველო ენა ქართული იყო. ამასთანავე, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსახლეობის მიგრაციამ და შერევამ. გადამწყვეტი კი გეოგრაფიული გარემო იყო. ქართულ ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებმა მთისაკენ სიღრმეში უკვე აღარ წაიწიეს. მთის ჩაკეტილ ტრადიციულ საზოგადოებებში ქართული ენის გავრცელება (სვანურის გამოღვევის ხარჯზე) არამარტო შეფერხდა, არამედ შეჩერდა კიდევ.

მთის ტრადიციულ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქორწინო ურთიერთობებს. ცნობილი ფაქტია და დადგენილია, რომ ერთი ენობრივი კოლექტივის მეორე ენობრივი კოლექტივით გადაფარვა ხშირად საქორწინო ურთიერთობებით იყო განპირობებული. თუ ერთი ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები ქორწინდებიან სხვა ენობრივი ჯგუფის წევრებზე, ხდება ერთი ენობრივი ერთეულის მიერ მეორე ენობრივი ერთეულის გადაფარვა. ერთი ენიდან მეორეში ჯერ ლექსიკა იჭრება, შემდეგ დგება ორენოვნების ორ და სამთაობიანი პერიოდი. ორენოვნება კი საბოლოოდ ერთ ენაზე გადასვლით სრულდება. გამარჯვებული ხშირად ის ჯგუფი გამოდის, რომელიც რაოდენობრივად მეორეს სჭარბობს. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რომელი ენაა სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა. ისტორიაში დადასტურებულია აგრეთვე ენობრივი და ეთნიკური ცვლილების თვალსაზრისით სოციალური ფაქტორის როლი; მაგალითად, აღმოსავლეთ კახეთში XVI საუკუნიდან უბატონო დაღესტნელი ხუნძებისა (ავარების) და წახურების ჩამოსახლებამ და ირანელთა და თურქთა მხარდაჭერამ, ქართველი გლეხი „გაალეკა“. მათ ფეოდალთა მიერ ექსპლუატაციას, თავისუფალ დაღესტნურ თემურ ურთიერთობებში ცხოვრება არჩიეს, რასაც შედეგად მათი ასიმილაციაც მოყვა. სოციალური მომენტი აღმოჩნდა გადამწყვეტი გერმანელი ლოტარინგიელებისა და ელზასელებისთვის

საც.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში სვანურად მოლაპარაკეთათვის (დღევანდელი სვანეთის ფარგლებში) სახელმწიფო, სალიტერატურო და სალეთისმეტყველო ენა იყო, ქართულმა ენამ სვანეთში ვერ გადაფარა და ვერ გამოაძევა სვანური მეტყველება. რა იყო ამის მიზეზი? მიზეზი, როგორც აღვნიშნეთ, საქორწინო ურთიერთობებია. ისე ნუ წარმოვიდგენთ, რომ თითქოს სვანურ მეტყველებაზე მოსაუბრეთათვის აკრძალული იყო ქართულ ენაზე მოლაპარაკებებზე დაქორწინება. ასეთი ქორწინებები ისტორიულად ხდებოდა და ხდება დღესაც. მაგრამ მთავარი რაოდენობრივი ფაქტორი, პროცენტული მაჩვენებელია. ქართულენოვანი ქალების სვანურად მეტყველ მამაკაცებზე დაქორწინების პროცენტული მაჩვენებელი ისტორიულადაც და დღესაც მცირე იყო. ტრადიციულად იშვიათად ხდებოდა მთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ბარის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოდან ქალის გათხოვება. ამ ტიპის საქორწინო ურთიერთობები მხოლოდ სვანეთისათვის კი არ იყო დამახასიათებელი, არამედ საქართველოს მთიანეთისა და მოსაზღვრე ბარის რეგიონების მთელი პერიმეტრისათვის. უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ ბარის მკვიდრი იშვიათად თხოვდება მთაში; ბარში ბუნებრივ-კლიმატური, სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით უკეთესი პირობები იყო. ბარელი ქალები ცხოვრების პირობების გაუარესებას გაურბოდნენ. მთიელი ქალები კი სიამოვნებით თხოვდებოდნენ ბარელ მამაკაცებზე. ამით ისინი საცხოვრებელ პირობებს იუმჯობესებდნენ. აქედან გამომდინარე ქართველი მთიელი მამაკაცების საქორწინო წრე ისევ მთის მკვიდრებით შემოიფარგლებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც სვანეთი იყო. სვანეთში მცხოვრები მამაკაცები საქორწინო პარტნიორს ისევ სვანეთში, სვანურად მეტყველთა წრეში ეძებდნენ. ამრიგად, სწორედ საქორწინო ურთიერთობა – სვანურად მეტყველ მამაკაცთა სვანურ მეტყველებაზე მოლაპარაკე ქალებზე დაქორწინება განაპირობებდა და განაპირობებს აქ სვანური ენის შემონახვას.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს სვანეთში? თანამედროვე პირობებში კომუნიკაციის საშუალებანი უფრო მეტად უწყობს ხელს სვანურად მეტყველი და ქართულენოვანი ჯგუფების კონტაქტებს და აქედან გამომდინარე, მეტია ალბათობა ქართულენოვანი და სვანურად მეტყველი ადამიანების ერთმანეთზე დაქორწინებისა, უფრო სწორად, ქართულ ენაზე მოსაუბრე ქალების სვანურად მეტყველ მამაკაცებზე დაქორწინებისა.

ამისათვის ერთგვარი სოციოლოგიური დაკვირვება (გამოკვლევა) ჩავატარეთ. სანამ ამ გამოკვლევის შედეგებს გავეცნობით, უნდა აღვნიშნოთ ის, რომ რუსული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერება ორენოვანი (სხვადასხვაენოვანი) ჯგუფების საქორწინო ურთიერთობებით ფრიად იყო დაინტერესებული. მიზეზი მარტივი გახლდათ: მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში რუსული ოფიცოზი დაინტერესებული იყო რუსული ენის არეალის გაფართოებით, გავრცელებით. ამიტომ რუსული საბჭოთა ეთნოგრაფიული მეცნიერება დიდ ყურადღებას აქცევდა შერეულ ქორწინებებს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მოსკოვის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ ბიეთნიკური, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების ქორწინების შესწავლა, უფრო სწორად, რუსთა სხვა ეთნოსებზე დაქორწინება წარმოადგენდა.

საბჭოთა ეთნოგრაფებმა თავიანთი გამოკვლევებით დაადგინეს (მაგალითად, აკად. ბრომლეიმ), რომ შერეული, სხვადასხვაენოვანი ადამიანების დაქორწინების შემთხვევაში ერთ-ერთ ენას საფრთხე არ ემუქრება, თუ ასეთ ქორწინებათა რიცხვი 15%-ს არ აჭარბებს. მხოლოდ 15%-ზე ზემოთ შეიძლება ერთ ენას მეორის სასარგებლოდ საფრთხე დაემუქროს.

აღნიშნული თეორიიდან გამომდინარე და ამის გათვალისწინებით, დღევანდელი სვანეთის ტერიტორიაზე, როგორც ცხენისწყლის, ისე ენგურის ხეობებში ერთგვარი ეთნოსოციოლოგიური გამოკვლევა ჩავატარეთ. სვანეთის ტერიტორიული თემებისა და სოფლების შერჩევის მიხედვით გავარკვიეთ საქორწინო წყვილთა ენობრივი მიმართულებები.

კერძოდ, სვანეთში მცხოვრებ მამაკაცებს საიდან ჰყავთ მეუღლე (ცოლი) მოყვანილი, ვისთან ამყარებენ ისინი საქორწინო ურთიერთობებს.

ენგურის ხეობის სვანეთის (მესტიის რაიონი) ცენტრი – დაბა მესტია დღეს რამდენიმე ყოფილი სოფლისა და ტერიტორიული ერთეულის ერთობლიობას წარმოადგენს. აქედან ზოგიერთი ტრადიციული დასახლებაა და ზოგიერთიც ახალი. ძველი ტრადიციული დასახლებებია: ლალამი, ლანჩვალი, სეტი და ლეხთგი. ყველა დასახლებაში შვეისწავლეთ საქორწინო წყვილთა ვინაობა. ლალამში 33 საქორწინო წყვილიდან 32 სვანი მამაკაცი სვანეთისავე მკვიდრ ქალზეა დაქორწინებული. მხოლოდ ერთს ჰყავს მეუღლე სამეგრელოდან. ლალვერში 28 საქორწინო წყვილიდან 27 სვანურია და აქაც მხოლოდ ერთი ოჯახის დიასახლისია ბარიდან გამოთხოვილი. ლალაიდში 29 საქორწინო წყვილია აღრიცხული; აქედან 27 ადგილობრივი წყვილია. ერთი რძალი უკრაინელია, მეორე კი ბალყარელი ჩრდილოეთ კავკასიიდან. ლეგაბში 17 საქორწინო წყვილი აღრიცხა: 16 სვანური წყვილია და მხოლოდ ერთი რძალი ჰყავთ თბილისიდან – ეთნიკურად ოსი. აეროპორტის დასახლებაში 58 საქორწინო წყვილია, რომელთაგანც 52 ადგილობრივია და მხოლოდ 6-ია მოსული რძალი: 3 სამეგრელოდან, ერთი – თბილისიდან და ერთი – კახეთიდან; ერთი კი ეთნიკური არაქართველია (უკრაინელი). ლანჩვალში 45 საქორწინო წყვილიდან მხოლოდ ორია არაადგილობრივი: ერთი ბათუმელი ქართველია და მეორე – რუსი. სეტის უბანში 145 საქორწინო წყვილიდან 128 ადგილობრივია, 17 კი – შერეული, მათ შორის, 8 რძალი აღმოსავლეთ საქართველოდან, 7 – დასავლეთ საქართველოდან, ერთი რუსია და ერთი – უკრაინელი. დღევანდელი მონაცემებით, ლეხთაგში 20 საქორწინო წყვილია. ამათგან მხოლოდ ერთია დასავლეთ საქართველოდან (იმერეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარიდან) გათხოვილი, 19 კი ადგილობრივი წყვილია.

ამრიგად, თუ დავთვლით დაბა მესტიის მონაცემებს, შემ-

დეგ შედეგს მივიღებთ: 375 საქორწინო წყვილიდან ადგილობრივია 344 (ე.ი. 344 სვანი მამაკაცი დაქორწინებულია 344 სვან ქალზე). სვანეთის გარედან მოყვანილ რძალთა რაოდენობა მხოლოდ 31-ს შეადგენს. გარედან მოყვანილ რძალთა პროცენტული რაოდენობა დაბა მესტიაში 8%-ზე ოდნავ მეტია. როგორც უშუალო დაკვირვებით გაირკვა, დაბა მესტიაში (და სხვა დასახლებულ პუნქტებშიც) გარედან მოყვანილ რძალთა საოჯახო სასაუბრო ენა ძირითადად სვანურია. არამარტო ეთნიკური ქართველები, არამედ არაეთნიკური ქართველებიც (რუსები, უკრაინელები, ბალყარელები) მშვენივრად მეტყველებენ სვანურად.

ლენჯერის საზოგადოებაში (ტერიტორიულ თემში) ორი სოფლის მონაცემები დავაფიქსირეთ. სოფელ ნესგუნში 50 საქორწინო წყვილია. აქედან 47 ადგილობრივია და მხოლოდ სამი რძალი სვანეთის გარედან, აღმოსავლეთ საქართველოდან, დასავლეთ საქართველოდან და აფხაზეთიდან (გალის რაიონი) არის მოყვანილი. სოფელ ლამთხვერში 32 წყვილი აღვრიცხეთ. მათგან 30 ადგილობრივია; ერთი რძალი დასავლეთ საქართველოდან (სამეგრელო) არის გამოთხოვილი, ერთიც – უკრაინიდან. საერთო ჯამში ლენჯერში ჩვენს მიერ აღრიცხული 82 საქორწინო წყვილიდან მხოლოდ 5 რძალია სვანეთის გარედან მოსული, რაც 1,3%-ს შეადგენს.

კალის თემში დღეს ხუთი პატარა სოფელია. აქ სულ 20 საქორწინო წყვილი აღვრიცხეთ. მათ შორის არც ერთი რძალი არაა ბარიდან გამოთხოვილი. ასე რომ, აქ არასვანი რძლების რაოდენობა 0%-ია.

ლატალის თემში ცხრა სოფლის მონაცემები მოვიპოვეთ. 154 საქორწინო წყვილიდან 145 ადგილობრივია. მხოლოდ 9 რძალია სვანეთის ფარგლებს გარედან მოყვანილი (სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, ლეჩხუმიდან, იმერეთიდან). ლატალში არასვანურენოვანი რძლების რაოდენობა 6%-მდეა.

ცხუმარის თემში, სამი სოფლის (ტვიბერის, ლეზგარისა და ლაბსყალდას) მონაცემებით, 58 წყვილია; 50 – სვანურენოვანია, რვა რძალი – გარედანაა მოყვანილი. მათ შორის, ოთხი



რუსია, რომლებიც აქაურ მამაკებმა რუსეთში სამხედრო-სავალ-  
დებულო სამსახურის მოხდის დროს შეირთეს. გარედან მოყვა-  
ნილ რძალთა რაოდენობა აქ 14%-ია. მაგრამ რუსი ეროვნების  
ოთხ ქალს თუ გამოვრიცხავთ (რადგან ისინი არაქართულენო-  
ვანნი არიან), მაშინ ეს რაოდენობა ქართულენოვანი რძლებისა  
7% იქნება.

ზემო სვანეთის ბეჩოს სასოფლო თემში, სამი სოფლის  
(უშხვანარი, ცხეკვანი და ქართვანი) მონაცემებით, 72 წყვილია.  
71 წყვილი ადგილობრივი, სვანურია და მხოლოდ ერთია იმე-  
რეთიდან მოყვანილი რძალი, რაც პროცენტულად 1,2 უდრის.

ნაკრის თემში 85 წყვილში მხოლოდ 6-ია გარედან მოყვა-  
ნილი რძალი; თანაც აქედან 5 რუსია. გარედან მოყვანილი  
რძლების რაოდენობა 7%-ს შეადგენს. თუ გამოვრიცხავთ რუსი  
ეროვნების ქალებს, მაშინ ეს პროცენტული მაჩვენებელი 1,8  
იქნება.

ეცერის თემში 90 დაქორწინებულ წყვილში გარედან, სა-  
ქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდან  
შვიდი რძალია მოყვანილი, ე.ი. 83 ადგილობრივია. სვანეთის  
გარედან მოყვანილ რძალთა რაოდენობა 7,5%-ია.

მულახის თემის სამ სოფელში (ჩვაბეშში, ცალდაშში და  
ჯაბეშში) მდგომარეობა ასეთია: 50 დაქორწინებული წყვილიდან  
44 ადგილობრივია და 6 შერეული. გარედან მოყვანილი რძლე-  
ბის რაოდენობა მულახში 3,3%-ია.

ხაიმის სასოფლო საკრებულოს ერთ სოფელ იდლიანში  
60 დაქორწინებული წყვილია აღნუსხული. მხოლოდ ერთი  
რძალია აქ გარედან გამოთხოვილი, რაც პროცენტულად 0,6-ს  
უდრის.

მთლიანად ზემო სვანეთში, ანუ ენგურის ხეობის სვანეთში  
(ადმინისტრაციული მესტიის რაიონი) გარედან მოყვანილ რძა-  
ლთა რაოდენობა 5%-ზე ოდნავ მეტია. ამდენად, ქართულენოვა-  
ნი და არაქართულენოვანი რძლების რაოდენობა სვანურ მეტ-  
ყველებას აქ რაიმე საფრთხეს არ უქმნის. დაკვირვებით აშკა-  
რაა, რომ გარედან მოყვანილი რძლები თავისუფლად მეტყვე-

ლებენ სვანურად და საოჯახო სალაპარაკო ენაც მათთვისაც სვანურია, ოღონდ ზოგიერთს უჭირს სვანურისათვის დამახასიათებელი რამდენიმე სპეციფიკური ბგერის გამოთქმა.

რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ ცხენისწყლის ხეობის სვანეთში (ქვემო სვანეთი, ანუ ადმინისტრაციული ლენტეხის რაიონი)? გაგვაჩნია სამი სოფლის: ჟახუნდერის, ჩუკულისა და ჩიხარეშის მონაცემები. ჟახუნდერში 50 წყვილიდან 6 რძალია იმერეთიდან და ლენხუმიდან გამოთხოვილი. აქ გარედან მოყვანილი რძლების რაოდენობა 12%-ია.

სოფელ ჩუკულის 45 დაქორწინებული წყვილიდან მხოლოდ ორია აქ გამოთხოვილი (ერთი ლენხუმიდან, მეორე – იმერეთიდან). არასვანურად მეტყველი რძლების პროცენტული რაოდენობა ჩუკულში 4,4-ია.

სოფელ ჩიხარეშში აღრიცხული 30 წყვილიდან 3 რძალია საქართველოს სხვა მხარეებიდან მოყვანილი, ე.ი. 10%.

ცხენისწყლის ხეობის სვანეთის (ლენტეხის რაიონის) მონაცემები ასეთია: 93% ადგილობრივი, სვანურად მეტყველი რძალია და მხოლოდ 7% ქართულენოვანი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ეს 7% არასვანურენოვანი ქალებისა მშვენივრად საუბრობს სვანურად. ამრიგად, არასვანურენოვანი რძლების რაოდენობა სვანურ ენას რაიმე საშიშროებას არ უქმნის, ოღონდ ცხენისწყლის ხეობის სამი თემიდან ლენტეხის თემში უფრო მეტი რაოდენობითაა შესული ქართული ლექსიკური ერთეულები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ცხენისწყლის ხეობის ლენტეხის თემი ძალიან ახლოსაა ლენხუმთან (ცაგერის რაიონთან). ამასთანავე, დღევანდელ ყოფით ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საინფორმაციო საშუალებები (განსაკუთრებით ელექტრონული პრესა) და სვანურში არამხოლოდ ქართული, არამედ უცხო სიტყვების გაჩენა მოულოდნელი არაა. სვანეთი ხომ არასდროს ყოფილა ჩაკეტილი, იზოლირებული და მითუმეტეს – ახლა. სვანები ცდილობენ თავიანთი საოჯახო მეტყველება შემოინახონ. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ერთი ასეთი ნოვაცია. თუ სუფრაზე სვანურის არმცოდნე ადამიანი

არაა, ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან არა იმაში, თუ ვინ უფრო მაღალფარდოვან სადღეგრძელოს წარმოთქვამს, არამედ იმაში, სადღეგრძელოს წარმოთქმისას ვინ უფრო ნაკლებად შეურევს ქართულ სიტყვას. ინფორმატორთა გადმოცემებით კი ასეთები საკმაოდ არიან.

დღეს სვანურ მეტყველებას თუ რაიმე უქმნის საშიშროებას, ეს მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციაა. ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ საქართველოს მთიანეთის ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე მუდმივად კვებავდა საქართველოს ბარს. მოსახლეობის ნამატი ბარში გადადიოდა, მაგრამ ისე და იმ რაოდენობით, რომ მოსახლეობის თითქმის ერთი და იგივე რაოდენობა სვანეთში მუდმივად რჩებოდა; მეტნაკლებად ის სტაბილური იყო. უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში კი დაიწყო სვანთა ინტენსიური ჩასახლება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ეკოლოგიური კატასტროფებით (მეწყერები, ზვავები).

### **მიგრაციები სვანეთიდან**

ბარის სხვადასხვა რაიონებში სვანები ძირითადად კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი, რაც ჯერჯერობით ხელს უწყობს სვანური მეტყველების შენარჩუნებას. მაგრამ ამ რაიონებში მისი შენარჩუნების არავითარი გარანტია არ არსებობს. რამდენიმე თაობის შემდეგ, ალბათ, სვანური ენა აქ დავიწყებას მიეცემა. მთავარი ფაქტორი, რის გამოც დღეს სვანები ახალ საცხოვრებელ გარემოში სვანურ მეტყველებას ინარჩუნებენ და არ ივიწყებენ მას, ეს ძალზე განვითარებული ტრადიციული ნათესაური ურთიერთობებია. უმეტეს შემთხვევაში მიგრანტებს მთაში დარჩათ ნათესავები (ძმა, და, ბიძაშვილი), რომლებთანაც ისინი ჯერჯერობით კავშირს არ წყვეტენ. სვანეთი ამავე დროს ბარში ჩასახლებულთათვის არის საზაფხულო სააგარაკო ადგილი. ნათესაური ურთიერთობებიდან გამომდინარე (გადასახლებულებმა რომ არ დაკარგონ კავშირი ერთმანეთთან და წინაპართა საცხოვრებელთან), მათ შემოიღეს ახალი დღესასწაული –

საგვარეულო შეკრებები. ასეთი შეკრებები ეწყობა მთაში არსებული სასოფლო და სათემო რელიგიური დღესასწაულების დროს. ცხენისწყლის ხეობის სვანეთში (ლენტეხის რაიონი) ასეთი საგვარეულო თავყრილობის მოწმე გავხდი ჩოლურის თემის სოფელ მუწდში. ამ სოფელში ორი გვარი – ხაბულიანები და კვასტიანები მკვიდრობენ. 2003 წლის 28 ივნისს ამ სოფელში მთავარანგელოზის დღესასწაულზე ზემოხსენებული ორივე გვარის ხალხი შეიყარა, ადგილობრივებთან ერთად რელიგიური დღესასწაული იზეიმეს და წინაპართა საცხოვრისიც მონახულეს. ჩუღურის თემის სოფელ მუწდში სულ 350 კაცი იყო შეყრილი, როგორც ადგილობრივი, ისე მოსული. ჩვეულებრივ, ასეთი თავყრილობები ტრადიციული ტრაპეზით მთავრდება ხოლმე.

შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში სვანთა მთიდან მიგრაციას ჯგუფური ხასიათი არ ჰქონდა. სვანთა მიგრაცია ინდივიდუალური ხასიათისა იყო. მაგრამ XX საუკუნეში, საბჭოთა ხელისუფლების დროს არაერთხელ ჩაასახლეს გეგმიურად (და სხვა ქართველი მთიელები) ბარის რაიონებში. პირველი ასეთი ჩასახლება XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა, როდესაც ენგურის ხეობის სოფელ იფარის მოსახლეობა კახეთში ჩაასახლეს (სოფელი კახიფარი). აღსანიშნავია აგრეთვე სვანთა გადასახლება 1948 წელს დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში<sup>265</sup>. ცხენისწყლის ხეობის სვანეთიდან არაერთი ოჯახი გადასახლეს გურიაში (ოზურგეთის რაიონი) და იმერეთში (ზონისა და წყალტუბოს რაიონები). ამავე რაიონებში აქედანვე 1966-1970 წლებში 100-მდე ოჯახი გადასახლდა. როგორც სტატისტიკოსების მიერაა გამოანგარიშებული XX საუკუნის 50-60-იან წლებში ქვემო სვანეთიდან დასავლეთ საქართველოს ბარში ორგანიზებული წესით 487 ოჯახი გადასახლდა<sup>266</sup>.

---

<sup>265</sup>ა. კაცაძე. საქართველოს მთის მოსახლეობის თანამედროვე მიგრაცია, თბ., 1977, გვ. 80.

<sup>266</sup>ა. კაცაძე. საქართველოს მთის... თბ., 1977, გვ. 50.

1968-1969 წლებში ბევრი ოჯახი გადაასახლეს ენგურის ხეობის სვანეთიდან (კალა, მულახი, ლატალი, უშგული, იფარი) თბილისის საგარეუბნო ზოლში (სოფლები: ლილო და კრწანისი). კომპაქტური დასახლებები შექმნეს სვანებმა ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და სენაკის რაიონებში.

ტრაგიკული იყო სვანეთისათვის 1987 წელი. ერთი თვის განმავლობაში მეწყერმა, ზვავმა და წყალდიდობამ 2000-მდე სახლი დაანგრია; დაიღუპა 87 ადამიანი. დიდი მსხვერპლისა და ნგრევის მიზეზი ძირითადად ის იყო, რომ ადამიანებმა უარი თქვეს თავიანთი წინაპრების მიერ ნაანდერძვე ტრადიციულ ურთიერთობაზე ბუნებასთან: ხე-ტყე გაიკაფა იქ, სადაც მისი გაკაფვა არ შეიძლებოდა, მიწა დაამუშავეს იქ, სადაც მისი დამუშავება არ შეიძლებოდა, სახლი ჩადგეს იქ, სადაც მისი ჩადგმა არ შეიძლებოდა. უსახლკაროდ დარჩენილები აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის რაიონებში ჩაასახლეს. ასე გაჩნდა სვანური დასახლებები ბოლნისის (280 ოჯახი), დმანისის (200 ოჯახი), გარდაბნის (350 ოჯახი), საგარეჯოს (55 ოჯახი), თეთრიწყაროს (800 ოჯახი) რაიონებში. ამ უკანასკნელში ძირითადად ლენტეხის რაიონიდან გადასახლებულები ჭარბობენ. აქედანვე ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში (ოზურგეთი, ხონი, ხობი) 140 ოჯახი გადასახლდა. მოგვიანებით ზემოთ დასახლებული რაიონები ახალი მიგრანტებით შეივსო.

სვანთა ეს ორგანიზებული გადასახლება ბარის რაიონებში ერთგვარად ნეგატიური აღმოჩნდა თვით სვანეთისათვის. მთელი რიგი სოფლები დაიცალა მოსახლეობისაგან, ან კიდევ, მთელი რიგი სოფლებში საცხოვრებლად მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა დარჩა. მაგალითად, როგორც აღნიშნავენ, უშგულის თემში 1994 წლისათვის 120 კომლის ნაცვლად მხოლოდ 35 ოჯახი დარჩა, ჩაჟაშში 20-ის ნაცვლად – 5, მულახის თემის სოფელ ჟამუშში 90 ოჯახის ნაცვლად – 10 ოჯახი. ადიშში თუ 75 კომლი მკვიდრობდა, გადასახლების შემდეგ ეს რაოდენობა 40-მდე დავიდა. კალაში 170 ოჯახი იყო და 40 ოჯახი

დარჩა<sup>267</sup>.

სვანეთის მოსახლეობისაგან დაცლის საშიშროება უკანასკნელ წლებში უფრო გაძლიერდა წყალდიდობებისა და მეწყერების შედეგად. 1979 წლის აღწერით ლენტეხის რაიონში თუ 12.974 ადამიანი მკვიდრობდა, 2002 წლის აღწერით ეს მაჩვენებელი 8.991-მდე დავიდა. მესტიის რაიონში 1979 წელს 17.884 კაცი ცხოვრობდა, 2002 წელს – 14.248. უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში სვანეთის მოსახლეობა 7.319 ადამიანით შემცირდა. ხელისუფლება ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს დახმარება უმნიშვნელოა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ბარში ჩასახლებას მოითხოვს. სვანეთში მოსახლეობის დამაგრებას ხელს უშლის ცუდი და მოუვლელი გზებიც. აქ მოსახლეობის დარჩენა-დამაგრება აუცილებელია, რათა შევიწინარწინოთ საქართველოს ეს უნიკალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე თავისი ადათ-წესებით, ტრადიციებით, წესჩვეულებებითა და, რაც მთავარია, განსაკუთრებული მეტყველებით. სვანეთში დაუნჯებულა უნიკალური ქრისტიანული ეკლესიები, ჯვრები, ხატები; მხოლოდ სვანეთში გვაქვს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის დამახასიათებელი ორიგინალური კოშკები. მოსახლეობისაგან სვანეთის დაცლის შემთხვევაში კი მათ პატრონი აღარ ეყოლებათ. ამ კუთხის მატერიალური კულტურის, ყოფა-ცხოვრების, მეტყველების გადარჩენის ერთადერთი გზა ტურიზმის განვითარება შეიძლება აღმოჩნდეს. ამისათვის კი კომუნიკაციების განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნაა საჭირო.

---

<sup>267</sup> ლ. ნიჟარაძე. სვანების მიგრაცია და მათი განსახლების არეალები საქართველოს ტერიტორიაზე. – ქართული ეთნოლოგია, I, 2005, გვ. 139.

**Roland Topchishvili**

# **Svaneti and Its Inhabitants**

**(Family Names and Ethno-historical Studies)**

The Georgian people are one of those, who have maintained selfhood among old nations up to date. The Georgian state, which was formed on the verge of IV-III centuries B.C., besides the Georgian population, included non-Georgians as well. At the same time, according to the Georgian historical sources, the non-Georgian population was thought as a part of the Georgian nation. According to the mentioned historical sources, the linguistic moment did not matter. Georgian-speaking Megrels, Svans and Dvals were considered as Georgians. Megrels and Svans consider themselves Georgians even today and in their opinion, they speak old Georgian language. As for Dvalis, it is difficult to say anything about their language today. As scientists suppose (taking into consideration onomastics data), the Dval language was one of the Georgian languages which was placed between Svan and Megrelian and moreover, it had the common with the latter (R. Topchishvili, *Issues of Settling Ossethians in Georgia and Ethno-history of Shida (Inner) Kartli*, Tbilisi, 1997, pp. 6-72; The same author, *Ethno-historical Etudes*, Tbilisi, 2005, pp.169-189). Tsova-tushi people have their own spoken language (Batsburi). They think that they are Georgians, too. Mentioned languages used to be only the family spoken languages for centuries and from the sociolinguistic point of view, they are equal to the Georgian language dialects. The state, official, church and literary language was only Georgian in Svaneti as well as in Samegrelo and Dvaleti.

Thus the Georgian nation has always been a union of people speaking several languages. The fact that the language is not the basic determiner of ethnos can be proved by several analogies from the ethnic history of the world people. For example, lower German speech is different from literary German – “plat-Deutch”. Mordovians speak two languages (Erzian and Moksha). It is known that during his visit in Moscow, when Mao-Dze-Dun made his speech at M. Lomonosov University, many of Chinese students listened to the text with the help of an interpreter.

During the whole long history of Georgia, Svaneti has been its historical-geographical and historical-ethnographical part. It had the different status both in the unified Georgian state and West Georgia (first it was the part of Egrisi or Colchheti, then Abkhazia). In comparison to other historical-ethnographical parts of Georgia, as



mentioned above, Svaneti has been distinguished by having its own family spoken language (one of the Georgian languages). At the same time, the inhabitants of Svaneti have always considered themselves as the inseparable part of the Georgian ethnos. In this case, language was not a precondition for them to realize themselves as different ethnos. Even today the Svans think that the old Georgian lexical units have been maintained by the Svan language. In this view, the question asked by a six-year-old girl is very remarkable: “What is for water in Svanuri?” And the answer was followed by her: “lits”. In Georgian “litslitsi” of water (a glass full of water) is the same as Svan or old Georgian word “lits”.

Why the Svaneti inhabitants considered themselves to be the inseparable part of Georgian ethnos is caused by several reasons, which will be more obvious at the end of the research. Here we think it necessary to mention those historical conditions according to which, the inhabitants in the Svaneti historical-ethnographical region realize themselves as Georgians. The first thing is that historical traditions confirm and as is also said, both Svans and Megrels are the branches of one people (tribe). Second reason, and one of the decisive, is living in one country (Georgian state). And it caused the condition that Svans could participate similarly in the formation of Georgian culture like other representatives of the historical-ethnographical parts of Georgia. Third and of not less importance is the common belief – Orthodox trend of Christianity. As for church, Svans have always been depended on Georgian Church. (at least since the IX century) and the Church language has always been only the Georgian language. It was impossible to imagine that earlier and in the developed middle ages, a group of people the number of which ranged 25 to 30 thousand could create their own written language. Svaneti was a particular region due to the certain view that unlike other mountainous regions of Georgia, feudal society (Georgian Feudal System) was deeply established, although in the later centuries it refused some of its principles in some places. The natural geographical conditions of Svaneti should be taken into consideration. It could not exist independently without being integrated into the Georgian state system. Locally produced agricultural products have never been enough for Svan people (not only for them but for other mountain people as well) and it always had agricultural and cultural links with the rest parts of Georgia. To begin with,

examples of looking for outer jobs will be enough. This fact was fixed in the Georgian historical documents even in the XV century. It is clear from the documents that Svans who were going to the lower parts to look for work brought a number of goods or products, especially salt and necessary sacramental wine for every Christian. The document makes it clear that looking for the seasonal work in the Georgian lowland historical-ethnographical parts was traditional (Svaneti Written Monuments, I, Edited by V. Silogava, Tbilisi, 1986, pp. 112-116). At the same time, this event (looking for outer jobs) helped the population of Svaneti to move comparatively easily to the different parts of Georgia (mostly to the West Georgia). Svan people's movement to look for the seasonal jobs for a long time caused their bilingualism as well. Historically all the Svans could speak Georgian besides the Svan language. Christian belief made it obligatory for them as they could use religious books only in the Georgian language. So that, Svaneti as the mountainous region containing only the certain number of population, always strengthened both the west and the east Georgia with its surplus population. Moreover, from the demographical point of view, historically the lowland always made it possible, as due to frequent invasions, it often experienced the lack of the population. In the west Georgia (in Imereti, Lechkhumi, Samegrelo) there are several kins who consider Svaneti to be their original place (see D. Shavianidze).

Despite the fact that the inhabitants of Svaneti have actively been involved in the Georgian state and cultural system throughout the long history of Georgia, they managed to maintain their language, original ethnographical style of living and customs deep roots of which are inseparable part of the common Georgian culture. They maintained a lot of ethnographical realities (like other highlanders of Georgia) which were lost by the lowland centuries ago. Besides, as they shared neighbourhood with the North Caucasus highlanders (since the XV century with Turkish speaking Balkarian and Karachaelian people), Svans had tight links with them and these links were carried out by the Georgian central government with the help of the Svans.

It is mentioned in the Georgian historiography that Georgian mountainous parts functioned autonomously in the unified Georgian feudal state system. This particular opinion of the Acad. G. Melikishvili, shared by the most researchers, makes it clear that it refers to Svaneti. This opinion does not spread to Thkheniskali Gorge (or

Lower) Svaneti (administrative Lentekhi region) and half of Enguri Gorge (or Upper) Svaneti (so called Below Bali Svaneti) where the feudal relations were maintained until the last period (XIX century). Autonomous functioning of the upper part of Enguri Gorge Svaneti (so called Above Bali Svaneti) was considered since the late middle centuries because the free tribal unions revived there since the period of demolition of the Georgian central state and some representatives of the upper class with noble name (“Vargi”) bore the title only formally.

However, this historical-ethnographical part of Georgia has not been studied yet in full despite the fact that several researches were written in the XIX-XX centuries on Svaneti, its history and ethnography, customs and traditions. First of all, researches made by non-Georgian authors in the XIX century is characterized by carelessness, without going into the depth, frequently with non-objectiveness and inclinations. As for the researches done since the 80s of the XX century, most of them are in the certain frame and are written under the influence of Marxism-Leninism dogmas. For example, having been within the certain frames, ethnographers had to prove the social events of primitive society in their ethnographical materials on Svaneti and see the forms of remnants of the first tribal society. Although above mentioned does not mean at all that these works do not include essential scientific researches.

From this point of view, the attention of Svaneti as one of the most remarkable mountainous part of Georgia was paid even earlier by an Acad. N. Berdzenishvili. He wrote: “Today it is necessary to do the methodologically right critical work: “the first sources, old or later, data and scientific finds should be criticized severely and processed materials should also be matched and agreed with each other.” Otherwise, there is a big and obvious mismatch which reasonably causes the doubt that we have the proper understanding of the certain essential side in the life of Svaneti.

On one hand, the remnants of the farming and spiritual culture of Svaneti, such as the world known “myth” about the wealth of Svaneti (“Colkhети”), about its farming-metallurgical achievements the proof of which is the archeological finds with high performance. Agricultural rules (cultivation and cattle-breeding), amazing princepieces of wood crafts, highly developed civic and cult buildings of stone crafts, blacksmith’s work of farming and combat arms and goldsmith’s work

of jewelry, highly developed painting. and on the other hand, our superficial knowledge in the cultural backwardness of Svan people and their closed farming system, their “primitiveness”. You can agree that to leave this issue in such a state for the Soviet scientists is unforgivable and its proper improvement is the matter of dignity of Georgian scientific historiography” (N. Berdzenishvili, *The Issues of Georgian History*, V, Tbilisi, 1971, p. 67). At the same time, the scientist also pointed that the scientific study of Svaneti should have been done not separately but in close ties with neighbouring parts (Racha, Lechkhumi, Samegrelo, Abkhazia) (p. 70). As is seen, the scientist named the mentioned parts, first of all not only because that they are bordering Svaneti but Svans were historically settled even there. Besides, the history of Georgia, its ethnographical being represents the close historical-ethnographic relationship between the highland and lowland and Svaneti needs to be seen and studied in this view.

Svaneti is one of the highest mountainous territorial-ethnographic units. It is situated in the mountainous part of the west Georgia, to the south slopes of the Caucasus Range. In the historical-geographical view, Svaneti is divided into two parts: Tskhenistskali Gorge Svaneti and Enguri Gorge Svaneti. In other words, the former is called Lower Svaneti and includes Lentekhi region administratively. The latter is called Upper Svaneti and is included in Mestia region administratively. After the breakdown of the Georgian Kingdom (XV century) Svaneti had not been one administrative unit any more. Feudal lords of different kins reigned in both gorges. Enguri Gorge and Tskhenistskali Gorge are divided into two parts by the Svaneti Range the length of which is 80 km and it is situated at the height of 3.000-3.500 metres above the sea level. This range made contacts and movement between two gorges difficult. The whole area of Svaneti comprises 6.9%. The river Enguri of Upper Svaneti takes its flow from Skhara Mkinvari (2.800m above the sea level). The village Ushguli, which is at the head of the Enguri Gorge, is situated at the height of 2 000 metres from the sea level. The lowest place from the sea level at the Enguri Gorge is the village Khaishi (550m). It is comparatively a new settlement together with Lakhamula. As far as Tskhenistskali Gorge (Lower Svaneti) is concerned, it takes its head from several Lapuri Mkinvari (2.707m above the sea level). Tskhenistskali Gorge actually includes several rivers, the main of which is Lapuri as well as: Tsanaskali, Chorokhi and

others. If Svans want to get to the lowland now they have to follow the highway and come to Samegrelo. This road was built in the XX century. Before that they used the shorter ways to get to the different parts of Georgia (Imereti, Kartli). From the head of Enguri Gorge (Ushguli) they moved to Tskheniskali Gorge where there are two villages now (Tsana and Zeskho) and several former villages. From here there was a short passage to Rioni Gorge i.e. historical-ethnographical part of Racha. From Racha they went straight to Kartli through Liakhvi Gorge.

Svaneti border ends up at the Muri Rock in Tskheniskali Gorge where the administrative centre of Lechkhumi – Tsageri is situated. It seems surprising but it is a fact that the settlements of Lechkhumi and Lower Svaneti are two kilometres away from each other but for centuries the people of two neighbouring villages have been speaking two different languages – Georgian (Lechkhumi inhabitants) and Svanuri.

Kodori Gorge Svaneti or as Svans call it “Dali’s Svaneti” is separated. Administratively it belongs to the Gulripshi region of Abkhazia. According to the ethnographic data, Svans were settled in Kodori (Dali) Gorge in the XIX century. Their settlement was not a single act. Their migration continued even in the beginning of the XX century. According to a narrator (Gulbaat Merlan), “people of our kin live in Dali’s Svaneti, too. Three families moved there. They left 70-80 years ago.” In Dali Gorge Svaneti the Guledanis (Enguri Gorge, Lenjeri community) live, too. According to the narrator’s words, “the families of father and uncle were not separated and for three years each of the brothers stayed in Dali Gorge and replaced each other. We lived in such a way because there were better conditions there.” In Dali (Kodori) Gorge Svaneti there are the representatives of almost every kin from Enguri Gorge. But as the historical documents and ethnographic data show, Kodori Gorge and its neighbouring areas had been populated by Svans before. As it seems, they were settled even in the important part of the current Abkhazian territory which is proved by the analyses of toponymies. Besides the old Georgian name of the capital of current Abkhazia Sukhumi (“Tskhumi”) which can be deciphered with the help of the Svan language and means hornbeam, linguists name such other toponymies that are explained by Svan language (e.g. Gagra>Gakra which means walnut in Svanuri. T. Gvantseladze).

The fact that Kodori Gorge had been the living place of Svans before is clear from other sources, too. Ancient authors mentioned about the people who they called “Misimianelians”. As Academicians S. Kaukchishvili and G. Melikishvili stated, (S. Kaukchishvili, *The Tribe of Misimianelians – TSU Works, I, Tbilisi, 1936*; G. Melikishvili, *For the Issues of Ancient Population in Georgia, Caucasus and Nearest East, Tbilisi, 1965*), the name of Svans itself “Mu-shuan” was changed into “Misimian” in Greek language. Moreover, Besarion Nizharadze fixed the important ethnographic materials and narrations according to which the border between Abkhazians and Svans was running on the bridge over the river Nenkra: “not only once the bloodshed between Abkhazians and Svans took place in this area. When Svans grabbed the cattle from Abkhazians, the latter chased after them. If Svans managed to cross the mentioned bridge Abkhazians returned back but if they overtook them then the fierce struggle started” (B. Nizharadze. *Historical-ethnographic Letters, II, Tbilisi, 1964, p.159*). These mountains belonged to Svaneti nobilities named the Dadeshkelianis and Svans took away the pastures from Abkhazians. In case of not paying for the pastures, Svans used to grab the cattle from Abkhazians. In 1863-1864 when Mamatsashvili was an executive of Svaneti, “mountains of Murzakani were in this Executive’s possession. He allowed grabbing the cattle if Abkhazians would not pay for the pastures” (see the same place, p. 160). B. Nizharadze also wrote that “this Chuberi is the low branch of the river Nenkra. People had lived here long before. I saw the tower and ruined houses. According to Vichi (B. Nizharadze’s guide), somewhere here in the hidden place there is a small church full of wealth but a sinful person cannot find it because such is the God’s will. Vichi told me the long story in an answer to my question where people went and why they left such a rich gorge. I will try to tell it short: The people living here left for Upper Svaneti” (B. Nizharadze. II, 160). B. Nizharadze writes: “In Chubakhevi community, in the village of Tsaleri there is a family named Gvarmiani. The Gvarmianis repeatedly state even today that their ancestors originally came from Dali’s Gorge” (B. Nizharadze. II, 51). When did Kodori (Dali) George Svans possibly move to Enguri Gorge Svaneti and particularly which villages did they settle? Several kins state to be originally from Kvemo (Below) Bali Svaneti and settled in Zemo (Upper) Bali Svaneti according to the narratives. This

migration might have occurred in the XV-XVI centuries when the central unified Georgian state broke up into many kingdom-principalities and weakening of the central control minimized the feudal relations in Kvemo (Below) Bali Svaneti (or the upper part of Enguri Gorge) which caused in its turn the revival of territorial tribal relations in social attitudes.

It should be underlined that among the ruins of Kodori Gorge the author of the XIX century fixes towers, which together with other circumstances obviously indicates that Svans had lived in this area once. It is known that Abkhazians (and generally Abkhazian-Adighian tribes) did not know about the culture of tower (it was completely unknown for them). The most principle is that Svans took pastures from Abkhazian cattlemen in Dali's George which indicates directly to the circumstance that Dali Gorge (generally Kodori Gorge) was once inhabited by Svans - the people of which were called Misimianelians by ancient authors.

The fact that settling Svans was more extensive is obvious from the toponymies of the bordering northern part of Samegrelo Lechkhumi and partly Racha (nothing to say about the Abkhazian toponymies two examples of which - "Tskhumi" and "Gagra>Gakra" have been mentioned above). When the replacement of the Svan population by Megrels happened in the northern part of Samegrelo (currently Tsalenjikha region) is definitely difficult. Obviously it happened quite early. Georgian language elements also substituted Svanuri elements early in Lechkhumi. It is true that almost half of the family names in Lechkhumi are of Svanuri origin but most of them are related to the migration of people from Svaneti to Lechkhumi and it took place later in the XIII-XVII centuries. Toponymies of Lechkhumi origin being explained only by means of the Svan language are quite old. Besides, the ancient name of Racha and Lechkhumi was Takveri. If in the earlier periods of middle ages the people had been Svan language-speaking in Lechkhumi, it probably would not have been called "Takveri" and it normally would have been included in the general name of Svaneti. At any case, Georgianization of Svan language-speaking Takveri (further Lechkhumi) had happened by the VI-VII centuries. As for one more separate part of Svaneti which became the territory of Racha later and was called as "Mountainous Racha" (villages Ghebi, Glola, Chiora) had been in the possession of Svaneti until the XV century. Vakhushti

Bagrationi describes the mentioned villages of Mountainous Racha as the settlements “with towers and hedges”. “Mountainous Racha” directly shares its borders with Tskheniskali Gorge Svaneti. At the head of this gorge there is the passage to “Mountainous Racha” or Rioni Gorge. In its turn, “Mountainous Racha” has a border with the other historical-ethnographic part of Georgia Dvaleti (to the east). According to the documents of 1503, today’s part of “Mountainous Racha” or Rioni Gorge was called “Svaneti’s Mtiuleti” (Svanetian Written Monuments, I, Tbilisi. 1986, pp. 112-116). By that time Svaneti had lost this part of its territory. It was handed to the nobilities of Racha the Japaridzes. At the beginning of the XVI century there were 10 villages in “Svaneti’s Mtiuleti” (Mountains) out of which only three (Ghebi, Glola, Chiora) were retained. By 1503 400 households had lived in this part of Svaneti which is approximately 2800-3000 heads. In the same XVI century the replacement of Svan language by Georgian might have occurred in “Svaneti’s Mtiuleti” (“Mountains”) (at the beginning of Rioni Gorge). Obviously it was resulted from moving the Japaridze serfs (Svans) by the mentioned feudal lords to the lower parts of Rioni Gorge where there were better natural geographical conditions for farming purposes. It is not exceptional that the process of language replacement in “Svaneti’s Mtiuleti” had begun earlier though. The reason to think so is that the gentry’s surnames mainly end in suffixes –dze and –shvili (Sosagidze, Arishidze, Gigashvili). This opinion is supported by the fact that according to the documents of above mentioned 1503, the people of the village Tsena (situated at the head of Tskheniskali Gorge from where there is a passage to the Enguri Gorge village Ushguli and Rioni Gorge or “Svaneti’s Mtiuleti”) had spoken Georgian. Besarion Nizharadze wrote in 1886: “According to the legend, both Tsena and Zeskhva were inhabited by Svans who spoke Tsena Georgian and Zeskhva Svanuri.” The Doghvanis and Jankhotelis who lived in the Lashketi community of Tskheniskali Gorge Svaneti had been moved from Zeskho (“today’s Jankhoteli was former Chikhladze”) (B. Nizharadze, II, p. 30).

Even B. Nizharadze wrote that Rioni Gorge was once inhabited by Svanuri-speaking people: “154 households live in the village of Ghebi. Both internally and externally Ghebi will remind you of the Svan village at the very first sight; there are the same two and rarely three-storey stone houses close to one another, some towers as it is generally



acceptable in Svaneti; So that all these and a lot of others, I repeat, give Ghebi a colour of the Svan village” (B. Nizharadze, II, p. 45-50). The same author writes that “the ancestors of present Ghebi people were Svans and spoke Svan language. Ghebi is not the only example of the villages with Svanuri family names in the Racha and Lechkhumi regions” (p. 50). Besides the toponymy of “Ghebi”, B. Nizharadze also considers “Chiora” and “Glola” to be Svanuri toponymies.

As we can see, historically Svans were settled on the larger territory and then their settling area was reduced gradually as a result of their assimilation with the other Georgian-speaking groups (Georgians, Megrels). The borders of contemporary Svaneti actually had already been formed by the early period of the middle ages. The present day Svaneti is surrounded by the main ridge of Caucasus to the north. In the northern Caucasus the neighbouring borderers of Svans are Karachaelians and Balkarians who are called by Svans “Saviarians” etnonymically. As it is clear in the Georgian as well as in non-Georgian historic and ethnological materials, Svans were settled in the north Caucasus, particularly at the beginning of the rivers Tergi and Kuban where the Svan toponymies also have been confirmed (see L. Lavrov. *Settling of Svans in the Northern Caucasus before XIX century // Issues of Ethnography of Caucasus*, Tbilisi, 1952, p. 78-89). Mentioned above a XIX-century author B. Nizharadze wrote: “We know that the northern slopes of this range, the nearby places of which are occupied by Chegemi, Baksani (Urusbyev) and Karacha communities, had been in the possession of Svaneti until the present time and was assessed by Svans. For example, Chegemi community paid 12 sheep every year in favour of Mulari community. Bakhsani and Karacha paid dues or gave pastures to principality Svans or their princes. Remnants of Christianity found by the travelers in Chegemi, Bakhsani and Karacha areas prove that before the present inhabitants the people of Christian confession had lived here. We think that they must have been Svans who moved to Svaneti only then when the Islamic ancestors of present inhabitants had forced them to leave or they had escaped themselves from Islamic confession” (B. Nizharadze, II, p. 51-52).

On the verge of old and new eras a Greek Geographer Strabon mentioned the settling of Svans on the tops of Caucasus, above Dioskuria (Sukhumi - present main city of Abkhazia). Memandre, a

historian in the second half of the VI century, also mentioned that “Svans were one of the tribes who lives around Caucasus”; “They (Svans – R.T.) live on the top of Caucasus” (Georgica, III, Tbilisi, 1936, p.221). This information makes it clear that Svans lived even in the northern Caucasus by the VI century. Nothing else can be meant by the words of a historian about their stay around Caucasus. When the ancestors of Svans settled in the northern Caucasus is too difficult to clarify. According to the Russian sources, “In 1562 the owner of Kabardo Temur-Kva (“Temryuk”) occupied “ “the living places (a hundred and sixty-four houses) of Mshanis and Sonis ...” (ИСБЛ, Volume XIII, second half, СПб, 1969, p. 371). It is obvious that in the Russian sources by mentioning Mshanis and Sonis, Svans are meant. Mshani is read as the name of Svans itself “Mshan”. Kabardians called Svans “Sone”. Besides, in the bordering countries of the northern Caucasus, as researchers point, there are still some toponymies which can be explained by means of the Svan language; also Svan towers, family names of Svan origin, ruins of Christian churches and others. Mentioned Russian ethnographer L. Lavrov supposed Svans stay in the northern Caucasus (at the head of the rivers Kubani and Baksan) since the XIV century. He wrote that “the living place of Svans at the head of the rivers Kubani and Baksani have left their trace in toponymy” and listed so called similar toponymies: “Uchkulani” and “Ushguli”, “Khumara”(Skhumari) and “Tskumari”, “Lashkuta” and “Lashkhети”. He confirmed the ruins of the castle of the middle centuries near the village Khumara were called “Shoana”, “Shuana” and “Shona”. L. Lavrov’s decision is as follows: “given data allow us to suppose that in a certain historical age the part of the northern Caucasus, in the first place the upper reaches of the river Kubani and Baksani were populated by Svans.” In other materials he wrote that “Svans took possession of Baksani Gorge ... between 1743 and 1773. The reign of Svans at the upper courses of Kubani must have been related to far earlier times, particularly until the settling of Turks here from Baksani i.e. roughly speaking, on the verge of XVII-XVIII centuries” (p.344). The Russian scientist concludes in the end that “Settling Svans in the northern Caucasus until XIX century cannot be beyond any doubt” (p. 344).

A clerk of the Russian General Staff I. F. Flaramberg, who was in the northern Caucasus in the 30s of the XIX century, wrote that a village of Khulami is situated to the west bank of Cherekh-sakho where the Svan

families live who wear Imeruli clothes up to now and are called “Sonis” (Adighians, Balkarians and Karachaelians in the Information of Authors the XIII-XIX centuries. Nalchik, 1974, pp 256-257).

